მოხილუა

წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა,

ტიმოთესგან

ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა

დაბეჭდილი

თფილისს.

სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისსა

1852

ბრძანებითა კავკასიის ნამერტნიკის კნიაზ მიხაილ სჷმონის-ძის
ვორონცოვისა

მათს ბრწყინუალებას

კავკასიისა ნამესტნიკს, კნიაზს მიხაილ სჷმონის-ძეს

ვორონცოვს

მათისავე ბრძანებით აღბეჭდილი წიგნი
ესე
ეძღუნის უმდაბლესად.

10 მარტს 1852 წელსა
თფილისს.

რაოდენ მშუდნიერ-არიან მთათა ზედა ფერჷნი მშჷ-
დობისა მაუწყებელთა და კეთილისა მახარებელთა.
ისაია 52. მუხ. 7.

წინა-სიტყუაობა

მწერალი წიგნისა ამის ტიმოთე, იყო ქართუბლი, გუარით გაბა-შვლი. აღიზარდა იგი კათოლიკოზ ბესარიონთან, რომელმანცა დაიპყრო საჭე ეკკლესიისა განმგეობისა თურქთა ჟამსა, შემდგომად განდევნისა პატიმრად ტენედოსისა ჭალაკში კათოლოკოზისა დომენტისა.

ოდეს, ვითარ, და სადა განვლო ხარისხნი მონოზონებისა, არა ჰსჩანს წერილთაგან. მხოლოდ ვუწყი ძუბლთა საქმეთაგან უწმინდესისა რუსეთისა სინოდისა, სადაცა განვვლე მე ორი წელი მსახურებისა (1), რომელ წარგზავნილ-იყო იგი იმერეთით რუსეთად 1738 წელსა ხარისხით ქუთათელ მიტროპოლიტისა, იმერთა მეფისაგან ალექსანდრე გიორგის-ძისა დესპანად წინაშე იმპერატრიცა ანნა იოანოვნასსა. მისრულმან სანკტპეტერბურღსა მიართუა არზა უწმინდესსა სინოდსა ივლისისა თთუბსა 1738 წელსა და ითხოვა, რათა ჰსცენ მას ნება უსისხლოჲსა მსხუბრპლისა შეწირვსა (2).

სხვსა საქმისაგან, სახელდობრ თხოვისა-მებრ ქრისტეფორე წილკნელ მიტროპოლიტისა (3), ჰსჩანს, რომელ ესე ქრისტეფორე 1764 წელსა, ევედრა არზით სინოდსა, რათა შემთხუბვისა-გამო გარდაცუალებულისა ამავე წელსა ივლისის თთუბში ქალაქსა ასტრახანს ტიმოთე ქართუბლთ მიტროპოლიტისა, მიჰსცენ მას მისი ადგილი.

---

(1) 1843 და 1844.
(2) 1738 წლის არხივისა № 360
(3) საქმე 1761 წლისა № 196

ამა საქმეთაგან ჰსჩანს, რომელ პირუბლ მოგზაურობისა საბერძნეთად, ტიმოთე იყო რუსეთსა, ვითარცა მღუდელ-მთავარი ქუთაისისა და შემდგომად დაბრუნებისა რუსეთით, ვითარცა თვთცა ჰსწერს (4), მიიღო მან კათედრა მთავარ-ეპისკოპოსისა, რომელიცა იყო პირუბლი შემდგომად კათოლიკოზობისა; და ჟამსა განდევნისა ქართლით რუსეთად დიდისა კათოლიკოზისა ანტონისა ლათინთა ეკკლესიისა თანხმობისათვს, ესე იგი 1754-სა, ამანცა ტიმოთემ, ვითარცა თანა-აღზრდილმან მისმან, ლტოლუა ჰყო საბერძნეთად და ვჰგონებ უნებლიეთ განეშორა ეპარხიასა თვსსა, ანუ მიზეზითა მით წყენითითა, რომელ არ მას, უპირუბლესსა იერარხსა, მიენდო განმგეობა კათოლიკოზობისა, არამედ რუისისა არხიეპისკოპოსსა იოსებს.

შემდგომად პალესტინისა და საბერძნეთისა მოხილჳ-
სა, უკუმოიქცა ქართლადვე 1757 წელსა, და დაშთენილ-
მან უეპარხიოდ, აღირჩია სადგურად დავით-გარესჯისა
უდაბნო და იწოდებოდა, ანუ უწოდებდა თჳთ თჳსა თჳს-
სა, იერუსალიმელად (5).

რაოდენთა წელთა დაჰყო აქა, არა ჰსჩანს, მხოლოდ
დღესცა არს მას მონასტერსა საფლავისა მისისა ქუა,
თჳთ მისგანვე განმზადებული; და დღესცა ძმათა ამა უდაბ-
ნოჲსა უწყიან მტკიცედ, რომელ მთავარ-ეპისკოპოსი ტი-
მოთე, რომელმანცა შეიმზადა თჳსდა ქუა საფლავისა,
არა არს მუნ დასაფლავებული.

შედგომად, წარსრული რუსეთად, მივიდა ასტრახანსა
და გარდაიცუალა მუნ თთუჳსა ივლისსა 1764 წელსა.

---

(4) იხილე ამა მისისა წიგნისა გუჳრდი 42.

(5) გუჳრდი 9.

წიგნისამან ამის, აღწერილისა მისგან, ჰსჩანს, რომელ
იყო იგი კაცი განსწავლული; მოესმინა კატიღორია, დია-
ლეკტიკა და კავშირი პროკლე დიადოხოსისა, მის ჟამი-
სა მეცნიერებისა წიგნნი და აღმოვსებისათჳს სიბრძნისა
წყარონი. – დიდად იყო დახელოვნებული სამღრთოთა
შინა და საეკკლესიოთა წერილთა და ვჰგონებ, თანა-
მოწაფეცა კათოლიკოზისა ანტონი პირუჳლისა.

ესწავა მცირედ ბერძული (6) და უწყოდა კარგად ენა
თათრული (7).

წიგნი ესე, შემოწმებით ორთა სხუათა ესე ვითართა თანა-
ვე, დაიბეჭდა თანხმად იმა ძუჳლისა დედანისა, რომელი-
ცა ვჰპოვე გარდაწერილი 1787 წელსა (8), თელავის სე-
მინარიის რეკტორის დავით ალექსის-ძისა ჴელითა (9).

---

(6) გუჳრდი 63.

(7) გუჳრდი 44.

(8) ქორონიკონსა უოე.

(9) უკანასკნელსა ფურცელზედ ამის დედანისა, რომელიცა
ეკუთუნის დეისტვიტელნის სტატისკის სოვეტნიკს თავად ნი-
კოლოოზ იოსების-ძეს ფალავანდოვს, ესრეთ იყო თჳთ მწე-
რალისაგან მიწერილი:
ესე წიგნი გაბა-შჳლის ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსისაგან
გაკეთებული, მთა-წმინდისა და იერუსალიმისა და სხუათა ადგილ-
თა მოხილუა, რომელი თჳთ ეხილუა, ყოველივე აღეწერა და ეს-
თა წიგნად ექმნა. ხოლო მე მაღალ-კეთილ-შობილმან ალექსის-
ძემან, სრულიად კახეთის სამეფოს, თელავის ქალაქს რეკტორ-
მან, ფილოსოფიისა და ღუთის-მეტყუჳლებისა მოძღუარმან და-

ვით აღვჰსწერე წიგნი ესე გარდანუსხჳთ; და ვინცა ამისგან
კითხჳთ და ამბისშეტყობით ირგოთ, ლოცუა-ჰქავთ ჩემ
მშრომელისათჳს.
აღიწერა წიგნი ესე თთუᲑᲜსა მარტსა, რიცხუსა ია, ქორონი-
კონს უოე.
მაღალ-კეთილ-შობილი ალექსის-ძეᲘ რეკტორი დავით.

გუᲑრდებზედ აქუნდა ამას უძუᲑლესსა ჴელ-წერილსა, გარდანუსხულსა ოც-ოენ წელ შემდგომად გარდაცუალე-ბისა თჳთ ტიმოთესსა, – მცირედნი შენიშუნანი; და ესენიცა აქავე დაურთენ სხოლიოდ, სხუანი ესე-გუარნი, რომელნიცა ვჰგონე ჯეროვან-სასარგებლოდ მკითხუᲑლთა-თჳს, განსამარტებელად და დასახსნელად რაოდენთამე სი-ძნელეთა, ჩემით დაურთენ.

ვიმედეულებ, რომელ მკითხუᲑლნი ამა წიგნისა, ჩემთა ამათ შენიშუნათა, მიიღებენ არა განკიცხჳთითა ყურად-ღებითა.

პლატონ ეგნატის-ძე იოსელიანი.

10 მარტს, 1852 წელსა
ქ. თფილისს.

შესავალი

სამარად საგონებელ ჩემდა იყუნეს, თუ ვითარ არა სა-ზღუᲑვო იყოს ზენაᲘსთჳს მორფუა სიტყუათა, და კუალად დახსნილობათა, და უდებად ([1]) ცხოვრებულთაგან არა შესამგზავს არს ტკივილთ-მოყუარებით მოსწრაფება სამ-ღუთოსა რაისმე და ღუთივ-შუᲑნიერთა გამოცხადებათა მითხრობა; და არცა თუ კმა-ყოფად სიტყუათა ქებისათა მიმოგონებად ვერ შემძლეთა და უღონოებათა ენისათა და მრავალ-მღელუარისა სოფლისა გულის-სიტყუათა მომ-ღებთა ესე ვითართა. ვითარ ცაარა სცონოდის გამოთქმად უზეშთაესთათჳს, რათა არა ვითარცა ლაღსა და კადნიერ-

სა განმზადებული რისხუა და ძჯრის-ხილუა მოატყუას
თავსა; არამედ უმჯობეს, რათა დუმილითა განვლოს ასპა-
რეზი საწუთოსა, ვითარცა მე ესერა კადნიერად და ური-
დად ხელ-ვჰყავ სამღთოთა ლექსთა განმარტებად მონა-
ზონებისა სახისა უღირსმან ტიმოთე იერუსალიმელმან;
რამეთუ მიზეზ-დგმა ამათთჳს ესე, რამეთუ მაწჷუვდა ში-
ნაგანთა ჩემთა სიყუარული ძმობისა და ერთ-სულობისა
ქუჷყანისაგანთა ჩუჷნთა და კუალად დავიწყებისათჳს
მათგან მპყრობელობასა წმინდათა ამათ ადგილთასა. ამის-
თვის მელმოდა, თუ ვითარ მეფენი საქართუჷლოსანი
ჟამთა მათ შინა მეპატრონე და მპყრობელ-სრულიად

(1) სხუა მანუსკრიპტში ანუ ჴელწერილში, უდბად. პ. ი.

იერუსალიმისა და პალესტინისა ქმნილ არიან; და მაღალ
და ძლიერ ყოფილ არიან ნათესავნი საქართუჷლოსანი,
და აწ ესეოდენ დაკნინებულ-არს; გარეშემონი ჩუჷნსა მპყრო-
ბელნი სიტყჳსა რაჲსამე ჩუჷნდა მოცემად არა მკადრე
არიან. ამათ და ესე ვითარმან მიზეზმან დუმილი აღმი-
სხნა, და ვიწყე მცირეთა რაითმე წიგნაკთა მჩხრეკ-მსი-
ტყუჷლობად, და მიგიძღუანენ თქუჷნ, ბრძენთა და მეც-
ნიერებით განმჭურეტთა სამღთოთა და სამეცნიეროთა საქ-
მეთა. ვითარცა სახიერთა ძმათ-მოყუარეთა და მდუმრიად
მიმტევებელთა ხილულთა ანუ სმენილთა ცნობათასა. შე-
დგომილთა სახისაებრობისა კაცთ-მოყუარისა ღუთისათა
მამათა და ძმათა სავსებისა შორის საქართუჷლოსათა ღირ-
სად ხსენებულთა და ხარისხთა მეცნიერებისათა მდგო-
მარეთა სამღუდელოთა და საეროთა ამა წიგნაკისა აღ-
მომკითხუჷლთა გევედრები, რათა მოჰყოთ ყური სიტყუა-
თა ჩემთა ზედა, რამეთუ წარვვედ იერუსალიმად და მთად
წმინდად სამღუდელოთა მათ წმინდათა ადგილთა, და ვიხი-
ლენით და აღმოვიკითხენით, ჭირმრავლობით ნაღუაწნი
მამათა ჩუჷნთა ქართუჷლთანი, და ფრიად განკჳრუჷბულ
ვიყავ მათთჳს, რამეთუ იგავადცა არა მჰსმენოდეს ესენი,
რაოდენიცა მე აქა მათთჳს აღვსწერენ და აქა მოსრული
ქართუჷლი ვინმე რაჲსათუს ამათთჳს არა გამოეძიებდა,

და აღვსწერენით, რაოდენიცა შევიტყვენით იერუსალიმისა-
თჳს და მთაწმინდისა და სხუათა მონასტერთათჳს, და
ადგილთათჳს საწამებელისა წმინდათა მოწამეთასა და სა-
დგურთათჳს ღირსთასა; და სხვათა მრავალთა ადგილთა
ამბავნი ხილულნი, და ანუ სარწმუნოდ სმენილნი, აღ-
ვსწერენ. სხუანი მამათა მიერნი სწავლანი დაკარგულნი
საქართუ̈ბ̈ლოთა შინა, მოვიძიენით და აღვსწერენით, და

ზოგნი რამე მე ვიუგბილ-მეტყუ̈ბ̈ლენ ჰსწავლანი, დჳრისა ვერ
განმცდელმან წუ̈ბ̈ლისა და ზრახუ̈ა რაჲმე აღმოვჰსთქუ̈; ამის-
თჳს საწად, რათა ჩემებრ უგბილთა სახმარად და სხუანი
ზოგიმე უმაღლესი ძალისა ჩემისა რაჲმე ღუ̈თის-მე-
ტყუ̈ბ̈ლებისათჳს და სამღრთოთა სჯულთათუ̈ს ვისიტყუ̈ბ̈
და არა თუ თავით ჩემით შევაწყევ, არამედ ბრძენთა
უზენაესთაგანთა მეცნიერთა მიერ გამოკუ̈ლევანი, რამე-
თუ ვიყავ მრავალთა ქუ̈ბ̈ყანათა მხილუ̈ბ̈ლ და მრავალთა
ბრძენთა და ფილოსოფოსთა თანა-მომზრახე და ამათ
მიერითა კითხჳთა და განმარტებითა და კაცთა სულიერ-
თა და სარწმუნოთა სულთა უწყებითა აღვსწერენით. მა-
შინ ესენი სარწმუნოდ და ქრისტესმი სასოებად განვმარ-
ტენ მშჳდობისათჳს და სიყუ̈არულისა და ეგრეთ წარუ-
გზავნე საქართუ̈ბ̈ლოსა. ამისთჳს გევედრებით უფალნო
ჩემნო ქრისტეს-მოყუ̈არენო საქართუ̈ბ̈ლოსათაგანნო, რათა
მიმთხუ̈ბ̈ვისათჳს და აღმოკითხჳსა შენდობისა თქუ̈ბ̈ნ მიე-
რისა წილ ყუ̈ბ̈დრება არა მოვიღო; ამისთჳს ვიშიშჳ და
წმინდათა ცხოვრებასა თქუ̈ბ̈ნსა შემოგავედრებ მცირეთა
ამათ სიტყუ̈ათა ჩემთა, რათა არა უგულვებელს ჰყოთ.
უკეთუ სულთა შესამატი სიტყუ̈ა იხილნოთ, შენდობასა
ჰყოფდეთ სიყვარულისათჳს მისისა, რომელმან სისხლი-
თა თჳსითა საუკუნო ხსნა მოგუ̈ანიჭა, და უკეთუ ცთო-
მილად საგონებელი რამე იხილოთ, პირუ̈ბ̈ლად ღრმად
განჰსჩხრიკეთ მეცნიერთა, და კუ̈ალად უკეთუ ცთომილვე
იყოს, შენდობასა ვითხოვ; რამეთუ არავინ არს უცთომელ
თჳნიერ ღუ̈თისა და მე მას ჟამად, სარწმუნოდ ირწმუ-
ნეთ, არავინ უწყოდი უმეცარი და ცოდჳლი ჩემებრ; ყო-

ველთა უკნინესი ვიყავ, რამეთუ მას ჟამსა შინა უბრძნე-
სნი საქართუ’ლოთანი საზღუ’რით და მიდმოგონებით

განმარტებდეს სწავლისა სიტყუ’ათა და ეგრეთა სწავებდეს
ერთა, და უმეცარნი სამღრთოთა მცნებათაებრ მდაბლად
მდუმარეობდეს და ორნივე ესე სასყიდელსა მოისთუ’ლიდეს;
ხოლო მე ორთაგანვე დაკდემულ ვიქმენ, ნუ უკუ’ კეთი-
ლად აღმოვსთქჳ და დუმილით სიმდაბლისაგანაცა გამოვეხჳ.
აღვსწერენით მინდობილმან ღირსებათა თქუ’ნთამან, რა-
თა ნაკლულევანებისათჳს მომტევებელ მექმნეთ და შენ-
დობა ცისკროვნებისაებრი გარდამოადინოთ; ერთტომობი-
სათჳს მომტევებელ იქმნეთ; თჳსებრიობისათჳს მოწყა-
ლე იქმნეთ, სიმკვდოვნ საარებულება ჩემი ილმოთ, რათა
თქუ’ნცა ესრეთთა ძმათ-მოყუ’არეთა, ნათელმან ნათლი-
საგანმან განიჭოსთ სიმრავლე მზე-გრძელობათა და მუნ
წიაღმტედ ინახად აბრაამიანთა ტაბლათა მსუფევთა,
უფალმან გასუ’ასთ სასმელი მაუკუ’დავებელი, და ადგილი
მწუ’ანედნი გაუნჯნესთ სასუფეველსა მკჳდრობისა მისისა-
სა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მიმოსუ’ლა თფილისით ათონისა მთადმდე.

მარადის სასურვოდ და საწადად დავიდევ თუ’ალთა გო-
ნებისა ჩემისათა, უღირსად ცხოვრებულისა ამის თავისა
ჩემისათჳს ლტოლუ’ა ვინაჲმე. კუ’ალად ტჳრთ მძიმეო-
ბა ბრალეულობათა ჩემთა სამარად-ხსენებად, რათა მო-
მივიდოდეს ამისთუ’ს მწირობად და უცხოებადმი წარსუ’ლის
ხელ-ყოფად ვისწრაფდი ღა აღსუ’ლად წმინდად ქალაქად
იერუსალიმად თაყუ’ანის-ცემად ცხოველს-მყოფელისა სა-
ფლავსა უფლისასა, და მთად წმინდად და მთად სინად,
მოხილუ’ად საცხოვრებელთა მათ და სენაკებთა წმინდათა
მამათა ჩუ’ნთა და ალაგებსა მას წმინდასა, პირ-მიწა და-
დებად კვარცხლბეკსა მას ღუ’თისა განგებათასა და მათ
შინა ცხოვრებულთა მამათა შევრდომად ადგილის-მცუ’ლ-

თა წმინდათა მამათა ჩუ̈ნთასა. რათა განცდითა და კურ-
თხევითა მათითა რუდუნებული და უდები ცხოვრება ჩემი
მირულებული ცოდჳთა განვაღჳძო და მით საარებული
თავი ჩემი ნუგეშეულ ვჰყო და ვირჩიო მე მივრდომა
სახლსა ღუ̈თისა ჩემისასა, არამედ სასურჳ საწადისა ამის
ჩემისათჳს, ჯერეთ მოცალება და ჟამნი არა მომეგნეს.

ხოლო წელთა 1755, ოდეს განაგებდა საქართუ̈ლო-
სა ცხებული ქრისტეს-მოყუ̈არე მეფე თეიმურაზ და პირ-
მშო სახელოვანი ძე მათი ღუ̈თის-მჰსახური მეფე საქარ-
თუ̈ლოსა უფალი ირაკლი, მომხსენებელ ვიქმენ მეფობი-
სა მათისა და ვიჯმენ მუნით და მათ მიერითა საბოძუ̈რი-
თა და ქარტითა განმტკიცებისათჳს უცხოებად შორს
მგზავრობისა ჩემისა კმა-საყოფელი აღვიღეთ და მოვი-
წიენით სამცხეს, ქალაქსა ახალციხესა, სახლსა ფაშა ათა-

ბაგისასა (2), და ჰსცნეს რა მისუ̈ლა ჩვენი, კაცნი მო-
გუ̈აგებნეს და განგჳმზადნეს სავანენი და საზრდონი ჯე-
რისაებრნი.

ამისა შემდგომად მოგჳწოდა ფაშამა სადგურად და
სრად თჳსსა და გჳთავაზა წესისაებრ მათისა თჳთო ფე-
რითა ნუგეშითა, და კუ̈ალად სხუ̈ასა ჟამსა მივედით და
ვზრახვიდით გზისა სუ̈ლისათჳს უმჯობესსა და იგი ზღჳთ
დაამტკიცებდა მგზავრობასა ჩუ̈ნსა, და აღგჳწერნა თურქ-
თა ენათა ზედა ეპისტოლენი კოსტანტინეპოლედ, ერთი
ხელმწიფესა სულთანთან (3), და ერთი ვეზირთან და
კარის კაცთა თანა სხუ̈ა შეწყნარებისათჳს ჩუ̈ნისა და
პატივისა და წარმოგუ̈ატანა ბეგი ერთი თათარი და წიგ-
ნები კმა-საყოფელი და წარმოვედით ახალციხით და მო-
ვიწიენით მონასტერ-ყოფილსა ზარზმას (4) და გარე-
მო სოფლებსა მისსა; დღე-სასწაულსა ამაღლებისასა მუნ

---

(2) ამა ჟამსა იყო ფაშად სულეიმან ფაშა, გუ̈არით გურული
აზნაური ნიბამე და შემდგომად დიდისა სამსახურისა ეგჳპტეს
ტყუ̈ობიდამ აღჰმოყუ̈ანილი ფაშად ახალციხისა. – ესე ბრძანები-
თა სულთანის ოთმან მესამისა მოჭთობილ-იქმნა მეგობრო-
ბისა მიზეზით მის დროს გურიისა მთავართანა, რომელსა ეწო-
დებოდა სჳმონ. პ. ი.

(3) ოთმან III, რომელიცა მეფობდა 1754-გან 1757 წლამდე. პ. ი.

(4) ადგილი ესე უპყრიეს დღეს თურქთა: მდებარებს ახლოს

ყუ‌ბ‌ლისა ციხისა, რომელსაცა ძუ‌ბ‌ლად ბერძენნი უწოდებდეს Тирокастра, და რომელიცა მოვიხსენე წიგნსა შინა ჩემსა აღ-წერილსა რუსულად: Историч. состояние Грузии под властью царей Магометьян. Тифлис. 1849 – стр. 13 – ახლოს ამა ციხისა მთასა შინა, არს მონასტერი, რომლისა-თჳსცა ჰსწერს ვახუშტი, რომელ იყო იგი მისს დროსცა გა-უქმებული. შენობანი ამა მონასტრისა დღესცა იხილუ‌ბ‌ბიან.

განვისუ‌ბ‌ნეთ და გარდავვლეთ მთა აჭარა და ვვლეთ ოთხ
დღე და მოვიწიენით მდინარედ ჭოროხად. და მიერიდგან
ზღჳსა ნაპირსა ყასაბასა ბათომს და დაგჳყოვნდა მუნ
დღენი ათორმეტნი ძიებასა ნავისასა და მოწყალებამან
ღუ‌თისამან ინება ჰავა ბორიასა კეთილი და გუ‌ბ‌პოვა ნავიცა
მარჯუ‌ბ‌, შთავსხედით მმადლობელნი მწირთა ხელის-ამ-
პყრობელისა ღუ‌თისანი, დღესა მეერგასესა მოსუ‌ლასა
სულისა წმინდისასა და დავაგდენით საზღუ‌არნი საქარ-
თუ‌ბ‌ლოსანი, და ზღუ‌ათა შინა და წყალთა მრავალთა;
შეववედრენით სულნი ჩუ‌ბ‌ნნი უფალსა, და ვვლეთ ას
ორმოცდა ათი მილიონი დღე და ღამე, და გამოვლეთ
ირიზა, ძუ‌ბ‌ლადგან თქმული საქართუ‌ბ‌ლოსა სამზღუ‌რად,
და მოვიწიენით ყოვლად-ქებულსა ტრაპეზუ‌ნტას, ტახტსა
და სამყოფსა ბერძენთა მეფეთასა, ადგილსა შემკობილ-
სა თჳთო-სახითა სიკეთითა, ზღჳთა და მთითა და გარდა-
ვხედით რა ზღჳთ, წარვავლინეთ არქიდიაკონი ჩუ‌ბ‌ნი წი-
ნაშე მიტროპოლიტისა მოკითხუ‌ად. და მასცა ებოძნეს
მღუ‌დელი მომკითხავი ჩუ‌ბ‌ნი, და მიგჳძღუ‌ა ზღჳსაგან
დამაშუ‌რალთა სრასა რასმე ტურფად ნაგებსა და ბაღთა
და ზღჳსა ჭენებისა ღადოთასა ამოდ შესაქცევსა; გან-
ვისუ‌ბ‌ნეთ მუნ რა მცირესა ჟამსა, აღვედით ხილუ‌ად ყო-
ვლად-სამღუ‌დელოჲსა ანანია ტრაპიზონელისა, ვინა წინა

მრთლივ. ამა ადგილისაგამ წარსრული გამახმედიანებული ქარ-
თუ‌ბ‌ლი ვიხილე ათონის მთასა. ამან, მრავალთა ქრისტეანეთა
წმიდათა ადგილთაგან კურნებისა გამო განღჳძებულმან, დაუ-
ტევა მამული თჳსი, მოილოცა იერუსალიმი, შევიდა ათონისა
მთასა და ქართუ‌ბ‌ლთა მონასტერსა შინა მიიღო ქრისტიანობა
და დაჰსდგა მუნ მორჩილად სახელით პეტრე. დღესცა განაგებს
იგი მუნ მეწისქჳლისა თანამდებობასა.

პ. ი.

მოგუჩგება კაცი ყოვლითა უკუჩ ქცევითა პატიოსანი და
შემკობილი უცხოთ-მოყუარებისა მადლითა მდიდრად აღუ-
სილი, და ფრიად კეთილად შეგჯტკბო და ზედას ზედა
გჯწყუჩვდა ტრაპეზად, და ინება ჩუჩნ მიერ მსხუჩრპლისა
შეწირუა ხარისხისა თჯსსა საყდარსა წმინდისა გრიგოლი
ნოსელისასა, რამეთუ აჲა სოფია ტრაპეზუნტისა და
სხუანი მრავალნი ეკკლესიანი თურქთა დაუპყრიეს, და
ვიყუჩნით მუნ მღვდელთ-მთავრისა მიერ და ერთა ქა-
ლაქისაგანთა ფრიადსა პატივსა და ნუგეშისა-ცემასა ში-
ნა, ჩვენსა მთხოველნი, ჩუჩნ უღირსთაგან მსხუჩრპლისა შეწირ-
ვისა და აიაზმასანი და უცხოებასა ჩუჩნსა ჯეროვნად
შეიწყნარებდეს და აღვედით დედად მონასტრად და მო-
გუჩგებნენ სულიერი დედა წინამძღუარი, და სხვანი დანი
და დედანი, ჯუარ შემოსილნი კრებული გალობითა და
კეროვანებითა შეგჯძღვნენ და თაყუანის-ვეცით ტრაპეზთა
და ადგილთა მათ წმინდათა, რამეთუ იყუნეს გამოკაფულ
კლდისაგან ეკკლესია და ხელოვნად შემკობილ სადგურ-
ნი და სენაკნი მონასტრისა მის, მეფისა ალექსის კომნი-
ნოსისაგან ([5]), რამეთუ თჯთცა მუნვე ესახა დედით და
მეუღლით და შეგჯძღვნენ საეროდ ტრაპეზად და დაგჯგეს
სანოვაგენი და გჯმასპინძლებდენ ამოდ და ფრიად ვი-
დრემე სარგებელ გუჩქმნა ხილუა მათი და მიერითგან
წარმოვედით დაუყოვნებელად სადგურადვე ჩვენდა

([5]) ამა ალექსის კომნენის, ტრაპეზუნტის იმპერატორისა
შჯლი იოანე მოვიდა საქართუჩლოს, შეირთო ცოლად ქალი
ალექსანდრე მეფისა. ესრეთ ჰსწერს ბერძენთა მეისტორიე
სალკოკონდიდა, pag: 2, 6. Ioannes abiens in Iberiam, uxesem
habuit regies iberiae Alexsandri filiam.

ამად ჟამად დაგჯყოვნდეს მუნ ჟამნი ერთისა თთჯსა-
ნი და გუჩშოვა ნავი მარჯუჩ და აღვედით შენდობისა
აღებად მიტროპოლიტისა, რამეთუ ფრიადცა გჯმნდა
განშორებაჲ მისი და აღმღებელთა ლოცუათა მათთასა,
გუჩბოძა საგზალნი გზისათჯს და შთამოვედით ნავად
და ვვლეთ ზღჯთ და განვვლეთ ქალაქი ტრიპოლი და მი-
ერ მივიწიენით ქალაქად უნიჯად, შუჩნიერსა მას ადგილ-

სა და ქრისტიანეთა მოგჳყუანეს და დაგუასადგურეს სა-
სახლესა და ტაძარსა წმინდისა ნიკოლოოზისასა და შე-
მოკრბეს ერნი და გვიმასპინძლეს და შეგჳწყნარეს კეთი-
ლად და ხმელით გზაჲ აღვირჩიეთ და გჳბოძეს საგზალ-
ნი და ცხენნი გზისათჳს; და წარმოვედით მიერიდგან
მავალნი ორ დღე და მოვიწიენით ნეოკესარიად ქალაქსა
და ეკკლესიასა გრიგორი საკჳრველ-მოქმედისასა და თჳთ
თუალითა ჩუჷნითა ვიხილეთ საკჳრველება ქმნილი მის
მიერ; რამეთუ ქალაქსა მას მოსდის მდინარე დიდი, რო-
მელსა უწოდენ მგელსა და განრყუნიდა ნაშრომთა მათ-
თა; ხოლო ერნი ევედრნეს წმინდასა გრიგორის
მისთჳს; თჳთ წარვიდა რა ხილვად მისა მდინარე შორს
განაყენა და კუჷრთხი შთაუსუა, რათა იმიერ არღარა წარ-
მოვლოს მდინარემან და ეტყოდა სახელითა უფლისა
იესოს ქრისტესითა; ნურღარა გარდახდები ამიერ სა-
ზღურით, და არს კუჷრთხი იგი ხე დიდ ვიდრე დღეინ-
დელად დღედმდე, და ვითარცა შეშინებული, ეგრეთ გან-
დრეკითა წარვლის მუნიდგან მდინარე იგი და ხიდი, რო-
მელიცა აღუგიათ მას ზედა. წყალი, ვინათგან წარივლტის
უქმად, მდგომარედ იხილუჷბის და ღამესა ერთსა ძუჷლსა
მას ხიდსა თანა განვათიეთ და თჳთ ხარისხი ეკკლესია
კუალად ქრისტიანეთავე უპყრიესთ და წარმოვედით მიე-

რით და მოვიწიენით კომანად, კუკუსოდ სომხითისა, და
ვიხილეთ საფლავი წმინდისა მამისა ჩუჷნი იოანე
ოქროპირისა, რაჟამს მუნ ექსორია ჰყუჷს და მუნვე აღე-
სრულა და არს იქიდგან მცირედ განშორებულად ქალაქი
დიდი კუკუსო სომხითისა, რომელსა აწ თურქნი თოხა-
თად (6) უწოდებენ, დამუნ მჯდომარებს ყოვლად-სამ-
ღუდელო ნეოკესარიისა და ფაბლაღონიისა; მივიწიენით
რა, ვაცნობეთ მისულა ჩუჷნი მიტროპოლიტსა მათსა და
მიგჳძღუნენ და დაგუასადგურეს სრასა ეკკლესიისასა, და
ვიხილეთ ყოვლად სამღუდელო ნეოკესარიელი უფალი
გერასიმე და ფრიად ვიდრემე კეთილად განგჳსუენა და
ძმებრივად შეგჳტკბო და დავყავით მუნ დღენი რაოდენ-
ნიმე და გარე ქალაქისა აღვედით და ვიხილეთ მონასტე-
რი აღშენებული თეოდორა დედოფლისა მიერ ფრიად
პატიოსანი. ჟამი იყო აგჳსტო ათხუთმეტი; ერნი შე-

მოკრბენ და დაგუაწჯეს მსხუჩრპლი საიდუმლოჲსა და ფრიად შეუწყნარებდეს უცხოებასა ჩუჩნსა.

აქა ვეძიებდით გზასა იერუსალიმად აღმყუანებელსა და იყო მუნ ქარავანი დიდ-ძალი, წარმსულელი ზმირინად (7) და აღვემზადენით წარსულად და აღვიდეთ ლოცუა მღვდელთ-მთავრისა და წარვემართენით, რამეთუ იყო სამეოცისა დღისა სავალი გზა და ვვლენით რა დღენი გამოვვლეთ ქალაქი ამასია, ხარისხი წმინდისა ვასილი ამასიელისა, რომლისა ხსენებასა ვჰყოფთ აპრილს ოც და ექუსსა და გამოვვლეთ ქალაქი ზილოა და სამწყსო კესარია

---

(6) აქა მოკლეს დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. Жизнь Великого Моурава К. Георгия Сааладзе. Тифлис.1848 стр. 83.

პ. ი.

(7) ქალაქი სმირნა ანუ იზმირი.

პ. ი.

კაბბადუკიისა, და ოცდა ხუთი დღენი უშენნი თურქმანნი ვვლენით და მოვიწიენით ქალაქსა ლუკაონსა, სადა ეწამა წმინდა ფილიმონ, რომლისა ხსენებასა ვჰყოფთ ნოემბრისა ოცდა ცხრასა, და ქალაქსა მას ახლოდ ახლავს მონასტერი წმინდისა ელენესი, რამეთუ ამა მონასტერსა შინა, აღზრდილ-არს ამფილოკე იკონიელი. და ამას მონასტერსა შინა იყო აბანო ბუნებით ცხელთა წყალთა ვრცელად მომდინარე, ვითარ წისქჯლსა კმა-ეყოფოდა საბრუნავად და მუნით ვვლეთ და მოვიწიენით სამწყსოსა იკონიელ-ეპისკოპოზისასა, სადა წმინდანი მოწამენი კვირიკე და ივლიტა ეწამნეს. და იყო მუნ მღუდელთ-მთავარი იკონიისა დიონისიოს და ქრისტიანეთა დიდად შეგჯტკბეს და საგზალითა და საბოძურითა აღგუავსეს და მიერიდგან წარმოვლეთ; გზასა ზედა ვიხილეთ კამარანი რაჲმე და მუნ ისხდენ მოლანი თურქთანი და იკითხჯდენ წიგნსა, და ვჰკითხე რა მათთჯს, მეტყოდნენ ვითარმედ ასრადინ მოლის საფლავი არისო მუნ და მას წმინდად ეხუჩნო და განვკჯრდი ცრუჲსა მის და მასხარისა მოსაობასა და მიერით ვვლეთ და მივიწიენით მახლობელ, სადა წმინდამან მამამან ხარიტონ მონასტერი აღაშენა, რამეთუ ქართუჩლნიცა მრავალნი ცხოვრებულან მუნ, და მივიწიეთ უშად და მიერ გულა-ყასაბად, სადა იყო მო-

ნასტერი მთავარ-ანგელოზთა, და მუნ განვეყარენით ქა-
რავანსა და განჴსუჭნეთ ქრისტიანეთა-თანა. და მიერ
წარვედით ქალაქად ფილადელფიად, მუნ, სადა ღუთის-
მეტყველი იოანე მიუწერს შჴდთა ეკკლესიათა ასიისათა:
ეფესოს, ზმირინს, ანუ არტირას, სარდეს, ფილადელ-
ფის, ლაოდიკიას. ამა ფილადელფიას მივედით და მო
გუჭგებნენ ქრისტიანენი და დაგუასადგურეს სრასა ეკკლე-

სიისასა და კეთილად შეგჴტკბეს და ვიხილეთ ძუჭლი
ეკკლესია ღუთის-მეტყუჭლისა იოანესი. ესრეთ მცორედნი
სუეტნი დია დაშთომილ იყუნეს და ახლოსღა მუნ კო-
ლასეს შინა არს ეკკლესია მთავარ-ანგელოზისა.

ესე არს ხონას, რომლისა სახსენებელსა ვდღესასწა-
ულობთ სეკდემბროსა ექუსსა. რამეთუ სასწაული ესე არს:
წარმართთა მდინარე დიდი გამოჰსთხარეს და მიუგდეს
მონასტერსა მთავარ-ანგელოზისასა, რათამცა წარეღუნა;
ხოლო ქრისტიანენი შეკრბენ ვედრებად მთავარ-ანგელო-
ზისა და მოიწია რა მდინარე ახლოს, მონასტერსა არ-
ღარა მომართა, არამედ განხურელა ქუჭშე ქუჭყანა და
მას შინა განვლო წყალმან მან. ვიდრე დღეს აქამომდე
ესრეთ მოსდის წყალი იგი, და მუნ ახლოს არს ქალაქი
იგი, რომლისა შინა ეწამა წმინდა მარინა და წარმოვე-
დით მიერ, და მოვედით შჴდთა მათ ეკკლესიათაგანსა
ღუთისმეტყუჭლისა სარდეოს, სადა იჴდა წმინდა მა-
მა (8) ევთიმი სარდიისა ეპისკოპოზი, და იყო სრულიად
აღოხრებული, ვიდრე მცირედნიღა ნაქცევნი თუღა დარ-
ჩომილ-იყუნეს და კაცნი სრულიად არღარა იპოებოდეს
და განვათიეთ ღამე ერთი მუნ და ხუალისა ვვლეთ და
მოვიწიენით ქალაქად ყასაბადმ ქრისტიანეთა თანა განჴ-
სუჭნეთ და მუნით წარვედით ქალაქად მაღნისიად, ძუჭლ-
თა მეფეთა სამყოფსა და შემკულსა მთითა და ბარითა,
და ეფესოსა ეპისკოპოზი ნათანაილ მუნ მჴდომარე იყო
და ძუჭლი საეპისკოპოზო კოდრატე მოციქულისა და
მღუდელ-მოწამისა მაღნისიისა, რომლისა ხსენებასა
ვჰყოფთ სეკდემბრის 27, და მუნ ეწამა წმინდა მოწამე

(8) ხსენებასა მისსა ვდღესასწაულობთ დეკემბრის 26.

ხარალამპი, რამეთუ მღუდელი იყო მუნებური, რომლისა
ხსენებასა ვჰყოფთ ფებერუალის 10 და მუნ განუათიეთ
ქრისტიანეთა-თანა ჟამნი რაოდენიმე და მიერ წარვიგზავ-
ნენით ზმირინად, შჯდთა მათ ეკლესიათაგანსა, სადა
მჯდომარე იყო წმინდა პოლიკარპე ზმირინისა ეპისკო-
პოზი და ვუკოლე. ესე პოლიკარპე დაიწუა ცეცხლისა
მსახურთაგან დასაბამითგან ხუთი ათას ექუსას ორმოც-
და სამსა (9) და ხსენებასა მისსა ვჰყოფთ ფებერულის 23.

და ვიხილეთ ქალაქი ესე მჯობი ყოველთა ქალაქთა,
ესრეთ, ვითარცა ედემსა შინა სამოთხე; პირად-პირადობა
შენებულობათა და საწუთოთა ედემებრიობთა გარდაემატა;
ერთ კერძო-თეთრი ზღუა აღუსილი მრავლითა ხომალ-
დითა და ნავითა, და ანგანი აღმართებელ იყუნეს ვითა
ხე მაღნარისანი და ერთ-კერძო მთანი, და ძირსა ველ-
ნი და ჭალანი, ბაღჩა-ბაღითა და წალკოტითა აღუსილ,
და ზეთის-ხილთა ტევანრიანობა დახშირებულ და ნა-
რინჯ-თურინჯითა კჯპაროზთა და ალვისა-ხისა მაღნარნი.
ნიავწულილ სულთა ბერუასა საყნოსელნი გაელაღნეს.
შევედით შინაგან ქალაქსა, ვიხილეთ სრანი და პალატნი
უცხოდ ჩინელთაებრ სეროებულნი, ესრეთ ვითა მაისისა
ველთა ასფო-დელოებნი; და მოგჯძღუნენ სასახლესა იერუ-
სალიმის მეტოქისასა და არქიდიაკონი ჩუზნი ვაახელით
მიტროპოლიტსა ზმირინისასა უფალსა ნეოფიტეს, და
მასცა დიაკონი თჯსი ებოძა და მიგჯძღუნენ სრასა მთა-
წმინდელთა ქართუზლთა მონასტრისასა და მუნ დაგუა-

---

(9) სმირნა ქალაქი, სამყოფო იოანე ღუთის-მეტყუზლისა, რომლისა მოწაფე იყო თჯთ წმინდა პოლიკარპე და გჯრგჯნი მოწამეობისა მიიღო ქრისტესთჯს ღრმამან მოხუცებულმან წელსა 166.

პ. ი.

სადგურეს (10); ამისა შემდგომად წარვედით და ვიხილეთ
ყოვლად-სამღუდელო კაცი დიდად პატიოსანი, რითა და
პალატითა მდიდარი და ვიამბორეთ და მოგჯკითხნეს და
იყუნენ მუნ სხუანი ორნი ეპისკოპოზნი ჯმნილნი სამ-

წყსოსაგან, და შევედით ეკლესიად კათოლიკედ წმინდისა ფოტინე სამარიტელისასა და განვიცდიდით თჳთო სახეობასა სამკაულსა უცხოთა ეკკლესიისათა, და გჳაწჳა პალატად მღუდელ-მთავარმან მან და განგჳმზადა სერი ბრწყინვალე და პატივს-გუცა ჯეროვნად და დავადგერით

---

(10) 1849 წელსა ვიხილე აქა აჭარითგან ქართუ<ლი დაუბრკოლებელად და კანონიერად მოუბარი ქართულად, რომელსაცა შეემოსა მონაზონებისა სახე 17 წლითგან ცხოვრებისა თჳსისა. ამას ჰყოლოდა ბიძა გაქრისტიანებული ტრაპეზუნტს, სადაცა შრომობდა აბანოთა შინა მუშაკობითა და ლტოლჳლი ისმირად შიშისათჳს მაჰმადიანთა, მიიმალა მუნ ქართუ<ლთა მონასტრის მეტოქსა და აიძულა ძმის-წული თჳსი, რაღა მიეღო მასცა ქრისტიანობა. – ესრეთ ბიძა მისი, შემდგომად ქმნილი პროიღუმენად მისვე მეტოქისა, 1822 წელსა წარვიდა მღაწმინდას, რომელსაცა გარე ედგა თურქთა ლაშქარი ბრძოლისა ჟამსა ბერძენთათა აღჰშფოთებულთა და შეპყრობილი გზასა ზედა მოკლულ-იქმნა და შთაგდებულ ზღუასა. ამა ღირსსა კაცსა ეწოდებოდა თეოდორე. ძმის-წული მისი დაჰშთენილი ობლად, სიკუდილმან ბიძისამან ქრისტიანობისა-გამო მოკლულმან, უფროს განამტკიცა სიყუარულსა ზედა ქრისტესსა. თურქთა წარიქციეს იგი თჳსდა მსახურად და შემდგომად 10 წლისა მსახურებისა, განჰყიდა იგი მომსყიდუ<ლმან მისმან სამოსის ჭალაკის ვაჭარმან სომეხმან. მოჰსცა მას თავის-უფლება და წარვიდა პირუ<ელსა ბიძისა თჳსისა სადგომს სმირნასვე და აქა შეიმოსა ამანცა სახე მონოზონებისა და ჰგიეს მუნ მოღუაწედ. სახელი ამისი ნეოფიტე მცოდნე ბერძულისა წიგნისა და წერისა დიდად ჰსწუხდა უმეცრებისათჳს ქართუ<ლთა ენისა მწიგნობრობისა.

პ. ი.

იზმირს ჟამ რაოდენმე და იყო მიმდემი განკრძალჳთ ქრისტიანეთაგან ეკკლესიათა შინა სუ<ლაჲ და მხურუ<ალედ ვედრებაჲ; ხოლო მე ზიართა მათ სამღუ<დელოთა და საეროთა სამარადისოდ ლოცუ<ასა განვეკჳრუ<ᲨᲔ და ვიხილე მუნ აკადემია საფილოსოფოსო, და იეროთეოს ფილოსოფოსი მონაზონი ვინმე ასწავებდა მრავალთა მუნ შჳლისაგანთა; რამეთუ იყუ<ნეს იზმირს ბალიოზნი საფრანგეთისანი, და იყო ქალაქი სავანედ მრავალთა დიდ-ვაჭართა უცხოთა, რამეთუ ნავნი იერუსალიმად წარსრულ იყუ<ნეს ჟამნი იყუ<ნეს ნოემბრისანი და გუასწავეს ვითარმედ, ქიონად გეშოვოსთ ნავი წარმსლველნი იერუ-

სალიმად, და აღვიდეთ ლოცუაჲ მღვდელთ-მთავრისაგან
და ჰშთავსხედით ნავსა წარსულად ქიონად, რამეთუ შო-
რევდა ასი ოდენ მილიონი.

მივიწიენით ჰავითა კეთილად ქიონად ([11]), ქალაქსა ისი-
დორე ქიონელისასა, რამეთუ დეოკლიტიანემ აწამა ისი-
დორე მუნ, რომლისა ხსენებასა ვჰყოფთ მაისის ათო-
თხმეტსა. ამა ქალაქსა თურქნი საყისად უწოდებენ,
რომელ-არს დანამასტაკი, რამეთუ სხუაგან არა იშოვე-
ბის თუ არა მუნ; რამეთუ არს ესე ჭალაკი ზღუასა შინა
და ვიხილეთ ქალაქი ფრიად პატიოსანი, სახლნი ქჳთა
თლილითა შენებულნი და მტკიცედ მოზღუდჳლნი, რა-
მეთუ არა რა შიში იყო დაწჳთა ცეცხლისათა და დაგუა-
სადგურეს ქართუსლთა მონასტრისა მეტოქესა სახლსა
და მივედით და ვიხილეთ დიონოსიოს ყოვლად-სამღუდე-
ლო ქიონელი და პატივის-ცემით შეგჳწყნარნა, რამეთუ
ნავნი წარსრულ იყუნეს მუნ. და დავჰშთით ქალაქსა შინა

([11]) ე. ი. ხიოსისა ჭალაკი.

და განვიცდიდით პირადობასა ქალაქისასა. გუსტყოდენ
ქრისტიანენი, ვითარმედ ექუს-ასი არს ეკლესია დღეს
ქალაქსა ამასო და ბაღითა და ხეხილითა აღუსილი იყო
ჭალაკი იგი და ვიხილეთ მუნ ექსორია ქმნილი ვლახთ
მეფე კოსტანტინე. რამეთუ გუსუცხოვა ქცევა და სა-
მეფონი ზრდილობანი მისნი და გუკითხჳდა საქართუს-
ლოთათჳს,და სხუათა მრავალთა საუბართა შევექცეოდით.

ამისა შემდგომად იწჳეს კუალად სტამბოლად და წარ-
გზავნეს სამეფოდ თჳსად. ამად ჟამად მოიწია დღესა-
სწაული ტაძრად მიყუანებისა და მოამზადეს ეკკლესია
წმინდისა ბიკტორისა, და მოაკრნეს ხალასად ნაკერნი
ფარდანი კედელ-ყურეთა, და სხუად მრავლად შეამკუსს.
და ალმებთა ხალასობა და შეფერება საყდრისა ვითარ
აღვჰსწერო. არა თუ იგი საყდარი, არამედ მრავალნი ერ-
თი მეორისა უსაკჳრუსლესად იყუნეს შემკობილ. ვარ
მხილუსლი მოსკოვისა და პეტერბურღისა, რომელთა შო-
რის თავ-წარსხმულად ჰყუავის ქრისტიანობა დღეს, და მუნ

არა მიხილავს ესრეთ შემკულნი ეკკლესიანი. რა
საკჳრუ̈ᲗᲚᲐდ თუ̈ალითა მარმარითა აღმართებულ იყუ̈ნეს
სუ̈ეტნი და ზედ კამარანი მოჭრილნი ყუ̈ავილებად და
ნახჩებად კედელთა ზედა მდგომარე იყუ̈ნეს სერაფიმნი
და ხერუ̈ვიმნი მარმარისანი, და კამარეთა ზედა ფრთე
აღპყრობილნი ანგელოზნი, მტჳრთუ̈ᲗᲚᲜᲘ სანთლისა
ოქროცუ̈ᲗᲑᲣᲚᲘსანი; კედელთა ზედა ნახუ̈ნი მომაღლოდ
აღმოყუ̈ანილნი და შიგ ხატი და წინ ხომლის რტოული
სასანთლე და ქუ̈ᲗᲨᲔდ მძიმედ ნაკერნი ფარდანი ოქრო
ნაშუ̈ნი. სხუ̈ანი სასანთლენი ოქრო-ცურუ̈ᲗᲑᲣᲚᲜᲘ შუ̈ბივით
საჭერნი ხელთა, და სხუ̈ანი შუ̈ბის თავთა ფარნები ჭი-
ქისანი ფერად-ფერადნი და სხუ̈ანი სალამანდროსნი,

წინ-საძღოლნი ქორ-კანდელნი და ხომლნი ჭიქისანი.
უცხოები, სირაქლემისა კუ̈ᲗᲨრცხნი ფერადისა ჭიქისა და
ქაშანურისანი იყუ̈ნეს, და კამარებად ჩამოკიდებულნი
ეკკლესიისა კამარათა შინა და აღანთებდნენ რა, მგზავსი
იყო ნამდჳლ ირისესა; იატაკნი ეკკლესიისანი ფერადი-
სა მარმარისანი ჩაწყობით მიჭადრაკულნი; და საკურთხე-
ველისა იატაკნი და ტრაპეზისა და კედელნი ფერადი-
სა ქაშანურისანი და ხარისხი მაღალი საჯდომელი ეპის-
კოპოზისა. და სალხინებელი ტრაპეზისა, ესოდენ მეუც-
ხოვა, რომელ ვერ შეუძლე აღწერად; თუ უცხო რამე ხრა-
ხნილები და ზედა გჳრგჳნნი ოქრო-ცურუ̈ᲗᲑᲣᲚᲜᲘ და ზედ
ჯიღითა და თომარითა რაჲთმე მგზავსითა განდგმულ და
მორთულ. სრულიად მათნი ეკკლესიანი ესრეთ იყუ̈ნეს.
კანკლისა სიუცხოვე ვითარღა აღვჰსწერო; კარის ბჭენი
და გარეთ ეზონი ფერადითა ქჳთა ჩაწყობილნი; ხოლო
მგალობელნი მათნი არა გალობდნენ ბერძულად, არამედ
ნოტითა იტყოდიან. ამა საყიზის შუ̈ა კუ̈ნძულსა შინა არს
მთა მაღალი და მას შინა მონასტერი დიდებული, რო-
მელსა აიამონი ეწოდების. დღესა ერთსა ვიწყეთ აღსუ̈ლა
მუ̈ნ, და მოგუ̈ართვეს ჯორნი და იღუ̈მენიცა მათი თა-
ნა გჳახლა; რამეთუ შორევდა ჟამისა ორისა სავალ, და
განვვლეთ რა შუ̈ა გზაჲ მონასტრის ბაღნი და ვე-
ნახნი იყუ̈ნეს და სულიერი სახილავი იხილუ̈ᲗᲑᲝდა, რა-
მეთუ მონაზონნი მამანი ხუ̈ნიდენ და ბარჳდენ და

ნერგსა ასხმიდენ და აღვვლეთ რა აღმართი მთათა ში-
ნა ნაძუ-ფიჭჭვნარიანობა იხილუზბოდა, და ტევრთა მათ
შინა გამოჰსჩნდა ბრპენითა დაბურჯლი მონასტერი
ბრწყინუალე და გუზტყოდნენ, ვითარმედ მდიდარ-არს
მონასტერი და ძუზლითა სიმდიდრითა გარდაცემულ.

ოდეს მისულა ჩვენი სცნეს, ჰკრეს ზართა ძლიე-
რად მონასტრისათა, და მოგუზგებნენ მამანი ორას ორ-
მოცდა-ათნი სანთლებითა და კეროვნებითა, და მოგუარ-
თუზს კუზრთხი და მდინარე და შეგჯძღუნენ კმევითა
სუნნელთათა, და მგალობელნი გალობდენ ტკბილად, და
შევედით ეკლესიად და თაყუანის-ვეცით წმინდათა მათ
და აღვედით ხარისხად, მაშინ იწყეს შეგჯწყალენი და
მომადლებისათჯს ჩემისა ჰსთქუზეს მრავალ-ჟამიერობა მე-
ფეთათჯს ჩუზნთა და ისპოლაეტი მრავალ-ჟამიერი ხმა
ამოდ გუზზიარა და უამბორეთ მამათა და ძმათა და მი-
გჯძღუნენ სადგურად და ვიკითხეთ აღმაშენებელი მისი,
რამეთუ გუზტყოდნენ, ვითარმედ კოსტანტინე მეფემან
მონარახმან აღაშენაო.

აწ მონასტრისათჯს ვიტყოდეთ. იატაკნი ეკკლესიი-
სანი ფერადისა არღავანისა ქჯსაგან ესრეთ ჩაეწყოთ,
ვერა ხორასნელი ორხუა ვერ შეეფერებოდა. საყდარი
არის რუა-კუთხე და იგურდივ ოცდა- თორმეტნი არ-
ღავნის ფერადნი სუზტნი უდგას. კედელნი არღავნისა
სა ბალღამისა ქჯსა ფერადისა ხონჩურებ ჩაწყობილი,
არა თუ კირითა და ღორღითა, არამედ ტყჯვითა ჩასხმუ-
ლი და სპილენძით შეძერწილ, თავისის სხჯს ფერით
აშიებითა ვიდრე მოხრილს კამარადმდე; ხოლო გუმ-
ბათი და კამარანი ელუარის სოფიოს კენჭითა, სხუანი
ჩაგულ-ქანდებული. ხატნიცა ბრწყინუალეს სოფიის
კენჭით იყუნეს; მისი ელუარება და კამკამნი სამყაროსა
დღისა ცისასა და ღამისა ლაჟუარდიანსა ფერსა უდრიდა.
რაჟამს ჭიქისა და ვეცხლისა ხომლნი აღანთიან, მგზავ-
სი იყო მთოვარისა ვეცხლისა სახისა, და ვარსკულავ-
თა ხელმწიფებად და მნათობად ღამისა მნათთა. სანა-

თურით რა გავსჭვრიტი, ფერადისა წითლისა და ყუავი-
ლისა თლილისა მინისა სინათლე მთიებთა შუქთ-მკრთო-
მარეობასა ესახებოდა. კარის ბჭეთა იატაკთა რა გავხე-
დი, მეგონნეს, ვითარმედ ოქსინოჲთა მოუფარდაგებიათ
გამოსაჩუჷნებელად. ვიხილენ რა განვკვრდი: ქუანი იყუნეს
ჩაწყობილნი; მეუცოვა სიკეთე მისი და თაყუანის-ვეცით
ცერსა ნათლის-მცემელისასა,რომლითა შეახო თავსა მა-
ცხოვრისასა და არს თავი მოციქულისა ფილიპესი,
თავი მოციქულისა ტიმოთესი, თავი დიდისა ევთიმისა,
თავი ევგენიასი, თეძო წმინდისა გიორგისა, ფეხი ხა-
რიტონისა და სხუანი მრავალნი ნაწილნი. ამა მო-
ნასტერსა ვიხილე სასწაული საკვრუჷლი, რამეთუ ერთი
შავი არაბი განქურდავად შესრულ-არს ეკკლესიასა, ზე-
ით აუხედია, მოჰკიდებია ცეცხლი და სრულიად დამწუარა.
ცალი მკლავი მორჩენილ-იყო ქურდის არაბისა და იქ
მდებარედ ვიხილეთ.

ამა მონასტრისა აღშენებისა მიზეზს ესრეთ გუჷ-
ტყოდეს, რამეთუ მჯდარა ვინმე მონაზონი დაყუდებუ-
ლი მუნ და აწ სადა ტაძარი ჰსდგას, მუნ უხილავს ნა-
თელი. მრავალ-გზის წარსრულ-არს დაყუდებული იგი
და უხილავს მუნ ხატი ყოვლად-წმინდისა, და სმენია
ესე მეფესა კონსტანტინეს და ამისთჳს აღუშენებია მო-
ნასტერი იგი. ის ხატი აწცა დიდის სასოებით უსუჷ-
ნიათ მუნ და გუჷტყოდენ მამანი, ვითარმედ ქართუჷლი
არა ოდეს გჳხილავსო და არცა ენა გუასმიესო, აწ შე-
ჰსწირეთ მსხუჷრპლი საიდუმლოჲსა; მე უარი მოვახსე-
ნე, არამედ ფრიად მევედრებოდეს და შევჰსწირეთ უ-
ღირსითა ბაგითა საიდუმლო და მათცა ვაწირვინეთ მეფე-
თა ჩუჷნთა წარსამართებლად და განგჳმზადეს ტაბლაჲ

მშუჷნიერი და განვათიეთ რა მუნ ჟამნი რაოდენნიმე,
კუალად ქალაქად საყისად სადგურად ჩუჷნდა მოვიწიე-
ნით ლოცჳსა მომღებნი მათნი და მმადლობელნი ღუთი-
სანი.

აქა ყოფასა ჩუჷნსა მოვიდა ამბავი რაჲმე საკვრუჷლი,
რამეთუ წმინდა სფირიდონ საკვრუჷლთ-მოქმედი მრთლივ

წაუსუწნებიათ კჯპრიით და მოუსვენებიათ ქალაქსა კერ-
კურას, სადა იჯდა წმინდა არსენი კერკურისა მთავარ-
ეპისკოპოზი, და მუნ სფირიდონ მრთლივ მგზავსი ცხო-
ველისა, მდგომარე-არს ანაფორით და ქუდ-ბარტყვლით.
კაცმან ვინმე ჩააცუა ძჯრ-ფასი შესამოსელი და ხუალი-
სად იხილეს ახალი იგი მდებარედ ტრაპეზსა ზედა და
თჯთ ძუწლივე შეემოსა. კუალად თურქნი შემოადგნენ და
იხილეს სფირიდონ, მოსურიდა თურქთა მათ და წარიო-
ტებდა. ამისთჯს დღესასწაულსა დიდსა აღასრულებენ მუნ.
კუალად მოგუწსმა ვითარმედ, ქალაქსა მას კერკურას.
მხმობელმან იზახა ვითარმედ, შეიწრდა ქალაქი ესე სა-
ზრდოსაგან და უცხოებად მოსრულნი ნურღარა დაადგრე-
ბიან, წარვიდენ აქედამ; ამისთჯს შეიწრდენ მრავალნი
ქურივნი და ობოლნი წარსულისათჯს; ხოლო იხილეს
ღამესა მას, რამეთუ სფირიდონ არღარა იყოფების მუნ
და მრავალი ეძიეს და ვერ ჰპოეს; ვინაცა მწყემსმან მან
ვინმე ცხოვართამან იხილა მთათა შინა წმინდა სფირი-
დონ, დავარდა, თაყუანი-ჰსცა. ხოლო სფირიდონ
ეტყოდა ვითარმედ ქალაქით გამომდევნეს, რამეთუ მეცა
მწირი ვარ და უცხო, კჯპროსიდამ მოსრული, სადაცა
ეგენი ქურივნი და ობოლნი წარულენ, მეცა წარვიდე მი-
ერ, და წარვიდა მწყემსი იგი და უთხრა ესე მღუდელთა მათ.
ხოლო მათ მხმობელი აზახეს, ვითარმედ უცხოებით მო-

სრულნი ნურღარა სადმე წარვლენ, რამეთუ სფირიდონ
არს მეოხ მათდა. ამისთჯს წარვიდეს და შთამოასუწნეს
სფირიდონ და არს მუნ მდგომარე სასოებით მიმავალთა
მეოხად და შიშითა და ლიტანიობითა სახილუწლი. –
კუალად გჯთხრობდენ ვითარმედ, აწ წარსრულან წელნი
ექუსნი, რამეთუ იყო აქა სულიერი მამა მონაზონი სა-
ხელით იოაკიმ, დიდი მოწყალე გლახაკთა, სნეულთა და
უცხოთა შემწყნარებელი, რამეთუ ტყუწთა გამოიხსნიდა
და საპყრობილეთა შინათა ზედას-ზედა მოიხილჯდა და
ნუგეშინის-ცემდა, და უხუწბით გლახაკთა და დავრდომილ-
თა საფასეთა განუყოფდა, და არა დასცხრებოდა ქუწ-
ლის-მოქმედებისაგან არა ოდეს და უკეთუ გარდახდის
დღე ერთი და არა მისცის გლახაკთა შესწუხნის ფრიად

და სცრემლეოდის. ხოლო გარდაცუალებასა მისსა საკჳრუ̈ᲗᲚᲐᲓ უდიდებია ღმერთსა, რამეთუ მიცუალებულა რა მარჯუ̈ᲗᲜᲔᲡᲐ ხელსა ჯუარი გამოსახჳა, და ხილუად მისსა მრავალნი ურიანი და თურქნი შემოკრებულან და უხილავთ საკჳრუ̈ᲗᲚᲘ ესე ხილუა.

ამა ჟამად ვერ მპოვნელთა ნავისათა მუნ, რათამცა წარვიმართენით იერუსალიმად, უმჯობესად აღვირჩიეთ დაზამთრება მთა-წმინდად და მოვივაჭრეთ ნავი და მივანდევით თავი უფალსა და წარვედით გამომსალმებელნი ქრისტიანეთანი და გამოვვლეთ მიტილინი და მივიწიენით ბოხჩადად (12), სადაცა ქართლისა კათალიკოზი დო-

(12) ბოჩხადა ეწოდება ტენედოსისა ჭალაკსა, სადაცა თურქთა პატიმარ-ჰყუ̈ᲗᲡ კათალიკოზი დომენტი და საიდგანცა გამოხსნი-იქმნა დიდის-საფასის მიცემითა. – ათონისა მთასა ჩუ̈ᲗᲜ ქართუ̈ᲗᲚᲗა მონასტერში ვჰპოვე სახარება ბერძული მდიდრად ვერცხლით შეკრული, რომელსა შინა თავს

მენტი ექსორიად ცხოვრებულ იყო. და მოგუ̈ᲗᲒᲔᲑᲜᲔᲜ ქრისტიანენი და გუ̈კითხჳდენ ამბავსა მისსა და მუნიდგან შთავსხედით ნავსა. რამეთუ აღგჳდგა ღელუ̈აცა

ეწერა ესრეთ: „შევჰსწორე წმინდა ესე სახარება სასოსა ჩუ̈ᲗᲜᲡᲐ კარის-ღუ̈თის-მშობლის ლავრასა საოხად სულისა ჩემისა და გამოხსნისათჳს მართლ-მადიდებელისა ქართუ̈ᲗᲚᲗ ეკკლესიისა უცხოთა ნათესავთა მონებისაგან. – მე უბადრუკმან კათალიკოზმან დომენტი, ჟამსა ტყუ̈ᲗᲔᲑᲘᲡᲐ ჩემისა ბოხჩადადს. და თქუ̈ᲗᲜ წმინდანო მამანო, მეურნენო წმინდის ღუ̈თისაღრჩეულისა სავანისაო ლოცუ̈ა-ჰყავთ ჩემ-ცოდჳლისათჳს“. სხუ̈ათა ამა დროთა მოთხრობათა ცნობისა მხურუ̈ᲗᲚᲜᲘ წარიკითხუ̈ᲗᲜ რუსულად აღწერილსა ჩემ-მიერ წიგნსა: Историч. взгляд на состояние Грузии под властью царей Магометан. стрю 82 и 83.
სინოდისა არხივთაგან ჰსჩანან გრამატანი წარდგენილნი მუნ განდევნილისა საქართუ̈ᲗᲚᲗᲐᲓ კათალიკოზის ანტონი I-გან და მოწერილნი სილიბისტრესგან ანტიოხიისა და პართენისაგან იერუსალიმისა პატრიარხთა, პირუ̈ᲗᲚᲘ 1 სეკდემბრიდამ 1749 წელსა სტამბოლით აუწყებს ანტონის I, „რომელ ბიძასა მისსა კათალიკოზს დომენტის 1739 წელსა მარტოს 20 უსესხნია 4300 ლევი სტამბოლში (ლევი ანუ პიასტრი არის შაური ჩუ̈ᲗᲜᲔᲑᲣᲠᲘ, ანუ 5 კაპიკი თეთრი ფული)

და აქამდე არ მიცემულა ესე ვალიო. ამაზედ თჳთ იერუსალიმი-
საპატრიარხმან მელეტიმაც მოიწერა იმერეთშიაო და თუმცა
გამოეგზავნათ აქა ფულიო, მაგრამ დიდად მცირედო. ოდეს
განთავისუფლდა დომენტიო, მაშინ წერილიც მიჰსცა ტენედოს-
ში; მაგრამ გაგზავნილმან იმერეთში (?) კაცმან ვერა მიიღო-
რა. მხოლოდ სხჳსა სარწმუნოებისა კაცისა ხელითა და უგა-
ნათლებულესისა მეფისა დიაკონის იოანეს მხატურისა ჴელითა
გამოგზავნა მან 17 კაცი ტყუჱ ურია და ერთი თასი ოქროსი,
რომელნიცა გაისყიდნენ 4,000 ლევად. – ესე ფული არა ეკმარა
ვალსაო: ამისთჳს, რომელ მას დომენტის ემართა ფრანციისა
ვაჭართა ფული 5,500 ლევი და მათ წარიღეს და გირაოებიც

ფრიადი, და მივიწიენით ლემენად ჭალაკად ([13]) კჳრია-
კესა მღუდელ-მთავრისა ლემენისა პართენისა და შეგჳ-
ტკბო ფრიად და სადგური განგჳმზადა და ქრისტიანე-
თაცა პატივ-გუცეს და პირისპირ განვსჭურედით მთა-
წმინდასა და ვიხილეთ ყაენისა შჳლი ცხჳრ-მოკუჱთილი
თამაზისაგან: მუნ დაეყენებინათ თურქთა. ხოლო ნე-

ამა ვალისა მათთანვე დარჩნენო. – ესრეთ ითხოვდა პატრი-
არხი ანტიოქიისა, რათა გამოიხსნან სული განსუჱნებულისა
მისის ბიძისა.
მეორისა გრამატით, მიწერილი პართენისაგან იერუსალი-
მისა პატრიარხისა 8 სეკდემბერს 1755 წელსა ჰსთხოვს ან-
ტონის I ესრეთ: წერილი მოიტანესო ქრისტეს საფლავისა
არხომანდრიტმა სჳმონმან და მამა აკაკიმან და ითხოვეს რომ
ქალაქსა თფილისს გარდაცუალებულა ჯუარის-მამა არხიმანდრი-
ტი ამბროსი და მოიძებნესო თუ დარჩა მას რაიმეო. და გარ-
და ამისა ითხოვენ რომ ვალი აღებული კონსტანტინოპოლე-
ში დომენტისაგან კათალიკოზისა გარდაიხადონო. ამაზედ
წერილიც მოგჳრთმევია ჴელითა დანიილ არხიმანდრიტისაო.
ამა ვალში ჩუჱნ არა რა მიგჳღიაო, გარდა ძუჱლის ბისონი-
სა, რომლისაც მარგალიტი გაიყიდა 300 ლევად და მესამედი
არ ადგა ვალისაო. – ინებეთო ეს ფული არ დაეკარგოს სი-
ღარიბესა შინა მყოფსა ქრისტეს საფლავსა. ვჰგზავნიო არ-
ხიმანდრიტს სჳმეონს შეწევნისა მოსაგროვებელად ქართლში
და მამა აკაკის ჯუარის-მამად. – მეფენი ქართუჱლთანი ადრე
ყოველთჳს გჳგზავნიდეს შეწევნასა. და აგერ 25 წელიწადიაო
აღარას გზავნიან სანუგეშოდ წმინდისა ქალაქისა და არჩაღავინ
თქუჱნგან მოსულაო.

პ. ი.

([13]) ლემნოს ჭალაკი, სადიდამაც ჰსჩანს მთა ათონისა
მშუჱნიერად.

ბამან ღუთისამან მოგუცა ჰაერი და შთავსხედით ნავსა
და მივედით მთა-წმინდად მმადლობელნი ღუთისანი,
რომელმან დაგჯცუა უცხოებასა შინა ჩუჭნსა ზღჯსა
ღელუათაა და ხმელთა ამბოხებათააგან. მისაა დიდება.
ამინ.

მისულა მონასტრად საქართუჭლოჲისა კარისა ღუთის-მშობლად

1

აღვედით მთა-წმინდათ კოშკსა, და ზღჯთ ნავთ-
საყუდელსა რომლისამე მონასტრისასა ღამესა მას და
წარვავლინეთ კაცნი მონასტერსა ქართუჭლთასა და ვა-
ცნობეთ მისულა ჩუჭნი. მჰსწრაფლ აღეკმაზათ ჯორნი
და წარმოემართათ და აღვსხედით და წარვემართენით
მონასტრად და გამოჰსჩნდა ციხე და შენებულობა მო-
ნასტრისა, და იხილუჭბოდა ვითა ქალაქი მთასა ზედა და-
შენებული; და მივიახლენით რა, შექნეს რეკა ზართა
და მოგუჭგებნენ სკეოფილაკე თეოკლიტე და წინამძღუა-
რი ნათანაილ და უმრავლესნი ღირსნი მამანი და ძმა-
ნი, ვგონებ სამასნი ოდენ და მოუართუჭს მდინარე და
კუჭრთხი და შევედით ეკკლესიად და თაყუანის-ვეცით
ჯერისაებრ და იტყოდენ შეგჯწყალენსა მეფეთა ქარ-
თუჭლთათჯს და ვიამბორეთ ურთიერთას. შიგნითი ეკლე-
სია ასე გუჭუცხოვა, კნინღა აიამონის ეკკლესია
დაგუავიწყა. რომელმან ხელოვანმან მოქსოვა ათრანგნი
ხავედნი, ვითა იმა ეკლესიისა იატაკნი ჩაწყობილ-იყო
ფერადითა იასპითა და ეშმისა ქჯთა. რამეთუ აღუშენებია
გიორგი მთაწმინდელსა მეფისა ბაგრატ კურაპალატის სა-
ფასითა და გუმბათის ჩამოსწურივ სინით მოხუცჭულს
ნახჩზედ ეწერა: გიორგი მღუდელ-მონაზონი ქართუჭლი.
სხუასა ამას ვიტყოდით, ვითა რუკა მეჭანდრაკესა აჩუჭ-
ნებს სულასა, ეგრეთ მუნ იატაკნი აჩუჭნებენ დღესა-
სწაულსა, სადა საკურთხნი პური ჯერ-არს დადგომად,
სადა სასანთლეთა დადგომა, სადა მღუდელთა და დია-

კონთა დგომა, სადა ისოდია მღუდელთა განწყობა. კე-
დელნი აქუნ მარმარილოსა წმინდისა და ქაშანურისანი;
კანკელი უცხოდ ყუავილებითა და ხრახნილებით ოქრო-ცუ-
რუზბულნი; სალხინებელი საკურთხეველისა, ხარისხი წი
ნამძღურისა ოქრო ცურუზბულნი; უცხონი ფანჯარანი
თჳთო სახისა მინისანი ყუავილებად მოჭრილნი; დიდი
პოლიელეო და ხომლნი და ქორ-კანდელნი ჭიქისანი
და ვერცხლისანი უცხონი, რამეთუ განსაკჳრუზბულ იყო
შუზნიერება ტაძრისა მის და ეზოსა ტაძრისასა სა-
მარხო ლუსკუმა ღირსთა მამათა ჩუზნთა: ევთიმისი, იოა-
ნესი, მამისა იოანესი და გიორგი მთა-წმინდელისა, კან-
დელთა ნთებითა პატიოსნად შემკული. ხოლო გარეთნი
მრჩობლ-კეცნი კარის-ბჭენი და გალავანნი, და სხუა ზო-
გი შენებულობა აღუშენებია თორნიკესა: იტყჳან ამისსა
ქსნის ერისთავი იყოო (14). ესე თორნიკე ყოფილა

(14) თორნიკისთჳს აღვჰსწერე მცირედ в кр. истории Груз. церкви изд. 2-е стр. 62. – მისთჳსვე ვიტყჳ ამასცა, რომელ მოიხსენებს მას ბერძენთ მეისტორიე ზონარასი Tom. 2. Pag. 251, რომელიცა ჰსცხოვრობდა 12 საუკუნეში და იყო ახლოსი მედროვე მისი. სიტყჳსა-მებრ მისისა ოდეს ლეონ პატრიკი გაანგებდა ივერიასა ანუ საქართუზლოსა მაშნ განუ-სდგა აღმოსავლეთისა ნაწილი ივერიისა ესე იგი არტაანი და სხუანი ბერძენთა უფლებისაგან. და ოდეს ბერძენთა, დროსა მეფობისა მათ ზედა კეისრისა კონსტანტინე მონომახისსა (მეფობდა 1042-1054), ჰსცნეს ესე და დაჰსწამეს მას ბოროტ-მოხმარება ჴელმწიფებისა მისისა ქართუზლთა ზედა, განაში-შულეს იგი მთავრობისა პატივისგან და აიძულეს, რათა შემ-დგარ-იყო მონოზონად.
Is Leo cum iberiam gubernater, affectate tyrammidis acen-satus magistratuque spoliatus, rursusque vitam monastieam agree iussus erat.

სპასალარი ქართლისა სახელოვანი და ძლიერი ბრძოლა-
სა შინა. ამისსა შემდგომად უჯემნია მსოფლიოთა დი-
დებათაგან და მოსულ-არს დის-წულისა თჳსისა ევთიმი
ქართუზლისად და მონაზონ ქმნილა. თორნიკეს აქეთ
არიან წელნი წარსრულნი 748 (15). მას ჟამად მეფე
ცხოვრებულა ქართუზლთა ზედა დავით მეფე, და ბერ-

ძენთა ზედა მიხაილ. იყო რა იგი წლისა შჳდისა და
განაგებდა სამეფოსა მას აგჳსტინა დედა მიხაილისა თეო-

ამისა მჰსგავსადვე ჰსწერს კედრინი, მეისტორიევე ბერძენ-
თა, რომელიცა ჰსცხოვრობდა XI საუკუნეში.
ამან თორნიკი მრავალი დაჰსდუა ღუაწლი აღშენებაზედ ათო-
ნისა მთასა ქართუწლთა მონასტრისა და მისსავე დროსა გარდ-
მოღებულ იქმნა ბერძულისგან ქართულად დაბადება. – 1849
წელსა, ჟამსა ყოფნისა ჩემისა ათონისა მთასა, მოვჰსთხოვე მო-
ნასტრისა ძმათა დაბადება ესე დაწერილი ორნაწილადი ტყავ-
ზედ 1078 წელსა და მოვიტანე თფილისს გარდასაწერად. –
ერთი გარდაწერილი აქა თფილისს ამა ნამდჳლიდამ ეკზემპლა-
რი ახლავს აწ უგანათლებულესსა მინგრელიისა მთავარს და-
ვათს ლეონისძეს დადიანს და მეორე ეკზემპლარი უქაზითა
საქართუწლო-იმერეთის სინოდის კანტორისა 7 სეკდემბრისა
რიცხჳთ 1851 წელსა № 3238 გარდაეცა დასაცუწლად საკა-
თედროს სიონის ეკკლესიასა შინა.
არა არს საეჭუწო, მიხედჳთ ისტორიისა, რომელ თორნიკე
იყო მთავართა შჳლი ანუ მთავართაგანი არტანუჯის ქუწყანისა,
ძუწლად საქართუწლის აწილისა, რომელიცა მისს დროს
ეპყრათ ბერძენთა.
თჳთ წმინდა ევთიმი მთარგმნელი, ახლო ნათესავი თორნი-
კისი იყო ქუწყანით არტანუჯით და ძე მთავართა ამა საქარ-
თუწლოს ნაწილისა, როგორც ჰსჩანს ცხოვრებიდამ მისისა.

პ. ი.

(15) წელიწადი ესე დაუსუამს მწერალსა შეცთომით, რადგან
მოგზაურობა მისი იყო წელსა 1755-სა და ჟამსა თორნიკისა

დორა, მაშინ სპარსნი ამხედრდეს და მიიწივნენ ვიდრე ბრუსადმდე. დედოფალმან თეოდორა სხუა ღონის-ძიება ვერა ჰპოვა: თორნიკ ყოფილი იოანე მონაზონი ქართუწლი აწჳეს სპასალარად კოსტანტინეპოლედ. არა ენება წარსულა, არამედ მამისა ევთიმის შენდობით წარვიდა, და აღხადეს მონაზონებისა სახე, და შემოსეს მხედართა და მოერთო სპანი საბერძნეთით და საქარ-თუწლოთ და ბრძოდა სპარსთა და მძლე ექმნა მათ და დევნა უყო ვიდრე შუა სპარსეთადმდე. და იავარ ჰყო იგინი და განმარჯუწბული შემოიქცა კუალად კონსტან-ტინეპოლედ, და კუალად აღვიდა მთა-წმინდად და იქმნა-ვე მონაზონ.

აწ ამას ვიტყოდეთ, განვიცადე რა მშუწნიერება ხე-ხილთა, ვენახთა და წყარო-წყალთა და ედემერობა ად-

გილისა მის. ამა მონასტერსა შინა ნათლის-მცემელის ტაძარია ევთიმისაგან აღშენებული ოთხს მწუანე არღავ-ნის სუტტზედ. ოდეს წმინდას ათანასის ლავრიდამ გა-მოვიდნენ, მაშინ აღაშენეს სხუა გუმბათიანი ტაძარი პორტაიტისა, განახლებული აშოთანის მიერ მუხრანის ბატონისა.

აწ პორტაიტისა ღუთის-მშობლისათჳს ვიტყოდეთ, რომელ არს კარისა ღუთის-მშობელი; რამეთუ იტყოდენ

ცხოვრებისსა კეისრობდა საბერძნეთს მიხაილ VI სახელწოდე-ბით სტრატიოტიკე და რომელმანცა იმეფა წელსა, 1056-გან ვიდრე 1057-დმდე ამისთჳს წელნი წარსრულნი თორნიკედამ იქმნებოდა მოგზაურობისა მისისა წელსა, არა 748 არამედ 698; ხოლო დღედმდე ჩუტნისა 1852 წლისა იქმნება 796 წელი.

პ. ი.

ვითარმედ ჟამსა თეოფილე მეფისა ბერძენთასა, ოდეს სძულობდენ თაყუანის-ცემასა ხატისასა, და კერპთ-მსა-ხურებად შერაცხდენ, დევნულება აღძრეს ფიცხელი ხატთათჳს, მაშინ მალე მსრბოლი წარივლინა მეფისა მიერ ქალაქსა ნიკიას საქმისა რაჲსათჳსმე, და მისრული იგი შევიდა დავანებად დედაკაცისა ვისიმე ქურივისა სახლსა, რომელსა აქუნდა დაფარჳთ ხატი ყოვლად-წმინდისა, ხოლო იხილა რა მალე მსრბოლმან ხატი იგი, განრისხდა და იხადა მახჳლი,ჰსცა პირსა ხატისასა, და გარდა-მოეცა სისხლი და აღუვსო წიაღი კაცსა მას; ამის-თჳსცა შეშინებული ივლტოდა მიერ, და ქურივმან მან შეშინებულმან, ნუ უკუტ საცნაურ იქმნას, აღიღო ხატი იგი და შთააგდო ზღუად. ხოლო ამისა შემდგომად გა-მოჰსჩნდა ხატი იგი ზღუასა შინა პირის-პირ მთა-წმინ-დისა, რამეთუ იხილუტზოდა მთებარის ცეცხლისა სახედ მრავალ-ჟამ; ამისათჳს შემოკრბეს წმინდანი მამანი მთა-წმინდისანი და იტყოდეს, რამე იყოს მთებარე წყალთა მათ შინა; ამისთჳს შთაყარნეს ნავნი, და მიივლტოდეს ხილუად მისსა, და რაჟამს მიიახლნეს ნავნი მთებარესა მას, შორს განივლტოდის ბრწყინუალება იგი მათგან და იყუნენ მჭუნუარე. ამისთჳს მაშინ ისმა ხმა რაჲმე, ვითარმედ გაბრიელ ქართუტლი-არს გამომყუანებელი ხა-

ტისა ყოვლად-წმინდისა ღირს; მაშინ მივიდნენ მონას-
ტერსა ქართუჷლთასა და იკითხჳდენ, თუ ვინმე არს გაბ-
რიილ; ჰსძებნეს და ჰპოვეს მთათა შინა დაყუდებული მო-
ნაზონი გაბრიილ და შთასუჷს ნავსა და მიახლოვდენ რა,
ცეცხლ-მგზებარეცა იგი მოეახლებოდა, და მოვიდა გაბრიილ
და აღმოასუჷნა ხატი ყოვლად-წმინდისა ზღუათა შინა.
იტყჳან ფერხითა ვიდოდაო. და პასექსა სამ-შაბათსა

ჰყუჷს ლიტანია და ვედრება.და დარჩა მონასტერსა
ქართუჷლთასა და დაასუჷნეს ტაძარსა მონასტრისასა.
ესრეთ გჳთხრობდენ და თქმულისაებრ მათისა აღვსწე-
რეთ. კუალად იტყოდენ ვითარმედ, ხატი იგი მიფარულ-
იქმნა, და ძიებათა შინა ვერ მპოვნელი, აღვიდეს სენაკსა
გაბრიილისასა და აუწყეს უჩინო-ქმნა ხატისა მის; ხოლო
გაბრიილ ეტყოდა, ვითარმედ არა არს ნება ყოვლად-
წმინდისა, რათამცა დაკრძალულსა შინა ესუჷნა ხატი
მისი; არამედ მოავლინა ხატი თჳსი, რათა კართა ზედა
დასუჷნებულთა ყოველნივე ევედრებოდენ და თაყუანისა-
ჰსცემდენო, და წარმოასუჷნეს სენაკით გაბრიილისით
და დაასუჷნეს კარის-ბჭესა შინა; ამისთჳს კარისა ღუთის-
მშობელი უწოდეს ([16]). ამისა შემდგომად მოუჭედია მძი-
მედ ათაბაგსა და ამირ-სპასალარსა სამცხისასა ჯაყელ-
ციხის ჯუარელსა ყუარუარე ათაბაგის-ძესა ქაიხოსროს
დედის იმედის მუხრან-ბატონის ასულის-ძესა ([17]); მე

([16]) სრულსა და ყოვლადსა მოთხრობისა ესე ვითარისა აღ-
წერასა მსურუჷლნი წარიკითხუჷნ მამათ-ცხოვრებაში რუსუ-
ლად: Четьи Минеи 16 Августа და ახლად დაბეჭდილსა რუ-
სულად წიგნში: Сказание о Чудотворной Иверской ико-
не БожиейМатери соч. Графа М. Толстого М. 1847

პ. ი.

([17]) ზედა წერილი ხატისა ამის არს ესე:
„დედოფალო დედაო კაცთ-მოყუარისა ღუთისა, ყოვლად
უბიწოო ქალწულო მარიამ. შეიწყალე სული პატრონისა ჩე-
მისა დიდისა ყუარყუარას შჳლისა ქაიხოსროსი და მე მონა
შენი და ყოვლითურთ უღონო-ქმნილი საბრალო ამბროსი
გმადლობ, რომელმან ღირს-მჰყავ უღირსი ესე მოჭედუასა და
შემკობასა წმინდისა ხატისა შენისასა პორტაიტისა და შეი-
წირე მცირე ესე ჩემ-ცოდჳლისა მიერ კადრება და დაიცევ
ნეშტი ცხოვრებისა ჩემისა უცოდუჷლად და ჟამსა საწყალობე-

ეგრე ვჰგონებ წმინდისა ქეთევან დედოფლის დის-წულსა
და კარზედ ხატისათჳს გუმბათიანი მცირე ტაძარი აღუ-
გია აშოთანს მუხრან-ბატონსა. თჳთონაც შიგ ხატია და
ძე მისი იესე თან უხატია მაღლა.

ამან იმრავლ-იმოწყალევა ჩემ-ზედა და მივრდომა
ჩემი ჯერ იჩინა სახიერებისა გარდამეტებულებითა, და
მე ტიმოთე უფროსად მდაბალი ღირს-ვიქმნებოდი სამა-
რად ზიარად მათ-თანა, ზოგად ცხოვრებულებასა და ლო-
ცუასა და აღსარებასა ბაგეთასა, ზიარ და უკლებელად
პურის-მტედ და ინახით ჯდომასა მონასტრისათა მათ.
ესე ახარებდა სულსა ჩემსა და მშჳდობასა შევსწირჳდი
ღუთის-მშობლისა მიმართ ქალწულისა, სასოჲსა ყოველთა
ქრისტიანეთასა და უმეტეს ნათესავისა ქართუსლთასა,
და განცჳფრებულ-იყო გონება ჩემი, ამისთჳს თუ ვითარ-
მე, ცოდჳლი და უმეტეს საქართუსლოთა კაცთასა ბრა-
ლეული მომიწოდა აქა და გზათა სულასა შინა შორეულ-
თა, და ზღუათა ღელუათაგან უვნებელად განმარინა, და
არა უღირს მაჩინა ბრალეულისა ამის აქა აღმოწოდება,
და ღირს მაჩინა ღირსთა მამათა ჩუსნთა ქართუსლთა
ჭირნახულსა და ტკივილ-მოყუარებით და რუდუნებით
ნაღუაწსა მონასტერსა აღრაცხუა ჩემი, რომლისაგან გა-

ლისა სულისა ჩემისა განხულისასა შემეწიე და უჩინო ჰყუსნ
ყოველნივე ცოდუათა ჩემთა ჴელით-წერილნი და დამადგინე
ცოდჳლი საყდართა ძისა და ღუთისა შენისათა და ყოვლად-
წმინდისა თანადაუსაბამოსა მამისა მისისა და ყოვლად-წმინდისა
სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.
სხუათა ძიებათა და ყოვლადსა გამოკულევით ათონის-მთის
ქართუსლთა მონასტრის აღწერასა, შემზადებულსა რუსულსა
ენაზედ, ვიმედეულებ მალე დავბეჭდო.

ნათლდა საქართუსლოჲ წიგნთა თარგმანებითა. უკეთუ
უნარჩევესისა მისისა სათნო იყო აქა მოვრდომა, რაოდენ
უმეტესად ჰსთნდეს მეუფესა სულიერთა საქართუსლოთა
მამათა აქა აღმოსულა, რომელთა სრულიად დავიწყებიესთ
დიდებული ესე ადგილი და არღარავინ არს მოწადე აქა

მოსულად; რამეთუ აღმოვიკითხევდი რა მუნ წერილთა
შინა ძუნლთა, ეწერა, ვითარმედ მამა ევთიმი ქართუნლი
სნეულობდაო მწოლარე ცხედარსა ზედა და ეჩუნნა დე-
დოფალი ღუთის-მშობელი და ეტყოდა: რასა ურუნულ-
ხარ, ევთიმი, და მიმგებელი ევთიმი ეტყოდა: სნეულ-
ვარ, ყოვლად-წმინდაო დედოფალო მძიმითა რათამე სე-
ნითა. ამისა შემდგომად დედოფალი ეტყოდა ქართუ-
ლითა ენითა მზრახუნლი: აღჰსდეგ ევთიმი და იწყე ქართუ-
ლად, რათა განიკურნო ცხედრისაგან სალმობათასა. ზრა-
ხუად მაშინ მჰსწრაფლ აღჰსდგა ევთიმი და დავიწყებო-
დეს ენაჲ ქართული, არამედ ესოდენ ვრცლად იწყო ქარ-
თულად ზრახუა და რიტორებად, ვითა ომიროს უსწრობ-
და სიმარჯჯთა ენისათა, და მაშინ განმარტა ლექსი ქარ-
თული, და იწყო თარგმანებად წიგნთა მრავალთა. იხი-
ლე თუ რაოდენი ცხადი სასწაული ჩუნნებულ-არს ქარ-
თუნლთა შეწევნისათჳს და სიყუარული წმინდისა ღუთის-
მშობლისაგან, მისდა წილ-ხდომილთა ერთათჳს; ვითარ
იგი ზემორე ხატისათჳს გესმა. რამეთუ არა მივიდა
სხუასა მონასტერსა, არამედ ქართუნლთასა ხელითა გაბ-
რიილ ქართუნლისათა ([18]).

([18]) გაბრიილ ქართუნლი იღუწიდა პირუნლ მთასა ზედა
მწუნრუალსა დიონოსიატის მონასტრისსა, რომელიცა შორავს
ქართუნლთა მონასტრიდამ მთით კერძო ექუსის საათის სავალით.

კუალად მომეხსენების წერილი ქართლის-ცხოვრებასა
შინა, იტყოდეს რა, ვითარმედ მეფემან სპარსთამან აწჯა
ლაშქრად ქართუნლნი და რაჟამს ვიდოდეს გზასა სპანი,
ღამესა ერთსა დაკლულ იქმნა მეფე სპარსთა; ამისთჳს
ცილი ჰსწამეს ქართუნლთა, ვითარმედ მათ ჰყუნსო, და
შეიპყრეს ერთ-ბამად ქართუნლნი, და ენებათ წარკუნთა
თავთა. მაშინ ლერწმოანით გამორბოდა კაცი ვინმე,

ხოლო მოვლით ზრჯსა პირით და განვლით ათანასი ათონელისა
ლავრისა 18 საათით. – ამა უკანასკნელისა გზით აღსრული მა-
ღალსა ტყიანსა მთასა და მომლოცუნლი საფლავისა წმინდისა
პეტრე ათონელისა. შთავედ უფსკრულსა წმინდის ანნას სკით-
სა, და აქედამ მივედ ზღჯთ დიონისიატის მონასტერსა. ძმათა

მონასტრსა არა უნებდათ, რათა მიმეღო შრომა მაო, ნახჳსა-
თჳს და კურთხევისა მიღებისა მოღუაწებასა შინა დაყუდებული-
სა ამა მონასტრისა მთასა სქემოსანისა ილარიონისა, რომე-
ლიცა სამხოლოესა თჳსსა მთისა წუწრთა ზედა ჰგიეს უნახა-
ვად ძმათაგან. გარნა ღუთისა სახელითა ვაიძულიე ნებისა მო-
ცემა, და ესრეთ წარვემართე გზად. აღვლე მთა ტყიანი ფრიად
მაღალი და შემდგომად ორის საათის ვლენისა მივედ სენაკი-
სადმი მისისა და მივიღე მისგან კურთხევა.
მამა გაბრიილ არის გუარით იმერელი აზნაურთაგანი; იყო
მოძღუარი იმერთა მეფისა სოლომონ მეორისა და შემდგომად
გარდაცუალებისა მეფისა ტრაპეზონტს, სადა დღესაც ჰსჩანს
საფლავი მისი შემკულად, წარვიდა რუსეთად და იხილა პეტერ-
ბურღს მეუღლე მისი დედოფალი მარიამ კაცია დადიანის ასუ-
ლი, აქედამ განმგზავრდა ათონისა მთად და ჰგიეს მუნ გან-
მხოლოებულად დიდსა მოღუწებასა – მისგან ვჰსცან, რომელ
ადგილი სამხოლოჲსა მისისა იყო სადგური დიდისა გაბრიილ
ქართუწლისა. აქა არს ეკკლესია მცირედი და ორი სენაკი ერ-
თი მის ილარიონისა და მეორე მორჩილისა მისისა საბა ბერძ-
ნისათჳს. ამა მთისა სიმწუწრუალესა გარე-არტყია ორი აწუდი-
ლი მაღლად უყავი მთა და გარემო ეკკლესიისა ჰსდგას ორი
მშუწნიერი კაკლისა ხე. მის ილარიონისაგანვე დარგულნი, რო-

სისხლითა შესურული და მახჳლი წუდილი ხელთა მისთა
და იტყოდა, ვითარმედ: მე ვჰყავ საქმე ესე; შეიპყრეს
კაცი იგი, და ჰკითხჳდეს, ვითარმედ: ვინ უწყოდა შე-
ნი, და ანუ ვინ გითხრა და გაიძულა; რასათჳს საჲჯმნოდ
აღიარე და გამოხუწდ; ხოლო სპარსი იგი კაცი იტყო-
და, შემდგომად მოკულისა მეფისა დავიმალე ლერწამსა
ამას შინა, რამეთუ დედაკაცი ვინმე მჰსგავსი ცეცხლითა
შემოსილისა უწყალოდ მგმერდა მე და მდევნიდა და მე-
ტყოდა: განვედ ამიერ; რასათჳს შენ წილ მონანი ჩემნი
უწყალოსა სიკვდილისა მიეცემიან მწარითა სატანჯუწლი-
თა. გამომდევნა მე; ხოლო განუტევნეს ქართუწლნი შე-
წევნითა ყოვლად-წმინდისათა.

კუალად მის ქართუწლთა-მონასტრისათჳს ცხადი სა-
სწაულისა ჩუწნება. რამეთუ მოვიხილევდი რა მონასტერ-
თა შენებულობასა, ბურჯლნი ზედან ხითა იყუნეს ნახე-
ვარ მომწუარნი, ხოლო ვიკითხევდი მე მათთჳს; მე-
ტყოდნენ, ვითარმედ ორის წლისა ჟამი-არს, ვინათ-
ესე იქმნა, და მაჩუწნებდენ მონაზონსა ვისმე, ვითარ-

მედ ამან განაღო ღამე კარი სალოცავად საყდრისა პორ-
ტაიტისა; ხოლო განღმასა კარისასა, დედაკაცი ვინმე
მოადგა კარსა ბრწყინუალედ მოსილი, და ბერი ეტყოდა
და ვინ ხარ შენ, და დედაკაცი ეტყოდა, განმიტევე
ამიერ, რამეთუ ვერა ძალ-მიძს აქა დგომად, რამეთუ იწჯს

მელთაცა უდის მშუბმიერი, ცივი და ფრიად გემოვანი წყალი
წყაროსი. დიდის სიამოვნით ვიხილე მწუანე ნიახურის მწუა-
ნილისა, რომელსაცა უწოდა მან ბერძულად მაკედონის.
შემთხუბვით ვჰსცან, რომელ ამა მწუანჯლსა სომეხნი უწო-
დებენ მაგდანოზი, მაშასადამე, ლექსითავე ბერძულითა.
პ. ი.

მონასტერი ესე, წარუბდ და აუწყე მონაზონთა; ხო-
ლო მიიხედა რა, ცეცხლი მოსდებოდა და კუამლი აღვი-
დოდა; დაიწყო ბერმან მან ღაღადებად და რეკად ზარი-
სა და შემოკრბენ და ახლად მოდებული ცეცხლი მალიად
დაავსეს; ამისთჯს არს ნახევარ მომწუარ, რამეთუ ყოვ-
ლად-წმინდამან ცხადად დაიცუა სასო და მცუბლი ქარ-
თუბლთა მონასტერი.

კუალად მონასტრისათჯსვე ვიწყოთ თხრობად. რამე-
თუ სასნეულო და ამისკერძონი გოდოლნი და სენაკნი
განუახლებია მეფესა ალექსანდრე ქართუბლსა, რუისის
საყდრის კარზედ რომ მეფე ალექსანდრე ჰსწერია ([19]).
გოდოლნი და გალავანი დადიან-გურიელთა; საზოგადო-
ცხოვრების ტრაპეზი თავისის ხომლით და გაწყობილო-
ბით აღუშენებია მუხრანის-ბატონს აშოთანს ([20]); ქულ-

([19]) დღესცა ჰსჩანს ამა რუისის ეკკლესიის შესავალის კარ-
ზედ ხუცურად ესრეთ:

ზე ადიდენ ღმერთმან მეფობა დიდისა ალექსანდრე-
სი, რომლისა მიერ კუალად აღეშენა საყდარი ესე.
ადიდენ ღმერთმან და სული მისი კურთხეულ-იყავნ.

მეფე ესე ალექსანდრე I, იყო აღმაშენებელი მცხეთისა და
სხუათა ეკკლესიათა, შემუსრჯლთა თემურლანგისაგან. გარდა-
იცუალა იგი წელსა 1443.

([20]) პალატი ესე სიძუბლისაგან დააქციეს ჩემსა მისულის
დროსა ათონის მთაში (1849). აშოთისაგან იყო არა აღშენე-
ბული, არამედ დახატული ძირიდგან თავადმდე, ქუბშე მისსა
დიდრონნი სარდაფნი საკუჭნაოდ, ნაცულად მისსა პროიღუმენ-

მან პროკოპი მოხუცებუმ]ლმან თჳსითა ხარჯითა იწყო აღშენე-
ბა ერთი ორად დიდისა ტრაპეზისა. ვჰგონებ აწ შესრულებულ
იყოს. კარისა შესავალისა მარცხნივ, ეხატა სრულ-ტანად თჳთ
აშოთან მუხრანბატონი. სრულსა ამბავსა მოვიხსენებ ცალკედ
აღწერასა ჩემსა მონასტრისა ჩუჷნისა, რომელსაცა მალე დავ-
ბეჭდავ რუსულად.

პ. ი.

ბაქნი, მკერუ̈ლისა, ჭონისა, მაზმნისა, კალატოზისა და
ხუროსი, და სხუ̈ათა ქართუ̈ჷლთაგან აღშენებულნი, სადა
აწ მონაზონნი ჰსხედან და მუშაკობენ. იქ ხატია კათო-
ლიკოზი ნიკოლოოზ, მგონიეს ბატონის შჳლი იყოს,
და არს მუნ სენაკი გაბრიილ ღირსისა შეყენებულისა
ქართუ̈ჷლისა, და კუ̈ალადცა ჰსცხოვრებდენ სულიერნი და-
ყუდებულნი მუნ ღუ̈აწლსა და მონაზონებასა შინა. ხო-
ლო მონასტერსა მას შინა ჰსცხოვრებდენ კაცნი მონა-
ზონნი ფილოსოფოსნი: მელეტი, იაკობ და ფილოთეოს.
ვინაცა მელეტი მაღალ-მხედსა მას განეგდო შორს რი-
ტორთა ელლენთა ღრმა-ცილობაჲ; ესოდენ სულიერისა
ღუ̈თისა სათნოებასა აღსრულ-იყო და ივლტოდა კაცთა
ხილჳსაგან, ვითა ქურციკნი მენადირეთაგან; სამარადი-
სოდ ვზრახჳდით და გამოვიკუ̈ლევდით სამეცნოთა და
სასჯულიერთა მმეცნართა ამათ, რამეთუ ღრამმატიკა და
ლოღიკა და ფისიკა საფილოსოფოსო თურქთა ენათა ზედა
იპოებოდა და ზოგს რომელსამე ბერძულად და უფრო
ვრცელად თათრულებ ვეზრახებოდი, რამეთუ წიგნის სა-
ცავსა მონასტრისასა არს ძუ̈ჷლი წიგნი ქართუ მრა-
ვალი: განმარტება დაბადებისა, კუ̈ალად წიგნი საშუ̈ჷბე-
ლი სამოთხე, ღრმად თქმული და სოფრონის მიერ იერუ-
სალიმელისა, და კუ̈ალად სხუ̈ანნი მოძღუ̈რისა ამბა იოანესი
ბრძნისა თქმული, რომელიცა თორნიკ-ყოფილსა იოანე
მონაზონსა ქართუ̈ჷლსა და ძმასა მისსა ვარაზ-ვაჩეს აღუ-
წერინებია. სხუ̈ა წიგნი ომილია (21) და სხუ̈ანი მრა-
ვალნი წიგნნი იპოებიან მუნ (22), და ვიყავ შუ̈ჷბულ-

(21) ომილია ნიშნავს ქადაგებას (Homilia).

(22) სხუ̈ათა წიგნთა შორის, ვჰპოვე მუნ ცხოვრება ევთჳმი

ცხოვრებულ, და საწად-ყოფასა მუნ და იყუნეს ძუ𝒤ლთა
განწესებასა მონაზონთასა შემტკბო. ტრაპეზობა სულიე-
რი და წინამძღ𝒤რისა ჯდომა საზენაოსა ხარისხსა და
მონაზონთა კუნკულ-მაზარიანთა მსახ𝒤რება და გოდრითა
ნამუსრევისა შეკრება, და წამის ყოფასა წინამძღ𝒤რისასა
ეჟ𝒤ანთა დიდთა ჟღერება და ხარისხსა კითხ𝒤ა წიგნთა, და
ამაღლება ყოვლად-წმინდისა ნაწილისა, და მგალობელ-
თაგან გალობა ღირსა-არსისა და კურთხევა მონაზონთა
და განწესება მათი საწადი იყუნეს უფროს ოქროსა და
ანთრაკთა, და აღრიცხჳდენ შჳდასს მონაზონსა გარეთ მო-
ღვაწესა, თუ მუნ მყოფსა და კჳრიაკითა კჳრიაკედმდე
მრავალნი უცხოებასა და მწირებასა შინა მყოფნი შე-
მოკრბებიან და საზრდელსა და საფასესა განუყოფენ მათ.

ათონელისა ტყავზედ ნაწერი და სხ𝒤ათა წიგნისა ამის თავზედ
ხუცურად ესრეთ დაუწერია ტიმოთეს:

> ღმერთო მაღალო და ხატო დიდებულო პორტაიტი-
> საო. შეიწყალე ცოდჳლი ქუთათელ-ყოფილი და არ-
> ქიეპისკოპოსი ქათლისა ტიმოთე, რომელიცა მო-
> ვიწიე მთასა ამას მონასტერსა ქართუ𝒤ლთასა. ქო-
> რონიკონი იყო უმგ. 1755.

აქავე ესერა ესეცა:

> ღმერთო და პორტაიტისა ღ𝒤თის-მშობელო, შეი-
> წყალე უღირსი მონა უფლისა თფილელ-ეპისკოპო-
> ზი ელისე, რომელი მოვაწიე მთასა ამას წმინდასა,
> ქორონიკონი იყო ტკ𝒤. ამინ.

წელიწადი ესე იქმნებოდა ქრისტესით 1640. ამ დროს მე-
ფობდა ქართლსა მედე როსტომ, ამანვე ელისე აღაშენა ეკუ-
დერი თფილისის სიონის ეკკლესიისა, მიდგმული სამჴრეთით.
გ𝒤არით იყო იგი საგინა-შჳლი.

პ. ი.

მონასტრისა ამის საგანძურსა ჰსძეს მრავალნი ქარ-
თუ𝒤ლთაგან შემოწირულნი ეკკლესიის სამკაულნი და შესა-
მოსელნი, და კ𝒤ალად სძეს თორნიკის საჭურუ𝒤ლნი:
ზ𝒤ჩი, ჯაჭჳ, აბჯარი და ხმალი ([23]), რაჟამს იგი მო-
ნაზონებასა შინა შეემოსნა და შებმა უყო სპარსთა და
განიოტნა იგინი; რამეთუ შემდგომად იოანესსა და ძმი-
სა მისისა ევთიმისა და გიორგისა მთა-წმინდელთა, ცხო-
ვრებულან მუნ ღირსნი მამანი: გიორგი ოლთისელი, წი-
ნამძღ𝒤არი იოანე ნინო-წმინდელი, იოანე რუხ𝒤აჲს ძე,
საბა თუხარელი, კლიმი მეუდაბნოე, ვასილი ულუმბიელი

და ღირსი მღუდელი იაკობ მხატუარი ქართუსლნი.

ამა მონასტერსა შინა არს სამარადისოდ მოხსენება მწუხრად და ცისკრად, და თჳთ დღესასწაულსა მიძინებისასა ერთობით შემომწირუსლთათჳს; მოხსენება მეფეთა-თჳს ბაგრატოვანთა, დედოფალთა, ერისთავთა და თავადთა დადიან-გურიელთა და მცირედთა კაცთა-თჳსცა; ვისცა რამ შემოუწირავს, და არ დაჰსცხრების მოხსენება მათი მარადღე ([24]). მათთჳს ნეტარება, ვინცა აქა დაწერილ

([23]) ჯაჭჳსა დიახ მცირეღა დაჰშთენილა და მონახევი მისი არს ერთი მტკაველისა ოდენი სიგრძით და სიგანით. სხუანი იარაღისაგანი არღა ჰსჩანან გარდა მშჳლდისა.

პ. ი.

([24]) დიდსა ეკკლესიასა შინა ათონისსა ვჰპოვე ბერძულად აღწერილნი ძუსლნი სინოდიკნი ანუ დიპტიხნი, რომელნიცა ექუსს წიგნად არიან შეკრულნი. მათ შინა მოხსენებიან ძუსლნი ქართუსლნი სახელნი ამათა და დედათა, რომელთაცა მოხსენება უთხოვიათ ლოცუათა შინა. ამა წიგნთა ნაწილ-ნაწილად წარიკითხუსნ დღე-ყოველ ჩამოლოცჳსა ჟამსა, შემდგომად მცირისა სერობისა მწუხრად. ამისთჳს ვრცლად ვიტყჳ ჩემსა აღწერაში.

პ. ი.

არიან, და ამათთჳის შური შემშურდა მათთჳს და მეფეთა ჩუსნთათჳს. თეიმურაზისა და ირაკლისათჳს საუკუნო მოხსენება დავაწერინე. და ამისა შემდგომად მისულისა ჟამსა ჩუსნსა, მუნ მოიწია დღესასწაული შობისა და განგჳმზადეს ხარისხი და ბისონი უცხოდ რამ გულქანდებული და გჳრგჳნი მანიაკისა და გუაწუსვდენ მსხუსრპლისა შეწირუად. ხოლო მე ვითარცა ცოდჳლსა კაცსა, თავი მეუღირსებოდა, და უარსა ვჰყოფდი; არამედ გულსმოდგინებასა მათსა ნება ვეც და იყო ღამის-თევა მიმწუხრი, ვიდრე მზისა აღმოსულამდე; და კუალად მოწევნასა დღესსასწაულისასა, რომელ-არს ნათელთა განცხადებისა წინა-დღით მოამზადნეს თალარნი, და შუა მისსა ფავარა წყლისა მჩქეფარე, და ფავარისა მის თავსა ზედა შთამოაცუს მფრინუსლი ვერცხლისა ოქროცურუსბული, და მფრინუსლი იგი ნისკარტით და ფრთეებით აღმოუტევებდა ნაკადსა წყალთასა; და მოვიდა წინამძღუარი დიდებულითა მით კრებითა, და აკურთხეს მუნ

დიდი აიაზმა და იყო ღამის-თევა მწუხრით ცისკრადმდე
და განთიად ჰკრეს დიდთა ზართა და შეიმოსნეს წინა-
მძღუარნი და მამანი და გამოასუფნეს ხატი პორტაიტი-
სა ლამპრებითა მრავლითა, დროშებითა და ფარნებითა
თჳთო სახითა და განვედით ზღუად ღელესა მუნ წყლი-
სასა, და მოიტანეს დიდი საიაზმე ბადია დიდი ძჳრ-
ფასი, შემოწირული ქართუფლთა და კახთა მეფისა ლეო-
ნისა მიერ, და ზედან ქოლგა მძიმედ ნაკერი აშოთან
მუხრანის-ბატონისა მიერ შემოწირული ([25]) და დაჰკიდეს
ფარდა მძიმე სჳმონ ქართუფლთ ბატონის მიერ შემო-

([25]) დღესცა არის მუნ.

წირული; ორი სახარება დიდი მურასა დაასუფნეს; ერთი
დიდი სახარება მძიმეს თუალით შემკული პეტერბურღთა
იმპერატორის მიერ შემოწირული ([26]), და მეორე მი-
ნანქრისა სახარება მეფის ბაქარისა ვახტანგის მიერ ძის
ქართუფლთ ბატონისა შემოწირული, და იწყეს კურთხევად
წყალთა და წინამძღუარი დიდებულისა მონასტრისა ჯუარ-
სა შთაასუფნებდა წყალსა შინა, და მდგომარე იყუნეს
გუნდ-გუნდებად და მწყობრად განწყობილნი მონაზონნი,
და განშორებულნი და დაყუდებულნი მთით და ნაპრა-
ლით კლდით გამოსულნი ხილუად ნათელთა, ესოდენ იყო
ვით მინდორი ვერ იტევდა და მგზავს იყო ხილუა მათი
ზეცისა განწყობილთა სპარაზენთა რჩეულთა მხედრობა-
თასა და აღსრულებისა შემდგომ ზღუდეებით მონასტრი-
სათ და ბურჯებით იყო დიდი ზარბაზანთ ცემა ([27]),
ხმა ჭექისა და სიხარულისა მონაზონთაგან ესე-ოდენ,
ვიდრეღა იძრუოდა ადგილი და წირვისა შემდგომ ტრა-
პეზობა და სერი დიდებული დღესასწაულსა მას ღუთი-
სასა.

([26]) დიდისა პეტრე პირუფლისაგან არის წარგზავნილი, სი-
მაღლე ამა სახარებისა მშუფნიერად მოჭედილისა არის 1 ადლი,
და სიმძიმისა-გამო დღესასწაულისა დღეთა გამოასუფნებენ სა-
კურთხეველით თაყუანის-ცემის გალობისა ჟამსა ორნი დია-
კონნი.

(27) ზარბაზნები არღა აქუსთ აწ. თურქთა შემდგომად უკა-
ნასკნელისა ბრძოლისა ბერძენთა თანა წარიხუნეს იგინი
სრულიად.

პ. ი.

მისულა მონასტრად ათანასი ათონელისა
2

ხოლო ამისა შემდგომად წარვედით მონასტრით ქარ-
თუსლთასა, მოხილუად და თაყუანის-ცემად წმინდისა მო-
ნასტრისა ლავრისა ათანასი ათონელისა, მთა-წმინდელ-
თა უპირუსლესისა მონასტრისა, და იყო სავალად სი-
შორე გზისა საათისა ექუსისა სავალი. წარმართებულნი
მივიწიენით გზასა ზედა, სადა იყო აიაზმა ათა-
ნასე ათონელისა (28) და ეკკლესია მცირე; რამეთუ გუს-
ტყოდენ იგინი ამისთჳს ვითარმედ წმინდა ათანასი, რა
მოიწია ტრაპეზუნტით მთა-წმინდად, იწყო შენებად მო-
ნასტრისა ლავრისა, და შემოაკლდა საფასე და საზრდო
მონასტრისათჳს; ამისთჳს განიზრახა განსულა მონას-
ტრით სოფლად, რათა აღშენებისათჳს ღუთის-მოყუარე-
თაგან საფასე მოირეწოს. ხოლო წარმოსრული, მოიწია
რა კლდესა ამას, სადა აწ აიაზმა ამოდის, ეჩუსნა ნათ-
ლითა შემოსილი დედაკაცი ვინმე, და ეტყოდა ვითარმედ:
უკუნ იქეც მუნვე, რამეთუ სავსებით გუსპოვოს საზრუ-
ნავი შენი. არამედ ათანასე დაკრთა და ჩუსნება რამე
არა კეთილი ჰგონა და ეტყოდა: ვინმე ხარ შენ? ხოლო
ჩუსნებული იგი დედად ევმანუილისად დაამტკიცებდა
თავსა თჳსსა; ამისთჳსცა ათანასი მიუგებდა: უკეთუმცა
ჭეშმარიტ-არიან სიტყუანი შენნი, მიჩუსნე მე აწ სა-
სწაული რაჲმე და ანუ ხმელსა ამას კლდესა აღმოაცენე
წყალი. მაშინ კუსრთხი გამოუღო ათანასის, ჰსცა კლდე-
სა მას და აღმოეცენა წყალი და არს მომდინარედ დღესა-

---

(28) ათანასი ათონელი, რომელსა დღესასწაულობს ეკკლესია
ივლისის 5, იყო მოძღუარი წმინდისა ეთიმი ქართუსლისა
მთარგმნელისა, ქართუსლთ მონასტრის აღმაშენებელისა.

მომდე, სარწმუნებით მიმავალთათჳს მკურნალი და თა-
ყუანი-ჰსცა ათანასი გამოჩინებულსა მას და უკუნ-იქცა
რა, სავსედ ეპოვნეს საგანძურნი და საიფქლენი და აღა-
შენა წმინდა მონასტერი ლავრა (29). და ვითარ მივიწიე-
ნით მონასტრად ლავრად, ჰსცნეს რა მისულა ჩუჷნი,
ჰკრეს ზარსა და მოგუჷგებნენ მამანი ლამპრებითა და
კმევითა და მოგუართუჷს კუჷრთხი და მდინარე და შე-
გჳძღუნენ ტაძრად და თაყუანის-ვეცით ტრაპეზსა და
ლუსკუმასა ათანასი ათონელისასა და სიმრავლესა მამათა
და ძმათასა, და განვიცადეთ ეკკლესიისა მშუჷნიერებაჲ,
უცხოდ და დიდებული; კედელ-ყურენი იყუნეს მრთლიად
ქაშანურისანი; გუმბათი სოფიას კენჭით ჩაწყობილი; ია-
ტაკი ქჳთა სამარაგდოჲთა და მარმარილოთა წითლითა
პარიზულითა ფერად-ფერადათ ჩანახჩებულნი; ხომლნი
და ქორ-კანდელნი მრავალნი ვერცხლისა, თუჯისა და
ჭიქისანი და კანდელთა სიმრავლე და სასანთლეთა სი-
უცხოვე. რამეთუ აღყუავებულისა მინისა სანათურით მზე-
შემოსრულის ნათელი ესრეთ ნათობდა, ვითარმედ ედე-
მებრივთა შუქ-მკრთომარეობათა ბაძჳდა. გარეთ მონას-
ტრის ადგილთა მშუჷნიერედა და წყარო-წყალთა და ხე-
ხილთა სამოთხიანობა, რაღა მოგითხრა.

ლუსკუმასა ათანასისას ჰქონდა პირსა მოქცეული ნა-
ქცევი და ვჰკითხჳდი რა მისთჳს, გჳთხრობდენ ვითარმედ

---

(29) ამა წმინდისა ათანასისთანა მოვიდა ქართლით კურატ-
პალატთა ძე იოანე და მონაზონ იქმნა იგიც ლავრასა; ხოლო
ძე მისი ევთიმი მძევლად მოიყუანეს ბერძენთა მეფისა. ჯსთხო-
ვა იგი იოანე და მიჰსცა მეფემან და მონაზონ იქმნა იგიცა
ლავრასა, ამათ მოიღეს შენდობაჲ და აღაშენეს მონასტერი
ქართუჷლთა და ძესა თჳსსა უწოდა იოანემან ევთიმი.

დ. რ.

კაცთა ვიეთმე უკეთურთა შეგუასმინეს სულთანს, ვითარ-
მედ ძუჷლთა მეფეთა საგანძური მუნ არს და წარმოა-
ვლინეს თურქნი და ჰსძებნეს და ვითარმედ ვერა რა ჰპოვნეს,
ჰგონეს ვითარმედ საფლავსა ათანასისსა იქმნების დამარ-
ხულად სიმდიდრე, და ვითარ შლად და ქცევად ხელ-

ჰყუწს, და დაჰშთა ნაქცევი ესე. და შეგჯღუნენ სრასა
მონასტრისასა, დიდებულად დაგებულსა და შემოკრბენ
მამანი კაცნი და განვიცადენ წინამძღუარი და სკეოფილაკი და
მამანი კაცნი დიდად პატიოსანნი და სრულნი სული-
ერითა ქცევითა და განვკჯრდით მონასტერსა მისსა. სი-
დიდე-არს ვითა ქალაქი დაფუძნებული ძირსა მთისა
ათონისასა ადგილსა მაღალსა, და მუნ განვათიეთ აღება,
კრება (30) და კჯრიაკე მარხჯსა თევდორობადმდე, და
იყო სენაკი ღირსისა იოანე შეყენებულისა კუკუსელისა.

ამისთვის გუწტყოდენ ვითარმედ მეფესა ბერძენთასა
ჰყუანდა სიუცხოვისათჯს ხმისა მისისა, მაშინ ზეგარ-
დამოსა მადლისა მიერ განბრძნდა და საცთურისაგან სოფ-
ლისათა იჯმნა და იდუმალ განივლტოდა და შეიმოსა სა-
მოსელი საგლახაკო და მივიდა ლავრად და ევედრებოდა
მათ, რათა ჰყონ მონაზონ, და ჰგონებდენ მონაზონნი
იგი ვითარმედ-არს მდაბიო ვინმე და განაჩინეს იგი
მწყსად და ძოვნად იგი თხათა მონასტრისათა. ხოლო იგი
დამორჩილებული მწყსიდა და აძოებდა. განიპყრნის ხელ-
ნი განთიად მწუხრადმდე და ილოცჯდის გალობითა ხმი-
თა კილოისათა. ხოლო თხანი მსმენნი ხმისა მის, იგი-
ნიცა უზმად მდგომარე იყუნეს ვიდრე მწუხრადმდე,
ამისთჯს დამჭლნეს და განხმეს თხანი იგი. ვინაჲცა

(30) ესე იგი ჯორცთ-აკრება.

მხილუწლნი მონაზონნი განკჯრუწბულ-იყუნეს, თუ
ვითარ რამე არს, და იდუმალ უკანა შეუდგეს მასა ხილუად
და ვითარ იხილეს ლოცუაჲ და გალობა მისი და თხათა
მათ მდგომარეობაჲ, ეგრეთ უზმოდ მჰსწრაფლ აუწყეს
წინამძღუარსა და მიიყუანეს იოანე, და ჰკითხეს თუ ვინ
არს. ამისთჯს ვერღარა დამმალუწლი იოანე გამოუცხა-
დებდა წინამძღუარსა საქმესა თჯსსა ყოველსავე და ევე-
დრებოდა, რათა მეფისაგან შენდობაჲ ითხოვონ მისთჯს,
რათა მუნ მონასტერსა მკჯდრ იქმნას. ამისთჯს აღვიდა
წინამძღუარი იგი კოსტანტინეპოლედ და ევედრებოდა
მეფესა, რათა, რაჲცა ითხოვოს მეფისაგან მიეცეს. მაშინ
აღუთქუა მეფემან ეგრეთ-ყოფა, და გამოუცხადა იოანე
კუკუსელისათჯს. სმენასა ამას ზედა ფრიად შეწუხნა მე-

ფე, რამეთუ უყურდა უცხოსა ხმისა მისისათჳს, არამედ ნება ჰსცა წინამძღვარსა.

ამისა შემდგომად მოიგო რა იოანემ უზრუნველი ცხოვრებაჲ, შეიმოსა სქემაჲ და გარეგან მონასტრისა აღაშენა ეკუდერი მთავარ-ანგელოზისა და აღიგო სენაკი მცირე და მისცა თავი თჳსი ძლიერსა მოღვაწებასა და იტყოდენ ამასცა, ვითარმედ ღამის-თევითა რა განათენებდა იოანე და ცრემლითა ლოცუასა შესწირვიდა, მირულებულსა ხელთა შინა ედუა დრაჰკანი ერთი. აღდგა რა იხილა და განკჳრუებულმან აღიღო და მუნვე ტაძარსა მას შეჰსწირა; ხოლო აწ დრაჰკანი იგი შუა განუკუთითიათ ნახევარი რუსეთად წაუღიათ, და ნახევარი მუნვე ჰსძეს, და უამბორეთ ლუსკუმასა სამარხოსა (34) მისისა და

(31) წინაშე საფლავისა მისისა ჰსძეს დღესცა რკინისა კუთხი, რომელსაცა ხმაროდა იგი გზად მავალი. აქავე ჰკიდავს

წარმოვედით კუალად მონასტერად და ვიხილეთ თავი დიდისა ვასილისა, თავი მიხაილ სჳნადელისა და სხუანი მრავალნი ნაწილი. რამეთუ მონასტერსა ამას შინა არს სამწირუელო ოცი, და სავსე არს ყოვლითა სიმდიდრითა სულიერითა და ხორციელითა.

კჳრიაკეთა შევიდოდით ტრაპეზად და მჯდომარე იყუნეს სამარად მონაზონნი ხუთასნი მწყობრნი ღუთისა ცხოველისანი, და სავსე იყჳს საერო იგი ტრაპეზი სანოვაგითა მრავალ-ფერითა, და ტაფა-მწუარნი, და მაზანნი თჳთო-ფერნი ნუგეშად ძმათა და წდევა ღჳნისა წესისაებრ, და იყჳს მიმდემი წიგნისა კითხუა ტრაპეზსა მას, და აჟღერუნებდენ დიდსა ეჟუანსა წამის-ყოფისათჳს წინამძღურისა; ღამე მდგომარე იყუნეს ცხრასა ჟამსა ლოცუად და დიდების-მეტყუელებად და განკჳრუებულ ვიყავ მათსა მას ცხოვრებასა, და ვმადლობდი მრავალსა მოწყალებასა ღუთისასა, რომელმან მუნ მივრდომად ღირსმყო და ხილუად მათდა. იხილე საკჳრუელება ღუთისა, თუ ჟამსა უსჯულოთასა, ვითარ დაცულ-არს მონასტერი ესე და უვნებელ!

აწ ვიტყოდეთ მთა-წმინდისათჳს. ევროპიას რასმე

ადგილსა ზღუათა შინა მჰსგავსად კუნძულისა არს მთა-
წმინდა, არამედ ხმელითაცა აქუს სავალი. ახლოს არს
ქალაქი დიდისა ალექსანდრესი და ზედ მოაბია სტითია
ადგილი არისტოტელისა. ამა მთასა წმინდასა პირუბლ

ჯუარი დიდი რკინისა ყელ-საკიდავი. კედელზედ წინაშე ლუს-
კუმისა ანი საფლავისა ხატია წმინდა ათანასი და გუბრდით
ახლავს მორჩილი თჳსი ევთიმი ქართუბლი, რომლისა ხატ-
ზედა ჰსწერია ბერულად: ევთიმი ივერი.

პ. ი.

ქრისტეს მოსულისა ეწოდა აპოლონია, რომელსა ზედა
აღმართებულ იყო აპოლონ კერპი, ვინაცა მოვლიდა რა
ყოველსა სოფელსა, მოციქულმან პავლე აქაცა განვლო,
ვითარცა იტყჳს საქმე მოციქულთა, თავი 17. ტროადით
მოვიდა სამათრახს და გამოვლო აპოლონია, და მოვიდა
თესაოონიკედ ([32]), და მიერ ბერიად და ბერიით ათი-
ნად. რამეთუ მისულითა თჳსითა აკურთხა მოციქულმან
წინათვე, რათა იქმნას ადგილი სამღუდელო აღსავსე სა-
კჳრუბლებითა და საყოფელად წმინდათა, სასწაულებითა
და ნიშებითა ადგილისათჳს წმინდისა და მთისათჳს რჩეუ-
ლისა. რაოდენნი მონასტერნი, დასაყუდებელნი კელიანი
შენ არიან და რაოდენნი ღირსნი კაცნი, დაწყებით ვიდრე
მოაქამომდე ჰსცხოვრებენ ღუთისაგან დაფარულსა ამას ად-
გილსა. დღესცა ცხადი სახილუბლი საფარუბლი ყოვლად-
წმინდისა იხილუბბის მუნ, რამეთუ თურქნი შიშისათჳს
ფრანგთა და ქრისტიანეთასა, მცირესაცა ძუბლსა ნაქცევსა
სიმაგრეთასა არა უტევებენ; და მთად-წმინდად დიდნი
მონასტერნი ოცნი თოფითა და ზღუდეებითა ციხისა
უმაგრესისა გალავნითა არიან, და არცაღა თუ მიხედუბნ,
საფარუბლსა ზეგარდამოსა დაუფარავს იგი. მთა და ტყე
ნიგუზითა, წაბლითა და თხილთა და ვენახითა, აღუსილ-
ნი; კაცნი ვითა ირემნი ბუდობენ მუნ და საშუალ ათო-
ნი, მთა მაღალი, მგზავსი კავკასიისა, ყინჳთა აღსავსე,
მადინებელი მდინარეთა. ამა მთისა კალთანი სავსე არიან
მონასტრითა მრავლითა და ეკკლესიითა ურიცხჳთა. რიც-
ხუსა იტყჳან ათას ხუთასსა ოდენ. ზოგნი დიდნი მო-

---

(32) თესალონიკით ათონისა მთადმდე არის 4 დღისა სავალი ჯორით. ამა გზით მეცა შევედ ათონად.

პ. ი.

ნასტერნი ზოგად ცხოვრებულთა სამყოფი; სხუანი მცირედნი მონასტერნი კმა საყოფელითა ბაღითა, ვენახითა, მწირის მონაზონითა, წიგნითა და შესამოსლითა სავსე. უკეთუ ვისმე ზოგად ცხოვრებულთა-თანა დგომად ვერ შემძლეა, მონასტრისაგან მცირედ მონასტერს მოიყიდის და მას შინა იცხოვრებს. სხუა სენაკები არს დაყუდებულთა წმინდათა კაცთა, სხუა განშორებულთა მძოვართა და ესრეთ აღსავსე არს ადგილი იგი ღუთისა კაცთა ღირსთაგან.

ამისა შემდგომად ლოცუა ავიღეთ მამათაგან და ჯორნი წჯვ-მაგარნი დაყუდებულთა ადგილთა სავალად გჯბოძეს და წარმოგუატანეს თან წინამძღუარი კჯპრიანე, და წარმოვედით ლავრით, და მივიწიენით იმიერ ათონად, ადგილს და საყოფელსა კაცთა წმინდათა დაყუდებულთასა და მივედით ეკკლესიასა და სენაკსა წმინდისა მამისა ჩუჷნისა პეტრე ათონელისა და ნაწილი და ლუსკუმა მისი მუნვე არს აწ (33), რომლისა ხსენებასა ვყოფთ ივნისსა 12 და მიერ მივიწიენით დაყუდებულთა ეკუტერსა წმინდისა მოწამისა არტემისასა, პართენიოს სულიერისა დაყუდებულისა და მართლ-მადიდებელთა კჯრიაკე მუნ აღვასრულეთ და მიერ წარვედით დიდთა მათ დასაყუდებელთა ადგილთა (34) სამთა შესაკრებელთა მათთა, სამთავე ეგუტერთა წმინდისა ანნა დედისა ღუთის-მშობლისათა, კლდეთა რათამე ფრიად მაღალთა და საშინელთა; ზე წარმოსდგომია მთა მაღალი ათონი და ქუჷ ზღუა

(33) ლათინთა წარიპარეს ყოვლადი გუამი დიდისა ამის მეუდაბნოჲსა შიშუჷლად მოღუაწისა.

პ. ი.

(34) ამა ადგილთა ეწოდების სკიტი

პ. ი.

და მთა შუა, კლდე ქარაფნი და პარეხნი მაღალნი, ვითა საშავარდენონი, სახილუჷლად საზარელნი და კლდე კიბიან აღმოჭრილნი ძვივ ჩავაწიეთ მას ზედა და მი-

ვიწიენით შესაკრებელსა ტაძრისა წმინდისა ანნასსა და-
ყუდებულთასა ([35]), და მიმორა ვიხილვიდით სენაკებსა
დაყუდებულთასა, იყუნეს კლდეთა ზედა მიკრულ; ვითა
მერცხალნი და შავარდენნი ბუდეთა აღიგებენ, ეგრეთ
ნაპრალსა კლდეთასა სენაკნი მათნი და განცჯფრებულ-
ვიყავ ცხოვრებასა მათსა, და კუალად უშინაგანესსა ად-
გილსა არს მღჯძარეთა დაყუდებულთა ადგილი, რომელსა
უწოდიან კაფსოკალიფა. სავსე კაცთაგან ანგელოზებრ
ცხოვრებულთა და იყო მუნ დაყუდებული ქართუსლი ჯა-
ვახი ღირსი ანთიმოს, შორად მყოფი სენაკებს, ფრიად
მოღუაწე და მშრომელი, არამედ შიშუსლი და უპოვარი,
და არა ჰქონდა კარი სენაკსა მისსა, არამედ დაეხშო
ქჯთა და მიგჯძღუნენ და დაგუასადგურეს ეკკლესიისა მის
სავანედ და მოელოდენ ბერსა ვისმე განმგესა და მმარ-
თებელსა მათსა, რამეთუ სხუად სადმე ადგილად წარ-
სრულ იყო. მუნ ცხოვრებულნი წმინდისა ანნასნი და-
ყუდებულნი იყუნენ ორასნი ოდენ, და მე ეგრეთ ვჰგო-
ნებდი, ვითარმედ ამათი განმგე და ზედა-მეურნე ამათსა
უმეტეს შუსბული და შესამოსლითა უმჯობესითა შემო-
სილ-იქმნების და ვგონებდით რა უფროს ამათსა. შემ-

([35]) ამა ადგილსა დავჰყავ მეცა ერთი ღამე, იმა სენაკთა
ზღუათა ზედა დაკიდებულთა, რომელნიცა ჭშმარიტად ემ-
სგავსებიან მერცხლისა ბუდეთა. სენაკისა ჩუსნისა და ზღჯსა
საშუალ იდგა ხე ლეღჯსა დიდი და მრავლად მსხმოიალე, გარ-
ნა ჯერეთ არა სრულიად მწიფისა ნაყოფისა, თთუს იყო მაი-
სისა 22.

დგომად მწუხრისა მოიწია მონაზონი ვინმე მოხუცებული
და ჩუსნთჯს საზრდო სავახშმო ტჯრთით ზურგსა მოე-
კიდა და მითხრეს, ვითარმედ ამათი მამა არს ესე და
განვკჯრდი სიმდაბლესა მისსა და ვუამბორეთ ხელსა და
მოვიკითხეთ. რამეთუ ემოსა სამოსლად ყოველივე, ანა-
ფორა, კუნკული და ბარტყულა აქლემის ყელისა, არამედ
ჯუბა თეთრის შალისა, რამეთუ დაყუდებულთა მათცა
ესრეთ მოსიესთ, და განვათიეთ სულიერთა მათ თანა,
ორი დღე და რამცა იყო უამე სენაკთა მათთა მოხილჯ-
სა და მათისა განცდისა, რამეთუ არა რა მსოფლიო და
საწუთოსა ამბოხებათაგანი რაჲმე იხილუსბოდა მათ თანა

და ვადიდებდი შემკრებელსა და აღმაორძინებელსა მათსა
უფალსა. მთა ღუთისა ჭეშმარიტად და საფუძუ<ლნი
ღუთისა მთათა შინა წმინდათასა. ამას ვასახენ ვითა
საწუთოსა სიცრუვეთაგან და სოფლისა სახივთა და ამაოე-
ბათაგან ლტოლჳლნი, აქა ნავთ-საყუდელსა ნათელთასა
მოივლტიან ზეცისა მიმჰსგავსებულსა სამოთხესა სულთა
საშუ<ბელსა და უცხო-ქმნილნი ხედუათაგან მავნებელთა
ვითა დედალი რამე კატა ანუ ქათამი და ძაღლიცა არა
იპოვება მთასა ამას შინა წმინდასა; არამედ არიან მას ში-
ნა მონაზონნი სამღუდელო-ქმნილნი გუნდებად და ბა-
ნაკებად განწყობილნი ზეცისა ძალთა აღხარისხებულნი,
რამეთუ ამათ აღიყუანებს კერძოობითთაგან კაცთა და სა-
ყოველთაოსა მიმართ და სამარად-მყოფთა მიწდომილ
იქმნნეს.

<ე, სამღუთო ვითარმე არს და სასურუ<ლ და კეთილად
ითქუა მათთჳს. ეგე ვითარი კეთილი არცა მოვიდა კაცთა
მიმართ, არც მოვიდეს ოდესცა, რამეთუ სამარად დაუდუ-
მებელსა მსხუ<რპლსა ბაგეთასა და ღუაწლთა ტკივილთ-

მოყუარებისათა შეჰსწირუ<ნ მრგულიდ დასაწუ<ლსა წი-
ნაშე საბაოთისა, და გალობენ გალობასა ახალსა ძლევი-
სასა მომნიჭებელისადმი მათდა უფლისა, რომელმან გა-
ნარინნა ესენი საცთურთაგან სოფლისათა და საკიცხე-
ლად შეარცხჳნა წუთიერი ქორწინებათა გემოთა ამაოთასა,
შთამხდელთა ჯოჯოხეთისათა. ეჰა მხედარნი მეუფისა
დიდისანი, რომელნი იტყჳან მარად: მრწამს მე ხილუად
კეთილი უფლისა ქუ<ყანასა მას ცხოველთასა, დაუთმოთ
უფალსა, მხნე იყავნ და განძლიერდინ გული ჩუ<ნი.

აწ მიგითხრა ადგილთაცა მშუ<ნიერებისათჳს, თუ ვითარ
ნუგეშად ჰბოძებიათ მათ ღუთისაგან. რამეთუ სოფელსა
შინა განვიცადენ რა მთა-წმინდა და ადგილთა მშუ<ნიე-
რებაჲ მისი, ედემისათჳს ტკბილ-საშუ<ბელთა ვასახე. ვი-
თა მთა იგი მაღალი ათონი მყინუარე, ვითა სპეტი რაჲ-
მე გამომჭჳრუალი, სახედ ყარყუმთა და კუდთა სიშავე
ესახებოდა; სენაკთა იქით და აქეთ განკარგულნი შენება
მყუდროთა მათ მიმო-დადებითა კლდეთა შინა და უღაღ-
თა მთათა მიიჭირვოდეს; ვითა თქვა მეფსალმუნემან: მთა-

ნი მაღალნი ირემთა. ზე ნამდჳლ მონაზონნი ლტოლჳლ-
ნი სოფლით აქა სახედ ირემთა და ქურციკთასა იყოფე-
ბიან გარე-ქცევითა ვითა ირემნი და გუზლთა მოისარნი
ჩუზნთა, ვითა ირემნი პირითა აღსწბობენ და უჩინო
იქმენ და ფერხითა დასთრგუნუზნ, და ირემთა კუდთა სი-
მუშკითა სუნთა სიმყრალესა ცოდუათასა ჩუზნთასა წარიო-
ტებენ. ითქუა: კლდენი შესავედრებელად ყურდღელთა ვა-
სახენ შესრულთა კლდეთა და ნაპრალთა და ხურელთა
ქუზყანისათა. ზე ხელ-აპყრობილნი ანუ ქუმთხოველნი
მამანი მიმდემსა ლოცუასა შეჰსწირუზნ სოფლისა მშჳდო-
ბისათჳს და ეკკლესიათა ერთობისა და კეთილად დაცჳსა

მართლ-მადიდებელთასა და კუალად ჭურ-რჩეულობითნი-
ცა ზრახუანი ვასახენ მათ მთათა შინა და ქუაბთა ქუზ-
ყანისათა, ხალენებითა და თხის-ტყავებითა ჭირუზულნი
და ძჳრ-ხილულნი, რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი
ესე.

და კუალად მშუზნიერებისათჳს ადგილისა რჩეულისა
და წმიდისა, რაღა მოგითხრა, რამეთუ ველთა და ჭა-
ლაკთა ედემებრივთა ზე მთისა მისგან ათონისა მჩქება-
რენი წყალნი გეონისა ანუ ევფრატის სახედ მომდინა-
რენი, მწუანედ ქუფრჳლთა ჩრდილ-ფურცელოვანთა ბურ-
ვილთა მთათაგან და ბაღჩა წალკოტთა მათ ზედა ჩამო-
ჩქერებანი ახავერდებულს ადგილს მწუანჳლოვანსა და
კლდეთა და ღადოთა და კბოდეთა მიმოკუზთებული მჩქე-
ბარეთა დუღილთაგან წყალთასა და სტუზნისაგან აედონ-
თა და მფრინუზლთასა ყურთა ხმა გაეზიარა; ველთა ხე-
ხილთა სიხშირე, კჳპაროსთა და ალვის-რტოთა ნაზობა
ედემისა შესწორებულ იყო. მთა გორიანი ზეთის-ხილთა
და ფიჭჳ-ნაძჳანობა და უდაღაჯთა და დაფნთა და პორ-
ტოგალთა ნარინჯ-თურინჯთა სუნნი ამონი ხათავეთურ-
სა მუშკსა და კინამოსა უსწრობდეს და ნიავ წულილთა
ბერუასა მუნ სამოთხისა სახე შემოიღებოდა; კორდნი
და ველნი სავსე იყუნეს თჳთო ფერითა ასფოდელოები-
თა; მტილნი განვრცომილ იყუნეს, ვარდთა, იათა და ყა-
რამფილთაგან; შროშან ნარგიზელობა, ზამბახთა, ზაფრა-

ნათა და სოსანთა სისავსე, ტაბლად და წიაღად აბრაა-
მიანებად რა დაისახებოდა. შიგ განკარგჳთ მონასტერნი
და კელიანი მამათანი და ნაპირსა ახლოდ ზღუათა, ღა-
დოთა ამონი ღელუანი და მჭევლსა წყალთასა მჩქება-
რეობა ფრიად ვიდრემე საწადად განიცდებოდა; ნავით

მომავალნი მონაზონნი ბერჳთა სპეტაქთა იალქანთასა
ბორიოს მიმოტაცებულნი თუალთა მხილუზლთასა განა-
ცჳფრებდა და მენავენნი მონაზონნი, მჰსგავსნი მფრი-
ნუზლეთა, შემომქონნი სანუკუართა და საზრდოთა, რო-
მელთა მოაქუნდა მჭელეულები ნაშრომი ზღჳთ მომზი-
დავნი, ემსგავსებოდა ფუტკართა ცჳლ-გოლეულთა მემუ-
შაკეთა; რამეთუ სულიერთა მათ ესე ვითარი ნუგეში მბა-
დისა მიერ, კეთილ-ნაბადთა ამათ შინა იპოვებოდა. მისა
დიდება საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

შესულა მონასტრად ვატოპედისა
3

მივიწიენით სხუასა მონასტერსა დიდებულსა ვატო-
პედს თჳთ დღესასწაულსა მას ყოვლად-წმინდისა ხარე-
ბისასა და იყო შეკრებულ მონაზონთა სიმრავლე და ქულ-
ბაქნი განეწყოთ კარსა მონასტრისასა მომავალისათჳს
სავაჭროდ და მოგუზგებნენ სკეოფილაკი და ძმანი და
შეგჳძღუნენ მონასტრად წესისაებრ და ვიხილეთ მო-
ნასტერი და ტაძარი მჯობი ყოველთა მონასტერთა
მთა-წმინდელთასა, და არა რათ ნაკლული მათგან, და
თაყუანის-ვეცით ტრაპეზთა და ნაწილთა (36). მუნ იყო
თავი გრიგორი ღუთის-მეტყუზლისა და სხუათა მრავალ-
თა ნაწილნი. მუნ იყო ხატი იგი მაცხოვრისა, რომელ-
სა თეოფილე მეფის მეუღლე იდუმალ ინახევდა. მუნ
კარის-ბჭესა შინა არს სახე ყოვლად-წმინდისა, კედელ-
ზე სახია. იტყჳან მისთჳს: დიაკონი ვინმე გულ-მწყრალი
ქმნილა, აღუღია დანაჲ და უცია სახისათჳს ყოვლად-
წმინდისა და მჰსწრაფლ მოვადრნია ხელი, და აწცა მუნვე
ჰსძეს ხელი იგი განხმელი. აღუშენებია მონასტერი ესე

---

(36) მონასტერსა ამას შინა არს დაცული ძვრ-ფასად საუნ-ჯედ ნაწილი სარტყელისა ყოვლად-წმინდისა ღუთის-მშობ-ლისა. იგი ჰსძევს ოქროს მშუნიერად ნაკეთს ყუთში ხავერ-დით შიგნიდამ მოდებულში. სიგრძე ამა სარტყლისა არს ორი მტკაველი, სიგანე მისი სამი გოჯი. ნაწილი ამა სარტყე-ლისა ერთ-გუარის ფერისა იპოება ზუგდიდსა მინგრელიის მთავარის სასახლის ეკკლესიასა. მირთმეული იმპეტარორის ალექსანდრე I, მთავარის გრიგორი დადიანისაგან, – წარმოი-გზავნა ზუგდიდადვე, ვჰგონებ 1840-სა წელსა, ვითარცა საუნჯე და საკუთრება მინგრელიისა ერისა.

პ. ი.

მეფეს ბერძენთასა არკადის. ხოლო დღესასწაულსა ამას მწუხრად ჰკრეს დიდსა ზარსა, და შემოკრბენ მამანი და წინამძღუარნი და იყო ღამის-თევა, ვიდრე მზისა აღ-მოსულადმდე. მორთუ სადღესასწაულოდ ტაძრისა მის რაღა მოგითხრა: მშუნიერისა საყდრისა ქუაფენილისა ქვთა იასპითა და ფერადებითა სამარაგდოთა და უცხოთა ოთხთა მათ სუტთა მნთებარეთა, რომელიცა აღმაშენე-ბელთა რომით მოუღიათ და სამყაროდ ცისკროვანსა მას ეკკლესიასა აღუნთნეს ხომლნი და ქორ-კანდელნი და კანდელნი და აღამკნეს და უცხოდ ხალასად ნაკერნი ფარ-დანი კედელ-ყურეთა ეკკლესიათა მოაფარნეს და მოა-კრეს საქადაგებელი ხარისხი პატიოსნად და განაწყუეს დას-დასად. ოქრო-ცურუბულნი სასანათლენი მჰსგავსი იყო ვითა ჰსძლისაგან შუნებულისა ქორწინებად სიძი-სადმი. ეგრეთ შუნოდა ეკკლესია: ათხუთმეტნი წინა-მძღუარნი და ოთხნი დიაკონნი შემოსილ იყუნეს თევა-სა მას უცხოჲთა რაჲთმე შესამოსლითა; და დიაკონთა მხართა გინგილა ზედა, მუყაიაშნი იაყაშად დაცუდჳლნი დიდნი საფარებელნი მხართა ზედა მოედუათ. მარჯუნივ სასაკმევლე, და მარცხენესა ველსა საგუნდრუკენი ოქრო-ცურუბულნი გუმბათიანი და ეგრეთ აკმევდენ. პურის კურთხევისათჳს სინი დიდი ოქრო-ცურუბული და შუა სინისა ვერცხლის ბორჯლიანი ხე ამოსული ხუთ-ფურ-ცლოვანი; ერთი პურისა სადები, ერთი ღჳნისა, ერთი ზეთისა და ერთი ხუარბლისა, და რაჟამს კმევისა ჟამი აღარა იყჳს სხუასა ჟამსა მაზარიანთა მონაზონთა ხელითა სატჳრ-თავი ფრთიანი საკმევი ეტჳრთათ, და მით მურსა და შტახს-

სა აკმევდენ და იყო მუნ საათი მკურელი ორღანოსა და კრევდა ამოდ და მგალობელნი გალობდენ ხმითა კეთილითა ვრცელად.

გათენდა რა და აღსრულდა ლოცუა, ჟამი წირვისა მოიწია. დიდი ფილოსოფოსი ევგენიოს, კაცი ქუჩყანისაგან ვენეტიკთასა, განჰსწავლული სიბრძნითა და ენითა ელლინებრითა და სახითა რაჲმე და რომაელებითა უცხოჲთა და ქცევითა პლატონურითა, რომელსა ძუჩლთა მათ ფილოსოფოსთა სიბრძნენი არა რად შეერაცხა; და იტყოდენ მისთჳს ევროპიას შინა ძჳრად სამე პოვნილსა ვისმე შესადარად მისსა, და ახლდენ შკოლისაგანნი ყრმანი მოსწავლენი ას ოცოდენ. ხოლო მე მდინარითა იაზმასა ვასხურებდი ერთა. მაშინ ხმა მიყო მე ბრძენმან ევდენიოს, ვითარმედ, დესპოტი! აწ ჟამი არს მსხუჩრპლისა შეწირუად; მჰსწრაფლ აღვედ და დავჰსდეგ განწესებულსა ადგილსა ხარისხისასა და აღვიდა ხარისხად და განმარტა ხელი და იწყო დღესასწაულისათჳს სიტყუად, ვითარმედ შემოკრებულნი საკჳრუჩლისა დღესასწაულისათჳს მდუმრიად მივეგებოდეთ, რამეთუ არა არს ამისთჳს გამოთქუად კაცობრივთა სიბრძნეთაგან ანუ თქმად გამოუთქმელთა მათ, არამედ გაბრიილის თანა ვიტყოდეთ, გიხაროდენ მიმადლებულო! უფალი შენ თანა. ესე ოდენ მესწავლნეს ენანი ბერძულნი, ესენი გავიგონენ ხოლო იქადაგა ორისა ჟამისადმდე.

შემდგომად წირვისა აღვედით ტრაპეზად. დასხდენ წინამძღურისა-თანა გუნდნი მონაზონთა მრავალი და საერო ტრაპეზობა ბრწყინვალე, და ზურგით მონასტრისად ზარბაზანთა და თოფთა ცემა ძლიერად დღესასწაულისა მისსა. ხუალისა შენდობისა მიმღებელნი მათგან აღვედით შკოლად ფილოსოფოსისა ევგენიოსისად, რამეთუ მახლობელ იყო შკოლა და სულიერი დაყუდებული და იერუსალიმელი მონაზონი გერასიმე კაცი სავსე

მეცნიერებითა, მეგობარი იყო უცხოებისა ჩუჩნისა და მოგზაურ და მოენეცა იყო ჩემი. ხოლო ჰსცნა ჩემი ევგენიოსმა მოსულა, მომეგება წინა და დიდად პატივს გუცა და შეგვითჳსა და უცხოთ-მოყუარებისა ჩუჩენისა

წესითა უმაღლესად დიდებულ-გუყო და განგჯმზადა შკო-
ლასა შინა თჯსსა სადგური და განუათიეთ მის თანა დღე-
ნი რავდენნიმე და ზრახჯთა და კითხუა-მიგებითა და
მოწლითა მით საუბარითა მისითა განვნათლდებოდით.
ხოლო შკოლისაგანნი ზარსა ჰსცემდეს შემოკრებისათჯს
შკოლისაგანთა და მოკრბიან პალატად. ბრძენი ევგენიოს
შუასა ადგილსა მჯდომარე იყო და მაწუწვდნენ და დავ-
ჰსჯდი მის თანა. ხოლო ორსავე მხარესა ზედა მსხდო-
მარე იყუნეს სტოლზედ შკოლისაგანნი, და აღდგიან
ერთი მარჯუწნით მხრით და ერთი მარცხენით, და იწ-
ყიან სიტყჯს გებად ურთიერთ-არს მეტაფიზიკურისა
ღუთის-მეტყუწლებისათჯს რიგით, და ზედას-ზედა ფი-
ლოსოფოსი განუახლებდა მათ და განუმარტებდა და
დასასრულსა დასხდიან და სხუა წარმოსდგის და უქის
მათ სიბრძნე და პერიფრასეულებ ქება შეასხის ძალსა
ღუთის-მეტყუწლებისა მათისასა, და ამისა შემდგომად
კუალად ორნი იმიერ და ამიერ წარმოსდგიან და იწყიან
სიტყჯს-გებად. ურთიერთ-არს ღუთის-მეტყუწლებისათჯს
განგებულებისა, და განუმარტებდა მათ ევგენიოს და
დასხდიან რა კუალად, ერთი ვინმე წარმოსდგის და პე-
რიფრასულებ ქება შეასხის მაღალსა მას ღუთის-მე-
ტყუწლებასა მისსა. და ამათსა შემდგომად სხუათა და
სხუათა სასიბრინოთათჯს წარმოსდგიან მრავალ გზის და მე
ამათ ყოველთა მეგობარი ჩემი გერასიმე გამომითარგმანებ-
და, და ნეტარ თუმცა ეგე ვითარი ხმა მასმინა ოდესმე,

ესრეთ აგემებდა სასმენელთა ჩემთა. აღუშენებია შკოლა
დიდად ვრცელი და პატიოსანი ადგილსა რასმე მაღალსა.
მრავალი უცხო სასახლე და სრა შენ არს მუნ, და შე-
მოკრებულან მოსწავლენი საბერძნეთით, საფრანგე-
თით და რუსეთით და ყოველთაგან ქუწყანათა, და ასწა-
ვებენ უფროსნი უმცირესთა მათ და მათი ზედა-მხედუწ-
ლი ბრძენი ევგენიოს-არს. ხოლო საფასესა და ხარჯსა
ქუწყანა მიჰსცემს და როჭიკი განჩენილი პატრიარხთა-
გან აქუსთ და გამოგუწსალმნენ და წარვედით მიერითგან.

მისლუა მონასტრად სიღმენოდ ([37]).

4.

შკოლით მივედით მონასტერსა სიღმენოს ამაღლებისა ეკკლესიასა და წესისაებრ მონასტერთასა შეგჳძღუნენ მამანი ტაძრად და თაყუანის-ვეცით ტრაპეზსა და უამბორეთ ძმათა და მამათა. ნაწილი იყო წმინდისა იაკობ სპარსისა და წმინდისა პროკოპისი, და შემდგომად მიგჳძღვნენ სადგურად. ვკითხევდით რა, ვის მიერ აღშენებულ-არს, მოგჳთხრობდეს, ვითარმედ აღაშენა მონასტერი ესე პულხერია ასულმან არკადისამან და ადგილი არს კეთილი, მთითა და ველითა შემკული და ზუვასა ზედა გარდაკიდებული, ვითა სამჭედურითა თევზთა იმჭირჳდენ და განვათიეთ ჟამნი რაოდენნიმე და დიდი იგი გალობა ანდრია კრიტელისა მუნ ძმათა-თანა ვიდღესასწაულეთ. მუნ მყოფნი მამანი გუზტყოდეს, ვითარმედ გრიგორი თესალონიკელი, აწ რომელსა წმინდასა მარხუაში მეორე კჳრას სახსენებელსა ჰყოფენ მისსა, ამა მონასტრისა წინამძღუარი ყოფილა, და მიტროპოლიტად თესალონიკისად უკურთხებიათ. წინა აღმდგომი იყო რომის ეკკლესიისა, რაჟამს იგი ცილობა შემოსრულ-არს, ვითარმედ ფერის-ცუალების ბრწყინუალება არა ზეგარდამო იყოო, არამედ მსოფლიო. ამა ცილობათა შინა წინა-აღსდგომია მათ და შეუნდობელი უმყოფებიათ. ამისთჳს იგინი შეურაცხ-ჰყოფენ და ბერძენნი ამათ შეიწყნარებენ.

([37]) ესჭიღმენი. – ნიშნავს ადგილსა შეიწრებულსა მთა-
თაგან. ესრეთცა არს ადგილი მონასტრისა ამის.

პ. ი.

მისულა მონასტრად ქილანდრად.

5

მივედით მონასტერსა დიდებულსა ქილანდრას, ტა-

ძარსა ყოვლად-წმინდისასა ტაძრად მიუყუანებისასა და
ჩუსულებისაებრ მონასტერთასა ჰკრეს ზართა და შემო-
ჰკრბეს მამანი სერბნი და ბულღარნი, რამეთუ მუნ ბერ-
ძენნი არა იმყოფებიან და არც ენა უწყიან ბერძული.
და შევედით მდინარითა და თაყუანის-ვეცით ნაწილთა:
ფერხი იყო მარიამ მაგდანინელისა და ნელსაცხებლი-
საგან ნაწილი, რომელი ჰსცხო უფალსა, და მიმორა-
ვიხილვიდით განვკვრდით ქჳთ-ხუროებულობასა მისსა,
რამეთუ ფერადნი მარმარილონი, ბუნებით ყუავილოვნად
და ნახჩებად გამოყუანილ იყუნეს. მუნ ეკკლესია დიდად
პატიოსანი, არა რათ ნაკლულევანი სხუათაგან, ვითა მათ-
ნი აღვჰსწერენით და გჳჩუსნებდენ სახესა ყოვლად-
წმინდისასა. რაჟამს იოანე დამასკელსა ხელი მოჰკუსთეს;
ხოლო მოკუსთილი იგი ხელი წინა დაუდუა სახესა ყოვ-
ლად-წმინდისასა იოანემ და ევედრებოდა მხურუალედ
განკურნებისათჳს, და კუალად მოება ხელი იგი მეოხე-
ბითა ღუთის-მშობელისათა. ესე საბა არქიეპისკოპოზ-
მან სერბიისამან, აღმაშენებელმან ამა მონასტრისა ქი-
ლანდრისამან, საბას ლავრით აქა მოასუსნა. რამეთუ
იოანე დამასკელი საბას ლავრის მონაზონი იყო, და
თჳთ იგი ლავრა საბასი სერბთა მიერ აღეშენა, და მი-
გჳყუანეს სადგურად, და კეთილად განგჳსუსნეს მშუსნიერ-
სა სრასა მონასტრისასა.

და ვკითხჳდით რა ვის მიერ აღშენებასა მისსა, გუს-
ტყოდენ, ვითარმედ სჳმეონ სერბთა მეფის ძე საბა,
მოვიდა აქა მთად-წმინდად მონასტერთა რომთასა და

ჰსთნდა ადგილისა სიწმინდე და მონაზონთა ცხოვრება
და თჳთცა მონაზონ-იქმნა მუნ. ხოლო სჳმეონ მამა მისი მოუ-
წერდა, რათა წარვიდეს ხილუად მისა; არამედ საბამ არა
ინება წარსულა მთა-წმინდით, ამისთჳს თჳთ მეფე სჳმეონ
მოიწია ხილუად ძისა თჳსისა და იგიცა მონაზონ იქმნა,
და აღაშენეს მონასტერი ესე ქილანდრისა მათ და უკა-
ნასკნელ ხელი დაასხეს საბას სერბიის არხიეპისკოპო-
ზად. ხოლო ესე საბა არს, რაჟამს წმინდამან მამამან
არსენი სერბიის არხიეპისკოპოზმან იჴმნა მწყემსობისა-
გან და მოადგილედ თჳსად ესე საბა აკურთხა, რომლისა

ხსენებასა ვჰყოფთ ოკდონბერსა 28, და მუნ მონას-
ტერსა იყო ვინმე ეპისკოპოზი ჯმნილი სამწყსოსაგან და
შეეტკბო მონაზონება მუნ.

კვალად გუზტყოდენ სასწაულსა მონასტრისათჳს. ვი-
თარმედ თურქნი მოვიდენ ოხრებად მონასტრისა და აქა
რა მოიწივნენ, ვერღარა ჰპოვეს მონასტერი, რამეთუ
სამღრთომან ნისლმან და ალმურმან დაჰფარა და შიში
და ზარი დაეცა მათ და ივლტოდეს, და ჟამ-რავდენმე
დავადგერით მუნ. რამეთუ გერასიმე მეგობარი ჩუზნი
თან გჳახლა, და შემდგომად ლოცჳსა მომღებნი მათნი
წარმოვედით კუალად შკოლად ევგენიოსისა თანა და მიე-
რითგან გუზნება მოხილუაჲ თჳთოეულთა მონასტერთა,
და აღვედით შკოლით შუა მთად-წმინდად ბაზრად მო-
ნაზონთა, რომელსა ეწოდების ქარესი (38) და არს

(38) კარეა. აქა არც ვრცელი ყოვლისა ათონისათჳს შკოლა, სადაცა ასწავებენ ვრცლად ღუთის-მეტყუზლებასა საბეროდ განმზადებულთა მორჩილთა. სახლი დიდ-შენი ორ-ეტჟიანი შესრულებულ-იყო იმავე, ჩემისა მუნ ყოფნისა, წელსა (1849).
პ. ი.

მუნ ეკკლესია დიდი. იტყჳან ვითარმედ დიდმან კონსტანტი-
ნე აღაშენაო, რომლისა გუმბათი დაუქცევია უჰსჯულოსა
ივლიანე განდგომილსა. რამეთუ ესე შესაკრებელი ადგი-
ლი არს ყოველთავე მთაწმინდელთა მამათა და თჳთოეულთა
მონასტერთა ხარისხი იმ დიდსა ეკკლესიასა შინა მი-
ცუალებისასა არის და საერთო კრება მამათა მუნ იქ-
მნების. მუნვე გუზტყოდენ, ვითარმედ დღესასწაულ-
სა მიცვალებასასა, სენაკთ გარედამ ბერი ვინმე მოვიდა
ღამის-თევად და დაუტევა სენაკსა მონა თჳსი, და აღდგა
შუა-ღამე მოწაფე ბერისა, დაიწყო ეკუდერსა ლოცუად,
და იხილა ანგელოზნი მდგომარენი და განჰკრთა ში-
შითა დიდითა. მაშინ ანგელოზნი ეტყოდეს: ნუ გან-
ჰკრთები, არამედ ზოგად ვილოცოთ და იწყო ბერმან
ჩუზულებისაებრ: « უპატიოსნესისა ხერუვიმთასა » თქმად,
არამედ ანგელოზნი ეტყოდეს, ვითარმედ პურუზლად
ჩუზნ ვიწყოთ. ხოლო ანგელოზთა იწყეს გალობად: ღირს-
არს ჭეშმარიტად და უპატიოსნესი კუალად ბერმანვე
იწყო, რამეთუ მუნადმდე ღირსარსი არავის სმენიეს და

მიერითგან იწყეს ღირს-არსისა თქმაჲ წინა უპატიოს-
ნესისა.

და იყო ბაზარი და ქუჩა და ქულბაქნი მუნ მრავალ-
ნი მონაზონთა და მოხელეთა; და რაჲცა რა გენების, ვი-
თა ქალაქთა შინა მოიყიდი. ხოლო სულიერთა მათ სა-
ხმარება ხორცთა მუნ მოებაზრ-მოეფარდულებინათ და
კრება შემოკრბება სამარად შაბათთა. რამეთუ მონასტერ-
ნი საქრისტიანოთა შინა მრავალ-არიან სხუათა ადგილ-
თა, არამედ ბაზარი მონაზონთა არა სადა სმენილ-არს.
მჯდომარე არს მუნ ეპისკოპოზი მთა-წმინდისა ერისო-
სი, ბრძანებასა ქუჱშე თესალონიკელ მიტროპოლიტისასა

და არს მუნ მჯდომარე თურქი ვინმე ბრძანებასა ქუჱშე
წინამძღუართასა მათისავე ხარჯითა, რათა თურქნი არა
შემოვიდნენ მუნ, და მეშფოთეთა და უკეთურთა საშიშრად.
და ვიხილეთ მუნ განშორებული სახელად ფოტი, ფრი-
ადსა მოღუაწებასა შინა მყოფი, შიშუჱლი და უპოვარი.
ერთსა ხისა ღრუსა შინა ზის. არისო ოცდა-ათი წელი ვი-
ნათგან მოსრულ არს მუნ. რამეთუ ჰსთლის კოვზთა და
მით მოირეწს საზრდელთა, დიდათ გაწკაფული მოღუაწე-
ბითა გუჱტყოდენ მისთჳს, რამეთუ ხილუად მისსა მო-
ვიდა უცხოებად მოსრული ვინმე მონაზონი და თან მიი-
ყუანა ერისკაცნიცა, არამედ თჳთ წინა წარვიდა და ერის-
კაცნიცა შორს დააყენა, და თჳთ ამბორებად ხელთა რა
მივიდა, ეტყოდა მას ფოტი: შენ მოვედ, არამედ ერის-
კაცთა მათ ნუ აწუჱვ აქა მოსულად. იხილვა ღირსება
მისი, ვინა უწყოდა, რამეთუ შორს იყუნეს ერისკაცნი
იგი. რამეთუ ესე ვითარნი სხუანიცა არიან მუნ. დიდება
განმაძლიერებელსა მათსა, და ყოველთა შესრულთა წესთა
მონაზონთასა; დიდება შემკრებელსა და აღმაორძინებელ-
სა მათსა უფალსა, რომელმან მონაზონნი საოხად სოფ-
ლისა დაადგინნა; დიდება, რომელმან წინასწარვე გუაუწყა
მონაზონთა ცხოვრება ვითა მელქისედეკ და ილია, და
ანუ ეზრასიცა იგი წინასწარ-მეტყუჱლისა თქმული ვი-
თარმედ: ესენი არიან, რომელნი შეიმოსენ სამოსლი-
თა მოკუდავთათა და შეიმოსნეს უკუდავებასა შინა და აწ
გჳრგჳნოსან იქმნეს, და კუალად ესენი არიან, რომელნი
დედათა თანა არა შეიგინნეს, რამეთუ ქალწულნი არიან

ესენი, რომელნი შეუდგეს კრავსა მას, სადაცა ვიდოდეს
(ეზრა 2. 25 აპოკ...)

მისულა მონასტრად ყუთულამიშად ([39]).

6.

მივედით მონასტერსა ყუთულამიშას, ტაძარსა ფერის-
ცუალებისასა, რამეთუ მუნვე ქარესსა არს, და მოგუჩგებ-
ნენ ძმანი და მამანი წესისაებრ მონასტერთასა, და
ჰკრეს ზარსა და შეგჯღუნენ შიგან ტაძარსა და თაყუა-
ნის-ვეცით ტრაპეზსა და ნაწილთა წმინდათასა. ფერხი
იყო ანნასი დედისა ღუთის-მშობელისა; იგინი ესრეთ
გუჩტყოდეს; ნაწილი ევსტატისა, და ნაწილი ხარალამ-
პისა და განვიცადეთ მონასტერთ არს მომცრო პატიო-
სანი. ესე აღუშენებია ვლახთა მეფესა იოანეს. ხოლო
მონასტერი არსა ვაკესა ზედა, შემკული ბაღითა, წყლითა
და მთითა და გარეშემო ახლავს მონასტერსა კელიები
მრავალი, და აღმღებელნი ლოცუათა მათთა, წარვედით
მუნით ფილოთეოსად.

([39]) კოტლომუში. – ესრეთ იწოდა შემდგომად თუქრთა
ენითა თავის-უფლებისათჳს, რომელიცა მიენიჭა მცირეს დროს
ენგიჩართა აღასაგან მუნ ყოფილისა: ყურთურმუშ ნიშნავს
თურქულად თავის-უფლებასა. – ხოლო დაფუძნდა მონასტერი
იმპერატორის ალექსი კომნინისაგან წელსა 1125 წელსა.
პ. ი.

მისულა მონასტრად ფილოთეოსად

7.

მივედით მონასტერს ფილოთეოსს, ტაძარსა ხარები-
სა ყოვლად-წმინდისასა და მოგუჩგებნენ მამანი და ძმა-
ნი, და ჰკრეს ზართა და შეგჯღუნენ წესისაებრ მონასტერ-
თასა და თაყუანის-ვეცით ტრაპეზსა და ნაწილთა. რამე-
თუ არს მუნ ხელი იოანე ოქროპირისა, და ნაწილი წმინ-

დისა გიორგისა, და ნაწილი წმინდისა იოანე მოწყალი-
სა და ისიდორე პელიოსიოტელისა. ხოლო არა ესე მო-
ნასტერი აღშენებული (40) დავითიან, სოლომონიან, ბაგრა-
ტოვანთა ძეთაგანისა ქართლისა და კახეთისა მეფის ლეო-
ნისა მიერ, ბატონის თეიმურაზის პაპის მამისა, რამეთუ
წარმოუგზავნიათ და თჳსითა საფასითა აღუშენებიათ სა-

---

(40) დავითიანობისათჳს პატრიარხი იერუსალიმისა წინა-აღ-
გჳდგებოდა დიდი გმობა არსო. წერილ-არსო: მოკლებასა მთა-
ვართა იუდასთა მოვიდესო მოლოდება წარმართთა. რამეთუ
ოდეს ქრისტე იშუა, აღხოცილიყო მთავარი იუდასაგან. უკე-
თუ მისვე ნათესავისა კუალად მთავრობს. არღარა სადამე მო-
სრულ-არს მოლოდება წარმართთა ქრისტე, და ფრიად ნაცი-
ლი არსო სიტყუა ესედა გმობაო.

ტიმოთე.

ამა გუარ-შთამოობისათჳსჰსწერს იმპერატორი საბერძნე-
თისა კონსტანტინე პორფიროსანი წიგნსა თჳსსა (de admi-
nist. imperii cap. 45) აღწერილსა 945 წელსა ქრისტესით.
კეისარი ესე ჰსწერს, „რომელ ქართუფლთა მეფენი ჰგონებენ
გუარ-შთამოებასა თჳსსა წარმოსულად მეგისაგან და წინასწარ-
მეტყუფლისა დავითისა ცოლისაგან ურიისა“. ამა საფუძუფლსა
ზედა ძუფლადვე ქართუფლთა მეფეთა ჰქმნეს ღერბი თჳსი,
რომლისა აღწერასა და თჳთ სახედ ნაკუფთსა მისსა წარიკით-
ხუფნ და იხილუფნ მსურუფლნი რუსულად დაწერილსა ჩემგან
წიგნსა: Историч. взгляд на состояние Грузии под
властью царей Магометан. Тифлис. 1849 стр. 66.

პ. ი.

ხსენებლად საუკუნოდ და თავს-მდეგ ყოფილა სულიერი
ვინმე ფილოთეოს, ამისთჳს სახელად უწოდეს მონას-
ტერსა მას ფილოთეოს, რამეთუ აღმაშენებელნი (41)
მეფენი: ლეონ და ძე მისი ალექსანდრე პალატსა შინა
სახიან მტჳრთუფლი მონასტრისა მის. მეფე ლეონ ხა-
ტია ტანითა მომაღლო, მოხუცებული, მწითური, ცხჳრ-
კავი, თმითა და წვერითა სპეტაკი, მოსილი გჳრგჳნითა
და პორფირითა. ხოლო ალექსანდრე მეფე ჰასაკითა მცი-
რე, მშუფნიერ-სახილავი, თმითა მოშავო, მოსილი იგიცა
გჳრგჳნითა. წელნი არიან მას აქეთ გარდასრულნი ორას
ოცდა ხუთი და არს მას მონასტერსა შინა მათ მეფეთა
მოხსენება სამარადისოდ მწუხრად და ცისკრად. და
ესრეთ ნეტარება მივეც მათ, და სხუათაცა ესე ვითარ-
სა, ვინცა სულსა თჳსსა მოხსენებასა დაუუნჯებენ. და

უკეთუმცა აქა არა დაეწესებინათ მოხსენებაჲ თჳსი, საქართუ̃ველოთამცა შინა აღხოცილ-იყო სრულიად ვინაობაცა მათი. რამეთუ ამან ღუ̃თის-მსახურმან მეფემან ლეონ განაახლა და ხელ-ახლად აღაშენა აღოხრებული თურქთაგან საფლავი ქრისტესი და გოლგოთა, რამეთუ არს მათ მეფეთაგან შემოწირული კახეთს სოფელი ხოდაშენი. შენ არს მონასტერი ესე ადგილსა მთასა ტყიანსა, ხეხილნარითა და ვენავითა, წყარო-წყლითა და ჰავითა კეთილითა შემკული ([42]).

([41]) ესენი არ იყუ̃ნენ აღმაშნებელნი, არამედ განმაახლებელნი. ამათ აღუშნებიათ მხოლოდ მრთლივ დიდი და ვრცელი პალატი სატრაპეზო, რომლისა სიგრძე არის 32 ბიჯი, და თჳთ აქა ხატიან.

პ. ი.

([42]) ძუ̃ელი ხოდაშენი იყო მთათა შინა და აწ გაოხრებულია. დღესცა ჰსჩანან მონასტრისა ამის დიდნი შენობანი და

მისუ̃ლვა მონასტრად კარაკალოსად

8.

მივედით კარაკალოსა ტაძარსა წმინდათა მოციქულთასა პეტრე და პავლესა. ჰსცნეს რა მისუ̃ლა ჩუ̃ენი, მოგუ̃ზგებნენ ძმანი და მამანი და შეგჳძღუ̃ნენ გალობითა და კეროვანებითა წესისაებრ მონაზონთასა და თაყუ̃ანის-ვეცით ტრაპეზსა და ნაწილთა. არს მუნ თავი მოციქულისა ბართლომესი, სხუ̃ა ნაწილი პროკოპისა, მერკჳრისი, იოანე მოწყალისა და მარინასი. ესე მონასტერი აღუშენებია მეფესა რომთასა კარაკალოსს და მისსა შემდგომად განუახლებია ვლახთა ბატონსა. თჳთცა აქა მოსრულა და მონაზონ ქმნილა. სახელად პახუმი უწოდებიათ, და დაყუდებულა ტყეთა შინა და კუ̃ალად განშორებულა, და აწ საფლავიცა არა უწყიან, თუ სადა მიიცუ̃ალა უდაბურთა შინა.

ამისა შემდგომად გუმბათი და პალატი დაქცეულა და განუახლებიათ და ტყჳვით გარდაუჭედიათ არჩილს მეფესი იმერთასა, გიორგის ძმასა მისსა და ვახტანგ ქარ-

თუ̈ᲬᲚ მეფესა და აშოთანს, და არს დღითი დღე მო-

თჳთ ეკკლესია ვრცელი. 1730 წელსა მეურნეთა ბერძნისა არ-
ხიმანდრიტთა დაუტევეს ადგილი ესე ლეკთა შიშისა-გამო და
აღაშნეს მთისა კალთათა საყდარი და კოშკი, სადაცა არს დღეს
სამყოფო მათი და ყმათა ამა მონასტრისა არხიმანდრიტი კესა-
რიოს, ერთი ესე ვიღატთა მეურნეთაგანი იმყოფებოდა ხოდა-
შენს განმგედ ხოდაშნისა შეწირულობათა 15 წელს, და აწ
პირუ̈ᲬᲚობს ფილოთეოსის მონასტერში ათონისა მთასა.
მრავლად შეძინებული ქართლსა და კახეთსა, ამშუ̈Წნიერებდა
მონასტერსა თჳსსა, სადაცა დავჰყავ მასთან ერთი ღამე.
პ. ი.

ხსენება მათი, და არს მონასტერი პატიოსანი მთასა და ტყიანსა ადგილსა, წყლითა და ჰავითა კეთილითა შემკულსა.

აწ კიმიტირისათჳს ვიტყოდეთ (რომელ-არს საძუ̈ა-ლე მამათა). რამეთუ გარეთ მონასტრისა აქუ̈ს მცირე ცადაქნილი პალატი ვითა სახლი, და ზედ საყდარი ადგს. მიიცუ̈ალების რა მონაზონი, დაფლუ̈Წნ და შემდგომად სამისა წლისა აღმოიღებენ ძუ̈ალთა და სახლსა მას შინა დააწყობენ და ზედეთ ეკკლესიასა შინა სამარადისოდ შაბათთა წირუ̈ა არ გაჰსწყდების და მოხსენება მათი. ესე კიმიტირისა წესი ყოველთა მონასტერთა არს.

მისუ̈ლა მონასტრად პავლესსა
9.

მივედით მონასტერსა პავლესსა, ტაძარსა წმინდისა მოწამისა გიორგისასა. გუ̈Წტყოდენ, ვითარმედ მეფეთა ძე პავლე მონაზონ ქმნილ-არს, და აღუ̈შენებია მონას-ტერი ესე და აქა დაყუ̈დებულა, და ამისთჳს პავლეს მო-ნასტერს უ̈წოდენ. ადგილსა კლდესა მაღალსა ტაძარია მშუ̈Წნიერი და პალატნი და სენაკნი ფრიად პატიოსან-ნი. და არს მას შინა ნაწილი: ფერხი წმინდისა გრი-გოლი ღუ̈თის-მეტყუ̈Წლისა და მოგუ̈თაგან მოღებული მური. ამისა შემდგომად დაძუ̈Წლებულა რა, გაუახლე-

ბიათ მეფეთა ბულღართა, რამეთუ რუსთა ენითა ილო-
ცუ̈ნ მუნ და არს მღუ̈დელთ-მთავარი ვინმე მუნ რუსი,
ადგილისათჳს წმინდისა მონაზონებისა ცხოვრებისა შემ-
ტკბობი.

შესუ̈ლა მონასტრად დიონისიოსსა
10.

მივედით მონასტერსა დიდებულსა დიონისიოსსა, სა-
ხელსა ზედა აღშენებულსა შობისა წინა-მორბედისასა,
და ჰსცნეს რა მისუ̈ლა ჩუ̈ნი, ჰკრეს ზართა და მოგუ̈ნ-
გებნენ მამანი და ძმანი და წესისაებრ მონასტერთასა
შეგჳძღუ̈ნენ და თაყუ̈ანის-ვეცით ტრაპეზსა და საშინელ-
სა მას თავსა იოანე ნათლის-მცემელისასა, და ვიხილეთ
დიდად საწადი თაყუ̈ანის-საცემელი იგი. რამეთუ ფრი-
ად შეუმკჳათ ძუ̈ლთა მეფეთა. უზის შუა კეფასა ზედა, ია-
გუნდი ერთი ტრედის კუ̈ნრცხის-ოდენი და სხუ̈ა დიდ-დიდი
ლალები და მარგალიტნი, და არს ხელი წმინდისა სტე-
ფანე პირუ̈ლ-დიაკონისა, და მკლავი იოანე მოწყალისა
და არს მუნ ხატი იგი ყოვლად-წმინდისა, რაჟამს კონ-
სტანტინეპოლეს სკჳთნი და ხაღან შემოადგეს და ლიტა-
ნიად განვიდა პატრიარხი გერმანე და აღიპყრო ხატი
იგი და ოცდა ხუთი მუხლი აკატისთო წარმოჰსთქუ̈ა, და
იხსნა ვედრებითა ღუ̈თის-მშობელისათა ქალაქი იგი წარ-
მართთა მოსუ̈რისაგან. იგი ხატი მეფესა ალექსი კომ-
ნინს შემოუწირავს, და არის მონასტერი მომცრო და
მშუ̈ნიერი, პალატი დიდი და პატიოსანი და მიგჳძღუ̈-
ნენ მამანი და დაგუ̈ასადგურეს, რამეთუ ვიკითხჳდით
რა, ვითარმედ ვის მიერ აღშენებულ-არს, გუ̈ნტყოდენ
ვითარმედ, დიონისიო ვინმე სულიერი მამა მუ̈ნდრებელ-
იქმნა მეფეთა ქართუ̈ლთა და მათ აღაშენეს და სახე-
ლი თუ რომელი მეფე იყო, ვერ შევიტყევ ([43]); ესე

([43]) დიდად მსუროდა წერილთაგან ამა მონასტრისა შემე-

ოდენ შევიგენ; ქართუᲗᲚთ მონასტერი ევთიმისა და გი-
ორგისა აღშენებული, და ესე ორივე ერთი საწინა-
მძღუᲠო ყოფილა და საᲖრდოც და Ხარჯიცა ერთი ყო-
ფილა. მცირედნი ჟამნი არიან, ვინაᲗთგან ესენი განთჳ-
სულან და მუნ ყოფასა ᲩუᲗᲜსა იყო მონაᲖონი ვინმე შე-
ყენებული და ეგრეთ ვგონებდი თუ არს Ბერძენი; Ხო-
ლო იგი ქართულად მეᲖრახებოდა და ვჰკითხჳდი რა, თუ
ვინ Ხარ, მამაო? Ხოლო იგი მეტყოდა, ვითარმედ ქარ-
თუᲗᲚი ვარ სოფლისაგან უსისტყისა, ყმა საყდრისა სამ-
თავისისა. ოᲮრებასა ქართლისასა ლეკთაგან დატყუᲗᲜებულ
ვიქმენ და მომიყუანეს კოსტანტინეპოლეს და მიყიდა
თურქმან ვინმე უკეთურმან და წარმიყუანა სახლად თჳსად
და მაიძულებდა დატევებასა ჰსჯულისასა და მე შორს
განუგდებდი სიტყუასა ამას და მქენჯნიდა და მრავალ-
სა სატანჯუᲗᲚსა მიმცემდა, და სახუნელთა Ხართასა შე-
მაგდო ოთᲮისა წლისა ჟამსა. და მეტყოდა ვითარმედ,
უკეთუ იქმნე მაჰმადიანი, განგათავისუფლო და მოგცე
საფასეცა; Ხოლო მე უარის-მყოფელად წადილისა თჳსი-
სა რა მიᲮილვიდა, რამეთუ მგუᲗᲜმდა უწყალოდ და სიქადულ-
სა მექადოდა, და ვეტყოდი: მაცადე ღამესა ამას და სიტყუა

სიგელთა ვსცან მᲮოლოდ, რომ მონასტერი ესე დაფუძნდა
Ბერძნთა კეისრისაგან ალექსი კომნინისა, რომელმანცა უᲑო-
ძა მას გრამატა ოქრობეჭდიანი (ᲮრიᲖოვული) წელსა 1375.
იმპერატორი ესე მოიᲮსენებს აქა: „ნებითა ღუთისა
მეფე და თჳთ მპყრობელი აღმოსავლეთისა, ივერთა და პერატი-
სა ალექსი დიდი კომნენი“. ესე ალექსი კომნენი იყო ნამდჳლ
იმპერატორად ტრაპეᲖუნტისა და ეპყრაცა დროთა მათ
ლმანა, აჭარა და სᲮუანისა ირისესა გარემო ადგილები, ქარ-
თუᲗᲚთა სავანენი. – ვჰგონებ, ამა მიᲖეᲖით უწოდებენ მონას-
ტერსა ამას აღშენებულად ქართუᲗᲚთა მეფისაგან.

პ. ი.

გიგო Ხუალისად და წარვედ და მოვიყიდენ სანთელნი,
და შევედ ეკკლესიად და აღუანთენ და ვევედრებოდი
ყოვლად-წმინდასა ღუთის-მშობელსა ცრემლითა და ვე-

ტყოდი: ტყუჱ-ქმნილისა ამის და გლახაკისა და უცხოება-
სა შინა მყოფისა ხელის-ამპყრობელო, შენ უწყნი და
შენ იცნი უწყალო ტყუჱობა და შეჭირუჱბა ჩემი, და-
მიხსენ მე ტყუჱობისა ამისგან მწარისა და შემწე
მეყავ მე. ვევედრებოდი რა ამას, მიმერულა, და აჰა, ვი-
ხილენ ორნი მოხუცებულნი ნუგეშინის-მცემდეს და მე-
ტყოდენ: მხნე იყავნ თეოდორე, და ნუ გარდახდები სა-
რწმუნოებასა შენსა; რამეთუ ცოდუათათვის ქუჱყანისათა
მიუშუჱბს ღმერთი განსაცდელსა და ტყუჱობასა; არამედ
ღმერთი მოწყალე-არს მუჱდრებელთა თჳსთა ხსნად ჭირ-
თა და მწუხარებათაგან. განვიღჳძე რა, მადლობა შევჰსწი-
რე ყოვლად-ძლიერსა ღმერთსა, წარმოვედ და ვეტყოდი
მე თურქსა: ასოეულად დამჭერ; ესე ნებასა შინა შენსა არს,
და დატევება ჩემგან ჰსჯულისა არა იქმნების. ამისთჳს
უმეტეს უწყალოდ იწყო გუჱმად ჩემდა და აღვდეგ ღამე-
სა მას და წარვვედ მდინარისა ნაპირსა, და ზღჳსა
მახლობელად ტყეთა შინა იყო ნაქცევი რაჲმე ეკკლესია
და მას შინა დავიმალე და მოვიდნენ თურქნი იგი და კარ-
სა ნაქცევისა მის ეკკლესიისასა და მიხილეს მე და ვერ
შეუძლეს შინა შემოსუ̂ლად მას კარსა; ძალმან
რამე სამღუ̂თომან არა უტევა, და გარედამ მიხმობდენ;
გამოვედ გარე. ვიდრე დღედმდე სამად, იდგნენ მუნ. ხო-
ლო მე შეურუჱბული აღვსდეგ, რამეთუ მაქუ̂ნდა მცირე
რამე ცულაკი და მწადდა მით ცემაჲ თავსა მათსა. ხო-
ლო შუა ადგილად რა მივიწიე, მიპყრა ხელი ძალმან რა-
მე სამღრთომან, და არა მიტევა გარეგან განსუ̂ლად.

ამისთჳს ვერღარა შემოსრულნი შინა წარვიდეს. ხოლო
მე მოვიხილვიდი თუ ვინ არს, რომელმან განმზიდა და
არავინ ვჰპოვე. და გამოვედ მუნით და ნაპირსა ზღჳსასა
შთავედ და მომხედნა ღმერთმან, რამეთუ დამხუ̂და მუნ
ნავი ქრისტიანეთა; შთამსუ̂ჱს მათ და გამომიყუ̂ჱანეს
მთად-წმინდად და მიველ სენაკსა ვისმე ბერისასა და
ვმსახურებდი. ხოლო ღამესა ერთსა ვსდეგ რა გარეთ,
მესმა ხმა რაჲმე, რამეთუ მეტყოდა: თეოდორე, თეოდო-
რე, ამიერიდგან წარვედ მონასტერსა დიონისისსა, სადა
მუნ უფალმან დაგიფაროს; და ვიკითხეჳდი გზასა მონას-
ტრისასა და მოვაწიე აქა. და იღუმენსაცა ჩუჱნება ეხი-

ლუა მისულისათჳს ჩემისა, რაღა აღმკუფცოს მე მონა-
ზონად და მოვიწიე რა, იღუმენმან მჰსწრაფლ მონაზონ
მყო და დავემკჳდრე სენაკსა რასამე მარტოსა, და მუნ
ვარ მე მდაბალი მმადლობელი ღუთისა.

და კუალად გჳთხრობდენ ვითარმედ, არიან აქა სხუა-
ნიცა ქართუფლნი მამანი და ვიხილე გაბრიილ მონაზო-
ნი იმერელი ღუანკითელი (44) და ლეონტი დაღეთელი,

---

(44) მცირესა დაბასა, რომელსა ძუფლად ეწოდებოდა აპო-
ლონია და აწ ერისო და რომელიცა შორავს ათონისა მთიდამ
6 საათის სავალით არს კათედრა სამღუდელ-მთავრო, განმგე
არიხოჲსა ეპარხიისა და მთისა წმინდისა. ცემს აქა დაბასა ამას
ყოფნასა ეპისკოპოსობისა პატივსა 1768 წელსა ამ ერისოჲსა
ეპარხიისათჳს, და რადგან არა ინება მისულა კონსტანტინო-
პოლედ, ამისთჳს ჴელ-დასხმულ-ქიმნა კარეასა და აღასრულა
ცხოვრება თჳსი ერისოს შემდგომად 10 წლისა ეკკლესიის
განმგეობისა, ესე იგი 1778 წელსა, დიდსა ეკკლესიასა ერი-
სოჲსსა მიჩუფნა მე მან საფლავიცა მისი.

პ. ი.

და სერაფიმ ქართუფლი, ფრიადისა მონაზონებისა შემ-
ტკბობელნი და ვადიდე ქართუფლთა ხელის-აღმპყრობელი
და ყოველთა მსხნელი წმინდა ღუთის-მშობელი. და
ფრიადცა სარგებელ-მეყო ხილუა და ამბავი მათი. – კუა-
ლად ვიტყოდეთ. ჰსჩანს მონასტრიდამ უდაბურსა კლდესა
შინა ძუფლი რამე ეკკლესია და მეტყოდენ მისთჳს, ვი-
თარმე ეგუტერი არს და წლითი-წლად აღვალთ და
დაგჳკჳრდა, თუ ვისიმე იყოს. ამისა შემდგომად მწყემსი
ვინმე მოვიდა და გუფტყოდა: ძოვნასა ცხოვართასა ვი-
ხილე ახლო ეგუტერისა მის კლდეთა შინა მონაზონი
ვინმე ძონძითა მოსილი მიცუალებულ-არს, ვინ არს იგი?
ხოლო ჩუფნ უმეცარნი ამისნი აღვედით მჰსწრაფლ, და
წარვედით და ვიხილეთ მიცუალებულილ ხელთა ძაფისა
იგი კრიალოსანი ეტჳრღა და მეორისა ხელითა ქარტა
ეტჳრთა, და აღმოუღეთ ქარტა, რამეთუ იყო რუსული და
გუფპოვა აღმომკითხუფლი რუსულად, რამეთუ ეწერა ეს-
რეთ: « მე მდაბალი რუსი ვარ ეპისკოპოსი, რამეთუ ში-
« შისათჳს და ხუაიშნისათჳს დღისა განკითხჳსა დაუტევე

« ეპისკოპოსობა და აქა მთად-წმინდად მოვიწიე სინანუ-
« ლად და ვინცა იხილოთ გუამი ჩემი სიყუარულისათჳს
« ქრისტეს-მიერისა მიეცით მიწა მიწასა » და აღვიღეთ
შიშითა დიდითა და შევმურეთ ჯეროვანად, დავასუნეთ
სამარხოსა მამათასა. – იყო კუალად მუნ მცირისა ათონისა
კლდეთა შინა შეყენებული ვინმე მონაზონი კეთილი გრი-
გორიოს კახი საალავერდლო. ამისა შემდგომად აღვი-
ღეთ ლოცუაჲ ძმათაგან და წარმოვედით სხუად მონას-
ტრად გრიგორიოსსა.

შესლვა მონასტრად გრიგორიოსსა.
11.

მივედით მონასტრად გრიგორიოსსა, ტაძარსა წმინ-
დისა ნიკოლოოზისსა, ზღუასა ზედა გარდაკიდებულსა.
ჰსცნეს რა მისულა ჩუჷნი, მოგუჷგებნეს წესისაებრ მო-
ნასტერთასა მამანი და შეგჯღღუნენ ტაძრად და თა-
ყუანის-ვეცით წმინდათა ნაწილთა. მთლივ მკლავი და
ხელი ანტონი რომაელისა (45) იყო მუნ, და სხუანი წური-
ლნი ნაწილნი. გამოვედით ვიხილეთ მონასტერი და
ეკკლესია მცირე და ადგილი კეთილი, ზღუასა ზედა გარ-
დაკიდებული. ვკითხჳდით რა ვის მიერ აღშენებულ-არს?
გუჷტყოდენ ვითარმედ, გრიგოლი ვინმე შეყენებულმან
იწყო შენობად მონასტრისა, საფასითა ბულღართა მეფე-
თათა (46), ამისთჳს გრიგორიოსს უწოდნენ, არამედ სახელ-
სა ზედა წმინდისა ნიკოლოზისასა არს აღშენებული და
შეგჯტკბეს კეთილად და გჯუცხოთ-მოყვარეს. ხოლო
შემდგომად არა მცირედისა, აღვიღეთ ლოცუაჳ მათგან
და წარვედით მონასტრად სჳმონ-პეტრესსა.

---

(45) ესე შეცთომით დაუწერია ტიმოთეს და ანუ გარდა-
მწერალსა. ნაწილნი არიან არა ანტონისა, არამედ ანასტასია
რომაელისა, რომელსა დღესასწაულობს ეკკლესია 29ოკდომ-
ბერსა.

პ. ი.

(46) დიდად მომეწონა მცირისა ვეცხლისა კანდლისა ძუჷლა-

დგან შეწირულისა ზედა-წარწერა: „ესე არს ლოცუა კეთილ-
მსახურისა მარიამ პალეპლოღისა მოლდავიისა მთავრინასი“. –
იგი ჰკიდია მნთებარედ წინაშე ყოვლად-წმინდისა ღუთისა დე-
დისა ხატისა.

პ. ი.

მისულა მონასტრად სჳმონ-პეტრესსა.

12.

მივიწიენით მონასტერსა კეთილ-პატიოსანსა სჳმონ
პეტრესსა, რამეთუ ტაძარი არს აღშენებული სახელსა
ზედა შობისა უფლისა ჩუჷნისა იესოს ქრისტესსა, და აღვედით
კლდესა ზედა მაღალსა და მოგუჷგებნენ მამანი და ძმა-
ნი წესისაებრ მონასტერთასა; მოგუართუჷს მდინარე და
შეგჳძღუნენ შინაგან ტაძრისა და თაყუანის-ვეცით ტრა-
პეზსა და წმინდათა ნაწილთა. იყო მუნ თავი პავლე აღ-
მსაარებელისა, და მთლივ ხელი და მკლავი მარიამ მაგ-
დანინელისა, და შეგჳძღუნენ სადგურად და მიმო-რა ვი-
ხილჳდით ესრეთ მაღალსა კლდესა ზედა, არს ზღუა და
მას შინა ხომალდნი უფსკრულსავით ჰსჩნდეს. მონას-
ტერი და ეკკლესია კეთილად ნაშენი, და ვკითხევდი რა
ვის მიერ აღშენებულობასა მისსა, მათ მითხრეს, ვითარმედ
სერბთა ბატონსა იოანეს ესუა ასული უტყჳ და მიესმა
ამა ადგილსა შეყენებულისა სჳმეონის ღირსება, აწჳა
კურნებად ასულისა თჳსისა და განჰკურნა უტყუჷბისა მის-
გან და მისთვის აღუშენა აქა მონასტერი ესე. ხოლო
ეწოდება სჳმონ ბერისა სახელი და პეტრა ქუასა ეწო-
დების, და შეგჳტკბეს კეთილად და აღვიღეთ ლოცვაჲ და
წარმოვედით მუნით ქსიროფოტამად (47).

---

(47) სიგელისაგან თჳთ იოანესსა, რომელსა ეწოდებოდა უღ-
ლეში, ჰსჩანს რომელ ცხოვრებდა იგი წელსა 1623. გარნა
სხუათა წერილთაგან იხილუება დაფუძნება მონასტრისა რავდე-
ნისამე საუკუნითა უძუჷლეს.

მისულა მონასტრად ქსიროფოტამად ([48])

13.

მივიწიენით მონასტერსა ქსიროფოტამს დიდებულსა
მას ტაძარსა წმინდათა ორმეოცთა სევასტიელთასა.
ჰსცნეს რა მისულა ჩუჷნი, ჰკრეს ზართა და მოგუჷგებ-
ნენ მამანი მდინარითა და კუჷრთხითა, და შეგჯძღუნენ
წესისებრ მონასტერთასა, და თაყუანის-ვეცით ტრაპეზ-
სა და ძელსა მას ჭეშმარიტსა, რომელი შემოჰსწირა
რომანოზ მეფემან ბერძენთამან, აღმაშენებელმან ([49]), და
არს მუნ ფერხი წმინდისა მოწამისა პროკოპისა და ნა-
წილი ორმეოცთა და მოგუართუჷს ომფორი და მოხსე-
ნება აღმაშენებელთა მეფეთა გარდავიხადეთ. ხოლო იყო
მაშინ თჳთ დღესასწაული წმინდათა ორმეოცდა. მონას-
ტერი და ეკკლესია დიდად პატიოსანი, და იატაკთა ქჳთა
მარმარილოთა ხუროებულობა ჩინელთა ხუროვნებასა
ჴელოვნებათასა გააცუდებდა და მეტჳრთა კუჷრთხი სრუ-
ლიად ქარჳსა მურასად მოჭედილი, და შეგჯძღუნენ სა-
ვანედ და განგჳსუჷნეს სულიერად და ხორციელად. და

([48]) ლექსი ესე ნიშნავს ხმელსა მდინარესა ადგი-
ლი ესე არს ნაკადად წჳმისა წყალისა და ამისთჳს, ოდეს არა
მოდის წჳმა, ჰსჩანს ხევი ხმელი ანუ უწყლო.

პ. ი.

([49]) ესოდენისა სიდიდისა ძელი ჭეშმარიტი აარღა სადა იპო-
ვება. სიგრძე მისი არის მტკაველზე მეტი და სიგანე ორის
თითის სიგანისა, ფერით მოშავო, მჰსგავსი ყოვლად იმა ნა-
წილისა, რომელიცა ასუჷნია კახეთს ალავერდის ეკკლესიის ტრა-
პესზედ. თჳთ ესე ალავერდისა ძელი ჭეშმარიტი არის ესოდენ
დიდი, რომელ შეინიშნა ევროპაშიაცა. ამისთჳს მოიხსე-
ნებს ფრანცუხისა მწერალი წიგნსა: Dictionnaire des origi-
nes, decouvetes ets. Tom. 11, pag. 418, (paris 1777).

პ. ი.

ვკითხჳდი რა, მითხრეს ამა მონასტრისა შენებისა მი-
ზეზ ქმნილ-არს ღირსი პავლე დაყუდებული, ძე მეფეთა ([50]).
ხოლო შემდგომად ორთა ამათ მონასტერთა აღშენებისა
პავლე წარსრულ-არს კიევსა და მუნ მიცულილ-არს ფე-
ჩერის მონასტერში. სახე ვნახე მისი უწუჷრული და
უჰასაკო ყოფილა. გაბრიილ ქართუჷლი და პავლე ერთად

ესახნეს და აღმღებელნი ლოცუათა მათთანი წარმოვედით მონასტრად როშთასა.

---

(50) ამა მონასტრისა წიგნთა-საცავში ანუ ბიბლიოტეკაში ვჰპოვე ბერძნული სახარება ტყავზედ დაწერილი 1436 წელსა, რომელზედაც ეწერა რუსულად: Из книг Парфения Небозы. ესე პართენი ნებოზა იყო რუსი და შემდგომად გრძელ-ჟამითისა მოგზაურობისა აღმოსავლეთისა კერძოთა შეესწავა ენაჲ ბერძული და მაღალისა ღირსებისათჳს მისისა დაიდგინა მიტროპოლიტად ნაზარეთისა და ექსარხად ყოვლადისა გალილიისა. მერეთ გარდაყუანილ-იქმნა მიტროპოლიტად ლაოდიკიისა, და აქა ქალაქსა კიზიკლ განაჩინა წირუა დალოცუა სლავენურისა ენითა. ხოლო წელსა 1688-სა, ოდეს პატრიარქმან კონსტანტინეპოლისა დიონოსიმ განათავისუფლა ეპარხია კიევისა უწყებისაგან თჳსისა და შთააბარა იგი მოსკოვისა პატრიარხსა, დაუტევა მან ეპარხია თჳსი და წარვიდა მოსკოვსა. დიდმან პეტრე, ოდეს დაიპყრო აზოვი და განაჩინა მუნ ეპარხია, მიუბოძა მას იგი და ამან არა მნებებელმან ამა ადგილისა, მიიღო ეპარხია არხანღელისა, სადაცა მსურუწლი წარსულისა, გზაზედ გარდაიცუალა წელსა 1703.

... აქავე ვიხილე ძუწლი ხატი წმინდისა დიდისა მოწამისა დიმიტრისა, რომელიცა ესუწნა კონსტანტონეპოლეს აიასოფიოს ტაძარში და აქედამ მოუსუწნებია იდუმალ თურქთაგან მოსყიდჳთ მისს ჟამის პატრიარქის სინკელის გრიგორის. – ესრეთ ჰსჩანს ზედა-წარწერისაგან.

პ. ი.

შესულა მონასტრად როშთასა (51).

14.

მივედით მონასტრად როშთასა, ტაძარსა წმინდისა მოწამისა პანტელეიმონისსა მთასა შინა ფრიად მაღნაროვანსა, წყლითა და ვენახითა მდიდრად შემკულსა. მოგუწგებნენ მამანი და ძმანი და შეგჳძღუნენ ტაძრად. შევედით რა, თაყუანის-ვეცით ტრაპეზსა და ნაწილსა წმინდისა პანტელეიმონისსა, და იყო ეკკლესია ფრიად ძუწლი და დახატულობა უცხო, და შეგჳძღუნენ სავანედ და ვკითხჳდი ვის მიერ აღშენებულობასა, და გუწტყოდენ, ვითარმედ ესე აღაშენა სერბთა ბატონმან ლაზარემ, და აღშენებისა შემდგომად არა მრავლისა ჟამისა წარმართთაგან ქრისტეს აღსაარებისათჳს მოწამეო-

ბისა გჳრგჳნი მიუღია. და პატივ-გუცეს, და უცხოს-მოყუარებისა პატივითა შეგჳტკბეს. ხოლო ამისა შემდგომად აღჳღეთ ლოცვაჲ მათი და წარმოვედით ქსენოფს.

---

(51) რუსხიკო, ე. ი. რუსთა მონასტერი. ჩემსა მუნ ყოფნასა (1849) შესრულებულ-იყო ახლად აღშენებული მშუჱნიერი და ვრცელი ეკკლესია სახელსა ზედა წმინდისა მიტროფანესსა.
პ. ი.

მისულა მონასტრად ქსენოფს
15.

მივიწიენით მონასტერსა ქსენოფს ტაძარსა წმინდისა მოწამისა გიორგისასა, ზღუასა ზედა ფრიად ნაპირსა და კეთილად შემკულსა წყლითა და ტყითალ და ჰსცნეს რა მამათა, მოგუჱგებნენ წესისაებრ მონასტერთასა და შეგჳძღუნენ ტაძრად და თაყუანის-ვეცით ტრაპეზსა და ვიხილეთ მონასტერი მომცრო, არამედ ხელოვნად შენებული. ბჭენი ტაძრისანი იყუნეს უცხოსა წითლისა იასპისა ქჳსა, რამეთუ ფრანგნი ოცთა და მეტთა ვითარმედ ქისისა თეთრთა აძლევდნენ და არა განყიდეს. ხოლო სადგურად რა მივედით, ვკითხეთ აღმაშენებელი მისი; გუჱტყოდენ, ვითარმედ ესე მონასტერი აღაშენა წმინდამან მამამან ჩუჱნმან ქსენოფორე, და შემდგომად განუახლებია ვლახთა ბატონსა მატთეს. – შემდგომად არა მრავლისა ჟამისა, აღჳღეთ ლოცუა და წარვედით.

---

(52) აქა არს წყარო მჟავისა წყალისა, რომელსაცა წამლად სხარობენ მთაწმინდისა ძმანი საკურნებელად ზაფრისა.
პ. ი.

შესულა მონასტრად დუქარიოდ (53)
16.

მივიწიენით მონასტრად დიდებულსა დუქარიოსს, ტა-

ძარსა წმინდათა მთავარ-ანგელოზთასა. ჰსცნეს რა მი-
სულა ჩუენნი, შეკრბენ მამანი და მოუწეგებნენ, და ჩუენუ-
ლებისაებრ მონასტერთასა შეგჳძღვნენ ტაძრად და ვი-
ხილეთ ტაძარი დიდი და კეთილი შენებულება და თაყუა-
ნის-ვეცით ტრაპეზსა და ნაწილთა. რამეთუ იყო თავი
დიდისა დიონოსიისა ვისმე ღირსისა, და ვარშამანგი
წმინდისა დიმიტრისა, და გამოვედით და შევედით სა-
დგურად და შემოჰკრბენ მამანი, და ვკითხჳდი შენებუ-
ლებასა მონასტრისასა ვისა მიერ. ხოლო იგინი მეტყო-
დენ, ვითარმედ ადგილსა ამას პირუელად ეკუტერი მცი-
რე მთავარ-ანგელოზთა შენებულა და მდგარან ორნი
მონაზონნი აქა და ყრმა ერთი მოჰსწავლე მათ თანა.
დღესა ერთსა ბოსტნისათჳს ჰსთხრიდა ყრმა იგი მიწასა
ბარითა და იხილა ქუაბი სპილენძისა დაბურჳლი მიწათა
შინა. აჰსდგა რა, იხილა სავსე დრაჰკნითა. მოუწოდა
ყრმამან მან მონაზონთა მათ და უჩუენა საუნჯე დიდ-
ძალი და აღიღეს მონაზონთა საფასე იგი და დაკრძა-
ლეს. ხოლო შეიპყრეს ყრმა იგი, რათა არა განაცხადოს,
და მოაბეს ქუა მძიმე და შთააგდეს ზღუად. ვინაჲცა ღა-
მესა მას საკჳრუელებითა მთავარ-ანგელოზისათა, უმჰს-
ჯავროდ დასჯილი იგი ყრმა, ზღჳთ გამოყუანებულ-იქმნა
ქჳთურთ ყელსა ბმელითა, და შიგან ეკუტერისა იპოვა ყრმა
მძინარედ. ხოლო ცისკრისა ჟამსა, გარეშემოთაგან ლო-
ცუად შემოჰკრბენ სენაკებით მონაზონნი. მოიწინენ რა

(53) დოსარია. ლექსი ესე ნიშნავს პალატსა სასია-
მოვნოსა.

ეკუტერად, რათა კანონი ცისკრისა აღასრულონ, იხილეს
ყრმა მწოლარე მძინარედ შინაგან ეკუტერისა, და და-
ლტობილი სამოსელი წყლითა, და მობმული ქუა დიდი
ქედსა მისსა. და განაღჳძეს ყრმა და ჰკითხჳდენ ვინ
არს და ვითარ რამე შემთხუჩეს. ხოლო ყრმა იგი უმ-
ჰსჯავროსა მას დაჰსჯასა თჳსსა უკლებლად განუცხა-
დებდა მამათა მათ. ამისთჳს მამამან ნეოფიტე მუნ მი-
სრულმან უბადრუკნი იგი მონაზონნი უნებლიეთ მოა-
ყუანინა და მძიმესა კანონსა შთაყარნა, და სხუაგან ექსო-
რიებით დასაჯნა და პოვნილითა მით საფასითა აღაშენა

მონასტერი ესე. ხოლო ყრმა იგი, მთავარ-ანგელოზთა-
გან აღმოყუანილი, იქმნა მონაზონ და იქმნა ფრიად
რჩეულ და უკანასკნელ წინამძღუარ მონასტრისა ამის,
სადაცა ეწოდა ვარნავა. ხოლო ყელსა ნაბამი იგი ქუა
თუალითა ვიხილეთ და ვადიდეთ მცუწლი და მფარუწლნი
ჩუწნი წმინდანი მთავარ-ანგელოზნი. და შემდგომად არა
მრავლისა ჟამისა აღჯღეთ ლოცუა და წარმოვედით
სხუად მონასტრად.

შესულა მონასტრად კოსტამონად (54)
17.

მოვედით მონასტრად კოსტამონად, ტაძარსა წმინ-
დისა მოწამისა მთავარ-დიაკვნისა სტეფანესსა, და ჰსცნეს
რა მისულა ჩუწნი, მოგუწგებნენ მამანი მცირედნი ვინმე
და შევედით და თაყუანის-ვეცით ტრაპეზსა, და განჯ-
ხილჯდი რა, მონასტერი არს მცირე და კეთილი
ადგილი მთა. და ვკითხეთ ვის მიერ აღშენებულობა.
და იგინი მეტყოდეს: კოსტას მიერ აღეშენა, მეფისა ძისა დიდი-
სა კონსტანტინესსა, და განჯსუწნეთ ტრაპეზად მათდა,
და შემდგომად მცირედისა ჟამისა აღჯღეთ ლოცუა და
წარვედით მუნით.

---

(54) კოსტამონი ეწოდა წაბლისა ტყისაგან ხშირისა გარე-
მო ადგილისა. კოსტა ბერძულად ნიშნავს წაბლსა და მო-
ნი უდაბნოსა.

პ. ი.

შესლვა მონასტრად უზოღრაფად (55)
18.

მივედით მონასტრად უზოღრაფად, ტაძარსა წმინ-
დისა მოწამისა გიორგისსა, მთასა შინა ფრიად მაღალ-
სა. ჰსცნეს რა მისულა ჩუწნი, მოგუწგებნენ მამანი
და ძმანი ბოლღარნი და სერბნი და წესისაებრ მონას-

ტერთასა შეგჳძღუნენ ტაძრად და თაყუანის-ვეცით ტრა-
პეზსა და ნაწილსა წმინდისა გიორგისსა და წმინდისა
დიმიტრისსა, და განვიცადეთ ტაძარი მცირე, არამედ კე-
თილად შემკული და გამოვედით და დაგუასადგურეს სრა-
სა ფრიად კეთილსა გარდაგებულსა. და ვკითხჳდი ვის მი-
ერ აღშენებულებასა მონასტრისასა; გუჰტყოდენ, ვითარ-
მედ იუსტინიანე ბერძენთა მეფისა ძმის-წულთა ეჩუჰნა
გამოცხადება რაჲმე სამღრთო, ვითარმედ მთას-წმინდად
ადგილსა მას რომელსამე აღმიშენოთ მონასტერი. და
მოიწივნენ რა აქა, იხილეს ქუაჲ და ზედა ჯუარი მარ-
მარილოსი, და შთაყარნეს საფუძუჰლნი და იწყეს შე-
ნებად. და განჳსუჰნეთ ჟამ-რავდენმე, აღჳღეთ ლოცუაჲ
და წარმოვედით მონასტრად სხუად.

---

(55) ზოგრაფი დაფუძნდა მეფობასა ლეონ ბრძნისა წელ-
სა 911. ზოგრაფი ნიშნავს მხატუარს, და მიეცა სახელი ხა-
ტისაგან წმინდისა გიორგისა. ნამდჳლ სახედ მისსა ძუჰლად
მშუჰნიერად დასატულისა პალესტინეს და მუნიდგან აქა მოღე-
ბულისა სასწაულით.

პ. ი.

მისულა მონასტრად პანტოკრატორად (56).

19.

მივიწიენით მონასტრად პანტოკრატორად ტაძარსა
ფერის-ცუალებისასა, მონასტერსა, ზღუასა ზედა გარ-
დაკიდებულსა, და კეთილად შემკულსა წყლითა და მთითა.
ჰსცნეს რა მისულაჲ ჩუჰნი, ჩუჰულებისაებრ მონასტერ-
თასა შემოკრბენ მამანი და მოგუჰგებნენ და შეგჳძღუ-
ნენ და თაყუანის-ვეცით ტრაპეზსა და ნაწილთა: რა-
მეთუ იყო ფერხი ანდრია მოციქულისა, თავი დიდისა
იოანნიკესი და სახარება იოანე გლახაკისა, რომელსა
ჟამადმდე მიცუალებისა თჳსისა აქუნდა, და იყო ფარი
წმინდისა მოწამისა მერკჳრისი. არს მონასტერი ძუჰლი
და პატიოსანი. ესე აღუშენებია მეფესა ბერძენთასა
ალექსი კომნინსა, და შემდგომად პატრიარხთა განუახ-
ლებიათ და შეგჳძღუნენ სავანედ და შემოჰკრბენ სული-

ერნი მამანი და ვიყავით კითხუა-მიგებასა შინა საწა-
დელსა და ღუაწლ-მრავლობისაგანთა მათ კიდეგანობა
არა მენება. არამედ შემდგომად დღეთა რაოდენთამე
ლოცვსა აღმღები მათგან, წარვედით მონასტრად სტა-
ვრონიკიტად.

([56]) ლექსი ესე ნიშნავს ყოვლისა-მპყრობელსა, რომლისა
სახელზედ აღუშენებიათ მონასტერი ესე.

პ. ი.

შესულა მონასტრად სტავრონიკიტად.

20

მივედით მონასტრად სტავრონიკიტად, ტაძარსა
წმინდისა მამისა ჩუენისა ნიკოლოოზისსა, მთითა და ვე-
ლითა, წყლითა და ვენახითა კეთილად შემკულსა და ერთ-
კერძო ზღვთ მოზღუდილსა. ჰსცნეს რა მისულა ჩუენი,
შემოჰკრბენ მამანი და წესისაებრ მონასტერთასა შეგვ-
ძღუნენ ტაძრად და თაყუანის-ვეცით ტრაპეზსა და ნა-
წილთა. რამეთუ ყბისაგან თავისა ნათლის-მცემელისა იყო,
ხელი და მკლავი ელევთერი მღუდელ-მოწამისა. და ვი-
ხილეთ ტაძარი მომცრო, და შეგვძღუნენ სადგურად მა-
მანი და სკეოფილაკი, და უცხოს-შეყუარების შეწყნა-
რებით შეგვტკბეს. ხოლო ვკითხვდი აღშენებისათვს მო-
ნასტრისა. გვთხრეს სულიერთა მათ, ვითარმედ დიონო-
სიოს პატრიარხი კოსტანტინეპოლისა, მოვლიდა რა
მონასტერთა, ჰსთნდა ადგილი ესე. და იწყო შენებად ამა
მონასტრისა. ხოლო ჰსთხრიდენ რა საძირკუჩლთა, გა-
მოჰსჩნდა ღრუ ქუჩუ კლდისა, შთაჰხედეს ძირსა, მონა-
ზონი ვინმე შეყენებული, შემოსრული ხუერელით მჯდო-
მარე იყო. ხოლო იგი ეტყოდა მას ცოდვლი ბერი ნიკიტა
ვარ. და ჰრქუა პატრიარხმან: რასა მუშაკობ მამაო და
იგი ეტყოდათ ჯუარსა ვჰსთლი. ამისა საკვრუჩლისა ხილვ-
სათვს უწოდეს მონასტერსა მას სტავრონიკიტა. სტავრო
ბერძულებ ჯუარი და ნიკიტა ბერის სახელი.

დავასრულეთ დიდთა მონასტერთა მოხილუა. ამისთჳს
წყალობისა მომცემელისა ღუთისა მიმართ ჩუნდა ნიჭ-
მრავლობისათჳს მადლობასა აღუავლებდი. ხოლო ამა მო-
ნასტერთათჳს რა აღვჰსწერენით. ვინაცა წურილთა მონას-
ტერთათჳს და მრავალთა სენაკებთა და ეკუტერთათჳს,

და შეყენებულთა ძმათათჳს ვინმცა უძლო აღწერად თჳ-
თოეულად. ნამდჳლ თავი მეუღირსებოდა ბაგითა უღირ-
სითა ამბორებად წმინდათა მათ, და მწიკულევანითა ფერხი-
თა დათრგუნუად ადგილთა მათ წმინდათა. ჰე ჭეშმარიტად
ესე ადგილი სახე არს მშუნიერებისა ზეცისა სუფევი-
სასა და საწუთოთა შინა ხილუა უსაცთუროთა; და ცხო-
ვრება მათი არა ჟამიერ და წუთებრივი; არამედ ძლიე-
რებითა სამარადისოთა შემოსილნი მამანი სანეტარონი,
სახედ ზეცისათა მათ ბანაკებად და გუნდებად განწყო-
ბილნი, განშორებულნი ქორწინებითა ძლითთა შებორკი-
ლებათაგან და ქუ-მეთრევთა ამათ ამაოთა დამტევებელ-
ნი ფრთითა მონაზონებისათა, და ბეჭთ-საშუალითა ჯუა-
რისათა ზე აღფრენილნი და მომლოდნენი აღფრენად
ზეცისა მას სუფევად, სადა არს ოხრა დღე-სასწაულთა
ხერუვიმებრი და საშუბელსა უოხჭონოსა გულის-სათქმელ-
სა მას უფროს ოქროსა და ანთრაკთა, და უტკბოსა უმე-
ტეს გოლეულთასა. ჰგებენ შესულად სასუფეველსა, ღა-
ღადებენ და გალობენ: უფალმან მწყსოს მე და არა მა-
კლდეს ადგილსა მწუანჳლოვანსა, მუნ დამამკჳდრა მე
წყალთა ზედა განსასუნებელთასასა ზეცისათა, მათ გა-
მომზარდნეს ჩუნ.

ამა მონაზონთათჳს და სხუათა ადგილთა წესთა ბრ-
წყინუალებისათჳს ტობიას მიმართცა ანგელოზი რაფა-
ელ გამოჩინებული მომეხსენების, რაჟამს ეტყოდა: (*) მე
გაუწყოო, რომელნი იქორწინებენ და მეძაობასა დაად-
გრებიანო, ვითარმედ ცხენი და ჯორი, რომელთა თანა
არა არს მეცნიერება და შემდგომი. ამისთჳს გამოისაჭუ-
რნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ღუთისა ამა მო-

(*) ტობია 5, 15

ნაზონთა დაუტევეს მამაჲ და დედაჲ და აგარაკნი, და
აღიღეს ჯუარი ძლევისა და შეუდგნენ უკანა ქრისტესა,
მწყემსთ-მთავრისა მის ჭეშმარიტისა. და ამათ არუესა მას
ზეცისათასა კარი განეღის, ვითარცა თჳთ იტყოდეს: ამან
მეკარემანცა განუღის და ცხოვართა ხმისა ჩემისა ისმი-
ნიან. ვითა ამათმან განცდამან ესენი გონებად მომიღო
ცხადი და ნანდჳლი. რამეთუ სისრულესა შინა სულიერ-
თასა ჭეშმარიტად ესენი აღიხუწნ სიტკბოებასა მას მხუ-
რუალებისა ღუთისასა გულთა შინა მათთა და კეთილითა
მით აღტაცებითა გონებისათა ფრინუწნ გულნი იგი მათ-
ნი ღუთისა მიმართ და იტყჳან: და ვჰსთქუ, ვინცა მცნა
მე ფრთენი ტრედისანი, აღვფრინდე მე და განჳსუწნო
უდაბნოსა შინა, მოველოდე ღმერთსა მაცხოვარსა ჩემსა
სულ-მოკლებისაგან და ნიავ-ქარისა; და შესძინენ ვითარ-
მედ სურინ სულსა ჩემსა შენდამი ღმერთო ძლიერო და
ცხოველო, ოდესმე მოვიდე და ვეჩუწნო პირსა შენსა.
ეჰა მთა ღუთისა, მთა პოხილი და შეყოფილი, ნეკტარი-
თა მით ცრემლთა მათთა ნაკადისა წმინდისა მდინარე;
მთა ესე რომელ ჰსთნდა ღმერთსა, რამეთუ უფალმანცა
დაიმკჳდროს იგი. ხოლო ღირსნი ესე მთით წმინდით
გამო მამანი, ვასახენ ვითარცა ვარსკულავი განთიადისა
ღრუბელთა შინა, და ვითარცა მთოვარე სისავსესა ჟამ-
თასა და ვითა აფროდიტი შორის მწყობრისა სამყარო-
თასა, და ვითარცა შროშანი თანა-წარსადინელსა წყალ-
თასა, ანუ ნორჩი ლიბანისა დღეთა შინა ივლისისათა,
და სარო ამაღლებული სისწორესა ღრუბელთასა, და ვი-
თარცა აღმოცენება ნაძჳსა ლიბანთა შორის. ხოლო ად-
გილთა ედემებრიობისათჳს და პირადობისათჳს მკელე-
ბათასა, რაჲ ვინმე ჰსთქუას. ქუწყანათა სამოთხეობა ვა-

სახენ მას, რომელთა შინა მშჳდთა დამკჳდრებასა სა-
უფლო ნეტარება მეტყოდა ჩუწნ. ხოლო მე ჭჳრობად
ამათთჳს ტკივნეულითა სულითა, ათასსა მადლობასა აღ-
ვავლენდი მწირობათა შინა ჩემთა უფლისა ჩემისა, რო-
მელმან ღირს აღმრაცხა სულიერსა მას მწყობრსა ღჳთი-
სა ცხოველისასა.

და აღვასრულეთ რა მოვლა მონასტერთა, და კუალად მი-
ვიწიენით მონასტრად ქართუზლთასა, იყო მწუხრი ბაია-
ობისა, და შემოჰკრბენ მამანი და იწყეს რეკად ზარისა,
და მწუხრად ვიდრე აღმოსულადმდე მზისა აღრიპინა (57)
გარდავივადეთ დიდებული. ხოლო დიდსა მას შჳდეულსა
და პარასკევსა სამარადისოდ ეკკლესიასა ვსდეგით მიმ-
დეთა მათ ზიართა ლოცუასა და ღამის-თევასა. შაბათად
მოიღეს გარდამოხსნაჲ მძიმედ შემკული ორი: ერთი

(57) ნიშნავს ღამისთევასა, რომელიცა დიდთა დღესასწაულ-
თა დღეთათჳს იწყება 5 საათსა მწუხრისას და დაბოლოვდება
წირჳთა დილით მზისა აღმოსულაზედ. ესრეთი ღამის-თევა
დაიწყება დიდის მწუხრისა არა კითხჳთა, არამედ გალობითა.
მერეთ შეუდგება ცისკარი ესრეთისავე განგეძელებულისა გა-
ლობითა. ჩემსა ყოფნასა ივერიის მონასტერში (1849 წ.)
ესრეთი ღამის-თევა განგრძელდა 12 საათსა და შევესწარ ორ-
თა დღესასწაულთა: მაისის 13, დღესა წმინდათა მონასტრისა
აღმაშენებელთა იოანესი, ევთჳმისი, გიორგი მთაწმინდელისა
და გაბრიილისა ქართუზლთა, და სულის წმინდის მოსულისა
დღესასწაულსა. სამღრთო მსახურება თხოვითა ჩემითა და მო-
სახსენებელად მშობელთა ჩემთა და ნათესავთა აღასრულა, მო-
სრულმან აქა ორის დღით წინა სულისა წმინდისა მოსულისა
დღესასწაულისა, ეპისკოპოზმან ერისოჲსა და მთისა წმინდისა
იოანიკემან.

პ. ი.

მარიამ დედოფლისაგან ქართუზლთასა შემოწირული, და
მეორე ბაგრატ მუხრან-ბატონისა დაჰფინეს. ვითარ
მოგითხრა, თუ მათ იგი ეკკლესია ვითარაღამკუზს
ბრწყინუალითა შესამოსელითა, მურასითა საყდრის იარა-
ღებითა, სახარებანი დიდ-დიდნი მძიმენი თუალითა მო-
ჭედილნი, ბარძიმი თულებითა მძიმენი მუღან-ბარანი
და მორთეს საყდარი ფარდებითა, და სერაფიმ-ქერაფიმ-
ნი და ოქრო-ნაცურუზბულნი ჯუარებითა და ხატებითა და
ალმებითა შინა ტაძრისა და გარეგან დიდის ორღანოს
მკურელის საათებითა ბრწყინუალესა მას ტაძარსა, ვითა
სძალსა სასძლოდ შემკულსა. ხმანი ელლინთა ყრმათანი
ისახებოდა მგალობლად საბაოთისა და ორღანოთა ხმათა
ზედა მისა ტურფად რამ გაეზიარა, და ეგრეთ გარდა-
ვიხადეთ დედოფალი და უფალი დღე-სასწაულთა ერთ-

შაბათი, და იყო ბურჯებით"მონასტრისათ ზარბაზანთა
ცემა ძლიერი და ტრაპეზობა უხუჩბით საღმრთოთა სპა-
რაზენთა მათ მონაზონთათჳს სერი ბრწყინუალე.

ხოლო შემდგომად თომას კჳრისა, ევგენიოს ბრძენ-
სა ებოძა წიგნი მისულად. ფრიად მთნდა ესე და აღვედ
ქარესად ბაზარსა მონაზონთასა, და მიერ შკოლად ევ-
გენიოსისად. მიველ და ვიხილე მრავალ-განთქმული იგი
სიბრძნითა და მოგჳკითხა უცხოებისათჳს ჩუჩნისა, და
სავანე გჳყო ახლად შემზადებულსა მას სრასა თჳსსა და
დავყავით მის-თანა ჟამნი არა მცირედნი, და სამარად
განვიცდიდი სიმრავლესა მას შკოლისაგანთათა, მჯობესსა
პერიპატიულთასა და იყუნეს საღუთის-მეტყუჩლოთა და
საფილოსოფოსოთა ზედ-მიწევნილ, რამეთუ რომელსაცა მე ვერ
ვისმენდი, თარგმანი გამომიცხადებდა, და გარდამოიღო
და მომცა ცხრისა შემთხუჩვითისა სქიმა, სრულიად და

ვკითხჳდი ევგენიოსს ღუთის-მეტყუჩლებისა-ძლით თხრო-
ბისა. მისთჳს საუფლოსა მის ამაღლებისა ქრი-
სტეს ხორცთასა სადაობისა. ვინათგან გარეშეუწერე-
ლისა თანა ერთ-არს ხორცი ქრისტესი, ხოლო იგი მე-
ტყოდა, ვითარმედ გამოუთქმელთა გამოთქმა ზღუჩვა მე-
ცნიერთა, არამედ ესრეთ გურწამს და აღვიარებთ უთქმთა
ამათ ლექსთა, ვითარმედ: «ღმერთი გარე-შეწერილსა კაც-
«სა შორის ესრეთ არს, ვითა გონება სულსა შორის,
«რამეთუ სული ერთსა ადგილსა-არს,ხოლო გონება გარე-
«შეუწერელად მიიწდომიეს განუჭრელისა თჳსებისა ურთი-
«ერთ-არს მქონები, გინა ესე სახედ, ვითარცა გუამი
«ერთსა ადგილსა მდგომად, თუალი ცათა და ქუჩყანა-
«თა მჰსწრაფლ მოვლის; ეგრეთუჩ სიტყუა ღუთისა
«გუამოვნებით მისდა შეერთებულისა კაცისა უმწუჩრვა-
«ლესისა მყოფობისათჳს უსაშუალოდ და განუშორებე-
«ლად ღუთაებით გარე-შემოუწერელ-ჰგიეს», და კუალად
ჰგმობდა პორფირიოსსა და თავხედად სახელს-ჰსდებდა;
რამეთუ იყო ერთ-სულ ორიგენისა და ერთსა შკოლასა
აღზრდილნი, ელლენობისაგან იქმნა ურია და ურიაო-
ბისაგან იქმნა ქრისტიანეო, და ქრისტიანობისაგან სრუ-
ლიად უღმრთო.

კუალად ვჰკითხევდი თუ ვითარ და რაჲსათჳს ქარ-

თუ§ლთა შპანიად ეწოდების და შპანელთა ქართუ§ლი.
ხოლო იგი უძუ§ლესისა ბრძნისა ვისმე მელეტიოსისა
წიგნისაგან ([58]) აღმოიკითხვდა და იტყოდა « ვითარმედ

([58]) მელეტიოს იყო ბერძენი და ღეოღრაფიისა მწერა-
ლი; გარდაიცუალა იგი წელსა 1714. ესე ჰსწერს, ვითარმედ
სახელი ქართუ§ლთა ივერი ეწოდაო ისპანიისა მდინარესა
ე. ი. ებრო მდინარე.

« ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანელნი მრავალ-
« ნი მისრულან ქართლად, და კუალად ჟამთა ქართლისა
« აოხრებისათა, ქართუ§ლნი მეფე და დიდებულნი წარ-
« სრულან შპანიად და მათნი მეფენი და მთავარნი ნათე-
« სავნი არიან ქართუ§ლთა და მდინარესაცა მათსა ქარ-
თუ§ლითა ეწოდების. ხოლო მე მასმიოდეს, ვითარმედ
« ალექსანდრე მაკედონელმან აღიღო ქართლი და მცუ§ბ-
« ლად ფრანგნი განაწესნაო ქართლად და აწ აზნაურნი
« დანაშთომნი მუნითგან არიანო და შეეწამა ესენი ერთად ».
მერე ვკითხეკდი გიორგიანობისათკს, თუ რაჲსათკს
ფრანგნი და მრავალნი სხუანი ქართლს გიორგიანად უ-
წოდენ და თურქნიცა გურჯად. ხოლო იგი მეტყოდა, ვი-
თარმედ წერილ-არს ამისთკს « მეფენი საქართუ§ლოსანი
« დროშათა ზედა სახესა წმინდისა გიორგისასა აღმარ-
« თებენ და ამისთკს უწოდეს გიორგიანად ([59]) და კუალად
« ცხადთა სასწაულთათკს წმინდისა გიორგისსა ქართლსა
« ქმნილთათკს ». და სხუასა მრავალსა სიტყკს-გებასა
შინა ვიყუ§ნით, რომელი არა ძალ-იდების აღწერად.
ამად ჟამამდე კონსტანტინოპოლად მზა ვიქმნებოდი
წარსუ§ლად, რამეთუ არ მეცნიერ ვიყავ პატრიარხისა,

([59]) ამასვე ყოვლად თანხმად ამისა ჰსწერს ლათინურად
კლუვერიოს ნემეცთა ღეოღრაფიისა მწერალი, რომელიცა
ჰსცხოვრობდა 1595 წელსა. აჰა მისი ნამდკლი თქმულობა:

> Putant vulgo nomem a s. Georgio, quem patronum agnoscunt es cujus imaginem in vexillis gerunt, sortitos.
>
> Cluverii introduction in Georg. lib. v. cap. 16. nota Bunonis.

არამედ ევგენიოსისა ფრიად მეგობარ იყო პატრიარხი, და აღგჳწერა შეწყნარებისათჳს ჩუჷნისა უცხოებისა ესოდენ ვრცელი ეპისტოლე უზესთაესი ჩემებრთასა. ევგენიოს მრავალ-ფერად ნუგეში და მეგობარი იყო ჩემი, და პატრიარხი იყო მეგობრისა ჩემისა მეგობარი. და ფრიად ვიდრემე ურუჷული-ვიყავ და გულ-მტკივან განშორებისათჳსცა მისისა, და გამომსალმებელი მისი, წარმოველ შკოლით და მოვიწიე მონასტრად ჩუჷნდა, დავჰყავით ჟამნი რაოდენნიმე, და ვეძიებდი საუნჯეთა წიგნთასა ქართულად, რამეთუ მრავალნი წიგნი იყუნეს ქართულნი. ესოდენნი ქართულნი არა იპოებიან, მაგრამ ვინ აღწერდა ამათ, და არცა მამისა მაკარის წიგნიარს (60) საქართუჷლოთა შინა.

ესრეთ ნება-დართჳთა და ლოცჳსა აღებითა მათ მამათათა, აღვემზადენით აღსუ̈ლად კონსტანტინეპოლედ, რამეთუ ფრიად მწუხარე ვიყავ დატევებისათჳს მთაწმინდისა. გუჷპოვა ნავი მარჯუჷ და წარმოვედით მონასტრით ქართუჷლთასა გზით ზღჳთ. და მოჰბერა რა

---

(60) წმინდა ესე მაკარი იყო ზედ-წოდებით ეგჳპტელი. დიდი მეუდაბნოე, მოღუაწე და მკუ̈დართა აღმადგინებელი, რომლია დღესასწაულსა მოიხსენებს ეკკლესია 19 იანვარსა, რომელმანცა 60 წელი განვლო უდაბნოსა და 90 წლისა გარდაიცუ̈ალა 391 წელსა შობიდგან ქრისტესსა. მართლ-მადიდებელთა ეკკლესიასა აქუ̈ს სიქადულად 50 მისნი სწავლითნი სიტყუ̈ანი მოღუაწეობითისა ანუ ასკეტიკურისა ღუ̈თის-მეტყუ̈ჷლებისა. ამა წერილთაგან ტიმოთეს მთავარ-ეპოსკოპოსსა ქართლისას გარდამოუწერია ქართულად ძუ̈ჷლად თარგმნილის წიგნისაგან 16 მოკლენი მუხლნი სხუ̈ათა და სხუ̈ათა მისთა ჰსწავლათაგან. – თჳსსა დროსა ესეც მრთელსა წმინდისა მაკარისა წიგნთან დაიბეჭდა.

პ. ი.

ნოტომან ქარმან გამოვლეთ სამოთრახე და ნიმრო კუნძულნი; და მოვიწიენით ქუ̈ჷმოსა ტროადას, რომელსა თურქნი ბალაისარს უწოდენ, ზღუ̈ასა მას იწროდ მდგომსა ვითარ ნახევარ მილიან სივრცესა, რამეთუ გაღმა გამოღმა ჰსდგას ციხენი და მომავალთა განიკითხუ̈ჷნ თურქნი. და მუ̈ნ წინა აღდგომი ქარი აღგჳდგა და ამოვედით

და ხმელით მივედით ეპისკოპოსისა გალიპოლელისა უფლი-
სა ნეოფიტესა, და მუნ განვათიეთ ღამე იგი და აღვე-
დით დილისას და ვვლეთ ნავითა და მივიწიენით ადგილ-
სა მას, სადა ზღუასა შინა, აჲა სოფიას ქუა ტრაპეზი ([61])
შთავარდნილა: ვენეციელთა რა აღიღეს კონსტანტინო-
პოლი, ყოველნივე სამკაულნი ეკკლესიისანი წარიხუნეს,
და ქუა იგი ტრაპეზისა ჩამოსხმული საკჳრუო იუსტი-
ნიანე მეფისა მიერ გამოდნობილი შთავარდა ზღუად, და
აწ ნავით მიმავალნი იხილუჳნ, რომელ ადგილსა მას აღ-
მოდის ზეთი სუნნელი რაჲმე და გამოვვლეთ მარმარა
ჭალაკი და მოვიწიენით საყდარსა და ქალაქსა ერაკლი-
ოსსა. ამა ქალაქსა ეწამნეს ორმეოცნი დედანი და ამო-
ნა მოძღუარი მათი, რომელთა ხსენებასა ვჰყოფთ 1
სეკდემბერს, და მივედით თჳთ მასვე ეკკლესიასა, რაჟამს
იგი მოციქულმან ანდრია სტაქოს აკვილა მოციქულ-
სა ხელი დაასხა ეპისკოპოსად.

იქიდამ მოვიწიენით სილიმიკრიას, სადა ესუჳნა წმინ-
და დედა ჩუჳნი ქსენი, რომელსა ვდღესასწაულობთ იან-
ვარსა 24-სა და კუალად აღათონიკე მოწამე და მუნვე
არს საწამებელი და თჳთ სახლიცა წმინდისა ქალწულისა
ღირსისა პარასკევასა. და მიერ მივიწიენით ნაპირსა

([61]) იტყჳან ყოვლადისა ოქროსი იყოო ჩამოსხმული.

კონსტანტინეპოლისასა, საყდარსა წმინდისა სტეფა-
ნესსა, და მუნით ცხენით წარვვლენით.

განვლეთ ბარუთხანა სამეფო და დემირ-ყაფისი და
სრა იგი დაუთბაშად წოდებული, და მივიწიენით კონ-
სტანტინეპოლად, და განვიცდიდით რა სიდიდესა ქა-
ლაქისასა, უცხოდ რაიმე აღგჳჩნდებოდა შენებულება და სიუ-
ცხოვე დედა-ქალაქისა და იხილუჳბოდა აჲა სოფია, ვი-
თა მთა მაღალი და ადგილისა პატიოსნება, და მთა-
ბარობით შეზავება და ზღუჳბთა მუნ შეერთება, და პი-
რის-პირ აზია და ევროპა, და მათ ზედა ქალაქი მთათა
ზედა დაშენებული უპატიოსნესი, დედა ყოველთა ქა-
ლაქთა. ტყუჳობისა მისისათჳს განვიცდიდი რა, ცრემ-
ლითა აღივსებოდეს წიაღნი ჩემნი, და ვიგონებდი თუ
ვითარ ცოდუანი კაცთანი, ვითარსა რისხუასა მოაწევენ

ქუჩყანასა ზედა; თუ ვითა კონსტანტინეპოლი ქრის-
ტიანობის დასაწყისი, დედა ქალაქად სამეუფოდ მეფეთა
ქრისტეს მოყუარეთაგან ჭირნახული, და ნაღუაწი ზე-
გარდამოსა წამის-ყოფითა, აღშენებული ღირსთა მამათა
ჩუჩნთა ხარისხი და ჰსჯულისდებათა და წმინდათა კრე-
ბათა შესაკრებელი, და თჳთო-სახითა კეთილითა სამ-
ღურთოთა და საეროთა შემკული, ვითარ ცოდუათა ჩუჩნ-
თათჳს მიეცა აგარიანთა და საბარბაროსთ მთავრობა ი-
მონებს ეკლესიათა ღუთისათა, და ქუაბ და სავანე ავა-
ზაკთა ქმნილ-არს ვენახი ღუწილი სორექი უფლისა და
მომეხსენა მისთჳს გოდება იერემიასი: « ხელი განირთხა
მაჭირუჩბელმან ყოველთა ზედა გულის-სათქმელთა თჳს-
თა, რამეთუ იხილნა წარმართნი შესრულად სიწმინდესა
შუნა მისსა, რომელთასა ამცნებდა არა შესულად ეკკლე-
სიად » და დავით მეტყუჩლი « ღმერთო შევიდეს წარ-

მართნი სამკჳდებელსა შენსა შეაგინეს ტაძარი
წმინდა შენი ». და ამათი მომხსენებელი სულთ-ვითქმი-
დი და მყოვარ-ჟამ განვიცდიდი, სიდიდით და პატიოს-
ნად დააფუძნებულობასა სამეუფოსა ქალაქისასა.

რამეთუ ესეცა უცხოვე არს, შავის ზღჳთა ვითა მდი-
ნარე იწროდ ზღუა შეერთჳს ბარისა ზღუასა თეთრსა.
ამ ვიწროს მომდინარეობისათჳს ექსანოპონტოდ ელლი-
ნურად ეწოდების, ესე იგი არს, იწრო ნაპირი ზღჳსა,
და ზედა მთა ვიზანტია, ზედა ქალაქნი ძლიერად
ანაგებნი ადგილსა მშუჩნიერსა და მაღალსა, შიგან გა-
კარგჳთ სრითა სამეფოჲთა და გაღმა ანატოლიისავე
ოქრო ქალაქი (62) და შუასა ზედა გალატა, და ზედა-
მობმით მრავალნი უბანნი და მივიწიენით სტავრაკ მდი-
დრისასა სოფელსა ბებექს და დაგუასადგურეს მუნ.

წარუვლინენით მოსაკითხავად მღუდელი პატრიარხსა
უფალსა კირილეს, და მჰსწრაფლ ენება მისულა ჩუჩნი,
და აღვემართენით და წარვედით და მივიწიენით და შე-
გჳძღუნენ წინაშე პატრიარხისა და მიუძღუანეთ თა-
ყუანის-ცემა და ამბორი მარჯუჩნისა და განწესებულსა
ადგილსა დაგუსუა და ამოდ მოგჳკითხჳდა. და კეთილად
ვიდრემე ფრიად შეგჳტკბო და ზედას-ზედა გუკითხჳდა

ამბავსა, და თჳსსა სრასა შინა განგჳმზადა სადგური, და
პურის-მტე იყო მარადის გუზრდით თჳსით, და ესრეთ

---

(62) ბერძულად ძუზლად ეწოდებოდა ხრიზოპოლი და აწ
სკუტარი, სადაცა იყო დიდისა კონსტანტინესგან აღშენებული
ტაძარი წმინდისა ეფემიანის, რომელსა შინა იყო 4 მსოფლიო
კრება ხალკიდონისა. აწ ეკკლესიისა ამის ძუზლისა, მოჩანან
მხოლოდ საძირკუზლნი.

სიმდაბლე შეეტკბო: ხელითა თჳსითა გჳბოძის სანოვაგე
და მრავალ-ფერად მითა მითავაზებდა, და ახლოდ მჯდო-
მარე ვიყავ სამარად, და სამღუდელოთა მისთა-თანა სუ-
ლიერად ვიშუზბდით; რამეთუ იყუნეს დიდებულად ცხო-
ვრებითა, ესრეთ რომელ არა ვიყავ მხილუზლი ეგე ვი-
თარისა არცა ქალაქისა და არცა არქიეპისკოპოსისა.

ხოლო განუათიეთ კჳრიაკე ერთი, და ამისა შემდგო-
მად წარვედით ხილუად პატრიარხისა იერუსალიმისა და
ვიხილეთ და თაყუანი და ამბორი ხელსა მიუძღვანეთ. იყო
კაცი პატიოსანი და განჰსწავლული სიბრძნითა მრავლი-
თა, და გჳბრძანებდა მრავალსა რასამე და სიტყჳს-გება-
სა ვჰყოფდით სხუათა და სხუათა ამბავთათჳს.

ხოლო ქუზყანისა ჩუზნისა კათალიკოზთათჳს იტყო-
და: ვითარმედ « ჟამსა კოსტანტინე მეფისასა იქმნე-
« ნით ქრისტიანენიო და წარმოგივლინათო მეფემან კონ-
« სტანტინე წმინდა ევსტატი პატრიარხი ანტიოქიისა,
« და პირუზლი საკათალიკოსო საყდარი ამან აღაშენე-
« ბინაო და ყოვლისა საქართუზლოსა კათალიკოსი არ-
« ქიეპისკოპოსი მან აკურთხაო. ამისა შემდგომად მეფე
« ბერძენთა ირაკლი წარვიდა სპარსეთად საომრად და
« საქართუზლო მან დაიპყრაო, და ფოტის მიტრო-
« პოლიტი აფხაზეთს მან გააკათალიკოსაო, და ქართლისა
« კათალიკოსი მარტო ქართლისა და კახეთისა და ალვა-
« ნიის მწყემსად დარჩაო; იმერეთი მაშინ წაერთოო.
« ამისა შემდგომად მეფემან ქართუზლთამან ვახტანგ
« ბერძენთა მეფის კონსტანტინე მონომახის (63) და-
« მოწმობით, მცხეთა აღაშენაო, და კათალიკოზი დასუაო,

---

(63) იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი მეფობდა
1042-1054.

« და პირუწლი ძუწლი კათალიკოსი, დაჩაგრაო; ამისთჳს
« სამნი არიან კათალიკოზნიო: პირუწლი ქართლი-
« საო, და მეორე აფხაზეთისაო და მესამე ძუწლიო.
« ამისთჳს ხრისანთოს პატრიარხმან, ყოვლისა სოფლი-
« სა ეპისკოპოზნი რა აღწერნა თჳთოეულად, ძუწლი
« არქიეპისკოპოსი ქართლისა და ახალი ერთად აღწერაო ».
ამ გუარსა მრავალსა რასმე გჳბრძანებდა.

ამათ ჟამათ კუალად განვემზადენით მთა-წმინდად, რამეთუ ჟამობა იყო ფრიადი მუნ, და აღვიღეთ ლოცუაჲ ორთავე პატრიარხთა და შთავსხედით ნავსა და მი-ვიწიენით სამწყსოსა ერაკლიის მიტროპოლიტისა გერა-სიმესასა თექირდანს და დავადგერით სასახლესა სინის მონასტრისასა, და განჳსუწნენით ჟამნი რავდენიმე. ამისა შემდგომად წარმოვედით ჰავითა კეთილითა, ზღჳთა გზათა მათვე ზედა, რომელი წიაღ-მოგუწვლო და ვვლე-ნით დღენი რავდენნიმე და ივლისის 5 წმინდისა მამი-სა ჩუწნისა ათანასი ათონელისასა წყალობითა ღუთი-სათა მივიწიენით ლავრად მონასტრად მისსა მთად-წმინ-დად (64). და შევედით მონასტრად და იყო დღესასწა-ულთა ოხრა დიდებული და სიმრავლე მონაზონთა ური-ცხჳ. და შემდგომად დღესასწაულისა აღვედით მონას-ტრად საქართუწლოთასა, და ვიყოფოდი მუნ და დავა-თიეთ მონასტერსა ჩუწნსა ჟამნი რავდენნიმე და წარ-ვედით მიერ შკოლად კეთილ-მეგობრისა ჩუწნისა თანა ევგენიოსისა და ვიყოფოდეთ მუნ მრავალ-დღე, საწადსა მას სავანესა მაშინ სხუა ვინმე ბრძენი მოსულოდა სახელით კჳპრიანე, განჰსწავლილი მრავლითა ჰსწავლითა და თურქთა ენისა იყო ჰსწავლული. რამეთუ ღრამმატიკა

(64) მეორედ მოსულა ათონის მთად.

და არისტოტელისა წიგნნი თურქთა ენასა ზედა ეთარ-

გმნა კეთილად და ენითა მით ვეზრახებოდით, და გამო-
ვიკულევდი რაცა მენებას. რამეთუ აღმოეკითხა წერილ-
თა შინა ჩუნთა, რომელი ბერძულისაგან შპანთა ენასა
ზედა ეთარგმნა: ქართუნლნი მთარგმნელნი ჰსწერენ:
ქართუნლთა უწოდეს შპანიად (65), ამისთჳს ვკითხჳდი ევ-
გენიოსს. ხოლო იგი განგჳმარტებდა: არის ძუნლთა
წერილთა შინა მდებარე, ვითარმედ ქართუნლნი მოსუ-
ლან შპანიად და დამკჳდრებულან და უწოდეს მეფესა
შპანიისასა ქართუნლი და კუალად სპანიელნი წარსრუ-
ლან საქართუნლოთა შინა, და მუნ დამკჳდრებულან.

---

(65) ორ-ჯერ ვჰკითხე და სხუად მოთხრა, ამისთჳს ორ-ჯერ აღვჰსწერე სპანიისათჳს.

ტიმოთე.

ამისთჳს იხილე ზემორე გუნრდ 101. – ნამდჳლისა ესე ვი-
თარისა მოთხრობისათჳს მეცა აღვჰსწერე ვრცლად მცირესა
წიგნსა ჩემსა დაბეჭდილსა რუსულად: Грузины и различ-
ния их наименования. Тифлис 1846. стр. 22. ბრძე-
ნი ევგენიოს, რომელიცა მიუთხრობდა ტიმოთეს ძუნლთა
სიტყუათა ქართუნლთათჳს, უეჭუნლად იგულხმებდა შემდეგთა
მწერალთა:
პლინიოს ჰსწერს: რომელ დასავლეთისა ივერნი ანუ ისპა-
ნელნი არიან გადრასახლებულნი ივერიისაგან აზიისა. ესრეთ
ჰგონებდა, იტყჳს იგი, თჳთ მწერალიო კარრონი. Plin. lib.
III. cap. 1.
დიონისო ჰსწერს: „ივერნი აზიელნი არიან გარდასახლე-
ბულ ივერიისაგან ევროპისა“.
სტრაბონ იტყჳს: „ოქროსა მადანნი არიან ივერიასა შინა
აზიისსა და ივერიასაცა შინა ევროპისსა. ნუ თუ ამას მიზეზით
ორთავე ერთი და იგივე მიიღეს წოდება“. Fortasse iberi
eodem nomine vocantur, quo occidentales, ab auro, quod
apud utrosque reperitur“. Strab.IX.

პ. ი.

ამისთჳს ქართუნლთა და სპანიელთა სახელნი ურთი-
ერთარს ენაცვლებიან. ესერა მესმა, მომეხსენა ქართლში
იგი თქმული, ვითარმედ აზნაურნი (66) ქართუნლნი სა-
ფრანგეთიდამ არიან მოსრულნი.

ამისა შემდგომად შკოლით ევგენიოსისით წარმოვე-
დით მონასტრად ჩუნდა, და მოვემზადენით კუალად
აღსულად კონსტანტინეპოლედ, და აღვედით ნავსა, სა-

ფარუჩლითა ყოვლად წმინდისათა და ლოცჳთა მით მა-
მათათა. და მობერა ნოტომან ქარმან ამოდ და ჰავითა
კეთილითა კუალად მივიწიენით კონსტანტინეპოლედ;
და სახლთა გარდავხედით სტავრაკის-შჳლის გიორგისასა
პროთო-სპათარისასა ბუღდანის მეფის ვექილისასა. და
ფრიად პატივს-გუცა და უცხოთ-მოყუარებისა ღუთის-
მსახურებითა კეთილი ნუგეში გჳბოძა და ვეზრახებოდი
საურავისა ამის ჩემისათჳს, ვითარმედ ქუჩყანისაგან ჩე-
მისა ამისთჳს ვარ წარმოსული, რათა იერუსალიმად მი-
ვიწიო. არამედ გზისა შიში თათართა მიერ არა
მიტევებს ჩუჩნ წარსულად. არამედ იგი მეტყოდა, ვი-
თარმედ რაჲსათჳს არა იახელით ქუჩყანისაგან თქუჩნი-
სა აქა კარსა ზედა მოწერილი წერილი. ხოლო მე
მაქუნდეს ახალციხის ფაშა-ათაბაგის მაჰმადის წიგნი (67)

---

(66) ამით მოიხსენებს ვახტანგის და ვახუშტის ქართლის-
ცხოვრებათა შინა მოთხრობასა, რეცა აზნაურნი იყუნენ ნეშტნი
იაზონისა სპათა, რომელნიცა დასტოვა ქართლსა ალექსან-
დრე მაკედონელმან.
აქა ამისთჳს ვიტყჳ მხოლოდ ამას, რომელ ლექსი აზნაუ-
რი არს სომხური და ნიშნავს კაცთა თავის-უფალთა, განთა-
ვისუფლებულთა, არა ხარჯისა მიმცემთა.
(67) წინათ მოხსენებული სახელი ათაბაგისა.

გზისა მოცემისათჳს და შეწყნარებისა კარზედ მოწერი-
ლი ვეზირისა თანა და სხუათა დიდებულთაიდა მივართჳ
რა, აღმოიკითხა, და განჰკვირვა ეგე ვითარსა ჩემთჳს გულს-
მოდგინებითა მონაწერსა და იტყოდა: არა იქმნების
უზესთაესი ამისა და წარიღო და მიართო ვეზირსა და
სხუათა კარის-მოხელეთა. და აღმოიკითხა რა, ეთქუა: ძალი
წიგნისა მის წარმოაჩენს, ვითარმედ, სახმარად პატი-
ვის-საცემი თურმე ვინმე არის და სტუმარი ხელმწიფი-
სა ჩუჩნისა და მოვიდეს აქა, რათა ვიხილოთ და პატივს-
ვცეთ და მაწუჩვდეს მე წარსულად, გარნა არა ვინებე,
არამედ ვმიზეზობდი უძლებად ყოფასა და არღარა მი-
ველ. განგჳმზადნეს სასახლე მდიდრად გარდაგებული ნა-
ტითა და სუზნითა და დღითი-დღე საზრდოსა ბოძები-
თა და მეტყოდენ ვითარმედ, სალაროსა ჴელმწიფისასა
რაოდენსა ითხოვ თეთრსა, მოგეცემის. არამედ მე არა ვი-
ნებე საფასითა მათითა გზისა ჩემისა წარმართებაჲ და

ვევედრებოდი გზისა წიგნისათჳს, რომელსა ფარმან უწო-
დენ.

და დავათიეთ თთუᲑნი შჳდნი კონსტანტინეპოლეს
ფრიადსა პატივსა და ამოდ ცხოვრებაში, რამეთუ უფროს-
ღა პატრიარხთა თანა ვიყოფოდი კირილესთანა კონ-
სტანტინეპოლისა, და უფროსად ბრძნისა სანატრელისა

არს შეცთომა ჩემის სიისა უკანასკნელთა ათაბაგ-ფაშათა. სია ესე ახალციხისა თუქრთა განმგეთა, შევისწავე დასახელებითა კაცისა ბრძნისა და განჰსწავლულისა 87 წლისა ჰასაკისა მექონისა სომეხთ-კათოლიკეთ ეკკლესიისა უფროსისაგან პავლე შაჰყულოვისა, რომელმანცა მასწავა თგილისს ენაჲ ლათინური. – შემდგომად გამოძიებისა, ვჰპოვე რომელ სულეიმან ფაშამან მიიღო განმგეობა თჳსი 1758 წელსა.

პ. ი.

პატრიარხისა იერუსალიმელისა უფლისა პართენისა, კაცი-
სა ბრძნისა, ადგილობით ათინელისა, და ცხოვრებით
იერუსალიმელისა. რამეთუ მოძღუᲑრადცა მოვიგე ჩემთჳს,
და მარად შენდობასა აღმოვივსებდი წმინდათა ბაგეთაგან
მისთა და იყუᲑნეს ნუგეშად და მეგობრად ჩემდა მიტრო-
პოლიტი ხალკიდონისა იოანნიკოს, კიზიკოᲒსა გერასიმე,
ნიკომიდიისა გაბრიილ, ნიკიისა იერემია. და სხუᲑანი
მღუᲑდელთ-მთავარნი და სამღუᲑდელონი, და ერნი უცხოე-
ბასა ჩუᲑნსა შეიწყნარებდეს კეთილად, და განვიცდიდით
მათსა ცხოვრებასა, და უჭუᲑრეტდით ქალაქისა სიდიდესა
და სიუცხოვესა; და მომეწყინა რა, შთავჯექ ნავად და
მივიწიე სასახლესა ჩემსა, და ბაღსა მრავალ-ფერითა
შადრევანითა და მჩქეფარეთა ფავარითა, და ბაღსა ედე-
მურებ დასხმულსა. და განჳსუᲑნით რა, და მომესურჳს
რა, კუᲑალად ნავითა აღვიდი სამეუფოდ ქალაქად ხილუᲑად
სასურუᲑლთა მათ ჩემთა და ვიუᲑნით მრავალი რამე და
შევექცევოდით, რომელთა თჳთოეულად ვერ უძლებ აღწე-
რად. მაშინ ებოძა ვეზირსა ფირმანი ძლიერი, რომელ-
სა ეწერა ესრეთ და სხუᲑა მრავალი:

« გიბრძანებთ მაღლისა Ბელმწიფებისა ჩუᲑნისა ბრძა-
« ნებითა, ჩუᲑნ დიდად ამაღლებული Ბელმწიფე, მრავლი-
« სა საპატრონოსა და ძლიერებისა მპყრობელი ხონ-
« თქარი (68) და ამა ფერმანსა ბრძანებისა ჩუᲑნისასა

« ვუბოძებთ ამას და ვუბრძანებთ ყოველთავე იერუსალიმად
« მიმავალთათჳს გზათა ზედა ფაშათა, ენგიჩართა, სარ-

---

(68) ამა დროსა მეფობდა თურქთა ზედა სულთანი ოთმან III.

« დალთა, ვოივოდათა (69), ყადთა და ერთობ ყოველთა
« მორჩილთა ბრძანებისა ჩუ̂ნისათა. ესე ტფილისის
« ქუ̂ყნის რომანი ტიმოთე თავისის მოსამსახურითა
« ჩუ̂ნის ამაღლებულის კარისა სტუმარ-იქმნა, იერუსა-
« ლიმს წარსულისათჳს დასტური ვუბოძეთ; სადაც მოი-
« წიოს პატივი და სამსახური მიეცით; არავინ არა სთხო-
« ვოს რა; არავინ რა აწყინოს; თორემ ერთის თეთრის ზია-
« ნი ათას ქესად ვერ ადგება; გზაზედ სადაცა შიში იყოს
« თოფ-იარაღიანნი გზის-მცუ̂ლნი გაატანოთ; მშჳდო-
« ბით მივიდეს და მოვიდეს. ეს ჩუ̂ნი ბრძანება ასე
«იცოდეთ ». ამისათჳს დიდი მადლობა ვჰკადრეთ ჴელ-
მწიფობისა მოხელეთა და გამოვემზადენით და დავე-
თხოვეთ პატრიარხთა. ხოლო პატრიარხმან კონსტან-
ტინეპოლისამან გზისათჳს ესრეთი გჳბოძა წიგნი:
« კირილე, წყალობითა ღუ̂თისათა პატრიარხი კონსტან-
« ტინოპოლისა და ყოვლისა სოფლისა, მოგიწერთ ყო-
« ველთავე ეპისკოპოსთა, მდიდართა და წარჩინებულთა;
« მადლი და წყალობა და კურთხევა განმრავლდინ თქუ̂ნ
« ზედა. ამას საყოველთაოსა ეპისტოლესა მოგიწერთ
« ამა პირსა ზედა. ეს ყოვლად-სამღუ̂დელო ტიმოთე
« საქართუ̂ლოსა მიტროპოლიტი, ძმა და თანა მწირუ̂ნ-
« ლი ჩუ̂ნი თჳსის ქუ̂ყნიდამ წმინდად ქალაქად იერუ-
« სალიმად წარმოსულ არს თაყუ̂ანის-ცემად ცხოველს-
« მყოფელისა საფლავისა. ჩუ̂ნ ესე წიგნი უბოძეთ, სა-
« დაც მოიწიოს, მოეგებენით და კეთილად შეიწყნარეთ,

---

(69) ვოივოდა რუსული ენაა, ქართულადმოურავი ეწოდების.

« ვითარცა მამა და მღუ̂დელ-მთავარი, უცხოთ შორით

« გზით მოსრული, და უმეცარი ენისა ჩუ’ნისა და აღ-
სარება მოახსენეთ და წირუა-ლოცუა ამისგან სასოებით
« მიიღეთ, და იერუსალიმად მიმყუანებელსა გზასა კეთი-
« ლად მიუძეღჳთ, ზღჳთ თუ ხმელით, და არა რა დასა-
« ბრკოლებელი შეამთხჳოთ ».

ეგრეთუ’ სინოდთა მათ მიტროპოლიტთა ყოველთავე
გჳბოძეს, თუ სადმე გზათა ზედა შევხუდებოდით, სამ-
წყსოსა მათსა წიგნი შეწყნარებისა. და კუალად აღვი-
ღეთ წიგნი იერუსალიმის პატრიარხისა და მივედით დი-
დად ამაღლებულსა ეკკლესიასა კონსტანტინეპოლისასა.
და იყო მუნ გუამი წმინდისა ევფემიასი, და ნაწილი
ღირსად ხსენებულთა მათ თეოფანია დედოფლისა, და
პულხერია არკადის ასულისა, და მზა ვიქმნებოდი წარ-
სულად.

აწ მცირედი რაჲმე კონსტანტინეპოლისათჳს მოგი-
თხრა. რამეთუ ჰაეროვნებასა და სიკეთესა პირად-პირა-
დობასა ქალაქისა მის შორად განეგდო მშუ’ნიერება ყო-
ვლისა სოფლისა ალაგთა, მათ შორის დედა ქალქთასა.
არა სადა იპოვების აზია და ევროპა ერთად შეკრებუ-
ლი ვითა აქა, და მათ შორის მდინარედ წარმოქანებული
შავით ზღჳთ იწრო ზღუა მჩქეფარე პერეულთა კუ’თე-
ბითა მომდინარე, და ზედან დაფუძნებული კონსტანტი-
ნოპოლი მთათა ზედა ხელითა საბაოთისათა, და მთანი
იგი სავსედ შემოსილნი ნაძჳთა და კჳპაროსითა ლიბა-
ნისათა. იწროსა მას ზღუასა მომდინარესა გაღმართ
და გამოღმართ ქალაქი შენ-არს, ზღუდენი და გოდოლნი
და კლდე-ყურეთა უცხო და ფერადად მოფარდაგულნი
სრათა სანათურთა, ჯამნი აღყუავებულნი თჳთო-სახენი

ედემს ესახებოდა; პალატთა, სტოვათა და ბაზართა ქა-
ლაქისათა ბურჳლობა, ზოგნი იყჳნეს ბრპენისანი ოქრო-
ცურუ’ბულნი, ბურჳლნი ზედა სრათა და წყაროთა ვითა
მზე ქალაქსა უშუქ-მკრთომარეობდეს, და ზოგნი კეც-
ქაშანურითა ფერითა; სხუანი მეწამულნი წითლისა
მაღრიბულისაებრ, ელუაზედ იჭვირუ’ბოდეს. შიგ ხომალ-
დნი ალჳსა სტოებრ მდგომნი კეკლუცად მოეზავნებო-
დეს ქალაქსა ტევრთა შინა კიპაროსთასა შლილსა და

ამათ შინა სრათა საჴელმწიფოთა ელუანი გამოკრთებო-
დეს, და გარემოს ფიჭუნართა ნაძუთა მაღნარიანობა
ფარდად გარე მოეხჳა შენებულობათა; ხოლო დედა ქა-
ლაქი ესე ვიმეცენ: ვითა მთიები ვარსკულავთა შო-
რის ვაგუანენ; ვითა ვარდი ყუავილთა შორის სამოთხი-
სათა; ვითა იაკინთე ქუათა შორის სამარაგდოვანთა; ვი-
თა ირისე ღრუბელთა შორის და ვითა აგჳსტოს კეისარი
მეფეთა შორის, – ეგრეთ აღურაცხენ.

წარსულა კონსტანტინოპოლით იერუსალიმად.

ხოლო მე ფრიად მიძნდა და ურუწულ-ვიყავ გან-
შორებისათჳს კონსტანტინოპოლისა. რამეთუ საწუთოსა
ჭირ-მრავლობითა და ძჳრ-ხილულობითა მისრული მუნ,
მათ აღარ მოვიჩუწნებდი, რამეთუ უჭურეტდი რა დიდე-
ბულსა მას ქალაქსა, თუალი და გონება ჩემი ურთიერთ-
არს უსწრობდეს განკჳრუებასა ხილჳსა მისისასა. ამისა
შემდგომად წარმოვედით, ოქრო-ქალაქსა. ამა ქალაქსა ში-
ნა ეწამა ქალწულ-მოწამე ევფემია, რომლისა ხსენებასა
ვჰყოფთ სეკდემბრის 16. ამა ქალაქსა აწ უსკუდარად
უწოდენ სამწყსოსა ხალკიდონისასა, და კეთილად შეგჳ-
წყნარეს ქრისტიანეთა, და შევედი ეკკლესიასა მას ხალ-
კიდონისასა, სადაცა კრება იქმნა, და შემოკრბეს ეკკლე-
სიასა ოცდა ათნი მამანი მუნ ყოფასა ჩუწნსა, მოგუწ-
სმა, ვითარმედ განაძეს პატრიარხი კირილე, და დაჰსჯდა
კალინიკე.

მჰსწრაფლ აღვედ ნავითა და მივედ კათოლიკე ეკკლე-
სიად და ვიხილე, რამეთუ მღუდელთ-მთავარნი და მდი-
დარნი ერისანი შემოკრებულ-იყუნეს და კალინიკეს ხელ-
თა დაასხმიდეს. ვკითხჳდი, თუ რასათჳს განაძეს კირი-
ლე; მომიგებდენ იგინი, ვითარმედ იტყოდაო, რამეთუ
ფრანგთა და სომეხთა ნათლის-ღება არა აქუსთო; მეორედ
ჯერ-არს ნათლის-ცემაო, და ჩუწნ ამისთჳს წინა-აღუ-
დეგითო და განუაძეთ; არა ოდეს გუწსმენოდაო ესე.

ამისა შემდგომად აღჳდეთ ლოცუა პატრიარხისაგან
და წარმოვედით და ხალკიდონით ვვლეთ და გამოვვლეთ

ნავით ვენახსა მას თანა ქურივისასა ზღჳსა პირსა ([70]), რომლისა მიზეზისათჳს ექსორია იქმნა ოქროპირი. და კუალად გამოვვლეთ მთა იგი, რომელსა შინა განშორებულ იყო წმინდა მამა ავქსენტი, და მივედით ზღუათა შინა კუნძულთა მონასტერსა ხალკისასა, რომლისა წინამძღურისათჳს თეოდორე სტოდიელი მიცუალებასა მოიხსენებს წიგნსა თჳსსა. მონასტერნი ესე, აღშენებულნი ბერძენთა მეფეთაგან ვიხილეთ და გამოვვლეთ ზღჳთ სამწყსოსა ხალკიდონისსა ძუზლთა მეფეთა სამეუფოსა მას ქალაქსა ნიკომიდიას, სამწყსოსა წმინდათა მამათა

([70]) საცნობელად მკითხუზლისათჳს ამა ადგილისა ვიტყჳ, რაჲ არს მოთხრობა ესე. – ოდეს დედოფალმან ევდოკია, არკადი იმპერატორის მეუღლემან, მოინდომა მოპოვება ვენახისა ერთისა ახლოს კონსტანტინოპოლისა, მაშინ მფლობელმან მისმან ქურივმან დედაკაცმან არა ინება განჰსყიდუა მისი. ამისთჳს დედოფალმან ბრძანა წართმევა მისი თჳსდა სალხინოდ. იოანე ოქროპირმან, ქურივთა და გლახაკთა და ობოლთა მოწყალემან, ჰსთხოვა დედოფალს, რაღა შეიწყალოს ცრემლნი ქურივისა მის და კუალადვე მიჰსცეს მას ვენახი იგი. გარნა დედოფალმან არა ინება. მაშინ იოანე ოქროპირმან ქადაგებასა შინა თჳსსა დიდსა ეკკლესიასა ხმა-ჰყო, ვითარმედ აწცა არს იეზაბელი, ცოლი მეფისა აქაბისა, რომელმან მიჰსტაცა ვენახი სასურუზლი არა მდიდარსა წინაბოთეს. განრისხებულმან დედოფალმან აიძულა ქმარი თჳსი არკადი, რაღა ჰქმნან კრება და განაძონ იოანე ოქროპირი პატრიარხობისაგან კონსტანტინოპოლისა. – ესრეთ განდევნილი პატრიარქი ცხოვრებდა მცირესა ჟამსა აქა, სადაც იტყჳს ტიმოთე და შემდგომად უკუნ-ქცეულ-იყო თჳსსავე ხარისხსა.

პ. ი.

ჩუზნთა გიორგი და ანთიმე ნიკომიდიელთასა. მოგუზგებნენ ქრისტიანენი და კეთილად შეგჳწყნარეს, და გუაწჳეს ჟამისა წირუად მონასტერსა და საფლავსა წმინდისა მოწამისა პანტელეიმონისსა, და მოძღურისა მათისა ერმალაოს მღუდელ-მოწამისასა. და ჩუზნ ამისთჳს ვერ მკადრე ვიქმნებოდით და ფრიად ვიშიშუოდით, თუ ვითარ ცოდჳლმან, უღირსითა ბაგითა წმინდასა მას ადგილსა მსხუზრპლი შევჰსწირო. არამედ ერნი ჩემსა უ-

ღირსებასა არა მეცნიერნი, ვითარცა მღუდელ-მთავარსა
მაწუწვდეს, და მივედით მონასტრად და ვიხილეთ საწა-
მებელი წმინდისა პანტელეიმონისა, და საფლავიცა მისი
და აღვასრულეთ ლოცუა, და უამბორეთ საფლავსა და
ალაგთა მათ, და ურიცხუთა წმინდათა მოწამეთა სისხლი-
თა ღებულთა, მოსრჯლთა მაქსიმიანეს მიერ და სხუათა
უჰსჯულოთა მეფეთაგან. მუნ ახლო იყო სრა მაქსიმია-
ნესი და დიოკლიტიანესი და საწამებელი მოწამეთა
მოედანი სასახლისა მისისა ყოფილა. და ვიხილეთ ად-
გილი იგი მირონ-მომდინარე, სადა ორნი ბევრნი მუნ
ნიკომიდიას, დასწუნა წმინდანი იგი მოწამენი, და იდღე-
სასწაულების დეკემბერსა 28-სა და საწამებელი იგი
მღუდელ-მოწამისა ანთიმოსი, რომლისა ხსენება მოვა
სეკდემბერსა 3-ს. რამეთუ მაქსიმიანე მუნ მოსურიდა
მრავალთა მოწამეთა, და იყო ადგილი დიდად პატიოსა-
ნი, ზღჯთა და მთითა და ველითა შეზავებული, და წარ-
მოვედით მიერ და გამოვვლეთ ცხელნი იგი წყალნი,
რომელიცა წმინდამან ამბერკი აღმოაცენა და მივიწიე-
ნით კათრილად და იყო ვინმე მუნ მონაზონი შეყენე-
ბული ავქსენტი სახელით, კჯრიაკედ მცირედ მგზარისა
მიმღები, და კარი დახშული სამარად ჰქონდის, რამეთუ

არავის უტევებდა და მიერ წარველით და მივედით ად-
გილსა, სადა ეწამნენ წმინდანი დედანი მინადორა, მი-
ტროდორა და ნიმფოდორა, და მიერ მივედით გუმლე-
ქად სამიტროპოლიტოდ ნიკელ-ეპისკოპოსისა, კეთი-
ლად გჯსტუმრნეს და დაგუაყენეს ფრიად მშუწნიერსა სა-
სახლესა, და იყუნეს მუნ მრავალნი ქრისტიანენი და
მონასტერნი დედათანი და მამათანი.

და განუათიეთ ჟამნი რავდენნიმე და წარვედით მიერ
და მივიწიენით ქალაქად ბრუსად, და გუწუცხოვა ადგილი
იგი და დედა-ქალაქისა მშუწნიერება და ადგას თავსა ქა-
ლაქისასა ულუმბო ([71]), სავსე-ყოფილი მონასტრებითა

([71]) ულუმბო ანუ ოლიმპო. აქა იყო ძუწლად ქართუწლთა
მონასტერი. ესე არს ტროადისა ოლიმპო. ხოლო დიდი და
თჯთ ნამდჯლი ოლიმპი ანუ ულუმბია, ძუწლად შესაკრებელი
წარმართობისა ღმერთთა არს თესალიაში და მოჩანს დიახ შო-
რიდამ მთა ესე ვითარცა კავკასიისა ელბორუსი, ზაფხულსაცა

თოვლითა დაბურჯლი. კალთათა ამა მთისა ყოფილან ქრისტია-
ნეთა მონასტერნი და ქართუჷლთაცა ჰქონიესთ თავისი საკუთა-
რი სამხოლოე. ამ მონასტერსა შინა იყოფოდა ღირსი მამა
ილარიონ ქართუჷლი, რომლისა ხსენებასა დღესასწაულობს
ქართუჷლთა ეკკლესია 19 ნოემბერსა. ესე ილარიონ, ადგი-
ლით კახელი, მოვიდა ულუმბიისა მონასტრით თესალონიკედ
და აქა გარდაიცუალა ვითარცა დიდი საკჯრუჷლთ-მოქმედი და
აქედამ წმინდანი ნაწილნი მისნი მიასუჷნეს კონსტანტინეპო-
ლეს წელსა 980, და დაკრძალეს მოციქულთა ეკკლესიასა მე-
ფობასა ვასილისსა, თესალონიკეს, ტაძარსა წმინდისა დიმი-
ტრისსა, სადაცა არს საფლავიცა მისი წმინდა, და რომელიცა
თურქთა შეჰსცუალეს მეჩითად, ვიხილე კედელზედ ხატი წმინ-
დისა ილარიონისა ზედ-წარწერით: წმინდა ილარიონ
ივერი პატივად, სახედ და მაგალითად ოლიმპისა მონასტრი-
სა, თესალიასა შინა ყოფილისა ძუჷლად აღუშენებიათ ქართლსა,
არა შორს დაბისა ალისა, მონასტერი ვრცელი ულუმბიისა, და

და განშორებულთათა, რომლისათჯს მთასა მას თურქნი
ქეშიშტალსა უწოდენ, და მივედით სამიტროპოლიტოსა,
და მჯდომარე იყო მელეტი ყოვლად-სამღუდელო. დიდად
შეგჯტკბო და განგჯსუჷნა, და ხარისხსა თჯსსა ჟამის-
წირუად მიგჯწოდა, და განვედით ხილუად ცხელთა მათ
წყალთა, და ვიხილეთ შემწუჷლი იგი წყალი აბანო წმინ-
დისა მღუდელ-მოწამისა პატრიკისა, რომელი შთააგდო
ივლიანე განდგომილმან ცხელთა მათ წყალთა შინა და
აწამა და თავი მუნ წარკუჷთეს, რომლისა ხსენება არს
მაისის 19-სა და მუნ მჯდარა წმინდა ტიმოთე ბრუსიის
ეპისკოპოსი, რომლისა ხსენება არს ივნისის 10-ს და
ვიხილეთ ულუმბისა მთის ძირსა მონასტერი დიდად
შესაკრებელი მონაზონთა ულუმბისათა, უცხოჲთა რათმე
ქჯთა მარმარილოთა ნაშენი, და დღეს უპყრიეს თურქთა;
და ოსმან სულთანი ([72]) ეკკლესიისა ეკუტერში მარხია.
არს ტაძარი იგი სავსე ძუალებითა მკუდართა მაჰმადიან-

იყო მეტოქი თესალიასა შინა ყოფილთა მამათა ქართუჷლთა,
აქა ასაფლავია წმინდა მამა ათცამეტთაგანი მიხაილ ულუმბიელი.
ამა ტაძარსა შინა, აწ გაუქმებულსა, იყო ძუჷლად ხატი
ყოვლად-წმინდისა, ულუმბიისა მონასტრიდამ თესალიით მო-
სუჷნებული განსაკრთომელისა ჯელოვნებისა. მერეთ მტრისა
შიშით დაკრძალულ იქმნა სოფელსა შინდისს და აქა, წინ-აღნ-
თებულის სანთლის დარჩომით, დამწუარა შემკულობა მისი; –
ამისთჯს 1787 წელსა თავადსა ზაზა ამირეჯიბს შეუმკია ხა-

ტი იგი და დაუსუ̈ნებია საღოლაშენის მცირესა ეკკლესიასა.
ესრეთ აცხადებს ზედა-წარწერა ხატისა.

პ. ი.

(72) სულთანი ოთმან, ანუ წართულად წოდებული ოსმან მეფობდა თურქთა ზედა 1299-1326.

პ. ი.

თათა და ყოვლითა არა-წმინდებითა აღსავსე. და განვათიეთ არა მცირედნი ჟამნი მუნ, დიდითა შეწყნარებითა ქრისტიანეთათა.

ამისა შემდგომად აღვიღეთ ლოცუ̈ა, და წარმგზავნეს მენიად ქალაქად სამწყსოსა ბრუსელისასა და მოგუ̈ბგებნენ ერნი და შეგკძღუ̈ნენ სასახლესა პატიოსანსა და მუნ დავადგერით და ვიხილეთ საკკრუ̈ლთ-მოქმედი ეკკლესია წმინდისა ნიკოლოოზისა, თუ საკკრუ̈ლებისა მისისათკს მოგკთხრობდენ ქრისტიანენი, ვითარმედ ეკკლესია ესე დარღუ̈ულ იყო ვიდრე საძირკუ̈ლათმდე, და გუ̈ნება აღშენება და ვზრუნკდით რა მისთკს, დღესა ამას ფოლორცთა ამათ შინა შემოვიდეს ურემნი, სავსე კირითა და ძელითა. მთის კაცთა მოაქუ̈ნდათ და იზახდენ, რომელი არს სახლი ნიკოლოოზისა, რათა მივიტანოთ მუნ ურემნი ესე. ხოლო ჩუ̈ნ უმეცარ-ვიყუ̈ნით და ვეტყოდით, ვითარმედ არავის ეწოდების აქა ნიკოლოოზ. ხოლო იგინი გუ̈ნტყოდენ, მოვიდა ჩუ̈ნდა კაცი ვინმე მოხუცებული და იყიდა ჩუ̈ნგან კირი და ძელი ესოდენი და ამა ქალაქსა მოგკწოდა და დაგკტევა ფლური ერთი ბედ (73), აღმოიღეს და გკჩუ̈ნეს, რამეთუ ძუ̈ლისა ჟამისა იყო, და არა ახალი ფლური იგი, და მივიყუ̈ანეთ და უჩუ̈ნეთ ხატი წმინდისა ნიკოლოოზისა, ხოლო იგინი გუ̈ნტყოდენ, ვითარმედ მჰსგავს იყო ამისა კაცი იგი. ამისთკს განვკკრდით და საფასე მივეცით, და აღვაშენეთ ეკკლესია ესე. მესმა რა ესე, განკკრუ̈ნებულ ვიყავ და მადლობასა შევჰსწირკდი წმინდასა

(73) ბეი, ქართული ენა არ არის. ქართულად ეწოდების არაონი.

ნიკოლოოზს. – და კუალად გჳთხრობდენ, ვითარმედ არს
აქა ეკკლესია მთავარ-ანგელოზთა, და იგი მღუდელმან
ვინმე განჰკრიხა საბრხითა ეშმაკისათა და იდუმალ ნავსა
ჰშთაუჯდა მწყემსსა ვისმე ცხოვართა ნავით მიმყუანებელ-
სა. ხოლო ნავი იგი ზღჳთ მიადგა ხმელსა რასმე კუნ-
ძულსა და მუნ გარდაიქცა ნავი და მპარავი მღუდე-
ლიცა გარდააგდო ხმელად, და ნავი იგი მჰსწრაფლ მო-
იქცა აქვე, და იხილუზბოდა უცხოდ, რამეთუ ანძისა თა-
ვი შთაჰყჳს ზღუასა შინა და კუალად აღმოჰსჩნდის. მა-
შინ ქრისტიანეთა აღმოიღეს ნავი, იხილეს ნაძარცჳ ეკკლე-
სიისა, არამედ თათართა წარუხუნეს ნაძარცჳ იგი ძალად.
ხოლო ღამესა მას დაეცა შიში დიდი და ძრწოლა შურქ-
სა მას, აღიღო განთიად და თჳთ ხელითა თჳსითა მოი-
ტანა ეკკლესიასა მას ნაძარცჳ იგი. – ესრეთ გჳთხრეს
ქრისტიანეთა მათ სა ჩუზნცა ესრეთ აღვსწერენით.

მიერითგან წარვედით და მივედით მონასტერსა
მთავარან-ანგელოზთასა სიის, და ხუალისად წარვედით მუ-
ნით ზღჳთ და განვვლეთ მონასტერი შინოდაკოსა, და
კუალად ახლოს იყო მონასტერი თეოდორე სტოდელი-
სა, სადა იგი ზოგად ცხოვრებულთა მამობა აღასრულა
და მივედით სოფელსა ტრილის. მორწმუნეთა ფრიად
შეგჳტკბეს, და მუნ იყო მონასტერი დიდებული მიდი-
კისა წმინდისა მამისა ჩუზნისა ნიკიტა მიდიკისა მამა-
სახლისისა, რამეთუ თჳთ სამარხოცა მისი მუნ იყო,
რომლისა ხსენებასა ვჰყოფთ აპრილისა 3, რამეთუ ამაღ-
ლებასა უფლისასა მუნ ვიყავით. და მიერიდგან წარ-
ვვლეთ დღისა ერთისა სავალი და ხმელითა და მივედით
ზღუასა მას და ტბასა აპოლონისასა, და არს საშუალ
ტბისა ციხე და ქალაქი, აღშენებული ტრაიანეს მიერ

მეფისა და მისრულ-არს მუნ ქადაგებად პავლე მოციქული, და ფრი-
ად ვიდრემე პატივით შეგჳწყნარნეს. და მიერ წარვედით
მიხაილს და მუნ განვათიეთ მოსულა სულისა წმინდისა
და მუნ ვიდღესასწაულეთ და მიერ წარგუგზავნეს ბანდე-
ბად და მიერითგან მივედით ქალაქად კჳზიკოდ და მგზავრ
განვიცდიდით ციხე-შენებულებასა ტროადისათა, ადგილ-
თა, ფრიად მშუზნიერთა და ვიხილეთ ცხრათა მათ მო-

წამეთა საწამებელი ტროადისათა ადგილთა ფრიად მშუ-
ნიერთა კჳზიკელთა სახელით თეოღნიდოსი, რუფიო, ანტი-
პატრო, თეოდიხუ, არტემი, მაღნო, თეოდოტე, თამასიე,
ფილიმოს, რომელნი იწამნეს კერპთ-მსახურთაგან, და
ვჰყოფთ ხსენებასა მათსა აპრილის 29. და მივედით
კჳზიკო ქალაქად, სადა ღუაწლი მოწამეობისა აღასრულა
წინასწარ მღუდელ-მოწამემან ემმელიანე კჳზიკელმან,
რომლისა ხსენებასა ვჰყოფთ აგჳსტოსა 8. ამათდა ხი-
ლუათათჳს ვმადლობთ უფალსა. ხოლო მღუდელთ-მთა-
ვარმან კჳზიკოსმან გერასიმე, ფრიად სტუმართ-მოყუა-
რებით შეგჳთჳსა.

და მიერ წარვედით, პრიკონისისა ეპარხია განვვლეთ და
მიერ მირიოფოტისა ეკკლესიასა მივედით, და ყოვლად-
სამღუდელო ნიკომიდიოს, კაცი პატიოსანი, ფრიად შე-
გჳტკბობდა და მოწლედ გჳთავაზებდა. და მიერ წარვე-
დით ქალაქად კალიოპად, რამეთუ სულა ესე ჩუნი ზღჳს
პირს იყო; ახლოს ვიარებოდეთ ამისთჳს, რათა გრძელ-
მან გზამან ზღჳსამან შეჭირუნება და ნავ-დანთქმულობა
არა შეგუამთხჳოს, და კალიოპოლით მივედით ლამფსა-
კო ქალაქად წმინდისა მამისა ჩუნისა პართენი ლამ-
ფსაკოსა, რომლისა ხსენება არს ფებერუალს 7-სა,
და მუნვე ლამფსაკოს არს საწამებელი წმინდისა მოწამისა

ტრიფონისა, სადა იგი ბატთა რა აძოვებდა, და მუნვე
იწამა, და არს აიაზმა სარწმუნოებით მიმავალთათჳს სა-
კურნებელ, რომლისა ვსენება მოვალს ფებერუალსა 1.
და მიერ განვედით მაიდოს, და მიერ ბიღაზისარს,
ციხესა მას, სადა შეიწრდება ზღუა ვითარ მცირისა
მდინარისა ოდნად. და პირის-პირ ციხე თურქთა. რათა
არა მტერი აღვიდეს კონსტანტინეპოლედ მცუნლნი
არიან იგინი. ხოლო ქრისტიანეთა მათ პატივ-გუცეს
დიდად და მიერ წარვიგზავნენით ჭალაკად მიტილინად,
ხოლო სამწყსოსა მეთმენიისასა. და მივედით ვიხი-
ლეთ ადგილი მთათა და ზღჳთა ფრიად შეზავებული,
სავსე მონასტრებითა დედათა და მამათათა, და იჯდა
მუნ მღუდელთ-მთავარი მათი სახელით არსენი, კაცი პა-
ტიოსანი და უცხოთ-მოყუარებითა ფრიად შეგჳწყნარა.

და ამისა შემდგომად წარვედით ქალაქად მიტილინისა ეკკლესიასა წმინდისა მამისა ჩუნისა გიორგი მთა-წმინდელისასა ([74]), რომლისა ხსენება არს აპრილის 7, და მიერ ქრისტიანეთა გზა მოგუცეს და მივედით მოს-კონის და კუალად სამწყსოსა ეფესოსსა, და მერმე ვრულს და ვრულითგან ჭალაკსა სამოსს, ქუყანასა და სოფელსა პითაღორ ფილოსოფოსისასა.

და შევედით ქუყანასა მას, გუუცხოვა ადგილთა სი-კეთე და მშუნიერება. კუნძული ზღუათა შორის და წალკოტია და ვენახოვანითა აღუილი და მთა მაღალი ნაძვანითა ტევრითა დაფარულ იყო და მივედით

([74]) არა ქართულისა, არამედ მიტილინის ქალაქის ეპის-კოპოსისა, რომელიცა ჰსცხოვრობდა ჟამსა თეოფილე იმპე-რატორისსა 829-842.

მღუდელთ-მთავრისა მათისა კალინიკესად, და ქრისტეს მოყუარენი ერნი კეთილად შეგვტკბობდეს, და იქიდამ წარგუზავნეს პატმო ჭალაკად, საყოფელსა ღუთის-მე-ტყულისა იოანესსა. და მივედით რა, ჰსცნეს მისულა ჩუნი, ჰკრეს ზართა და მოგუზებნენ წმინდანი წინა-მძღუარნი მამანი და ძმანი, და ჩუულებისაებრ მო-ნასტერთასა მოგუართვეს მდინარე და კურთხი; ლამ-პრებითა და კეროვანებითა შეგვძღუენ და იტყოდენ შეგვწყალენსა, მრავალ-ჟამიერობით მეფეთა ჩუნთათვს. და ვიხილეთ ნაწილი მრავალი და ქუაბი იგი აპოკალიფ-სისა, სადა მჯდომარე იყო ღუთის-მეტყული იოანე, და ეჩუნა უფალი და აღჰსწერა გამოცხადება, და იწყო რა ღუთის-მეტყულებისა მის მაღალისა თქმად: პირულით-გან იყო სიტყუა, და აღჰსწერნა იგინი. და ვიხილეთ ჯაჭვ იგი, რომლითა დომენტიანე მეფემან ტყუ-ჰყო რა მუნ პატმოსს, და ჯაჭვთა შებორკილა. და სალარო ვი-ხილეთ მონასტრისა მდიდარი, ფრიად სავსე ქუათაგან ძვრ-ფასთა მრავალთა და მარგალიტთა და ოქროთა და

ვერცხლთა, ეკკლესიისა წმინდათა ჭურჭელთასა სავსე, და
კუჱრთხნი ძჳრ-ფასნი, და იყო მუნ ჯუარი ოქროსი მე-
ფისა ქართუჱლთაგან შემოწირული, და განუათიეთ მარ-
ხუა მარიამობისა მუნ, და დღესასწაულიცა დაძინებისა
მუნ აღვასრულეთ ჭეშმარიტსა მას სულიერსა ადგილსა
ღუთისაგან დაფარულსა მას მონასტერსა, მე უღირსმან
მათ თანა ხლებისაგან. და იყო მუნ შკოლა საფილოსო-
ფოსო დიდი და ისწავებდენ მრავალნი შკოლისაგანნი.
და ვიხილეთ ადგილი იგი ზღჳსა პირსა, სადა იგი ღუთის-
მეტყუჱლმან კჳნოპ გრძნეული დანთქა; და კუალად
იხილუჱბის ქუა დაქცეული მუნ ზღუათა შინა, და მოვე-

დით დედად-მონასტრად და მოგუჱგებნენ ზარის-ცემი-
თა და მდინარითა, და შევედით ეკკლესიად და მივედი
სახლსა დედათ წინამძღურისასა, და იყო აღსავალი სუ-
ლიერთა დათა და დედათა მიერ მონასტერი იგი, და ვმა-
დლობდით უფალსა, რომელმან არა უღირს-იჩინა ჩემ
მდაბლისა მუნ მივრდომა და იყო მთლივ გუამი წმინ-
დისა ხრისტოდულოსი მუნ.

ამისა შემდგომად აღვიღეთ ლოცუჱაჲ და წარმოვედით
ნავით და მოვედით ჭალაკსა ლეროს, მონასტერსა მას
ყოვლად-წმინდისასა, საკჳრუჱლ-მოქმედსა, და მიერით კა-
ლიმონას, რამეთუ მუნ მყოფნი თურქნი საიდუმლოდ
ქრისტიანობდენ. მივედით მიერით მშუჱნიერსა მას ჭა-
ლაკსა სტანკოვს, ადგილსა და სოფელსა ბრძნისა იპპო-
კრატისასა, და აღმოქუხს წყალი მრავალი პირით მისით,
და ჰრწყავს მრავალ სამოთხეთა, და მიერ წარვედით კუნ-
ძულსა სუბუქსა, და მიერ ჭალაკსა კუნძულსა რო-
დოსს გუჱსმა რამეთუ ამას დროსა შინა სახლებულან მალ-
თისნი, ხოლო აუგია სულთანსა და გაუყრია კაცნი იგი
და მისულან და დასახლებულან სხუჱანი ჭალაკსა შორს,
და ამისათჳს ემტერებიან მალთისნი თურქთა. და ვიხილეთ
ციხე ძლიერი და კეთილად ნაშენი, რამეთუ კარებთა ზე-
და ჯუარნი და ხატნი მარმარისანი კუალადვე იყუნეს.
და ჰსცნეს რა მისუჱლა ჩუჱნი, მიტროპოლიტმან როდოს-
ისმან მოგუაგება არხიმანდრიტი თჳსი და კეთილად შეგჳ-

წყნარა და ჯეროვანი პატივი მოგუცა და განიცადებოდა
ახლად მუნ მირონ ლუკიის ქალაქი და სამარხო წმინ-
დისა მამისა ჩუჩნისა ნიკოლოოზისა. და კუალად
მუნვე ახლოს არს ტბა ერთი, და ტბასა შინა
ყასაბა და საყდარი წმინდისა მამისა ჩუჩნისა

გრიგორი ნოსელისა ხარისხი, რამეთუ ორნივე ესე,
ნიკოლოოზ და გრიგორი ეპისკოპოსნი ყოფილან
პისიდიისა მიტროპოლიტისა; ხოლო პისიდიაცა ახ-
ლოს არს მუნვე და დავიყოვნეთ მუნ დღენი ათე-
ქუსმეტნი, რამეთუ თურქნი რა აღმოიკითხვდენ ფირ-
მანსა ხონთქრისასა, ფრიადსა პატივსა მოგვპყრობდენ
და არას შეგუარუჩუბდენ.

წარსულა მისირად და იერუსალიმად.

ამათ ჟამად მოიწია დიდი გემი იერუსალიმად მომ-
ყუანებელი და ჰშთავსხედით მუნ, და მივიწიენით რა ახ-
ლოს იაფად ნაპირსა იერუსალიმისასა, აღგვდგა წინააღ-
მდგომი ქარი ესოდენ ძლიერი კნინღა და დავინთქენით;
სამდღე ღელუანი ვითა მთანი იალბუზისანი ეგრეთ იხილუჩ-
ბოდენ, და უკუნ გუაქცია ოთხას მილიონადმდე და მო-
წყალებამან ღუთისამან დააცხრო ქარი, მივსული ვიყა-
ვით უცხოსა რასამე ქუჩყანასა, არაბეთს ასურეთისასა.
და იყო მუნ ქალაქი დიდი და ვკითხვდი; უკეთუ ქრის-
ტიანე ვინმე არს, და მითხრეს, ვითარმედ არაბნი ქრის-
ტიანენი არიან; ენა ბერძული და არცა თათრული არ
უწყიან. ვაუწყე ქრისტიანეთა მათ და ნავითა გამოეგზავ-
ნათ მღუდელი ვინმე არაბი და მოგუჩგებნენ ქრისტია-
ნენი, და კეთილად შეგვთვსეს და ეკკლესიად შეგვძღუნენ
კუჩრთხითა და მდინარითა. ხოლო იყო კვრიაკე. ხოლო
მეუცხოებოდა ენა მათი, რამეთუ არა მსმენოდა, და-
ვათიეთ მუნ ჟამნი რავდენნიმე, რამეთუ ყოვლად სამ-
ღუდელო მიტროპოლიტი პართენი არაბი, ფრიად ნუ-
გეშინის-გუცემდა, და ერნი კუალად უმეტეს, რამეთუ ქა-
ლაქსა ამას ტრიპოლის ზეწარმოსდგომია მთა იგი ლი-

ბანი, რომლისაგან სოლომონ ბრძენი ნაძუთა ლიბანისა-
თა მუნით მოიღებდა ტაძრისა შენებასა. მუნ ახლო იყო
სოფელი და საწამებელი წმინდისა ბარბარასი, და კუა-
ლად სოფელი იერუსალიმელ პატრიარხისა.
ხოლო მთასა მას შინა მჯდომარე იყო პატრიარხი
მარონიტთა მწუალებელთა და სავსე იყო ქუჱყანა იგი

მარონიტთაგან, რამეთუ სრულიად ლათინთა ეკკლესიასა
შეერთებოდეს მარონიტნი. ხოლო ღუთის-მოყუარეთა
მათ არაბთა მოგჯმზადეს გზისათჳს საგზალი და ჯორნი,
რამეთუ ზღჳთ აღარ წარვედით, არამედ ხმელით და აღ-
ვიღეთ ლოცუა, და წარვედით, და ვვლეთ დღენი სამნი სრუ-
ლიად მარონიტთა ქუჱყანა და მივიწიენით მშუჱნიერსა
ქალაქსა ბერუთს არაბეთს მშუჱნიერსა მას ალაგსა (75).
არაბნი მუნებურნი სრულიად ანტიოხიისა პატრიარხისა
სამწყსონი არიან და ვაახელით კაცი ყოვლად-სამღუდე-
ლოსა ბერუთისასა უფალსა იოანიკოს, და ფრიად ძმუ-
რად და მამურებ შეგჯრკბო და განგჯმზადა სადგური
და იქა ყოფასა ჩუჱნსა ეკკლესიასა თჳსსა ჩუჱნ გუა-
მღუდელთ-მთავრა და გჯთავაზებდა დიდად. და იყო მუნ
შიხი დიდებული ვინმე და მდიდარი იოანე და წირუა
გვაწჯა და ვჰსწირეთ რა, ქრისტიანეთა დიდად გუმსახუ-
რეს; რამეთუ ბერუთასა თურქნი არა მპყრობელობენ, არა-
მედ მათ შინა არიან უცხო-თესლნი, სახელად დურმნი ეწო-
დება და იგინი არიან მპყრობელ ქალაქისა მის. რამეთუ დურმნი
ესე ვითარნი არიან; ილოცუჱნ ეკლესიათა ჩუჱნთა და ჰს-
წამთ: არცა წინა-დაცუჱთენ, და კუალად თურქთა მეჩითთაცა
შევლენ და ილოცუჱნ, და განჯსუჱნეთ მუნ ჟამნი
რავდენნიმე და აღვიღეთ ლოცუა და გჯბოძეს ჯორნი
და საგზალნი და კაცნი მცუჱლნი გზისანი და წარვემარ-
თენით გზასა ჩუჱნსა, იერუსალიმად მიმყუანებელსა და
ვვლეთ დღისა ორისა სავალი და მივიწიენით ზღჳს პირსა

მას თჳთ მას ალაგსა, სადა წინასწარ-მეტყუჱლი იონა
ვეშაპმან განაგდო, და საფლავი წინასწარ-მეტყუჱლისა

მას უპყრიეს თურქთა. და მიერ მივედით ქალაქსა სი-
დონს და შევედით სრასა ყოვლად-სამღუდელოსა ტჳ-
როსისა და სიდონისასა, და მცირედნი ვინმე იყუნეს
მუნ ჩუნნი, რამეთუ სრულიად ფლორენციისა კრებასა
შეერთოდეს ქრისტიანენი, გარნა ფრანგთა მღუდელთა
არა აწირჳნებდეს ეკკლესიათა შინა მათთა: სრულიად
ჩვენი განწესება ეპყრათ. და ვიხილეთ მუნ ადგილი,
რომლისათჳს იტყჳს სახარება: მოვიდა საზღუართა ტი-
როსისა და სიდონისათა, და აჰა დედაკაცი ვინმე წყა-
როთა სისხლისათა გუბმული შეეხო სამოსელთა უფლი-
სათა და განიკურნა. რამეთუ აწ თურქთა უპყრიეს ადგი-
ლი იგი, და არს მცირედ მოშორებით ადგილი, სადა იგი
წინასწარ-მეტყუბლი ილია მოვიდა სარეფთად სიდონისა
დედაკაცისა ქურივისა და ჭურჭელსა მას საფქჳლესა და
საზეთესა არღარა მოაკლდა. და წარმოვედით მუნით და
მოვიწიენით ქალაქსა ტჳროსს, ვითარცა იტყჳს დავით:
უცხო-თესლისა მის ტჳროსელისა ასული იყო, რომე-
ლიცა მიიყუანა სოლომონ ცოლად და სიყუარულისა მი-
სისათჳს კერპსა მას ასტარატეს უზორა. ამისთჳს დავით
წინასწარ აუწყა, « ვითარმედ და ასულმანცა ტჳროსისა-
მან, ძღუნითა პირსა შენსა ლიტანიობდენ » და მიერიდ-
გან მივედით სოლომონის მიერ სიბრძნით აღმოყუანილ-
სა მას წყაროსა ქჳთა და კირითა ხელით უქმნელსა რათმე
საკჳრუბლთ, და აღმოვიდის წყალი ექუსისა წისქჳლისა
საბრუნავი, და ვიხილჳდით რა სიუცხოვესა მისსა ზედა,
მოგუადგნენ ქორითა და ძაღლითა დიდი ვინმე კაცნი
უცხო-თესლნი ტჳროსისანი და განგუაკრთო შიშმან

მათმან, არამედ მჰსწრაფლ წარვედით და ვვლეთ ღამესა
მას, დავადგერით სოფელსა ზიბს და ზებეეს, რამეთუ
თურქნი იყუნეს მუნ სრულიად.

ხუალისად წარვედით და მივიწიენით ქალაქსა პტო-
ლემიდას. ხოლო ჰსცნა რა მისულა ჩემი ყოვლად-სა-
მღუდელომან პტოლემაიდისამან ფილოთეოს, ფრიად კე-
თად შეგჳწყნარა და სავანე გჳბოძა. და ეკკლესიასა
თჳსსა ჩუნ გუამღუდელთმთავრა. ესე ქალაქი აღუშე-

ნებია პტოლომეოს მეფესა და სახელიცა მისი ჰქჯან,
და არს სამწყსო იერუსალიმის პატრიარხისა, და განვა-
თიეთ მუნ ჟამნი ერთისა თთჯსანი, რამეთი ქრისტიანენი
კეთილად შეგჯწყნარებდენ. და იყო მუნ ახლო ქალაქი
ნაზარეთი, სადაცა აღზრდილ იყო უფალი და წარვედით
ადგილსა მას წმინდასა ლოცუად, რომელი იყო შორს
ვიდრე ჟამისა საცალ. და ახლოდ რა მივიწიენით, გორასა
რასმე ზედა იყო სახლი იოაკიმ და ანნასი, რამეთუ ნა-
ქცევნიღა აჩნდეს, რამეთუ მივიწიენით გორასა რასამე
ზედა მაღალსა და მივედით ნაზარეთად საყოფელსა
უფლისასა. აქა მწუხრი არაბთა მათ ქრისტიანეთა
თანა ვილოცეთ ეკკლესიასა მას, სადა წყარო აღმოდის
და ყოვლად-წმინდა ქალწული წყაროსა მისგან რა აღ-
მოივსებდა, ესმა ხმა ანგელოზისა: « გიხაროდენ მი-
მადლებულო უფალი შენთანა ». – მღუდელნი და ერ-
ნი მუნებურნი ჟამისა წირუად მაწუწვდეს და კურნებასა
ითხოვდეს ჩემ მიერ, რომელსა მე მიხმდა უღორსსა მათ
მიერ შეწევნა, რამეთი ვითარცა მღუდელთ-მთავარსა გან-
მიცდიდენ, და არა უწყოდენ უღირსება შინაგანისა ჩემი-
სა, რამეთუ კრთებოდეს ფერხნი ჩემნი სულად ადგილთა მათ
წმინდათა და ცოდუათა მოტევებისა ვეაჯოდი უფალსა,

რომელმან არა ღირს-იჩინა ცოდჯლისა თავისა ჩემისა
მუნ მისულად. და ვიხილეთ საყდარი იგი, სახლი იოსე-
ბისა, სადა მსახური საკჯრუწლებისა გაბრიილ, ქალწულა
ემმანუილისა შობასა უნამდჯლებდა; და სადა მუცელ-
ქმნული მჯდომარე იყო სუწტსა ზედა, თაყუანის-ვეცით
ადგილსა მას საკჯრუწლსა, და იყო ახლო კანას გალილია,
სადა წყალი ღჯნოდ შესცუალა უფალმან, და კლდეცა იგი,
სადა ურიათა ენებათ, რათამცა გარდააგდეს მას ზედა. და
იყო მახლობელ, სადა უფალმან ფერი იცუალა: მთა თაბორი,
კდლე მაღალი და ზედ მონასტერი. და ოთხი
ეკკლესია ნაზარეთს ქართუწლთაგან არსო აღშენებულიო,
რაჟამს ვახტანგ გორგასლანმან დაიპყრო იერუსალიმი.
და იყო მუნ მცირედ მოშორვებით ზღუა ტიბერიისა,
და გზასა ზედა ჯურღმული იგი, რაჟამს ფოტინე დედა-
კაცსა სამარიტელსა ზრახჯდა უფალი. და აღვასრულეთ რა
ლოცუა უღირსთა მუნ, წარმოვედით. რამეთუ იერუსალიმს

მლოცუ̈ᲬᲚი მრავალი მივალს, არამედ ნაზარეთს, მლო-
ცუ̈ᲬᲚი ვერ შევლის გზისა სიშორისათჳს და შიშისათჳს
არაბთასა. ინება უფალმან და ჩუ̈ᲬᲜ, რომელსა არა ვე-
ლოდით, უფალი მიგჳძღუ̈ა და წარვედით ნაზარეთით.

იყო მუ̈ნ ვენახი იგი ნაბოთესი და ათორმეტი ქუ̈ანი,
რომელი ილიამან დასხნა, და მღუ̈დელნი იგი სიცრუ̈Ესანი
მოსრნა, და მუ̈ნ იდგა, შორად ათისა ჟამისა სავალსა, სრა-
ნი იროდი მეფისანი, და სახლი, სადა ნათლის-მცემე-
ლი შებორკილა იროდიმან და თავი წარჰკუ̈Წთა. და მო-
ვიწიენით კუ̈ალად პტოლემაიდად და იქმნა ნებითა ღუ̈თი-
სათა ჰავა კეთილი და ჰშთავსხედით ნავსა და გამოვვლეთ
მთა კარმელი, სადგური ილია წინასწარ-მეტყუ̈Წლისა და
კესარია ფილიპპესი, სადა უფალი ეტყოდა მოწაფეთა:

რა ჰსთქუ̈ან კაცთა ძისა კაცისა ყოფად. თჳთ წმინდა
მარტინიანე ამა კესარიელია, რომლისა ხსენება არს ფე-
ბერუ̈ალსა 13. და მიერითგან მივიწიენით იოპედ, რომელ-
სა აწ თურქნი იაფად უწოდენ. და იღუ̈მენმან მის მო-
ნასტრისა, კეთილად შეგჳწყნარა და ველოდით წარ-
სუ̈ლად იერუსალიმად: ხოლო იოპეს იყო ვინმე დედა-
კაცი, რომელსა სახელი ერქუ̈ა ტაბითა და იყო მას
დღესა შინა დასნეულებადა სიკუ̈დილი მისი, ესმა მოწა-
ფეთა პეტრესი, რამეთუ მუ̈ნ არს; მიავლინეს მისსა და
ლოცჳდეს (საქმ. მოც.). ესე, იგი არს, რაჟამს აქა პეტრე
მოციქული კორნილიოსმან მოაწჳვა, რათა ტაბითა აღა-
დგინოს მომკუ̈დარი; და კუ̈ალად აქავე ყოფასა იოპედ
ეჩუ̈Წნა პეტრეს ზეციდამ ტილო შთამოკიდებული ქუ̈Წ-
წარმავალთა და ცხოველითა აღსავსე; და არს ქულბაქად
სახლი იგი, სადა პეტრემ მოიხილა, და სახლი იგი, სადა
ტაბითა აღადგინა, თურქთაგან მოოხრებულ ჰგიეს. და
წარგჳძღვა არაბი თურქი ღაზად, სადა იჯდა პორფირი
ღაზელ ეპისკოპოსი, რომლისა ხსენება მოვალს ფე-
ბერუ̈ალსა 26, და კუ̈ალად ესე ღაზა არს, რაჟამს სამ-
ფსონ გმირმან, თუ̈ალ-დაბრმობილმან, სუ̈Წტნი წარაქცივ-
ნა და უცხო თესლნი მოსრნა. და მოვიწიენით არიმა-
თიად, და აწ რუმლად უწოდენ და დილიდიად და მონას-
ტერსა შეგჳწყნარეს და ლუ̈დიად, ახლოს სადა არს

საფლავი წმინდისა გიორგისა.

ხოლო აწ ლუდიისათჳს მოხსენება ისმინეთ. რაჟამს ჯუარცმასა უფლისასა ძელსა ზედა უსულოდ დამო-
კიდებულ იყო გუამი უფლისა, და იოსებ მშუნი-
ერმან გამოითხოვა გუამი უფლისა პილატესაგან და გარ-
დამოხსნა ძელისაგან და საფლავსა დასდუა, ამისათჳს

ურიანი შურად აღუდგეს იოსებს, თუ რასათჳს გამოი-
თხოვა გუამი მისიო. ამის მიზეზისათჳს შეიპყრეს ურია-
თა და საპყრობილესა შეაყენეს. ხოლო შემდგომად აღ-
დგომისა, საპყრობილესა მას შინა ნათელი გამოუბრწყინ-
და, და უფალი ეჩუნა, და მშჳდობა მიჰსცა, და ეტყოდა
ვითარმედ, პეტრეს უსარწმუნოეს იყავ ჩემდამო, მოვედ
რათა აღმოგიყუანო საპყრობილით და შეიძრა ადგილი
იგი, და ორნივე გამოვიდნენ, და ამისთჳს იოსებ იტყო-
და, ვითარმედ მკუდარნი აღდგომილნი თჳთ თუალითა
ვიხილეო და ზრახუ-ვჰყავ მათ-თანაო. ამისა შემდგომად
იოსებისა სახლად თჳსად მისულა რა ჰსცნეს, სელევკოს
და აბიბოს ძე გამალიელისა, ნიკოდიმოს და ბალადიოს
მისთჳს ნუგეშად და სახილულად მისრულ-იყუნეს. მა-
შინ მუნ გამოუბრწყინდა ნათელი გამოუთქმელი და გურქუა
მშჳდობაო, და ჩუნ ზე ვერ აღვემართენით გამოუთქმე-
ლისაგან ბრწყინუალებისა. ხოლო უფალმან თჳთეულსა
თავსა ზედა დაგუდუა და გუტყოდა, რასათჳს ესრეთ
ურუულ იქმენით და შეძრწუნდით; ანუ არა მამამან
მომავლინა მე, და შემძლებელ-ხართ სახელითა მისითა
ქმნად და ჰსთხოვეთ მამასა ჩემსა ნიჭნი სულისა წმინ-
დისანი და აღივსნეთ თქუნ; ხოლო ჩუნ ვარქუთ: უფა-
ლო, რა არს სული წმინდა ანუ ძალი მისი? გურქუა ჩუნ:
ამინ გეტყჳ თქჳნ, უკეთუ არა მიიღოთ სული წმინდა,
ვერ იქმნეთ ძე ნათლისა. ხოლო ჩემ თანა ნიკოდიმს ეტ-
ყოდა: უკეთუ არა იშუნეთ წყლისაგან და სულისა, ვერ
შეხჳდეთ სასუფეველსა და აწცა ვარქუთ ჩუნ: აქ უკუნ
მოგუც ჩუნ სული წმინდა. მაშინ შთაგუბერა ჩუნ
უფალმან იესო ქრისტემან და გურქუა ჩუნ: მიიღეთ სუ-

ლი წმინდა და აღჴვსენით ჩუჷნ სულისა წმინდისა მად-

ლითა და გუჷტყოდა ჩუჷნ უფალი, ვითარმედ ლუდიასა
შინა წარვედით და ახარეთ აღდგომა ჩემი და წარვიდა
უფალი ჩუჷნგან. «იქცეოდა რა პეტრე ყოველთა მათ
ადგილთა, შთავიდა წმინდათა მათცა,რომელნი მკჴდრ-
იყუნეს ლუდიას და ჰპოვეს მუნ კაცი, რომელსა ერქუა
ენეა, რუა წლითგან ქუჷმდებარე » ([76]). და აღვჰსდეგით
და მივედით ლუდიას და უქადაგეთ სიტყუა ჭეშმარიტე-
ბისა და მოიქცეს და ნათელ-იღეს და აღაშენეს ეკკლე-
სია და აწჴეს იერუსალიმით პეტრე, თავი მოციქულთა, და
მოვიდა ლუდიას და შეჰსწირა მსხუჷრპლი საიდუმლოსა
და აკურთხეს ეკკლესია და ხელი დაასხა ელიას ეპის-
კოპოსად. ხოლო ჰურიათა ჰსცნეს რა ესე, შეიპყრნეს
იგინი და ჰგუჷმნეს და ეკკლესია მიუღეს. არამედ მაშინ
რომნი მთავრობდენ მუნ, და მიუღეს მათ ეკკლესია ჰუ-
რიათა, დაბეჭდეს, და იტყოდეს: ორმეოცდა დღეთა არა
განეღოს კარი საყდრისა ამის, და ვისიცა სასწაული ი-
პოვოს მუნ, ურიათა ანუ ქრისტეანეთა, მათ მიეცეს.
ხოლო ენეა შეწუხებულ იყო ამისთჴს და მოვიდა იერუ-
სალიმად ვედრებად დედისა უფლისა ამათთჴს. ხოლო
დედა უფლისა ეტყოდა: ნუგეშინინ, რამეთუ ძემან და
ღმერთმან ჩემმან სასწაულად სახე ჩემი გამოსახოს მუნ.
ხოლო შემდგომად ორმეოცდა დღეთასა, აღახუნეს კლი-
ტენი კარისა მისგან და ურიანი შინა არა შევიდეს, ხო-
ლო მთავარი რომთა შევიდა შინა და იხილა დედა იესო-
სი გამოსახული და ეწერა ზედა, ვითარმედ « დედა უფ-
ლისა ». ამისთჴს მისცეს კლიტე ეკკლესიისა ქრისტეანეთა
მათ. ვინაცა შემდგომად მრავალთა ჟამთა მეფე უსჯულო

([76]) საქმე მოც. თავი 9. მუხ. 33.

დიოკლიტიანე მეფე იქმნა, და ზაფხულს ნიკომიდიას
და კესარიას დაათივის დღენი, და ზამთრისა იერუსა-
ლიმს და პალესტინეს, და მხედართ-მთავარი სტრატი-
ლატი სამეფოსა მისისა, ვითარცა ჩუჷუელება იყო, თანა-
ჰყუჷბოდა. და მოვიდა რა დიოკლიტიანე იერუსალიმად

დაზამთრებად, სტრატილატი იგი მივიდა ლუდიას და
იქორწინა მუნ და იშუა მათგან წმინდა მოწამე გიორგი
ღუაწლით-შემოსილი ხოლო აღიზარდა რა გიორგი,
მონაცუალე იქმნა ადგილსა მამისა თჳსისა. არამედ ჭეშ-
მარიტითა სარწმუნოებითა ქრისტიანეთა იქცეოდა, და
ვინადგან ჰსცნა რა ესე დიოკლიტიანემ, მრავლითა ლიქნითა
ხელ-ჰყო ცთუნება მისი და ვერ-უძლო. და ბრძანა უ-
წყალონი სატანჯუწლი და სიკუდილი მისი. მაშინ ახო-
ვანი გიორგი მსახურსა თჳსსა პარვიკარპოზს ბეჭედსა
თჳსსა მისცემს, და ეტყჳს; ვიცი, რამეთუ დიოკლიტია-
ნეს ეგულუწბის წამება და სიკვდილი ჩემი, ხოლო შენ
ბეჭედი ესე ჩემი განავაჭრე და გუამი ჩემი წარიღე და
დამარხე ლუდიას. და ესრეთ იქმნა და თჳთო-სახეთა
სატანჯუწლთა შემდგომად, თავი წარჰკუწთეს და წმინდა
იგი თავი მისი მოიღო და დამარხა ღულივერიმან ლუდიას
ნოემბრს 3, და კუალად სწორსა მისსა, ილორის მონას-
ტერსა წმინდისა გიორგისასა სასწაულთა მათთჳს, რომელნი
იქმნებიან წლითი-წლად (77), დღესასწაულობა განაჩინეს.

---

(77) რამეთუ კაცთა ვიეთმე უმეცართა დღესასწაულსა წმინ-
დისა გიორგისასა, ჰსწორზედ სასწაულთაცა ჩუწნება უარ-
ჰყუწს. რამეთუ ნამეტანი დღესასწაული არს დღე ესე ქარ-
თუწლთა, სიყუარულისათჳს და სასოებისა მისისა, ვითარცა
რუსნი მაისსა მიცუალებასა წმინდისა ნიკოლოოზისასა დღე-
სასწაულობენ, რომელი ჩუწნ არა ვუწყით.
ტიმოთე.

ხოლო აწ პირუწლსავე სიტყუასა მივიდეთ. რამეთუ
რუმლს ყოფასა ჩუწნსა, შემოჰკრბენ თურქნი და მთა-
ვარნი არაბთანი, მცუწლნი გზისანი; იყო შიში ფრია-
დი გზათა შორის და წარვემართენით გზასა იერუსალი-
მად მიმყუანებელსა მრავალნი სულნი. და იყო დიდი სა-
ტანჯუწლი არაბთაგან, რამეთუ მას წელსა ფაშა თურქთა
არა იყო მჯდომი, და ამისთჳს ლაღობდეს არაბნი. რა-
მეთუ გზათა ზედა არაბნი ურიცხუნი ჩამომდგარ-იყუნეს
და ეპყრათ კუწრთხი ლურსმართა მიერ მოსხმულნი რკი-
ნითა და ჰსცემდეს ქრისტიანეთა; და იყო ზახილი და

ილორისა წმინდისა გიორგისა დღესასწაულობა 10 ნოემ-
ბერს უპყრიეს მხოლოდ ქართუ̈ლთა ეკკლესიასა. არცა ბერ-
ძენთა, არცა რუსთა და არცა სხუ̈ათა მართლ-მადიდებლობისა
შედეგილთა ქრისტიანეთა არა აქუ̈სთ დღესასწაული ესე, რომ-
ლისა მიზეზისათჳს ძუ̈ლადვე ნოემბრისა თთჳსა ეწოდა ქარ-
თუ̈ლთაგან გიორგობის-თთუ̈.
სამ-თთუ̈ნში, დაბეჭდილსა ქ. თფილისს 1791 წელსა მე-
ფის ირაკლის II ჟამსა, გუ̈ბრდზედ 295 ჰსწერია ესე:
აპრილის 23 აღუ̈სრულებთ დღესასწაულსა წმინდისა გიორ-
გისსა, ვინადგან მას დღესა სრულ-ჰყო ღუ̈აწლი წამებისა
თჳსისა. ხოლო ნოემბერსა 3 განახლება არს ტაძრისა მი-
სისა, სადა დაიდუ̈ა მრავალ-მოღუ̈აწე წმინდა გუ̈ამი მისი და
ლიტონად გარდაიხდების თჳნიერ საიდებელისა და სახარე-
ბისა. ხოლო აპრილსა 23 ბრწყინუ̈ალედ დღესასწაულობს
წმინდა ეკკლესია ბერძენთა და რუსთა: მრავალ-გზის იქმნე-
ბის თჳთ ბრწყინუ̈ალესა ქრისტეს აღდგომისა და ბრწყინუ̈ა-
ლესა კჳრასა, რომელსაცა დღესა ანუ დიდსა პარასკევსა
და შაბათსა დაემთხჳოს, აღესრულების, ვითარცა წმინ-
დისა ხარებისა, ხოლო სხუ̈ათა დღეთა საეკკლესიოდ განწე-
სებული დღესასწაული წმინდისა გიორგისა ვერ სადა ვჰპ-
ვეთ, არცა ბერძნისა და არცა რუსისა წერილსა შინა, ვითარ
ჩუ̈ნ ქართუ̈ლნი ვდღესასწაულობთ ნოემბერს 10 და სხუ̈ასა

ვაება, და ჰსთხოვდენ საფასეთა, არამედ დამბადებელმან,
რომელმანცა სიკუ̈დილი დაითმინა და ჯუ̈არცმა ჩუ̈ნთჳს
თავს-იდუ̈ა, და ადგილნი იგი ჯუ̈არცმისა და დაფლჳსა
მისისანი ქუ̈ყანასა ზედა იხილუ̈ბის, მისდა მიმავალთა
თაყუ̈ანის-ცემად სატანჯუ̈ლთა სახელისა მისისათჳს, სა-
ხარულევან ჰყო და საწად სარწმუნოებით და სურჳლით
მიმავალთათჳს. და მივედით სოფელსა ევმაოსს, სადა იგი
უფალი ლუკას და კლეოპას სწორად მიმავალთა გამოეცხა-
და და მათ თანა ზრახუ̈ა ჰყო, და მიზეზ-ჰყო მათგან
წარსუ̈ლა. ხოლო იგინი ეტყოდეს, მწუ̈ხრ-არს და მიდრე-

და სხუ̈ასა ადგილსა, სხუ̈ასა და სხუ̈ათა დღეთა: შემდგომად
აღუ̈სებისა ყოველთა კჳრაღა ვიდრე ყოველთა წმინდათა კჳ-
რადმდე რომელსამე ქაშოეთად უწოდენ, რომელსამე კალა-
ობნად, რომელსამე ზღუ̈დრად, თჳთ საუ̈ფლოსა დღესა ამაღ-
ლებისასა თელეთობად სახელს-ჰსდებენ. მე ესრეთ ვჰგონებ:
ესენი არცა ერთი სათნო ღუ̈თისა იყოს, არცა დიდის მო-

წამისა გიორგისა, არამედ ყოველი მოპოვნებული და საეშ-
მაკო. აწ რომელსა ენებოს დიდებილისა მოწამისა სათნო-
მსახურება, მომადლება და სულიერისა დღესასწაულისა მისისა
აღსრულება, აპრილსა 23 და ნოემბერსა 3აღასრულონ, ვი-
თარცა წერილ-არს თჳსითა წესითა.
ვჰგონებ ესე სიტყუანი იყუნეს კათოლიკოზის ანტონის
პირუჱლისა, რომელსაცა ჰსუროდა შეთანხმება ქართუჱლთა
ეკკლესიისა ჩუჱულებათა ბერძენთა დედა-ეკკლესიისა, მიუხე-
დუჱლად იმა ყოველთ-ჟამითისა ჰაზრისა, რომელ თჳთოეულსა
კერძოდ მართლ-მადიდებელსა ეკკლესიასა დაუბრკოლენელად
აქუნან საკუთარნი დღესასწაულნი მოსახსენებელად დიდთა შემ-
თხუჱვათა. ესრეთ რუსთა ეკკლესიასა აქუს დღესასწაულობა
საფარუჱლისა ყოვლად-წმინდისა ღუთის-მშობელისა 1 ოკ-
დომბერს და დღესასწაული წმინდისა ნიკოლოოზისა 9 მაისს.
რომელნიცა არა აქუსთ დღესცა ბერძენთა.

კილ-არს დღე ესე; დაადგერ ჩუჱნთანა და მოიღო პური
და განსტეხა; ხოლო მათ განეხუნეს თუალნი მათნი
და იცნეს უფალი, არამედ თავადი განეშორა მათგან.
და არს ეკკლესია მას ადგილსა დიდი და გამოვედით მიერ
და წარმოვედით, რამეთუ სამეოც უტევან შორს იყო იე-
რუსალიმი, და ვვლეთ აღმართი ადგილი ქჳანი, და გა-
მოჰსჩნდა გორასა რასმე დიდსა მოგუჱრდებით იერუსა-
ლიმი, ქალაქი მეუფისა დიდისა, შენებულება ციხეთა ძლი-
ერი, და ტაძარი სოლომონისი, მჰსგავსი ცისაგან გამო-
კრთომილისა, ფერადი მჰსგავსი ირისესა, განსაცჳფრებე-
ლი მხედუჱლთა; და კუალად მახლობელ მისსა წმინდა
ტაძარი, რომელსა ყოვლად-წმინდა დაემკჳდრა და ტაძ-
რად აღიყუანეს. იერუსალიმი შენებულ-არს, ვითარცა ქა-
ლაქი და საყოფელნი მისნი მისთანა, ვითარცა ჰსთქუა
წინასწარ-მეტყუჱლმან. და მივიწიენით და შევვლეთ კარი
და მივედით.რომელთა იგი მრქუჱეს, ვითარმედ გზათა
უფლისათა შევიდეთ: მრავლითა სიხარულითა აღვივსე და
ვერჩდი მათ, და გალობათა და ლოცუათა შევჰსწირევდი
კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესიასა და სრასა იერუ-
სალიმისასა, და მოგუჱზგებნენ ეპიტროპე და სხუანი
განმგენი ეკკლესიისანი, და ხუალისად წარგჳძღუნენ და

ესრეთ არა არს საიჭუო, რომელ პატივად რომელთამე ძუჱ-

ლად სასწაულთა საქართუ‌ბ‌ლოსა შინა, ანუ ენკენიობისათჳს
და განახლებისათჳს ტაძრისა ილორს, სახელსა ზედა დიდისა
მოწამისა გიორგისა, დაჰსდუ‌ბ‌ს დღესასწაულობა ნოემბრის
10. – მაშასადამე არა რაჲ არს დასაწუნებელ და განსაკიც-
ხუ‌ბ‌ლ დღესასწაულობა მისი დღესა ამას მართლ-მადიდებელ-
თაგან ქრისტიანეთა წმინდისა ქართუ‌ბ‌ლთ ეკკლესიისა.

პ. ი.

მიგჳყუ‌ბ‌ანეს ადგილსა მას, სადა მარიამ მაგდანინელმან
იხილა უფალი იესო და ეწადა ამბორებად ფერხთა,
და უფალი ეტყოდა: მარიამ ნუ შემომეხები, რამეთუ
არღა აღსრულ-ვარ მამისა ჩემისა; და ზედა ახლო ეკკლე-
სია წმინდისა იაკობ მოციქულისა ძმისა უფლისა და
პირუ‌ბ‌ლისა მღუ‌ბ‌დელ-მთავრისა. და აწ საპატრიარხო
ეკკლესია იგი არს. და მივედით მუნვე მონასტერსა აბრაა-
ამისასა, სადა ისაკის შეწირუ‌ბ‌ა ენება, რომელიცა აბაშიძეს
გიორგის აღუშენებია დაქცეული, და თაყუ‌ბ‌ანის-ვეცით
ადგილსა მას, და მიერით მიგჳყუ‌ბ‌ანეს დიდსა მას კარსა
აღდგომისა ქრისტესსა და საფლავისასა. განვიცადეთ დი-
დი ეკკლესია, მაღალი, გუმბათიანი წესისაებრ ეკკლე-
სიათასა, და მეორე თავი მორღუ‌ბ‌ული გუმბათისავით აღ-
მართული, ქრისტეს საფლავისა ასწ‌ბ‌ურივ, და ძირს ორი
კარის ბჭე. ერთი იგი არს, რომელსა მარიამ მეგჳპტე-
ლი ვერ შევიდა და მეორე სხუ‌ბ‌ა. და შევედით დიდსა
მას ეკკლესიასა, და მივიწ‌ბ‌ენით საფლავსა უფლისასა,
და ვიშიშოდი, თუ ვითარ უკადრისითა სულითა და უღირ-
სითა ბაგითა შევკადრო შესუ‌ბ‌ლად ცოდჳლთაგან შეუალსა
მას ადგილსა, და მომეხსენებოდეს ცოდუ‌ბ‌ანი ჩემნი. პგარ-
ნა ხელ-ვჰყავ კადნიერად შესუ‌ბ‌ლად და მუხლნი დავიდგენ
და პირი წმინდათა საფლავთა დამდები მოწ‌ბ‌ყალისა
მთხოვნელი, გლახაკითა და მოწ‌ბ‌ლითა ხმითა ცოდუ‌ბ‌ათაგან
ხსნასა ვეაჯოდი, და ვიტყოდი: გუნდნი ანგელოზთანი
განკჳრდეს, რაჟამს იხილეს მკუ‌ბ‌დართა-თანა შერაცხილი;
და იხილეთ და განიცადეთ საფლავი ქრისტეს ღუ‌ბ‌თისა
ჩუ‌ბ‌ნისა. და მცირესა მას ტაძარსა საფლავისასა, მრავა-
ლი კანდელი აღნთებული ელუ‌ბ‌არედ ეკიდნეს, ვითა სიმ-
ხურუ‌ბ‌ალე შესწჳდა კაცთა. და გამოველ და ვიხილე ადგილი,

სადა ჯუარიდან გარდმოსხნეს და მუნ დაჰსდუѣს და
წარგრაგნეს. და მივედით დიდსა მას კათოლიკე ეკკლე-
სიასა და ვიტყოდი ფსალმუნსა: ვიხარე, რომელთა
მრქუѣს მე სახლსა უფლისასა შევიდეთ; დადგრომილ
იყუნეც ფერხნი ჩემნი იერუსალიმს. და აღველ მუნვე
გოლგოთად, სისხლითა იესო ქრისტესითა დალტობილსა
მას ადგილსა მრავლისათჳს სულ-გრძელებისა, და კაცთ-
მოყუარებისა მისისა. რამეთუ ცოდჳლსა ვითარ არა
შემწჳდა პირი უღირსი და ხელი შებღალული, წმინდათა
მათ ადგილთა მოხუѣვად. რამეთუ კლდე იგი განპებული
იხილუѣბოდა და ჯუარი ამაღლებული; და ზედ სახე ქრის-
ტესი, ძელსა დამოკიდებული, სისხლითა შესუარული
უცხოდ განიცდებოდა. მართალი იგი, მოწყალებისათჳს
კაცთა ცოდჳლთაგან სიმართლისათჳს ჯუარცმული მუნ
რა იხილუѣბის, ვისი გული იყოს მაღნიტისა, რომელი
არა ჰსტიროდეს. და მუნ პატრიარხისა ტახტისა საფერ-
ხესა ქუაზედ ეწერა ქართულად: მეფემან ქართუѣლთა
და კახთამან ლეონ წარმოავლინა იოაკიმ ჯუარის-მამა
საფასითა, და საფლავი ქრისტესი დაქცეული და გოლ-
გოთა მან აღაშენაო. მას აქეთ წარსრულან წელნი 222
აქამომდე: და ვმადლობდი, ჩემ უღირსისათჳს მუნ მიწევ-
ნასა, უფალსა და თაყუანის-ცემისათჳს მუნ, და ვიტყო-
დი ფსალმუნსა ამას: « არა ვეც ძილი თუალთა ჩემთა და
რული წამთა ჩემთა და განსუѣნება ხორცთა ჩემთა, ვი-
დრემდის ვჰპოვო მე ადგილი უფლისა და საყოფელი
ღუთისა იაკობისა, და გაქებდე იერუსალიმ, უგალობდე
ღმერთსა შენსავ სიონ ».

და ვიხილეთ ადგილი იგი და ეკკლესია, სადა დედო-
ფალმან ელენე ჯუარი ჰპოვა, და სადა მოაბეს სუѣტსა

უფალი და ჰსცემდეს და სხუანი მრავალნი ადგილნი
წმინდანი. ანუ ვითარ ძალ-მედუას თჳთოეულად აღწე-
რად და იერუსალიმისათჳს შესხმად, და თუ ვითარ
ხელითა მტკიცითა და მკლავითა მაღლითა ღუთისათა

აღეშენა და ანუ ახლისა ქრისტესა განხორციელებისა და
ჯუარცმისა, თუ ვითარ საკჳრუჱლად განიცდებოდა. თუცა
ფრიად რიტორება აღუწმასნო და ანუ ჭურ-რჩეულები-
თა ენა ენისადმი აღმეგო, ეგრეთცა ვითა მეძლო ჯეროვა-
ნი აღწერა საიდუმლოთა მათ შინა ქმნილთა. არამედ სუ-
ლისა მუსთა ენათა მოქცევანი, კნინ თქმულება ესე ჩემ-
მიერ ერმაულად იმწუჱრვალენ პირუჱლიდგან შენებულე-
ბა ქუჱყანისა მის გულის-სათქმელისა, საბაოთისა თითითა
განრჩეული და აღმკული ხუროებადი ესე ხუროთ მოძ-
ღურისა და შემოქმედისა მიერ, ვითარცა ჰსთქუა დავით:
გამოირჩია უფალმან სიონი სამკჳდრებელად თჳსად. ჱე
ჭეშმარიტად ხერუვიმთა ზედა მჯდომარემან მეუფემან
და უფალმან ძალთამან, რომელმანცა აღაშენნა ზღუდენი
იერუსალიმისანი სახლად საბაოთისა და წმინდად წმინ-
დათა სახლი იგი სოლომონებრივი და ტაძარი სამეუფო
ძალთა მუნ განცხადდა, თუ ვითარ სიბრძნითა დაფუძნე-
ბულობა მისი მის უცნოსაგან წარმოინერგნეს და ქმნუ-
ლება საკჳრუჱლებისა ამისი მისუქმნოსადმე, აღამკჳდეს;
ანუ ვითარ ქართულადმე ამისთჳს ვისიბრძნის-მეტყუჱ-
ლოთ კნინ-მოუბარ ენითა ჩუჱნითა. არამედ უსაწად ჩემ-
და ესე, რათა დავითებრივი ხმანი მეუმუსიკნეთ ზედა ქა-
ლაქსა ამას წმინდასა იერუსალიმსა, ქალაქსა მისსა. და
ანუ თუმცა ეკმაება შესხმა ფისიკურთა ხმათამი შკოლი-
სა ებნათამი, დაბურუაჲ ათთა ნამდჳლისათა ნამკთა
მესთა ზე ქებათა აღტჳრფუა მისი, და ღუთის-მეტყუჱ-

ლებითთაცა ნიშთამე პოვნად მათ შორის სახლისა ღუთისა
იებოსელისათჳს, აწ უკუჱ ანუ უკუჱ-არს მეა ამისთჳს თნე-
ბაჲ. – ისმინეთ ამის არსებისათჳს ([78]).

1. არსებამან და მიზეზმან ზესთა გონიერისა
არსებისამან, რომლისა იგივეობა უძრავ. ამან მაუკუდა-
ვებელითა ვნებითა, და ზენივთთა ზავებითა ორძილთა ქა-
ლაქი ესე აარსა და იზიარა არსებამან უცხომან. არსე-
ბითი ესე და ნივთებრივნი შენება და დიდად ზიარ
დიდებულისა თჳსისა ჰყო, რომლისადმი სოლომონცა ის-
იბრძნა წინა-მჭჳრობაჲ ესე, და ვენახად ადონაჲსა ამკო,
ვითარმედ აღჳმსთოთ ვენახთა. უკეთუ აღყუავნა ვენახი,
აღყუავდეს თუ ხილნი, აღყუავდეს თუ ვარდნი, მუნ მიგ-

ცნე შენ ძუძუნი ჩემნი, მან გამოჰსცეს სუნნელებაჲ და
ვინ არს რომელი აღმოიჭჯრჯს, ვითარცა ცისკარი. სადა
კიდობანი მედაბირით და კანთორიდმი, ფიცარნი, კუᲗრ-
თხი და მანანა არსებითნი, ნივთნი და ქუᲗანიცა ათორნი,
სამარაგდე და ზმური და ტოპაზიონ განდგმულ უსაშუა-
ლოდ განწმედილებ იჩინებოდეს.

2. რაოდენ არა თუ განწუᲗალებით, არამედ შერ-
წყმით, არამედ განუსაზღვრელობისა გარდასრულებითა
რაჲთამე ზესთა აღმატებული ყოვლისა საზომისა და რიც-
ხჯსა, ვითარ იგი ვიტყჯთ, ვითარმედ მრავალ-არს მოწ-
ყალება ღუᲗისა, დიდ არს საიდუმლო სიტყჯსა ღუᲗისა,
განგებულებისა ღუᲗისათჯს მივიღებთ, ეგრეთუᲗ სოფელსა

(78) ესრეთისა ქებისა შესხმა, ათთა კატიღორიისა ხმათა
ზედა დაქსული, ჩუᲗულებად აქუᲗნდათ ძუᲗლთაცა სხოლასტი-
კისა ჟამთა მწერალთა ესრეთსავე მწერლობისა გუᲗარსა ხმა-
რობდენ ქართუᲗლნი მიწერ-მოწერისა წერილთაცა შინა.
პ. ი.

შინა რაოდენ აღმატებული ყოვლისავე საზომისა ქება-
თასა, და მრავალ-არს საიდუმლონი ძუᲗლნი და ახალნი
ქმნილნი იერუსალიმს, რომელთა არა არს რიცხუᲗთა შე-
მოღება.

3. რაჲსა მიმართ არიან სახელ-მოდგამისა ხმი-
საებრ, ვითარედ ზე წმინდა იგი იერუსალიმი საყდარი
მეუფისა დიდისა უნივთოებისა, ხოლო ესე ნივთიერები-
თა თქმულებ ქალაქი მეუფისა დიდისა ანუ ვითარცა
მცირე დიდისა მიმართ, ვითარცა მონა და მეფე.

4. ვითარ დიდებულებითა წინასწარ-მეტყუᲗლთა
და მამათ-მთავართა მშობი, მცხები შაარავანდთა ტაძრისა
სამღუᲗდელოსა ძუᲗლისა და ახლისა მქონე ზეუვითარო-
სათჯს, აწ იესე ივითარა სახელ-მოდგამად.

5. სადა ანუ არა ყოველსავე აღავსებსა და ყოველ-
ნივე მას შინა, არამედ სამღუᲗოთათუᲗს. ხოლო ამისთჯს
ანუ არა აზიასა ქუᲗყანასა პალესტინესა საშუალ-ქუᲗ-
ყანისა მოსეს სიტყჯს ადგილსა მუნ ხედჯდეთო, ცხო-
ვრებასა თქუᲗნსა წინაშე თქუᲗნსა დამოკიდებულსა და
ვერგულის-ხმა ჰყოთ.

6. ოდესობა არა არს მაღლისათჳს პირუჱლ საუ-
კუნეთა და ყოველსა ჟამსა. ხოლო ესე ხელითა მტკიცი-
თა ისრაილთა რა შემოიყუანდა და ზღუდენი იერიქოს-
ნი შეიმუსრუოდეს, მას ჟამად ზღუდენი იერუსალიმი-
სანი აღშენდებოდეს.

7. მდებარეობა მაღლისათჳს არა არს ამისი
მოღება, არამედ მდებარედ არს იერუსალიმი შუა მთისა
ზეთის-ხილთასა და ქუაბსა ბარუქისასა დაეძინა.

8. მქონებელ არს უფალი ყოვლისავე არსისა
ხილულთა და უხილავთა, ხოლო ესე მქონე-არს საფლავისა

ცხოველს-მყოფელისა, საპკურებელისა სისხლითა მეუფი-
სათა ცხებულ გოლგოთა, წმინდა სიონი. ვითარმედ არ-
ქუთ ასულთა სიონისათა: აჰა მეუფე შენი მოვალს მშჳდი.

9. ქმნა მოქმედისათჳს, ვითარცა ყოვლისა-მპყრო-
ბელი და ჰქმნა იერუსალიმმან აღზრდა უფლისა და ხორ-
ცითა იპოვა მხოლოდ-შობილი, შემოქმედი შექმნილსა
შორის. აქუს სასწაულება, ქმნილება მათ შორის.

10. ვნება უვნებელისათჳს აქა ვნებისა თავს-დება
და შეცუალება კეთილისა მის სორექისა, სავენახოსა მის
წინა-უკმო, რაჟამს უფალი ეტყოდა: იერუსალიმ, იერუ-
სალიმ, რომელმან მოსწყჳდენ და ქუა დაჰკრიბენ მივლი-
ნებულთა შენდა და სახლი და სავენახე საყუარელისა
ღუთისა მრავალთა ვნებათა მოქმედად გამოჰსჩნდა, ვი-
თარცა ჰსთქუა უფალმან: რა უყო სავენახესა ჩემსა; მო-
ვარღჳო ზღუდე მისი და იყოს დასატაცებელ; რამეთუ
ველოდი, რათამცა ჰყო ყურძენი, ხოლო მან ჰყო კუროს-
თავი. დახსნად მისა მოსრულისა მკჳდრისა, რომლისა
ზედა იზრახა, ესე არს მკჳდრი, მოვედით და მოვჰკლათ
იგი და ჩუჱნდა იყოს სამკჳდრებელი: მოჰკლეს სიტყუა
და ძე ღუთისა ხორცითა და უარის-მყოფელ მისსა იქ-
მნეს. ამისთჳსცა დაუტევა სახლი ისრაილისა ოხრად და
წარსატაცებელად, ვითარცა თჳთ იტყოდა.

ესენი თჳთ მეცა ვიხილე ვნებათა მათ ადგილნი, და
სადა იგი მტილსა გარე ილოცჳდა, და მოციქულნი
ურუჱლნი მძინარე იყუნეს, სადა მტილი-არს და ხევი
ნაძოვანი, და ადგილი იგი შეპყრობისა მისისა, სადა
ჰსცემდეს, და პირქუჱ სარჯელისაგან დაეცემოდა, და სადა

პილატესა წარადგინეს, და გამოჰყუანდათ რა, დახურეს
თავსა და ჰსცემდეს. სადა დედა სასურუწლსა ძესა

ჰყუწბოდა და მტარუალთა მათ მისთჳს ცრემლით ევე-
დრებოდა, და იგინი განაძებდეს, სადა მჯდომარე ჰსტი-
როდა მშობელი სამღუთოსა საწმისისა და სახლი ანნასი
და კაიაფასი, და შოლტით საცემსა მას ადგილსა მოვი-
ხილჳდით. რამეთუ ვისი გული იყოს ქჳსა და სული ან-
დამატისა და არა ჰსტიროდეს, სადა ჯუარს აცუწს და
კლდე იგი განპებული ([79]), სადა წარგრაგნიდეს და სადა
დაიდუა უფალი.

ხოლო რამეთუ არა ვინ მეცნიერ იყო მას ჟამად თჳ-
თოეულად, თუ რაოდენი სატანჯუწლი მიაპყრეს უფალსა
და არცა წერით ვინმე გარდამოსცა. არამედ წმინდა ელი-
საბედ ღირსი საკჳრუწლთ-მოქმედი, რომლისა ხსენება
არს აპრილის 24-სა ([80]). ამისთჳს ევედრებოდა უფალ-
სა, რათა გამოუცხადოს სატანჯუწლი თჳსი. ხოლო შემ-
დგომად მრავლისა ვედრებისა, ეჩუწნა უფალი და ეტყო-
და ვნებათათჳს ვინადგან ესოდენ დაჰშუწრ და მევედრე-
ბოდი, სიყუარულისათჳს ჩემისა, ვნებათა ჩემთათჳს გამო-
გიცხადო.

([79]) რამეთუ ორნი საფლავნი არიან ქრისტესნი. ერთი მტილ-
სა, გამოკუწთილი კლდისაგან, სადა არა ვინ დადებულ-იყო.
მუნ რა დაჰსდუწს უფალი, ანნამ და კაიაფამ აღიღეს მუნით და
მცუწლთა მიჰსცნეს და სხუასა ადგილსა დაჰსდუწს და მუნ აღ-
ჰსდგა უფალი.

ტიმოთე.

([80])არ ვიცი, რომლისა მიზეზისათჳს არა მოუხსენებიათ
საკჳრუწლთ-მოქმედი ელისაბედ ახლად დაბეჭდილთა ქართულ-
თა ჟამნთა შინა. რუსთა და ბერძენთა ეკკლესიისა ჟამნში იპო-
ება იგი მოხსენებულ, ვითარცა იპოებოდა ჟამნთა შინა ქარ-
თულთა ძუწლთა, ვითა აცხადებს თჳთ ტიმოთე.

პ. ი.

რამეთუ მტილსა მას ზეთის-ხილთასა ოდეს შემიპყრეს
მცეს მე პირსა მჯიღი122

ყურილის-ცემა მომიპყრეს 30.

მტილით ვიდრე ანნას სახლადმდე დავეცი შჳდ-გზის
და იგინი აღმადგინებდეს ქუჱყანით. 7.

მცეს თავსა და მკერდსა კუჱრთხი 205.

შემდგომად კისერსა და წელსა მჯიღით 22.

კუალად კისერსა და წელსა მჯიღით 8.

თოკი მომაბეს მკლავთა და მათრიეს.
მაგლიჯეს თმა თავისა ჩემისა
ხმა-ჰვყავ სულისა მიცემადმდე 38 გზის.

პირქუჱ მათრიეს 105 გზის.

სვეტსა რა დამაბეს, მცეს შოლტითა 32 გზის.

და კუჱრთხითა მცეს 6663 გზის.

ამა წყლულებაზედ მცეს მე ლელწმითა 1 გზის.
ეკლისა ხურთითა მცეს 22 გზის.
მრავალ-გზის დამადგეს გჳრგჳნი ეკლისა.

შემდგომად კუალად მცეს კუჱრთხითა.

მერმე სამი ლელწამი მცეს.

მნერწყუჱს პირსა 22 გზის.

მხედარნი შეკრებულ იყუნეს ჩემთჳს 508.

მსახურნი იყუნეს 303.

რომელთა შემიპყრნეს და შემკრეს იყუნენ ხუთნი 5.

სისხლი ჩემი დასწუდა შჳდ-ჯერ ასი ათას ერთ-ჯერ
ათი ათას ხუთ-გზის 710,005.

ვის არა უკჳრდეს მეუფისაგან ესეოდენთა სატან-
ჯუჱლთა თავს-დება, ვინ არა სძრწოდეს და არა
განკვირდეს?

ამათ სატანჯუჱლთა ადგილი ვიხილეთ და უღირსითა
ფერხითა ვსტკეპნიდი, და ადგილთა მათ საკჳრუჱლთა
და უცნაურთა და საკჳრუჱლ-მოქმედთა ხილჳსათჳს
უფალსა მადლობასა შევსწირჳდი. მას მხოლოსა მადლობა,
რომელმან ღირს-მყო ხილუად მათდა. მისსა დიდება
ამინ. (*)

(*) წმინდა ელისაბედ, სიყრმითგან ქალწულებასა შინა აღ-
ზრდილი, შევიდა დედათა მონასტერსა და ესოდენის ღუაწლი-
თა და მარხჳთა განატარებდა ცხოვრებასა, რომელ შეახმენ მას
კნიკღა ჴორცნი.საზრდელად აქუნდა პური მცირეი და მდე-
ლონი; ღჳნო და ზეთი არა უხმევიეს არა-ოდეს; იმარხჳდა

ორმეოცსა დღესა, ვითარცა წინასწარ-მეტყუ̈ველი მოსე; შუა-
ღამე ლოცუ̈ად აღდგენილი განათლებოდა მარადის ზეცისა
ნათლითა; მოხუცებისა წელთა დაიდგინა განმგედ დედათა
მონასტრისა და იქმოდა სასწაულთა; ლოცჳთა მოჰკლა გუ̈ველი
მძჳნუ̈არე; განჰკურნა დედაკაცი მრავალ-წელ გუ̈ემული სისხლი-
სა დინებითა; განდევნიდა სულთა ბოროტთა კაცთაგან, მათ-
მიერ შეპყრობილთა. – შემდგომად სიკუ̈დილისაცა იქმოდა
სასწაულთა. სნეულნი შეხებითა საფლავისა მისისა, მიიღებდენ
კურნებათა, ბრმანი მოღებითა სამკურნალოდ მტუ̈ერისა სა-
ფლავისაგან მისისა, მიიღებდენ ხედუ̈ასა და სხუ̈ათა მრავალთა
იქმოდა სასწაულთა.
ვერა ვჰპოვე ოდესობა ცხოვრებისა მისისა, ვერცა ბერძულ-
სა, ვერცა რუსულსა მამათ-ცხოვრებათა შინა.

პ. ი.

უკეთუ გენებოს ცნობად თუ ქართუ̈ველნი ვითარ იპყრობენ იერუსალიმს, ესრეთ ვჰპოვენით მუნ წერილთა შინა.

რამეთუ პირუ̈ველ ქრისტიანე ჰქმნილი მეფე საქარ-
დუ̈ველოჲსა მირიან ხოსროიანი, ნინოს მიერ წარმო-
ვლენილ-არს; მეფე კონსტანტინე უხილავს და იერუსა-
ლიმად მისრულ-არს და ჯუ̈არისა მონასტრის ადგილი
მას უშოვნია. რამეთუ ესე არს ადგილი იგი, სადა
ლოთმან სამი ხე: სარო, ფიჭჳ და ნაძჳ, დარგო სასწაუ-
ლად, უკეთუ მიეტეოს ცოდუ̈ა იგი და სამივე ერთ-ხე
დიდ აღმოხდა. ამისა შემდგომად მოჰსჭრა იგი სოლო-
მონმან ტაძრისა შენებასა, არამედ უქმად გამოჰსჩნდა სა-
ხმარება იგი მისი მუნ და მდებარე იყო საჯდომელად
კაცთა გარე. ხოლო ჯუ̈არცმასა უფლისასა განგებითა ზე-
ნაჲთა მას ზედა აცუ̈ს უფალი, რამეთუ მონაკუ̈ეთისა
მის ხის ძირი ქუ̈ეშე წმინდისა ტრაპეზისა დღესამომდე
ჰსჩანს. ხოლო ამისა შემდგომად სულიერი ვინმე მონა
შავთელი სახელით პროხორე ([81]) მონასტერსა და
ლავრასა წმინდისა საბასსა მოსრულ-არს დაყუდებულა
მუნ; და მეფესა საქართუ̈ველოსასა ბაგრატ კურატ-პა-

([81]) პროხორე იყო ადგილით შავთით, რომელიცა ძუ̈ველად
იყო დიდი სოფელი და აწ გაოხრებული ლეკთაგან ვერის ხეო-

ბაზედ. აღიზარდა იგი სიყრმითგამ ბეთანიის მონასტერსა, ოდესმე ჩინებულსა და აწ გაუქმებულსა აქა ვჰპოვეთ სახე ანუ პორტრეტი დედოფლის თამარისა და სხუათა, რომელნიცა კავკასიისა, ჴელმწიფე იმპერატორის მოადგილემან კნიაზმან მ. ს. ვორონცოვმან ინება გარდახატუა და დაბეჭდჳთ განმრავლება მათი.

ლატსა საფასე დიდ-ძალი წარმოუცემია ღირსისა პროხორესათჳს, რათამცა ჯუარის მონასტერი აღაშენოს, და მას აღუშენებია ჯუარისა მონასტერი შესაკრებელად ქართუბლთა. რამეთუ წერილთა შინა მდებარე-არს მუნ, ვითარმედ სულთანი მისრეთ-ეგჳპტისა ევედრა მეფესა საქართუბლოსასა ვახტანგ გორგასლანსა ([82]), რათა

ამავე შავთა წოდებულისა სოფლიდამ იყო აბდულ-მესია შავთელი, რომელმანცა აღჰსწერა ლექსად ქება-შესხმითი პატივად დიდისა დედოფლისა თამარისა.
ქიგნი ესე მისი დავბეჭდე ქ. თფილისს 1838 წელსა და მიუძღუბნ იმერთა მეფისა სოლომონ მეორის მეუღლეს დედოფალს მარიამ კაცია დადიანის ასულს.

პ. ი.

([82]) რომელსა ეგჳპტისა მპყრობელსა უწოდებს სულთანად, არა ვუწყი. კალიჭთა ანუ მაჰმადისა მოადგილეთა ფათიმითთა დაიპყრეს ეგჳპტე 909 წლითგან შემდგომად ქრისტესსა; ხოლო სულთანნი ეგჳპტისა გამოჰსჩნდნენ 1171 წლიდგან. ამა დროთა შინა ვახტანგ გორგასლან არღა ცხოვრებდა: იგი, ქართუბლთ მეისტორიეთა-მებრ, მეფობდა ქართუბლთა ზედა 499 წელსა. ამა დროთა ფრანგთა არა ეჭირათ იერუსალიმი. ამისთჳს რომელ დაიპყრეს ფრანგთა ანუ ლათინთა 1099 წლიდამ, ოდეს გამეფდა მუნ გოდფრიდი ბუილიონისა და განგრძელდა მათი მუნ მეფობა 1237-დმდე, ე. ი. დროდმდე, ოდეს თურქთა გამოდევნეს ქრისტიანენი პალესტინით. – აქედამ ჰსჩანს ცხადად, რომელ მოთხრობა ესე ტიმოთესო, არს ყოვლად წინააღმდეგი სახოგადოჲსა ისტორიისა და სრულიად არაჭეშმარიტ მისულა მუნ ვახტანგ გორგასლანისა დროთა ამათ, რომელთაცა ესრეთისა გარემოებით უჩუბნებს ტიმოთე.

აქ ვიტყჳ ამასაცა, რომელ დროსა მეფობისსა ქართუბლთა ზედა ვახტანგისსა, ეგჳპტე ეპყრათ ბერძენთა; ჯერეთ არა იყო გამოჩენილი მაჰმად; ლათინნი იყუნენ ერთობასა შინა სარწმუნოებისსა ბერძენთა-თანა და კეისრობდნენ ეგჳპტესა და მისირზედ ანასტასი და იუსტინე პირუბლი, და ეპყრათ მკლავითა მტკიცითა ყოველი აღმოსავლეთი.

წარმოვიდეს ლაშქრითა და იერუსალიმს ფრანგნი, რომელნიც იპყრობენ განდევნოს და თჳთ დაიპყრას ამისთჳს მოვიდა სპითა დიდითა და განიოტნა და თჳთ დაიპყრა იერუსალიმი და აღაშენა მონასტერნი მრავალნი.

მირიან ხოსროიანის მოსუ̈ᲬᲚისა შემდგომად, მოსრულ არს დიდად სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასლან, და ეგჳპტელთაგან მას მისცემია, და მრავალ-ჟამ ჰსჭერიათ იერუსალიმი და პალესტინე, და მრავალი მონასტრები აღუშენებიათ, და მცუ̈ᲬᲚნი ქალაქისა იერუსალიმისანი და მხედარნი, რომელიცა განუწესებიავ ვახტანგს, მუნ დასახლებულან. ენა შეჰსცუ̈ლიათ არაბულად, და იგინი ქართუ̈ᲬᲚნი არიან გარემოს იერუსალიმისა, და ევფრატისაცა არაბნი არიან., აწ არაბნი იერუსალიმელნი ქართუ̈ᲬᲚნი არიან ([83]).

უკეთუ თქმულობა ტიმოთესი მოღებულ-არს ძუ̈ᲬᲚთა წერილთაგან, ვითარცა ჰსწერს თჳთ, მაშინ შესამეცნებელ-არს ძიება დროᲲსა მის, ოდეს მეფობდა ვახტანგ სახელ-წოდებით გორგასლან. და ესრეთ საიჭუ̈ოდ სადმე დაიდება ჭეშმარიტი დროᲲ მისისა მყოფობისა.

პ. ი.

([83]) მოგზაური იერუსალიმსა Nicolas Huen Carlem წიგნსა თჳსსა Uoyage en Palestine, დაბეჭდილსა ლიონში 1480 წელსა გუ̈Წრდი 74, ჰსწერს:

ქართუ̈ᲬᲚნი ესუ̈Წნ წმინდასა გიორგის თჳსდა პატრონად; არიან თურქთაგან დიდსა პატივში და სიყუ̈არულში; აქუ̈სთ თავიანთი მონასტერი იერუსალიმში; არა აძლევენ თურქთა ხარკსა; კაცნი და ქალნი არიან შეჭურუ̈ᲬᲚ ვითა ამაზონნი; თმათა და ულუ̈აშთა არა იპარსუ̈Წნ; ქუდები ჰხურავსთ შეღებილნი სხუ̈ა და სხუ̈ა ფერად; საუბრობენ, გარდა საკუთარისა ენისა, არაბულად, ხალდეურად და თურქულად.

კუ̈ალად იხილი წიგნი ჩემი: Ист. Груз. церкви. изд. 2. стр. 92-92.

პ. ი.

იაკობ ალფესისა მოციქულისა საწამებელი და საფლავისა მონასტერი აღუშენებია საქართუ̈ᲬᲚოს მეფესა გიორგის ([84]), აწ რომელიცა სომეხთ უჭირავსთ. იტყოდენ, ვითარმედ ზარაფხანა მეფეთა საქართუ̈ᲬᲚოსათა ამა დიდს მონასტერში ყოფილა ([85]). კუ̈ალად მოუოხრებიათ

სპარსთა და თურქთა იერუსალიმი და ქრისტეს საფლავი, ხოლო კეთილ-მსახურსა მეფესა ქართუ̈ლთა და კახთასა ლეონს ბატონის თეიმურაზის პაპის მამას, მრავალი საფასე წარუგია და თურქთაგან აუღია ადგილი ქრისტეს ვნებათა, და წარმოუგზავნია ჯუ̈არის მამა იოაკიმ საფასითა, და მას აღუშენებია ახლად ქრისტეს საფლავი მარმარილოთი და გოლგოთა. ესე ჰსწერია, გოლგოთას პატრიარხის ფეხის ქჳს მარმარილოსა ზედა ქართულად ([86]). ამისა შემდგომად არაბთა ქრისტიანეთა დაუ-

---

([84]) ესე იყო რიცხჳთ პირუ̈ლი და მეფობდა 1027-გან
წლისა.

პ. ი.

([85]) ბერძენთა სჳნაქსარსა შინა ენკენიისასა, 13 სეკდემბერს
აღუწერიათ ხსენება ღირსისა მეფისა ლეონისა დახსნისათჳს
ქრისტეს საფლავისა.

ტიმოთე.

([86]) აჰა წერილი ესე: საქართუ̈ლოსა ზედა მეფედ ცხებული
ქართლისა და კახეთისა ღირსად მოხსენებული მეფე ლეონ,
ახლად განმაახლებელი და აღმაშენებელი საფლავისა ქრისტესი-
სა და გოლგოთისა და მაღლისა კათოლიკე ეკკლესიისა იერუ-
სალიმისა, აოხრებულისა თათართაგან, მომსყიდუ̈ლი საფასი-
თა თჳსითა, რაჟამს წარგზავნა იაოკიმ ჯუ̈არის-მამა ქართუ̈ლი და დაიხსნა სახსენებელად საუკუნოდ მისდა და მომავალთა
ნათესავთა.
რამეთუ არს წარსრული წელი მაქ აქეთ 227 და კუ̈ალად არს
იგივე აღმაშენებელი მთაწმინდისა ფილოთეოსის მონასტრისა,
მამა მეფის ალექსანდრესი, პაპისა მეფის თეიმურაზისა. ესე

პყრიესთ: დიდი ეკკლესია იერუსალიმისა და პატრიარხსა არაბსა ([87]), არამედ ქრისტეს საფლავი და გოლგოთა
და გარეთ მონასტრები კუ̈ალად მოორებულა ესრეთ:
რამეთუ სულთანი ვინმე მძლავრი იპყრობდა იერუსალიმს
და ტყუ̈ ერთი ქრისტიანე მიაბარა პატრიარხსა და
ეტყოდა: მე მნებავს გალაშქრება და ყრმა ეს დამი-

თეიმურაზ იყო პაპა მეფის ერეკლესი, ცხებულის მეფის თეი-
მურაზის მამისა. ესე ჰსწერია გოლგოთას პატრიარხის ტახ-
ტის ფეჯთით მარმარილოზედ. იქ მისრულნი საქართუ̈ლოსანი
დაბრძმობილნი ყოფილან, თუ რასათჳს არა აღმოუკითხავსთ ესე,
და არა უუწყებიათ საქართუ̈ლოთაგანთათჳს. მიკჳს ფრიად, თუ
ვითარ არს ესე.

ტიმოთე.

([87]) ქართუ̈ლთა მონასტერთათჳს თანხმად ტიმოთესა ჰს-

წერს ნემეცთა მოგზაური ტუსერნ, წელსა 1456 იერუ-
სალიმსა ყოფილი.
… Mehr haber sie inne zween Altar, anf dem Berg
Calvarie denn die Georgiten die den Berg innen haber, sind
auch von ihrer sect. Sie haber auch in S. Elena capell
ein Ampel.
ესე გარდმოვჰსწერე იმპერატორის ს. პეტერბურღის ბიბ-
ლიოტეკაში წიგნიდამ, დაბეჭდილისა ნემეცურად ფრანკფურტში
1609 წელსა.
Beschreiburg der Reiz ins heilig land Hern Ioh. Tüchern
von nürnberg ნაწილი I. გუფრდი 663.
ნემეცთავე მოგზაური ლეონარდი რაუხვოლფი, ყოფილი
იერუსალიმსა 1573 წელსა, ჰსწერს, რომელ ქართუფლთა აქუსთ
იერუსალიმსა სხუანი და სხუანი სამწირუფლოდ ადგილნი, სა-
დაცა ხმითა თჳსითა გალობენ; ეგრეთუფ თჳთ ქრისტეს სა-
ფლავის გუფრდზედ მუნ, სადაცა მაცხოვარი ეჩუფნა მაგდანი-
ნელსა.
მისივე ნემეცურის წიგნისა, ნაწილ I, თავი 13. ქართუფ-
თათჳს. გუფრდი 633.

პ. ი.

მარხე მოსულად ჩემდამდე. ხოლო პატრიარხმან ტყუფ
იგი წარმოუგზავნა მამასა მისსა იდუმალ. და საფრხითა
ეშმაკისათა, კუალად ტყუფ იგი ჴელთა სულთანისათა
ჰშთავარდა. და მოვიდა სულთანი იერუსალიმად და ჰსთხო-
ვა პატრიარხსა ტყუფ იგი. ხოლო პატრიარხი ეტყოდა
ვითარმედ, მოკუდა ტყუფ იგი. და არა უწყოდა, ვითარ-
მედ სულთანსა ჰყავს. ამისთჳს სულთანი ეტყოდა ვი-
თარმედ დამიფიცე, უკეთუ მოკუდა, და სარწმუნო მიჩნდეს.
მაშინ პატრიარხმან წმინდისა საიდუმლოსა მიერ შეჰფი-
ცა, და წარმოაყენეს ტყუფ იგი. ამისთჳს სულთანი გან-
რისხდა და პატრიარხსა და ერთობით ქრისტიანეთა თავ-
ნი წარკუფთეს და ოხერ-იქმნა წმინდა ეკკლესია და წმინ-
და საფლავი და გოლგოთა; ცხენთა და პირუტყუთა ახუ-
რად იყო ვიდრე სამეოცთა ათთა წელთა. 1529 წელსა,
ჟამსა ქართუფლთ მეფისა დავით გიორგის ძისასა (88),
წარმოავლინა ხონთქარმან სულეიმან ელჩი, და მოჰსწე-
რა, ვითარმედ არს იერუსალიმი ქალაქი ჰსჯულისა თქუფ-
ნისა, განყარენით ფრანგნი მუნით და თქუფნ დაიპყრე-
ნით, რამეთუ სამკჳდროცა არს თქუფნი, პირუფლისა ვახ-

ტანგ გორგასლანისა დაჭერის გამო. ვინაცა ფრიად ჰსთნდა ესე მეფესა, და შემოჰკრიბნა ლაშქარნი და ათაბაგი ყუარყუარე ([89]) და წარვიდა იერუსალიმს და აღიღო იერუსალიმი და დაიმკჳდრეს და განწმინდეს ეკკლესია და საფლავი უფლისა და გოლგოთა და მონასტერნი, და ეპყრათ ქართუჱლთა ორმოცდა რუა წელი.

([88]) მეფე ესე იყო რიცხჳთ მერუჱ; და შეიმოსა მომოზონება და მოკუდა ქ. თფილისს 1525 წელსა.

პ. ი.

([89]) ესე ყუარყუარე ათაბაგი იყო რიცხჳთ ამა სახელისა მეოთხე.

პ. ი.

კუალად ჯუარის მონასტერი დაძუჱლებულა და გუმბათის ქუჱით სუჱტნი განუახლებია, და დაუხატჳნებია შოთას რუსთაველს ([90]), მეჭურჭლეთ-უხუცესს. თჳთონაც შიგ ჰხატია მოხუცებული ([91]). ამისა შემდგომად კუალად დაძუჱლებულა და განუახლებია და აღუშენებია

([90]) ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართუჱლთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება, და განჰრყუნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩუჱნთა უმეცართა სამღუთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი; აღწერა ქალისა ვისთჳსმე თუალი მელნისა, პირი ბროლისა, ღაწუჱ ძოწისა; და ამის-გამო დედანი საქართუჱლოსანი ხატად ღუთისა შექმნილსა სახისა-წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცუალებულთა თმათა მოიბმენ საფრხედ სულთა.

ტიმოთე.

ამა ჰაზრისავე იყო თჳთ კათოლიკოსი ანტონი პირუჱლი, რომელმანცა მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგისა დროსა 1710 წელსა, ვეფხჳს-ტყაოსანნი დაჰსწუნა და შთააყრევინა მტკუარში და აღუკრძალა კითხუა წიგნისა ამის ქართუჱლთა. წყობილ-სიტყუაობასა შინა თჳსსა (803) ესრეთ იტყუჱს ანტონი რუსთაველისათჳს:

შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად,
ფილოსოფოსი მეტყუჱლი სპარსთა ენის,
თუ სამ ჰსწადოდა, ღუთის-მეტყუჱლიცა მაღალ,
უცხო საკჳრუჱლ, პიიტიკოს მესტიხე,
მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხარ არს ესე.

(91) არა ვუწყი არისაა დღესცა სახე ესე შოთა რუსთაველისა

იერუსალიმს. – აქა თფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას
აქუნდა ძუ

დის საფასით არაბთაგან და მას უკან რა გაოხრდა, ლეონ ქართუ̈ბლთა და კახთა მეფეს ([92]). ქრისტეს საფლავი და გოლგოთა და წმინდანი ადგილნი და მონასტერნი საფასით დაუხსნია, და მარმარილოთი აღუშენებია. მას აქეთ წელნი არიან 222.

იაკობ ალფესის მონასტერი გიორგი კურატ-პალატისა მეფისაგან აღშენებულა.

ჯუ̈არის მონასტერი, ბაგრატ კურატ-პალატის აღშენებულაი. წმინდის ნიკოლოოზის მონასტერი კახთ დედოფლის, ელენე ყოფილის ელისაბედისაგან აღშენებულია. წმინდა ნიკოლოოზ თჳთ მჯდარამუნ: სენაკი მისი მუნ ყოფილა.

ღუ̈თის-მეტყუ̈ბლის იოანეს მონასტერი, საათაბაგოელთ და ათაბაგს აღუშენებია.

([92]) ამ წელიწდიდამ ჰსჩანს,რომელ მეფე ლეონ და ძე მისი ალექსანდრე იყუ̈ნენ იერუსალიმსა და ათონისა მთაზედ 1533 წელსა, ოდეს მეფობდნენ თურქთა ზედა სულეიმან II და სპარსთა ზედა შაჰ-თამაზ. – ლეონ გამეფდა 1520 წელსა და გარდაიცუ̈ალა 1574 წელს ღრმად მოხუცებული და დასაფლავდა გრემის ეკკლესიასა. – მეუღლემან მისმან თინათინ, მამია გურიელისა მთავრის ასულმან, აღაშენა, ახლოს ძუ̈ბლისა, ახალი კახეთის შუამთისა მონასტერი, და ასაფლავია შინა ეკკლესიასა. ამისთჳს იხილე წიგნი ჩემი Путев. записки по Кахетии 1846. Тифлис. стр. 96.

პ. ი.

წმინდისა აბრაამ მამათ-მთავრისა მონასტერი, სადა ისააკ შესწირა, ის დარღუ̈ბული აღუშენებია აბაშიძეს გიორგის ლეონის ძესა. გარდასულნი წელნი არიან 57 ([93]).

წმინდის ვასილის მონასტერი აღუშენებია ამირახორს ამირინდოს და თაყას. დედათ მონასტერი არის.

მეორე წმინდის ნიკოლოოზისა, ჯუ̈არის მონასტერთან, აღუშენებია წულუკიძეს პაატას და ქაიხოსროს.

წმინდის თეოდორეს მონასტერი ბეჟანისაგან და ბაადურ ჩოლაყა-შჳლისაგან არის აღშენებული.

წმინდის თეკლას მონასტერი ჯუ̈არის-მამის ქრისტეფორესა და მისის ნათესავთა ზედგინიძეთაგან აღშენებულა.

წმინდის გიორგის მონასტერი ურიათ უბანში დადიანთაგან აღშენებულა, და მოსახსენებელი მათი მუნ არს.

წმინდის დიმიტრის მონასტერი ქსნის ერისთავს

შალუას და ვირშელს იოანეს აღუშნებიათ, და მათი მო-
ხსენება მუნ არს.

დედათ მონასტერი წმინდისა ეკატერინასი. ფარას-
კენტელისა ციცის-შვლის ამილღაბარისა და მაჩაბელთ
მოხსენება მუნ არს.

დედათ მონასტერი მირქმისა რაჭის ერისთავს აღუ-
შნებია, და მათი მოხსენება მუნ არს. ეს მონასტერი
დედათა ქართუზლთათვს არს. რამეთუ არს იღუმენიაცა
ქართუზლი, სახელით ხარიტინა, ასული ანაჩაფის-შვლი-
სა. ორნი მონაზონნი კახნი არიან, სხუა რუისელი, იმე-
რელი და გურიელი, იმყოფებიან სულიერად და კეთი-
ლად წმინდასა მას ადგილსა.

---

(93) ესე იგი წელსა 1698 წელსა.

პ. ი.

ბეთლემს და გეთსამანიას სამწირუზლო არს საქარ-
თუზლოთა. კუალად იერუსალიმში მონასტრები არიან
აღშენებულნი ქართუზლთაგანვე, არამედ მე ვერ შევიგენ,
თუ ვის-მიერ აღეშენნეს.

ჯუარის მონასტერში არს ღირსისა პროხორეს ლუს-
კუმა და ვჯთცა შიგა ხატია. არის წიგნი მრავალი ქარ-
თული ამა მონასტრებთა შინა. მოხსენება არს სამარა-
დისო აღმაშენებელთა მათთა. კანდელნი, ზოგი გოლგო-
თას, ზოგი ქრისტეს საფლავზე, ჰკიდიან მათი მო-
სახსენებელნი.

ჯუარის მონასტერში ხატია დიდი და ღირსი მეფე
მირიან ხოსროიანი. კუალად ხატია დიდი და სახელოვა-
ნი მეფე ვახტანგ გორგასლან (94) ხოსროიანი, რომელ-
მან დაიპყრა იერუსალიმი და პალესტინე და რომელ-
მან აღაშენა მცხეთა და დასუა ყოვლისა საქართუზლოსა

---

(94) რამეთუ მელეტი, ყოველსა რა აღწერს, საქართუზლოთა
შინა სამთა ეპარხიათა მოიხსენებს. ერთსაძუზლსა, ევსტატი
ანტიოხელისა მიერ განწესებულსა; ყოვლისა საქართუზლოსა
მთავარ-ეპისკოპოზსა; სხუასა ვახტანგის მიერ ხოსროანისა
დასმულსა, შემდგომად ამათსა, სხუასა ირაკლი ბერძენთა
მეფისა მიერ ქუზმოსა საქართუზლოსასა იმერეთისსა.ხრისანთო
პატრიარხი, ყოვლისა სოფლისა ეპოსკოპოზთა რა აღჰსწერს,

ქართლისას ერთად აღჰსწერს სამართლად. ხოლო მე ვეტყოდი
მცოდნესა ბერძენსა, ვითარმედ არა რა მცირემე არს ქართლი-
სა მთავარ-ეპისკოპოსი, და ბერძენი იგი მეტყოდა: და ვითარ
ეგებისო დამცირება მისი, რამეთუ არს დამყარებულ დიდისა
ევსტატი პატრიარხისა მოციქულთა სწორისა, და დიდის კონ-
სტანტინე მეფისა მიერ, და ვინ არს უმაღლეს მისსა, რამეთუ
მირიან მეფემანცა მუნ დასუა ყოვლისა საქართუ’ლოსა არხი-
ეპისკოპოსი. პატრიარხი იერუსალიმისა მეტყოდა ამათ.

ტიმოთე.

კათოლიკოსი. სამთავრო დაამდაბლა და მცხეთას უმაღ-
ლეს უწოდა, ბერძენთა მეფის კონსტანტინე მონომა-
ხის მოწმობით.

მუნ ხატია მეფე საქართუ’ლოჲსა ბაგრატ კურატ-პა-
ლატი დავითიანი ([95]), აღმაშენებელი ქუთათისისა და
ჯუ’არის-მონასტრისა.

მუნ ხატია დადიანის ასული მარიამ, დედოფალი
ქართლისა ([96]).

მუნ ხატია შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთ-უხუცესი.

მუნ ხატია დადიანი ლეონ თავისის მეუღლითა.

მუნ ხატია აფხაზეთის კათოლიკოზი ღირსი მაქსი-
მე ([97]). მუნ ხატია თბილელი ელისე; მანგლელი თეო-
დოსი; ბედიელი და ჯუ’არის-მამა ნიკიფორე. მუნ ხა-
ტია წულუკიძენი პაატა და ქაიხოსრო. ამ მონასტერს
ცხოვრებულა არსენი ვაჩნაძე, კაცი ფილოსოფოსი და

([95]) გამეფდა 1027 წელს.

პ. ი.

([96]) როსტომ მეფისა ცოლი, რომელიცა მარხია მცხეთას.

პ. ი.

([97]) მაქსიმე პირუ’ლი, განმგე იმერეთის ეკკლესიისა 1630
წელსა. იხილე მისთჳს წიგნი ჩემი Ист. Груз. церкви. 1843
С. П. Б. стр. 152 (изд. 2). – ესე მაქსიმე იყო იერუსა-
ლიმსა და მუნ გარდაიცუ’ალა. – კონსტანტინეპოლის იერუსა-
ლიმის საპატრიარხოს ბიბლიოტეკაში ვიხილე მსოფლიოთა
წმინდათა მამათ-ცხოვრება, რუ’ულებად ქართულად აღწერი-
ლი, სადაცა იყო მიწერილი ესრეთ: ეს მამათ-ცხოვრება მის-
კუ’ნა ტრაპეზუ’ნტის არხიმადრიტმან პამფილემ, და დავჰსდევ
აქა საპატრიარხოსა იერუსალიმისასა ჩემდამე ცოდჳლმან და
უღირსმან, სახელით ოდენ კათოლიკოსმან აფხაზეთისა მაქსიმე.

პ. ი.

მთარგმნელი ღრმათა წერილთა, მოძღუ’არი დავით აღ-

მაშენებლისა ([98]).

ივლისის 20-სა მუნ წამებულა წმინდა მოწამე სა-
ლომე, რამეთუ შეიპყრეს უჰსჯულოთა და დატევებასა
ჰსჯულისასა აიძულებდენ, განბასრა რა სარწმუნოება მა-
თი მხნემან მან. ამისა შემდგომად ცეცხლითა და მახჯ-
ლითა უწამებიათ სანატრელი იგი.

ოკდომბრის 19-სა მუნ წამებულა წმინდა მოწამე ნი-
კოლოოზ დუალი. ეეე იყო შჯლი მშობელთა მორწმუ-
ნეთა, რამეთუ სიყრმესავე შეჰსწირეს ღმერთსა მშობელ-
თა და რა მოიზარდა, წარვიდა მონასტერსა კლარჯე-
თისასა და მუნ მონაზონ-იქმნა, და მრავალი მოღუაწება
აჩუზნა. ამისა შემდგომად აღისურუა წმინდად ქალაქად
იერუსალიმად აღსულა, თაყუანის-ცემად ცხოველს-მყო-
ფელისა საფლავისა უფლისასა და დადგომად მონასტერ-
სა ჯუარისასა ქართუზლთა-თანა. ვინაცა შეპყრობილ
იქმნა უჰსჯულოთაგან და მრავალნი სატანჯუზლნი თავს-
ისხნა. ამისა შემდგომად ჯუარის-მამისა მიერ, შიშისა-
თჯს თურქთასა, კჯპრეს წარიგზავნა, და მუნ სამარადი-
სოდ ვედრებასა შეჰსწირვიდა უფალსა, რათა მოწამეო-
ბისა ნაწილსა ღირს-ჰყოს. და უხილავს ჩუზნება, რათა
კუალად წარვიდეს იერუსალიმად, და მამამან გაჰსწაოს
შენ, ვითარცა ჯერ არს. და მივიდა რა მონასტერსა
ჯუარისასა იერუსალიმად, გამოეცხადა მამასა მონასტრი-
სასა, რათა მაკედონიად წარავლინოს ნიკოლოოზ. ამისა

([98]) ესე ასაფლავია კახეთს იყალთოს მონასტერში, სადაცა
აქუნდა მას დიდი სასწავლებელი, რომლისა შენობანი დღესაც
ვრცლად მოჩანან.

შემდგომად წარავლინა მაკედონიად, და მირავიდა,
შეურაცხ-ჰყო სჯული წარმართთა მათ, და შეპყრობილ-
იქმნა და დაეპატიჟა ჰსჯულისა დატევება. და მან ფრი-
ად განბასრა და აგინა ჰსჯული მათი და შეპყრობილი
ნიკოლოოზ წინაშე ამირისა წარადგინეს. და კუალად მან
ლიქნითა ხელ-ჰყო ცდუნება მისი და ვითარ არა მორ-
ჩილ-ექმნა, მახჯლითა წარჰკუზთეს თავი მისი. იქმნა სა-
კჯრუზლი, რამეთუ მოკუზთილმან მან თავმან ხმა-ჰყო:
დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ღირს-მჰყავ

დათხევად სისხლისა შენისათჳს. ამისა შემდგომად დას-
წუწს ცეცხლითა გუამი მისი. ხოლო ჰსცნა რა ესე მა-
მამან ჯუარისამან, შეჰსწუხნა ფრიად და ჰსტიროდა სა-
მარადისოდ და აქუნდა ზრუნვაჲ მისთჳს, უკეთუ მითუა-
ლულ-არიან ღუაწლნი მისნი წინაშე უფლისა. დღესა
ერთსა განკჳრუწბა დაეცა და იხილა გუნდი მოწამეთა, და
შორის მათსა მრავალი მოწამეთა გიორგი, და გუნდსა
მას შინა ნიკოლოოზ დუალი, შემოსილი ბრწყინუალე-
ბითა, და ეტყოდა ბერსა: ამიერითგან დააცხრე მწუხა-
რება ჩემთჳს, რამეთუ წამება ჩემი შეწირულ-არს წინა-
შე უფლისა.

ივნისის 27-სა მუნვე წამებულა წმინდა მღუდელ-
მოწამე ლუკა, ჯუარის-მამა მუხი შჳლი აბაშიძე, ესრეთ,
რამეთუ დედა ლუკასი პირუწლვე მისრულ-არს იერუსა-
ლიმად და მონაზონ-ქმნილა. ამისა შემდგომად ძე მი-
სი მოიწია და იქმნა მონაზონ და მოღუაწე ფრიად და
სათნო მონა უფლისა, და ისწავა ენა არაბული. და იხი-
ლეს რა კრებულთა ღირსება მისი, აკურთხეს მღუდელად,
და აღიყუანეს მამად ჯუარისა; ვინაცა, განიცდიდის რა
მხურუალესა ღუთისა-მოყუარებასა მისსა, თურქნი შურად

აღუდგნენ მცირისა რასამე მონასტრისა მიზეზისათჳს,
და აწუწვდეს მას დატევებასა ჰსჯულისასა; და ამირობასა
და სიმდიდრესა აღუთქმიდეს. არამედ მან ფრიად გან-
ბასრა შეურაცხ-ჰყო ჰსჯული მათი. ამისა შემდგომად
აფთითა წარკუწთეს წმინდა თავი მისი; ხოლო მოკუწ-
თილი იგი თავი განიცინებდა და მადლობასა შეჰსწირჳ-
და ღუაწლისა მისთჳს უფალსა. რამეთუ ამათ მოწამეო-
ბისა სჳნაკსარიცა დაუწერიათ და დღესასწაულიცა განუ-
წესებიათ.

ამისა შემდგომად წარვედით მონასტრად სომეხთა და
განვჰკჳრდი სიკეთესა მისსა, რამეთუ მე ეგეთი ბრწყი-
ნუალე ტაძარი არა ოდეს მიხილავს და არცა ეგრეთი
შემკობა. ესე მონასტერი არს, რომელიცა აღაშენა მე-
ფემან გიორგი, რამეთუ მეფეთა საქართუწლოსათა სა-
ხელოვანთა ხლმითა მით ძლიერითა აღიმაღლნეს ხმანი

მათნი, და ტყუჱ-ქმნილი ქრისტეს საფლავი სპარსთა
და თურქთა წარუხუნეს, გამოისხნეს და დაიპყრნეს; და
აღაშენეს წმინდანი ესე ადგილნი და ესეოდენნი მო-
ნასტერნი სულისა საოხად, და შემდგომთა ნათესავთა
დაუუნჯნეს საუნჯედ წარუპარუჱლად და საქართუჱლოთა
შინა აგარაკნი და სოფელნიცა შეჰსწირნეს. ხოლო წმინ-
დათა მამათა ჩუჱნთა ქართუჱლთა სასოებად, ამა ადგილსა
წმინდასა ხორცნი განლივნეს და მოღუაწებითა სი-
სხლნი დასთხივნეს ამა საკჳრუჱლთა ადგილთა. სხუათა
თარგმანება სამღუთოთა ჰსჯულთა აქედგან მიიღეს და
აღასრულნეს ცხოვრება ორისავე სოფლისა, დიდებისა
და ბრწყინუალებისა მომატყუჱბელნი.

აწ განცჳფრებულ-ვარ, თუ რასათჳს უგულებელს-ჰყუნეს
ქართუჱლთა დიდნი ესე და წმინდანი ადგილნი, და

ანგელოზთაგანცა თაყუანის-საცემელი. მრავალნი მეფე-
ნი ქრისტიანენი იღუწიან და ყოვლისა სოფლისა ქრის-
ტიანობა, რათამცა ადგილი იქონიეს აქა, აღსანთებელი
კანდელთა, და ტრაპეზი მსხუჱრპლისა შესაწირავი. არა-
მედ იგი სრულიად ქართუჱლთა-არს, და მათი კანდელი
და მოხსენება არს ამათ შინა, და მათ ნეტართა აღუ-
შენებიათ. რასათჳს ერთი ვინმე მათი მღუდელი არა
იყოფების აქა? მათის ჯუარის-მამის შემოსავლითა და
ხარჯითა მოვიდეს, რათა მათ ძუჱლთა მიცუალებულთა
მოხსენება არ მოშალოს და აწ მყოფთა ხსენება დაა-
წესოს და რათა მონასტრებივე დაიპყრან და მათი კანდელ-
ნი ქრისტეს საფლავსა ზედა და გოლგოთასა და სხუა-
თა მონასტერთა შინა არ დაავსონ, ვინათგან მოკუდავ-
ნი ვართ. ამისსა უბრწყინუალესსა ადგილსა სადა ვჰპო-
ვებთ, და სადა მოიხსენებოდეს ჩუჱნი სული? ანუ რა-
სათჳს დაუგდიათ ესოდენი ჭირნახული?

კუალად ამასცა განკჳრუჱბულ ვარ, რასათჳს უმეცარ-
იქმნენ საქართუჱლოსაგანნი? ერთი ვინმე რასათჳს არა
მოიწია აქა? აქაური ამბავი შეეტყო, და ანუ ქუაზედ ანუ

წიგნთა შინა აღმოეკითხათ ესე ამბები და ქართუ̃ლთათჳს ეუწყებინათ? არცა ვის სმენიეს, თუ იერუსალიმი ქართუ̃ლთათჳს რა არის, არცა მე ვუწყოდი აქაური ესე ვითარი საქმე. ჱ მე! რა დიდის უგუნურებით არს დამთუ̃რალი ნათესავი ჩუ̃ენი! რამეთუ არს მუნ ქრისტეს საფლავსა მოხსენება ღუ̃თის-მოყუ̃არეთა მეფეთაა ქართუ̃ლთა და კახთასა ლეონისა და თეიმურაზისა, და კუ̃ალად ეწერა მეფე, ნიკოლოოზ ყოფილი ერეკლე (99), და ძე

(99) ირაკლი I ნაზარალიხანი, მოსკოვსა რუსეთის ჴელმწიფესთან აღზრდილი. პ. ი.

მისი გიორგი და ასულნი მარიამ და ხორაშან, და ამისთჳს მეცა ვინებე და ვაწჳე ერთობით კრებულთა მღუ̃დელმთავართა და მღუ̃დელთა და ჟამი ვაწირჳნე, და მოხსენება განუახლე მეფესა ჩუ̃ენსა თეიმურაზს და ძესა მისსა მეფესა ერეკლეს, მეუღლეთა, ძეთა და ასულთა მათთა, და ძალისაებრ ჩემისა ტრაპეზი და სერი განუმზადე და საფასრ მივართჳ და ვიდღესასწაულეთ ბრწყინუ̃ალეთ. მეფენი საქართუ̃ლოსანი თეიმურაზ და ირაკლი მრავალ ჟამიერ-ჰყოს!

და კუ̃ალად იერუსალიმით მივედით მონასტერსა ქართუ̃ლთასა ჯუ̃არს, და განვიცადეთ კედელთა ზედა. წმინდანი მამანი და მოწამენი საქართუ̃ლოსანი ეხატნეს შარავანდითა და გჳრგჳნითა ესენი:

წმინდა მღუ̃დელ-მოწამე მოსე ქართუ̃ლი.

წმინდა მარი მღუ̃დელ-მოწამე ქართუ̃ლი.

წმინდა მოწამე ქაიხოსრო ქართუ̃ლი, რომელი აწამა ყაენმან შაჰაბაზ წმინდათა ხატთათჳს ქორონიკონს ტი (100).

წმინდა მამა არსენი იბადის ძე ქართუ̃ლი, გუ̃არად ვაჩნაძე ფილოსოფოსი.

ღირსი მამა ევთიმი გრძელის ძე ქართუ̃ლი.

ღირსი მამა მიქელ ჭუაჲს ძე ქართუ̃ლი.

ღირსი მამა იოანე რეხუ̃აჲს ძე ქართუ̃ლი.

ღირსი მამა დანიელ აბა შუ̃ლი ქართუ̃ლი.

ღირსი მამა იოანე ჭამჭიმელი, ქართუ̃ლი, ფილოსო-

ფოსი ([101]).

([100]) ქრისტესითგან არის წელი 1612.

პ. ი.

([101]) სახელ-წოდებით პეტრიწი, მთარგმნელი კლემაქსისა
იოანე სინა-მთის მოძღურისა და აღმწერი ოროლოგისა ლექსად.

ღირსი კათოლიკოსი ქართლისა არსენი ([102]).
ღირსი კათოლიკოზი ქართლისა იოანე.
ღირსი ეპისკოპოსი ნუნუს ქართუბლი.
ღირსი ეპისკოპოსი კინდ ქართუბლი

და ცხორებულა მუნ ჯუარის-მამა ნიკოლოოზ ყოფილი, ნიკიფორე, ძე ომან ჩოლაყა-შვლისა, და დედით არაგვს ერისთავის ასულისა, კაცი სახელოვანი, წინამძღუარი მცხეთისა ქალაქს, და მოძღუართ-მოძღუარი კახეთს, ოდიშს სოფლის კოცხერულის, და იერუსალიმს ჯუარის მონასტრისა და გოლგოთის სამკვდროსა ჩუბნისა არქიმანდრიტი, და მისთანა თეოდოსი მანგლელი რევის-შვლი, და ნეოფიტე მმართებელი მონასტერთა ქართუბლთა.

ამისა შემდგომად ჯუარის მონასტერით წარვედით ბეთლემს და მივიწიენით სოფელსა ბეთსაიდას და მიერ ევფრათას, და ვიხილეთ საფლავი რაქელისა, იოსებ და ბენიამინის დედისა და მიერ მივიწიენით ბეთლემად. და მოგუბგებნენ ძმანი და შეგვყუანეს ეკლესიასა ბეთლემისასა, იუსტინიანე კეისრისა მიერ აღშენებულსა. რამეთუ ორმოცდა ათექუსმეტი სუბტნი მარმარისანი იდგნეს, და ზედ ეკკლესია სოფიას-კენჭითა აღშენებული; დიდი და საკვრუბლი ეკკლესია, და იატაკნი მარმარითა დაფენილნი და ტრაპეზის ქუბშეთ შთასწურივ ქუაბი იგი კლდისა, სადა უფალი ჩუბნი იესო ქრისტე იშუა. და ჰშთავედით კიბითა და ვიხილეთ ქუაბი იგი, და

იამბიკოდ. წიგნისა ფრიად მშუბნიერ-სიტყუაობითისა და
სხუათა.

პ. ი.

([102]) ესე ვჰგონებ იგივე არსენი, რომელიცა მოვიხსენე
სხოლიოსა 98.

პ. ი.

სადა იგი ბაგა პირუტყუთა იყო მუნ, და მიაწჯნეს უფა-
ლი, და შიშითა ფრიადითა ვუამბორეთ ადგილსა მას
წმინდათა უწმინდესსა, რომლისათჳს წინასწარ-მეტყულ-
მან წინათ მოასწავა, ვითარმედ: და შენ, ბეთლემ, ქუყა-
ნა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა იუ-
დასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღუარი, რომელმან
დამწყსოს ერი ჩემი ისრაილი. და განვიცდიდით შობისა მი-
სისა ადგილთა ქალწულისა მიდგომილისა და ემმანუილისა
მშობელისა პირუელ-საუკუნეთასა ღუთისასა. და მიერ წარმო-
ვედით და მივიწიენით ადგილსა მას, სადა ურიასა ვისმე
აქუნდა მიწა საყანე და შიგან ეთესა მუხუდო, და მივიდა
თხოვად მარიამ, დედა უფლისა მუხუდოსა მის და არა
მისცა. ამისა შემდგომად იხილა იგი, რამეთუ სრულიად
ქუად შეცულილ-იყო მუხუდო იგი, და აღუკრიბენით ქუა-
ნი იგი, მჰსგავსნი მუხუდოსანი, და მოვიწიენით მონას-
ტერსა წინასწარ-მეტყულისა ილიასასა, სადა ხესა ქუშე
წუა მუნ ილია. და მიერ მივიწიენით წმინდასა სიონსა,
სადა მოციქულთა ზედა გარდამოხდა სული წმინდა მეერ-
გასესა დღესა, სადა მარხიან დავით და ძე მისი სო-
ლომონ და მიერ ჰშთავედით ადგილსა მას,რომელი
ანნა და კაიაფა მღუდელთ-მოძღუართა მოიყიდეს ([103]),
საფლავად უცხოთა, იუდის დაბნეულის თეთრითა, და მიერ
წარვედით, სადა ისაია განხერხეს, და მიერ, სადა თიხა
შეჰქმნა უფალმან და ჰსცხო ბრმასა, და ვიხილეთ სა-
ბანელი სილოამისა, ღრმად მომდინარე, კიბეებითა ჰშთა-

([103]) აწ სასაფლაოდ ქრისტიანეთა არს წმინდა იგი ად-
გილი.

სასუელი, რამეთუ შუა-დღე განდიდნების წყალი იგი,
და განთიად და საღამოდ მოიკლებს. და მიერ მივედით
გეთსამანიად საფლავსა ყოვლად-წმინდისასა, და ჰშთა-
ვვლეთ ვრცელი იგი კიბე, და ვიტყოდი: « კიდობანი
სიწმინდისა შენისა, მოვიხსენო სახელი შენი ყოველსა
შორის თესლსა და თესლსა ». და ვუამბორეთ საფლავსა
ყოვლად-წმინდისასა, სასოსა ქრისტიანეთასა; და განვი-
ცდიდი რა, მეტყოდენ, ვითარმედ გუსმენია, დაძულებუ-

ლი ეკკლესია ესე განუახლებიათ ქართუჩლთა და გან-
ვიცდიდი კარით ჩრდილოსათ კლდეთა რათმე. და გუჩ-
ტყოდენ, ვითარმედ, მდინარე ცეცხლისა აქედამ გამო-
სულად-არს, რამეთუ არს ესე ღელე გლოვისა, კარსა
ზედა გეთსამანიისასა სახლი იგი, სადა შიშისათჳს ურია-
თასა შეკრებულ იყუნეს და დამალულ წმინდანი მოცი-
ქულნი, და კართა ხშულთა შევიდა უფალი და თომას
გუჩრდი უჩუჩნა და მშჳდობა მიანიჭა, და სული წმინდა
შეჰბერა და მიჰსცა. და მუნვე, ზედა არს ახლო მტილი
ზეთის-ხილთა, სადა უფალი შეიპყრეს, და სადა ილო-
ცჳდა. და წარმოვედით და მოვედით ადგილსა მას კლდე-
სა, სადა წმინდა სტეფანე დაქოლეს და აღმოვვლეთ აღ-
მართი და შევედით ქალაქად და ვიხილეთ ეკკლესია იგი,
სადა იშუა ყოვლად-წმინდა და გამოვვლეთ ღელე იგი
მწჳრისა, სადა წინასწარ-მეტყუჩლი იერემია ჰშთააგდეს,
და მოვიწიენით სადა უფალსა ჯუარი ეკიდა თჳთ და
ეტყოდა: ასულნო იერუსალიმისანო, ნუ ჰსტირით ჩემ
ზედა, არამედ შჳლთა ზედა თქუჩნთა ჰსტიროდეთ. და
მიერ მივიწიენით მონასტერსა დედათასა ყოვლად-წმინ-
დისასა, სადა ყოვლად-წმინდა ჰსჯდა და სცრემლეო-
და. ხოლო მუნვე არს საფლავი მელანია რომა-

ელისა(104), ღირსისა მის ენკრატისისა, და სხუასა დღე-
სა აღუდეგით და მივედით სახლსა დავითისსა, სადა მჯდო-
მარე იყო და ჰსწერდა ფსალმუნსა. ესე არს სახლი იგი,
რომლისათჳს მოასწავნეს, სახლსა დავითისსა საშინელი
სამჰსჯავრო დაიდგას და ძუჩლი დღეთა დაჰსჯდეს.

ხოლო ამას გეტყჳ თქუჩნ, ღუთის-მოყუარეთა, რამე-
თუ არიან კაცნი ვიეთნიმე გულ-ცივნი და იტყჳან, ვი-
თარმედ იერუსალიმს განმაცხოველებელთა მათ ადგილთა თა-
ყუანის-ცემა არა რაჲ არს; არამედ ბოროტ-არს სიტყუა
ესე. უკეთუ ვისმე უძლურება არა ჰსჭირს, და შემძლე-
ბელ-არს სულად, და არა არს ფრიად გლახაკ, და არა
მოიწევის აქა ხილუად ამათ ქრისტეს განგებულებისა
საიდუმლოთა ადგილთა არა თაყუანის-ჰსცემს, მას ქრი-
სტიანობა განგრილებულად უტჳრთავს. რამეთუ წმინდა-

ნი მამანი პირუფლად აქა მოიწეოდეს, და ადგილთა ამათ
მიერ განმტკიცებულნი, სხუათა ადგილთა მისრულნი
მხმედ ქრისტეს-მოყუარედ გამოჰსჩნდებოდეს. და
უფროსად ქართუფლნი, რამეთუ რჩეულნი მეფენი და
მთავარნი და მონაზონნი აქა ცხოვრებითა და მოსული-
თა განათლდებოდეს. რამეთუ დიდებულ-არს ქალაქისა
ამის წინაშე შემოსულა, ვითარცა ითქუა: ვითარმედ, დიდე-
ბული ითქუა შენთჳს ქალაქო ღუთისაო; და კუალად ისაია
წინასწარ-მეტყუფლისა ისმინეთ წინასწარ-მეტყუფლე-
ბით წინათვე მოსწავება იერუსალიმისა თაყუანის-ცემი-
სათჳს და შენდობისა მოღება კაცთაგან ადგილისა მისგან

([104]) რომლისა ჴსენებასა დღესასწაულობს ეკკლესია 30
დეკემბერსა და რომელიცა, შემდგომად დიდისა მოღუაწეობისა,
განვიდა ამიერ სოფლით 434 წელსა.

წმინდისა და თაყუანის-საცემელისა: და სხუამან ჰსთქუას
მივიდენცა და მივიდოდიან ერნი მრავალნი და ნათესავ-
ნი გამოძიებად პირსა უფლისა ყოვლისა-მპყრობელისსა
იერუსალიმს, და ლხინებისა თხოვად პირისაგან უფლისა
ყოვლისა-მპყრობელისა, და კუალად: რამეთუ იყოს უკა-
ნასკნელთა დღეთა გამოჩინებულ მთა უფლისა და სახლი
ღუთისა წუფრსა ზედა მთისასა და ამაღლდეს უფროს
ყოველთა ზედან ბორცუთა. და მივიდოდიან მუნ ყოველ-
ნი ნათესავნი, და მოვიდოდიან ერნი მრავალნი და იტყო-
დიან: მოვედით აღჳდეთ მთასა უფლისასა და სახლსა
ღუთისა იაკობისსა, და მითხრას ჩუფნ გზა თჳსი და ვი-
დოდეთ მას ზედა. იხილეთ ქრისტეს-მოყუარენო ერნო
სიტყუანი მეხუთისა მის მახარებლისა ისაიასნი, ვითარ
წინათუფ უწინასწარ-მეტყუფლა ყოველთა ერთა ქრის-
ტიანეთა მუნ აღსულა და ჭეშმარიტისა შენდობისა მო-
ღება მუნით. ხოლო უკეთუ ვინმე იცილებოდეს, ვითარ-
მედ სნეულება და სიგლახაკე სახივად მძეს და ვითარ
უძლო წარსულად წმინდად ქალაქად იერუსალიმად; ეგე
ვითართა არა ეტყჳს წინასწარ-მეტყუფლი, არამედ შენ-

დობისა ღირს-არიან იგინი. ხოლო რომელთა უძლავს
და არცა მოხუცებითა და არცა სნეულებითა, და არცა ნა-
მეტნავითა სიგლახაკითა შეპყრობილ-არიან, არამედ უდე-
ბებით და დაზარებით გარდაიხდიან ცხოვრებასა თჳსსა,
და იტყჳან, ვითარმედ ღმერთი ყოველგანვე არს, და არა
საჭირო-არს აღსუ̈Წლა იერუსალიმად, ესენი წინა-აღმდგო-
მად გამოჰსჩნდებიან ბრძანებისა ღუ̈თისა, პირითა წინა-
სწარ-მეტყუ̈Წლისათა თქმულისა. და კუ̈ალად მომეხსენე-
ბის მისივე წინასწარ-მეტყუ̈Წლისა მიერ თქმული იერუ-
სალიმად აღსუ̈ლვისათჳს: ვითარმედ დაჰბერეთ ნესტუ̈სა

სიონს შინა და შორის ხარისხსა საკურთხეველისასა,
ჰსტიროდეთ მღუ̈Წდელნი და იტყოდეთ, ულხინე უფალო
ერსა შენსა, და ნუ მიჰსცემ სამკჳდრებელსა შენსა სა-
ყუ̈Წდრელად.

ესე სიტყუ̈ანი ყურად-ეღო განათლებულსა და ღუ̈თის-
მოყვარესა მეფესა ქართუ̈Წლთა და კახთასა უფალსა ლე-
ონს, რამეთუ ესმოდა რა ოხრად დაცარიელება წარმართ-
თაგან წმინდისა სიონისა და საფლავისა ქრისტესისა,
და არა რა ზრუნუ̈ა დაედუ̈ათ გულსა თჳსსა მისთჳს, არ-
ცა ბერძენთა, არცა რუსთა და არცა ფრანგთა, ამისთჳს
შური იშურუ̈ა სახლისა ღუ̈თისა საბაოთისათჳს მარადის
მოხსენებულმან მეფემან და მრავალი საფასე წარაგო,
და იოაკიმ ჯუ̈არის-მამა ქართუ̈Წლი წარმოავლინა წინა-
შე მთავართა და შიხთა არაბთასა. და აღავსო საფასითა
იგინი და აღაშენა საფლავი ქრისტესი და გოლგოთა და
განსწმინდნეს წარმართთაგან შეგინებული წმინდანი ეკკლე-
სიანი და იწყეს წესისაებრ ქრისტიანეთასა დღესასწაუ-
ლობა სიონს მთასა წმინდასა უფლისასა. და ვიდრე
დღეინდელად დღედმდე არს პარისია მოხსენება სამარა-
დისო და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა სანატრე-
ლისა მის მეფისა, რომლისათჳს მე რა მესმნეს სახე-
ლი ლეონისა. ვევედრე წმინდათა სინოდთა იერუსალი-
მისათა, რათა ესეცა მოვსენება შეჰსძინონ, ვითარმედ
ნათესავნი მის მეფისანი მომავალნი, და აწ მსუფევნი
საქართუ̈Წლოთა ზედა მეფე თეიმურაზ და მეფე ძე მათი მე-
ფე ირაკლი, მეუღლენი, ძენი და ასულნი მათნი მრა-
ვალ-ჟამიერობით, და მუ̈ნ ცხოვრებად საუკუ̈ნოდ მოი-

ხსენებოდეს. ამისთჳს, რჩეულნო, ნუ იტყჳთ და ნუცა
სხუათაგან შეისმენთ, ვითარმედ არა რაჲმე არს აღსულა

იერუსალიმად შემყუარებელისა მის ჩუნისა ძისა ღუთი-
სა, რომელმან არა ჰრიდა ჯუარსა და სიკვდილსა და
დაეფლა მუნ. ვითარ საკჳრულ-არს, თუმცა მცირედ
რაჲმე დავშურეთ და ვიხილოთ საფლავი ცხოველ-მყო-
ფელი და გოლგოთა, სისხლითა ღუთისათა მეწამულ-ქმნი-
ლი, და მიწა და ქუანი მუნანი, მსმენნი ხმისა ძისა
ღუთისა ცხოველისანი.

და აწ კუალად პირულსავე სიტყუასა მოვიდეთ. რა-
მეთუ მოიწია დღესასწაული ბაიასა და პასექისა მუნ ქა-
ლაქსა იერუსალიმსა, სადა იგი შუნის გალობა და დღე-
სასწაული სიონსა, და ერნი სავსე იყუნეს ასპარეზთა
და ურაკპარაკთა წმინდისა მის ქალაქისათა, და უცხოე-
ბით მოსრულნი ხილუად სიძისა მის უკუდავისა საფლა-
ვისა, რაჟამს იგი სძლისა მის მშუნიერისა ეკკლესიისა
წინდობა მოწურჳლ-იყო, და სიძე იგი ხერუვიმთა უწმი-
ნდე მშუნიერსა მას სერსა განმზადებდა და მეინახედ
მეგოძირნი და მწირნი შესულად ქორწილსა მზა-იქმნე-
ბოდეს. და არა თუ მთავარნი ებრაელთანი და აზნაურნი
გალილიისანი მხოლოდ წუულ-იყუნეს, არამედ სავსება
სოფლისა. და მოიწია სიძე იგი საკჳრული მშუნებითა,
და გარდამატებული ბრწყინუალებითა და სძლისა მის
ეწადდა შესულად, რათა ქორწილსა მაც დიდებულსა პუ-
რის-მტე იქმნენ ზეცისანი და ქუყანისანი ერთ-ბამად.
მაშინ მექორწინენი განცჳფრდნეს და შეიპყრეს სიძე იგი
და მრავალსა სატანჯულსა მიუპყრობდეს, სიხარულისა
წილ გჳრგჳნსა კიცხევისასა თავსა; სამჰსჭუალსა მას ხელ-
თა და ლახუართა გურდსა, და უმჰსჯავროდ მოჰკული-
დენ სასძლოდ განმზადებულსა მას მეუფესა.

ამათი მსმენნი და მრწმენნი კაცნი, სარწმუნოებითა
და სასოებითა მორბედნი, შორით სურჳლით მოსრულნი

ხილუად ამისა, თუ სადათ დაასხა ვენახი სიძემან მან,
და სადა ჰქმნა გოდოლი, და სადა აღაშენა საწნახელი
და დაათრო ნაწნეხითა მით ღჳნისათა სავსება სოფლისა,
და ანუ სადა გარეგან ვენახისა მის მოჰკლეს ქუწლი იგი
სიძეჲ. და საკჳრუო ხილუად და განცდად ადგილთა მათ
განსაცჳფრებელთა, ჭურეტად ერთი ერთისა წინა-უსწრობ-
დეს და რტო ბაიასა ხელთა ეტჳრთათ და იტყოდენ
გალობასა: კურთხეულ-არს მომავალი სახელითა უფლისა-
თა, და კუალად, გიხაროდენ სიონ წმინდაო დედაო
ეკკლესიათაო, რომელმან მოიღე ცოდუათა მოტევება აღ-
დგომისა მიერ, და მგალობელნი ტკბოდეს ძნობითა, და
ორღანოთა ხმა შინაგან დიდებულისა მის ეკკლესიისა
გურგჳნვიდა. მუნ მღუდელთ-მთავარნი შემოსილნი და მრა-
ვალნი სამღუდელონი. ხოლო პირუწლსა მღუდელთ-მთა-
ვარსა ეტჳრთა ჯუარი ძჳრ-ფასი ზმურისა, ქჳსა საპ-
ფირონისა და იაკინთისა თლილისა, და მით ჯუარსა
სახჳდა ერთა. და შესულასა უამბორეთ ადგილსა მას, სა-
და უფალი წარადგინეს სუდარით. და ანუ ვითმე აღ-
ვჰსწერო მორთუა ტაძრისა მის, და პირად-პირადობა
სამკაულთა საკჳრუწლსა მას და განსაცჳფრებელსა
ეკკლესიასა, სადა იმგურგულივ მოეფარდაგათ სტავრი-
თა და ნაახლითა: სახედ გამოყუანილ ნიოქრო-ქსოვილნი
ძჳრ-ფასნი. და სასანთლენი აღენთოთ იმგურგულივად;
ხოლო შუასა მას ადგილსა ტკბილისა მის სიძისასა, სა-
და ანგელოზი ელუარე ეტყოდა, რასათჳს მკუდართა თანა
ეძიებთ ცხოველსა მას და უკუდავსა, საფლავსა მას გა-
რემო ქოლგანი და ალამნი დას-დასად მოედუათ ოქროსა

განაზიდისა, ხომლნი ოქროსანი და ვეცხლისანი მაღრი-
ბულისა, მძიმისა და ძჳრისა აღხარისხებით თუ განკარ-
გჳთ ესრეთ ანათობდეს, ვიტყოდი მოღებულ-არსო ედემით
შუქ მკრთომარეობა ამისი, და ანუ სამოთხით მოუბაზარ-
მოუფარდულიათო. გოლგოთა აღუსილ-იყო ოქროჲსა
ხომლითა და კანდლითა და თუალითა განთქმულითა
სამკაულნი ზედან გარდამოჰსდგომია საფლავსა, და მუნ

ზემოდგან ესრეთ ანათობდა, საწუთოთა ღამეთა ლაჟუარ-
დიანთა მანათად მთოვარესა და მთიებთავე შეუდრიდი.
აღმართულ-იყუნეს სამნი კანკელნი ოქრო-ცურუწბულნი
კათოლიკესა მას ეკკლესიასა. ესრეთ უნათობდა, ვითა ბაზ-
მაკი შორის მღჳმეთა, და ანუ ვითა ელუარება მზისა დის-
კოჲსა, და ირისე ზეცით გარდამოკრთომილი, და სამ-
კაულნი ტრაპეზისანი, სასაკმეველნი და სახარებანი და
მრავალ-ფერნი სასანთლენი, ბარძიმ-ფეშხუმნი მუღარ-
ბარად აღმკულნი, და რქათა ზედა საკურთხეველისათა
ხერუვიმნი აღმართებით განმარტებულ-იყუნეს, და გან-
კრძალულად ერნი შემოკრებულ-იყუნეს ეკკლესიად.

მოიწია ჟამი და ჰკრეს სიმანდრათა, ძელთა და თუ-
ჯთა, ამოდ და მიმოყოვნებით. ხოლო ორღანოისა ლა-
თინთასა ხმა ისმინებოდა ძლიერი, და სომეხთა მწყო-
ბრისა და ძნობისა ხმანი ტკბილად აგემებდეს, ეგრეთუწ
იაკობითთა, ასურთა, აბაშთა ([105]), მჰსგავსად მათისა გან-
წესებისაებრ. და ხორონი ბერძენთა მგალობელთანი გან-
წყობილ-იყუნეს, და ჰგალობდენ ამოდ; მოადეგით, ერნო
სიონსა და მოიცევით იგი და მიეცით დიდება მას შინა
აღდგომილსა მკუდრეთით, რამეთუ იგი არს ღმერთი ჩუწნი,

([105]) აბისინელნი არიან.

რომელმან მიხსნა ჩუწნ. და ლოცუასა მას ღამის-თევი-
სასა იყუნენ შემოსილ მღუდელთ-მთავარნი ხუთნი, არ-
ქიმანდრიტნი, იღუმენნი პროტოსინკელნი სამეოცნი
და ათორმეტნი დიაკონნი, და იყო ღაღადება მხუ-
რვალე ვედრება ქრისტიანეთაგან. და იყო განმზადება
დღესასწაულთა საკჳრუო, და მჰსგავსი მეორედ მოსული-
სა, რამეთუ ძლიერად დაჰბერეს დღესასწაულთასა, მჰსგავ-
სად ხმისა ნესტჳსასა ბრწყინუალესა დღესა ღუთისა ჩუწ-
ნისასა, რამეთუ მაშინ თთუწ იყო აპრილი ათცხრამეტი,
ჟამი და პაემანი ყუავილთა და იატაკთაგან წმინდათა ვი-
დრე რქათამდე საკურთხეველისა მჰსგავსად გაზაფხუ-
ლისა აღყუავებულ-იყო; თჳთო-ფერთა სუნნელებათა ნელ-
საცხებელთა კმევისა, და უთქმთა და მრავალ-ფერთა
მსხუწრპლთაგან წმინდათა შეიმკუწბოდა დღე იგი უფა-

ლი და დედუფალი დღესასწაულთა, წმინდა ერთ-შაბათი-
სა. შემოსილ-იყუნეს ერნი ყუავილთაებრ გაზაფხულისა
ფერადობათათა და ასფოდელოებრთაებრ მაისისა ველ-
თა ესახებოდა, ჭირითა და ღუაწლითა მრავ-
ლითა მოსრულნი ქრისტიანენი ზოგნი ხმელით
ეგჳპტით და პარაშამით, და ზოგნი თარშისა ჭალაკთა
ზღჳთ, უცხოთა ენითა მოუბარნი, და უცხოთა ქუჱყანა-
თაგან მოსულით განკაფულნი უცხოდ ერთ-ბამად იხარებ-
დენ, ვითარცა მარად ერთა ცხოვრებულნი და ნადიმნი
და სერნი ბრწყინუალედ მოემზადნეს; და ზედა გალო-
ბითა იტყოდიან: ხილუად ჩემდა მშუჱნიერება უფლისა
და მოხილუად ტაძარი მისი, რამეთუ დამფარა მე კა-
რავსა შინა მისსა; არა ვეც ძილი თუალთა ჩემთა და
რული წამთა ჩემთა, ვიდრემდის ვჰპოვო მე ადგილი
უფლისა და საყოფელი ღუთისა იაკობისი, ამისთჳს დღე-

სასწაულსა შენსა გჳრგჳნოსან მყუჱნ, სხუანი იტყო-
დეს. ვითარ საყუარელ-არიან საყოფელნი შენნი უფა-
ლო ძალთაო და რომელნი შევალთ მას შინა განწმე-
დილნი მადლითა მით გალობითა გიღაღადებთ: დიდება
ძალსა შენსა უფალო.

და დიდისა ეკკლესიისა მოხელეთა განმზადნეს ტრა-
პეზნი საერონი და აწჳვნეს ქრისტიანენი, ხაჯნი მო-
სრულნი მუნ, და სერი ბრწყინუალე და ტრაპეზობა პა-
ტიოსანი და ლხინი გარდაიხადნეს, რამეთუ იყუნეს
უცხოებით მოსრულნი ხუთასნი ოდენ.

ამისა შემდგომად აღვედით მთასა წმინდასა ზეთის-
ხილთასა, სადა ამაღლდა უფალი, და მუნ არს მცირე გა-
ლილია, სადა უფალი აღდგომილი ეჩუჱნა; ხოლო დიდი
გალილია კანას, ნაზარეთს და თაბორს შუა არს; სავალი

---

(75) ამას ქალაქსა მწირობდა წმინდა ევსტატი და კუალად
ამასვე ქალაქსა მოჰკლა ვეშაპი წმინდამან გიორგი.
ტიმოთე.

არს იერუსალიმიდამ დღისა სამისა. ხოლო მთასა მას
ზეთის-ხილთასა ცხოვრებულა წმინდა ევგენია და არს
სენაკი მისი მუნ. და მიერითგან წარვედით ბეთანიად
საფლავსა ლაზარესსა, და მუნით მოვიქეცით კუალად
იერუსალიმად, და მამანი და მღუდელთ-მთავარნი შემო-
მიკრბენ, და შეწევნისათჳს საფლავისა ქრისტესისა, ვი-
ნათგან თურქთაგან სათხოვარი აძეს, მევედრებოდენ, რა-
თა წარვიდე და შევეწიო მათ რასამე. ხოლო მე ვერ
ურჩ-ქმნილი მათგან ვიწყებდი ზრუნუად განყრისათჳს
მის უცხოსა ადგილისა წმინდისა და იორდანედ წარვედ
მლოცუზლი სრულიად. და იქიდგან მოსულით განვემზა-
დენით წარმოსუზლად, და ვამზგავსებდი ედემით გან-
ხუზბასა მუნიდგან წარმოსულასა, და სულ-თქმითა მრა-
ვლითა ვუამბორეთ საფლავსა ცხოველ-მყოფელსა და

გოლგოთასა წმინდასა, და გეთსამანიასა საფლავსა ყო-
ვლად-წმინდისასა. და აღვიღეთ ლოცუაჲ სინოდთა მათ-
გან და თუალნი უკანა დგებოდეს, კუალად ხილუად ად-
გილისა მისთჳს რჩეულისა და მივიწიენით არემათიად,
ქუზყანასა იოსებისსა და მუნითგან იოპედ.

წარსულა კჳპრეს და ათინად, და უკუმოქცევა საქართუზლოდ.

აქა გუზპოვა ნავი მარჯუზ, ჰშთავსხედით და ჰავითა
კეთილითა მივიწიენით კჳპრესა, ადგილსა სახელად კიტე-
ოსს, მეორესა საფლავსა ლაზარესსა. რამეთუ აღადგინა
რა უფალმან ბეთანიით, ხოლო შემდგომად ამაღლებისა ურიანი
შურად აღუდგნენ ლაზარეს, რამეთუ მკუდრეთით აღდგო-
მილ-იყო ქრისტესაგან და ჰსდევნიდეს სიკუდიდ. ამის-
თჳს აკურთხეს მოციქულთა ეპისკოპოსად კჳპრიისა და
მოვიდა კჳპრედ და საეპისკოპოსო ხარისხი თჳთ აღა-
შენა. და იყო ეპისკოპოსი მუნ, და არს საფლავი მისი
მუნვე. და მიერ წარვედით ქალაქად ლევკოსად ხილუად
კჳპრიისა კათოლიკოზისა, და მივედით სადაცა მჯდომა-

რე იყო კათოლიკოზი, არხიეპისკოპოსი კჳპრიისა, უფალი ფილოთეოს, კაცი ფრიად პატიოსანი და განთქმული თჳთო-სახითა სიკეთითა, და განგჳსუწნა და უცხოთ-მოყუარებისა სალბუნი გუაგემა, და ვჰკითხჳდით განთავისუფლებისათვის ხარისხისა მისისა. ხოლო იგი გუწტყოდა ვითარმედ, ჟამთა პირუწლთა პატრიარხი ანტიოქიისა იცილებოდა, რამეთუ კჳპრე სამწყსო-არსო ჩემი. ხოლო მის ჟამისა არქიეპისკოპოსი კჳპრიისა უარ-ჰყოფდა, ვითარმედ არა არს კჳპრე სამწყსო შენი, ცილობა შემოვიდა; ამისთჳს მეფემან ბრძანა ორთავე აღსულა კონსტანტინეპოლედ, რათა მუნ იქმნას ბჭობა მათი. ამისთჳს არქიესპისკოპოსი კჳპრიისა იყო ფრიადსა ურუასა შინა, და იხილა ანგელოზი ჩუწნებით, რომელი ეტყოდა: რასათჳს მწუხარებ, აღჰსდეგ, წარვედ ადგილსა რომელსამე

და აღმოსთხარე, რამეთუ მუნ არს საფლავი მოციქულისა ბარნაბასი, და ხელთა უტჳრთავს სახარება მარკოზ მახარებელისა, დისწულისა თჳსისა; აღმოიღე იგი და მიართჳ მეფესა. და ვითარცა ჰყო ესრეთ, ამას ზედა ფრიად განიხარა მეფემან და განათავისუფლა კათოლიკოსი მთავარ-ეპისკოპოსი კჳპრიისა და უბოძა კუწრთხისაწილ სამწყემსოჲსა სკჳპტრა, რათა ეტჳრთოს, და მდინარე მეწამული, და რათა მეწამულითა ჰსწერდეს. (ესე დღეისამომდე) ([106]). მუნვე არს ლუსკუმა დიდისა ეპიფანე კჳპრელისა, და არს კუალად საფლავი წმინდისა ტიხონ ამათუნატელისა, რამეთუ მუნ ეპისკოპოს-ქმნილ-არს, და მუნვე არს სამარხო წმინდისა მამისა იოანე მოწყალისა, რამეთუ მუნებურიცა ყოფილ-არს, და მიმავალსა კონსტანტინეპოლედ აღსასრული მუნ შემთხუწვია, და ერთად ტიხონისა თანა დაუსუწნებიათ.

მუნ კჳპროს არს სადგური წმინდისა ქალწულ-მოწამისა ეკატერინასი; მუნ არს სამარხო და სამწყსო წმინდისა მამისა ჩუწნისა სპირიდონ ტრიმითუნტელისა, და დავჰყავით ჟამნი რავდენნიმე და აღმღებელნი ლოცუათა არხიეპისკოპოსისათა წარვიგზავნენით ზღჳთ ალაიად; მიერითგან პისიდოსს; მივედით და ვიხილეთ მიტროპოლიტი პისიდიისა და მოვიკითხევდით რა ამბავთა მუნებურთა, გუწტყოდენ, ვითარმედ არს აქა ტბა და მას

შინა ეკკლესია, რამეთუ მუნ არს სამარხო წმინდისა მო-
წამისა ქრისტეფორესი, მუნ წამებულისა, და მუნვე

([106]) ძუØლადგან სამნი იყუØნენ თჳთ-განმგენი ეკკლესიანი:
ბოლგარია, კჳპრე და საქართუØლო. იხილე ჩემი Ист. Груз.
церкви. стр. 144.

ახლოს არს ხარისხი წმინდისა გრიგორი ნოსელისა, რა-
მეთუ წმინდა ნიკოლოოზ და გრიგორი ნოსელი პისი-
დიის მიტროპოლიტისა სამწყსოს ეპისკოპოსნი ყოფილან.

პისიდიით ქრისტიანეთაგან წარვიგზავნეთ ზღჳთ
მირონ ქალაქად, ლუსკუმასა წმინდისა მამისა ჩუØნისა,
ნიკოლოოზისსა. და მუნითგან მივედით კასტელორიზოს,
ჭალაკსა, სადა მჯდომარე იყო პირუØლ სჳმონ მეფე
ბერძენთა ([107]), და უკანასკნელ მეფობისაგან რა იჯმნა,
და იქმნა მიტროპოლიტ სოფრონიოზ, რომელსა მო-
იხსენებს ხრონოღრაფი და მიერითგან წარვედით ჭალაკ-
სა როდოსს, ადგილსა წმინდისა მამისა ჩუØნისა ისი-
დორე პელიუსიოტელისასა, და მუნებურმან მიტროპო-
ლიტმან წარმგზავნა ჭალაკსა ასტოპალიეს, ციხესა მას
ძუØლთა მეფეთასა. რამეთუ დაგჳზამთრდა, ამისთჳს შო-
რად ვერ უძლეთ წარსუØლად; ახლო ჭალაკითი ჭალაკად
ვიდოდით და მიერითგან წარვედით სათნო ირინის ჭა-
ლაკსა ([108]), და კეთილად შეგჳტკბო მუნებურმან
მღუØდელთ-მთავარმან. ხოლო ვიხილე მუნ საკჳრვო რაჲ-
მე, რამეთუ ზღუØათა შინა აღმოსრულ-არს კუØამლი დიდ-
ძალი და აღმოსდევნებია მთა შავი და არს ასოსული იგი
მთა. თჳთ ვიხილეთ, და მიერითგან ზღჳთ წარვედით
ჭალაკსა აქსიას და მუნით ბაროსს, და ვიხილეთ დიდი

([107]) ვჰგონებ, მეფე არა ბერძენთა, რომელთაცა შორის ამა
სახელით მეფე არასოდეს ჰყოლიესთ, არამედ მეფე ბოლგართა
სჳმონ, რომელიცა მეფობდა 888 წლიდგან 937 წლამდე.
([108]) ამას ჭალაკსა იყო დიდი მონასტერი დედათა უკარო;
რამეთუ სარკმლითა მიართმევენ საზრდელსა და არა გამოვლენ.
ტიმოთე.

იგი ეკკლესია, რომელიცა დედამან კონსტანტინე მეფი-
სამან ელენე, რაჟამს ჯუØარი ჰპოვა იერუსალიმს და მო-
იქცა რა მუნ, აღაშენა ეკლესია იგი. რამეთუ მუნ ეკკლე-

სიასა მას შინა იყო დაყუდებული ღირსი დედა თეოქ-
ტისტე.

მიერითგან ნავით წარვედით ჭალაკსა სერფოს, მო-
ნასტერსა წმინდისა მთავარ-ანგელოზისასა. ახლოს ამი-
სა იყუნეს მუნ მონასტერნი დედათანი, კეთილად მგალო-
ბელთა და მედღესასწაულეთა. მიერითგან მივედით სა-
ხელოვანსა მას დედა ქალაქსა ათინას და გარდავხედით
ნავით ზღჳს პირსა, მონასტერსა წმინდისა სპირიდო-
ნისსა, რამეთუ შორევდა ათინას სამისა ჟამისა სავალ. და
მოგჳვიდა მთავართაგან ათინელთა ცხენნი რახტითა აღ-
კაზმულნი, და სხუანი კრებულთა ჩუ་ნთათჳს, და მივედით
ათინად და შორად მოგუ་გებნენ სამღუ་დელონი მათნი,
და წესისაებრ გჳთავაზეს და შეგჳძღუ་ნენ სადგურად პე-
რიპატოსა ათინელთასა და დაგუ་ასადგურეს მუნ.

ამისა შემდგომად მოვიდნენ ხილუ་ად ჩუ་ნდა მთავარ-
ნი და ფილოსოფოსნი ათინელთანი, და ამოდ მოგჳ-
კითხნეს და ვითარება მგზავრობისა ჩუ་ნისა იკითხეს. და
აღმოიკითხეს ბრძანება თურქთა ხელმწიფისა და წიგნი
საყოველთაო პატრიარხისა კონსტანტინეპოლისა, რა-
ოდენ ვრცელად ეწერნეს მოგებისათჳს ჩუ་ნისა და თა-
ვაზისა და ზედას-ზედა გუ་უბნარებოდენ და გუ་კითხჳ-
დენ ქუ་ყანისა ჩუ་ნისათჳს, და ვკითხჳდით სამეცნიე-
როთა და სასიბრძნოთა მათგან, და ფრიად ვიდრემე
კეთილად შეგჳტკბეს და გჳჩუ་ნეს შკოლა პლატო-

ნისა ([109]) და სხუათა ფილოსოფოსთა, და ათორმეტნი
ღმერთნი ქჳთ გამოქანდაკებულნი ათინელთანი. და ვიხი-
ლეთ ეკკლესიანი და პალატნი ქჳთა მარმარითა დაჩარ-
დახებულნი და ქჳთა დაფიცრულნი, განსაკჳრუ་ბელნი, და
სუ་ტნი მარმარისანი აღმართებულნი მაღალნი ფრიად,

([109]) შკოლისა ანუ აკადემიისა დიდისა ფილოსოფოსისა და
ფილოსოფოსთა მთავრისა პლატონისა შენობა არღა არს. მხო-
ლოდ მოჩანან საძირკჳლნი და დანაქცევნი დრიად მშუ་ნიერსა

ადგილსა ჩრდილოეთით და გარეთ თჳთ აწინდელისა შემცირე-
ბულისა ქლაქისა ათინისა, გარემომისა არის დიდ-ტყედ ზე-
თის-ხილთა ბაღნი და გარემოვლენ მას მრავალნი წყალთა ნა-
კადნი, მომდინარენი მთისაგან ლიკაბეტისა. მე ვიყავ აქა ივ-
ლისის 2 და დიდისა სიცხისაგან მორიდებული განვისუფნებდი
მყოვარ-ჟამ სიგრილითა დიდ და ვრცელ-ფურცლოვანთ ხეთა
ქუფშე, რომელთა ეწოდება პლატანი და ჩუფნებრ ცაცხჳ.
ძუფლად პლატონისა ჟამსა, აკადემიისა კარების შესავალთან
იყო აღმართულ ანდრიანტი ღმერთაჲსა ამურისა ანუ სიყუარუ-
ლისა და შინა ეზოში იყუნენ წარმოდგენილ სახენი სხუათა და
სხუათა ღმერთაებთა. თჳთ სადგური პლატონისა იყო მიყრდო-
ბილ მცირისა ტაძრისა, რომელიცა აღაშენა მან პატივად მუ-
ზათა, ჰსწავლათა და მეცნიერებისა ჴელოვნებისა მომცემთა. ორ-
გზის მოვიხილე ადგილი ესე: პირუფლად თანა-მჰყუა დიდი
ბრძენი და ევროპასა შინა განთქმული მეცნიერებითა პრესვი-
ტერო კონსტანტი ეკონომი, ათინასა მცხოვრები და მეორედ
რეკტორი ათინის უნივერსიტეტისა და მასწავლებელი ბერძნუ-
ლისა ენისა კოროლის ოტტონისა და მეუღლისა მისისა დე-
დოფლისა ამალიასსა. ბრძენი და მრავალთა ენათა მეცნიერი არ-
ხიმანდრიტი მიხაილ.
რომისა კონსულმან სილლამან წინათ ქრისტესსა აიკლო
პირუფლ აკადემია ესე და მოაკუფთინა მრავალნი მაგრილო-
ბელნი ადგილისა ამის პლატანნი და რაჲცა იმპერატორმან ადრია-
ნე 125 წელსა შემდგომად ქრისტესსა ქმნა აქა განახლება. –
გააოხრეს იგიცა ბარბაროსთა სხუათა და სხუათა დროთა შინა,
მეათესა, მეათერთმეტესა და მეათორმეტესა საუკუნეთა შინა იყო

მეფისა ქსერქსისანი. რამეთუ ესე ქსერქსი მეფე
ელლინთა იყო, რომელმანცა შავის ზღჳს პირი
განჰკუფთა და გარდაუტევა თეთრსა ზღუასა ([110]),
რამეთუ უწინ შავი ზღუა ქუთათისამდე მოაწევ-
და ([111]), და ვიხილეთ მუნვე არეოპაგე მახლო-

მცირე რაჲმე ჰსწავლა ამა ადგილსა შინა, და ქართუფლნიცა გა-
ნისწავლებოდენ აქა სახელსა ზედა დიდისა მეცნიერთა სუფტი-
სა და მისაყრდნობელისა პლატონისა – უკანასკნელ თურქთა
დაიპყრეს ათინა და დაჰშტიტეს მუნ ბჟუტი ნათლისა მის და
ცეცხლისა, რომელიცა დიდთა მეცნიერთა, პლატონმან, სოკრატ
და არისტოტელემან მოიღეს ზეცით და ამისა ნიშნად აღუმარ-
თესთცა ანდრიანტი ღმერთსა პრომეტეოსს.
აწა, ამა ადგილთა შინა, სადაცა აღიზარდა და განმტკიცდა გო-
ნება კაცისა, – მიმსულელი მუნ ჰხედავს სამწუხაროთა და-
ნაქცევთა და მხოლოდ მარტივსა ადგილსა ამის სახელსა და
წოდებასა და ამასცა აწინდელთა ბერძენთა ბაგეთა შინა გან-
ტყუნილად « აკათიმია » (Acathimia. – ესრეთ წარმავალს არს

დიდება ამა სოფლისა! – Sie transit gloria mundi!

პ. ი.

(110) თქმულება ესე არს მოღებული ბერძენთა მეისტორიისა ღეროდოტისაგან. – თჳთ ამა ადგილსა, რომლისაცა ჰსურო-და განკუნ̆ეთა ქსერქსსა, ეწოდებოდა ყელი მაკედონიისა და ამა გზით შევედ, თესალონიკით წარსრული, ათონისა მთად. სივიწროე ამა ადგილისა არს დიახ მცირე, ვჰგონებ არა უმეტეს 200 საჟენისა. – და განჰყოფს არხიპელაგსა. ქსერქსის უნებდა განკუნ̆ეთა მისი, რათა პირ და პირ შესულიყო მაკედონიასა და არა მოვლით ათონისა გრძელისა მთისა, გარნა შეუძლებელ-იყო და არსცა დიახ გრძელ-ჟამითი დროჲსა, დაქცევა დიდისა ქჳანისა მთისა, შესაერთებელად ორთა არხიპელაგისა ზღუ̆ათა.

პ. ი.

(111) დაწევა ქუ̆ეით შავისა ზღჳსა და დატევება იმერეთისა ზღჳს-პირთა თუ̆ალით სახილუ̆ეელია და უეჭუ̆ო თჳთ პალეოს-

ბელ (112), ხარისხი იეროთეოს და დიონისიოს არეოპაგელთა, და კუ̆ალად აკადემია სასწავლო მათი და განვიცდიდით ადგილთა სიუცხოვესა, მჰსგავსად ედემისასა, ცალ-კერძო ზღჳთა მოზღუდჳლ და ცალ-კერძო ჭალანი ზეთის-ხილთა და ვენახოვანთა და ბაღთა-ბაღჩათა-თაგან მომაღნარებულნილ და შიგან მომდინარენი წყალნი; და მთითა და ჰავითა ფრიად განშუ̆ენებულნი, და ნამდჳლ ბერძენთაგან და ფილოსოფოსთა გამორჩეული ქუ̆ეყანა. და იყო ახლოს ათინასა თევაიდა, სოფელი პინდაროს ბრძნისა (113) და კუ̆ალად ზღჳთ-კერძო ტანტალა სოფელი ოვრუტიოს ბრძნისა და მოვიხედჳდით რა,

---

ტომი, ორი ათასისა წლისა წინათ, ზღუ̆ასა ეპყრა და ამისთჳს ეწოდა აწინდელსა ტბასა პალეოსტომად, ესე იგი ზღჳსა ძუ̆ლ-ყურედ.

პ. ი.

(112) არეოპაგი ანუ ძუ̆ლი სამჰსჯავრო ათინისა არს აღშენებული ბორცუ̆სა ზედა მახლობელ აკროპოლისისა, სადაცა არს განკჳრუ̆ებელი ტაძარი პატღენონისა, არეოპაგი დაფუძნდა ერთსადა მასვე წელსა, რომელსაცა ეკურთხა მღუ̆დელთ-მთავრად ჰარომ ძმა წინასწარ-მეტყუ̆ელისა მოსესი 1490 წლით წინათ ქრისტესსა. ამას ადგილსა სოლომონმან ჰსწერა ჰსჯულისდებანი თჳსნი. აქა დემმოსთენ ჰქუხდა მჭევრ-მეთქუ̆ებითა თჳსითა და განაკჳრუ̆ებდენ სიტყჳთა და სიბრძნითა ესხინი, თემისტოკლე, კიმონი, პერიკლე და ალკივიადე. ციცერონისა ჟამთა რომისა ელჩნი მიიღებოდენ აქა ბერძენთაგან. აქავე

მოციქული პავლე განუმარტებდა ჰსწავლასა თჳსსა ძის ღუთი-
სათჳს საქმე მოც. თავი 17) და სიტყჳთა თჳსითა ქრისტია-
ნე ჰყო პირუჭლი მსაჯული ანუ მსაჯულთ-უხუცესი არეოპა-
გისა დიონოსი. ყოვლადი შენობა მისი, აწ თავ-მოქცეული,
არის მარმარილოსა ქუათაგან აღგებული.

პ. ი.

(113) დიდი და სახელოვანი ბერძენთა მოლექსე.

პ. ი.

აღივსო ცნობა ჩუჭნი და გონება სახილავთა-მიერ დი-
დებულთა ათინელთასა.

და წარვედით მათგან პატიოსნად ხილუად მონასტრი-
სა მის დიდებულისა ფერის-ცუალებისასა ქუჭყანასა არ-
ნაუტთასა. და მივედით რა, მოგუჭგებნენ მამანი არნა-
უტნი და შეგჳძღუნენ მონასტრად წესისაებრ და ვიხი-
ლეთ ეკკლესია დიდი და მშუჭნიერი და დავადგერით მუნ
ჟამ-რაოდენმე. მუნ იყო ახლოდ კორინთე, რომელსა
მოციქული პავლე მიუწერს ეპისტოლეთა კორინთელთა.
რამეთუ გუჭწადა წმინდისა სპირიდონისა ნაწილის ხი-
ლუად კროფოსად, არამედ მოგუჭსმა ამბავი, ვითარმედ
თურქთა და არნაუტთა ბრძოლა არს გზათა ზედა, და
უკუ-მოვიქეცით, და მოვიწიენით ჭალაკსა ანდროს, მო-
ნასტერსა წყაროსა ღუთის-მშობელისასა. და მიერითგან
ნავითა ვვლენით გზანი მრავალნი ზღჳთ და მივიწიენით
მთად-წმინდად მონასტერსა ვათოპეტს, რამეთუ მუნ ექ-
სორია ქმნილ-იყო პატრიარხი კირილე, და ფრიად
ჰსთნდა მისულა ჩუჭნი და დაგუასადგურა თჳს-თანა და
შეგჳთჳსა.

ამისა შემდგომად აღვიღეთ შენდობაჲ და წარმოვედით
და მოვიწიენით მონასტრად ჩუჭნ ქართუჭლთასა, და ვი-
ყოფოდი მრავალ-ჟამ მათ-თან სამარადისოსა ლოცუასა
და ღამის-თევისა მომსმენი. ამისა შემდგომად ვაწჳე
ძმანი და მოუმზადე სერი ბრწყინუალე, და შევიმოსეთ
და პორტიატისა ღუთის-მშობლისა წინაშე პარაკლისი ვი-
ხადეთ მრავალ-ჟამიერობისათჳს მეფეთა ჩუჭნთასა. ამი-
სა შემდგომად ვინებე ხილუჭად პატრიარხისა იერუსალი-
მისა საქმისა რაჲსათჳსმე, და აღვიღეთ ლოცუა მამათ-
გან და წარმოვემართენით კონსტანტინეპოლედ, გა-

მოვვლეთ ჭალაკი თასო, სადა ექსორიობით მოკუდნენ ნესტორ მწუალებელი და საბელიოს ბიელი. და მუნით გამოვვლეთ ქალაქი მაკედონია ტახტი ალექსანდრე მა-კედონელისა, და ვიდრე აქამომდე იხილუჩბის ახური ქჯ-სა რქიანისა მის ცხენისა დუჩიპალისი (114) ალექსანდრეს ცხენისა. და მიერ გამოვვლეთ ზღუა იწრო ტროადას და მიერ ზღუა პროპონტოჲსა, და მივედით კუალად კონ-სტანტინეპოლედ ქუჩლის-მომნიჭებელისა ჩუჩნისა გი-ორგი სპათარისადმი.

ხოლო ყოფასა ჩუჩნსა მუნ, მივედით ცხოვრებისა წყაროსა ყოვლად-წმინდისასა, რომელსა ვდღესასწაულობთ თომას კჯრიაკის პარასკევსა. და კუალად მივედით ეკკლე-სიასა მას ყოვლად-წმინდისასა, რომელსა ვდღესასწაუ-ლობთ, სადა ყრმა ამაღლდა ლიტანიობასა ერისასა, და ჰშთამოვიდა რა, პირით გალობა მოაქუნდა: წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკუდაო, შეგჯ-წყალენ ჩუჩნ.

და მუნით მივედით ეკლესიასა მას, სადა აბრაამ ურია-სა თეოდორე ქრისტიანემან ხატი მაცხოვრისა თავს-მდებად მისცა; და ურია სიცრუით უარ-ჰყოფდა რა თეთ-რისა მიღებასა, ხატი მყოვარ-ჟამ უჭურეტდა ურიასა მას. ხატი იგი მუნვე არს.

ამად ჟამად აღგუმზადა პატრიარხმან იერუსალიმისა-მან წარმოსულად საქართუჩლოდ, და გჯბოძეს წიგნი, და მზა-ვიქმნენით წარმოსულად. ხოლო ყოფასა ჩუჩნსა

---

(114) ბუკეფალისა, რომელსა მოიხსენებს კჯნტოს კურ-ციოს.

პ. ი.

მუნ მივედით სალაროდ პატრიარხისა, და ვიხილეთ ძუჩლი სამოსი ეპისკოპოსთა: თავსახურავად შლაპა იის ფერი და ჯუბა, და ვიწრო პაჭიჭი, და მაშია წინა აბ-ზინდით შესაკრავი, და რაცა, ყოველივე იის ფერი. რა-მეთუ იტყოდენ მოხუცებულნი მათნი, ვითარმედ ასი ოდენ წელი არსო გარდასრულ, ამისა უწინ ეპისკოპოსთა ესე ემოსათო; ახლა მონაზონთ კუნკული დააწესესო.

მომეხსენა, ქართლს მცხეთას სუ§ტის-ცხოველზედ და-
ხატული კათოლიკოსი სამზეურით, და აფხაზეთის კა-
თოლიკოსი მურასა სამზეურით, ჭეშმარიტი ყოფი-
ლა ([115]).

წარმოვედით კონსტანტინეპოლედ, გამომსალმებელი
პატრიარხთა, მთავართა და ერთა, და მოვიწიენით ზღჳთ
სოფელსა შილას, სადა ასუ§ნია მთლივ ღირსად ხსენე-
ბული ევთიმი სარდეოსი, რომლისა ხსენება არს დე-
კემბრის 27. და მიერ ვვლეთ და მოვიწიენით სო-
ფელს ევხაიტს, სადა ეწამა წმინდა მოწამე თეოდორე
სტრატილატი. და მიერ ვვლეთ და მივიწიენით ქალაქსა
სინოფას ([116]), საწამებელსა წმინდისა მღუ§დელ-მოწა-
მისა ფოკასსა, რომლისა ხსენებასა ვჰყოფთ სეკდემბრის
22. და იქიდგან ზღჳთ ვვლეთ და მოვედით სამსონას,
სადა ეწამნეს წმინდა ფლოროს და ლავრა, და გან-

([115]) დღესცა ესრეთ მოჩანან მცხეთის ეკკლესიაში მხა-
ტუ§რობანი ესენი.

პ. ი.

([116]) ამა ქალაქიდამ იყო ფილოსოფოსი დიოღენი, რომე-
ლიცა იხილა ალექსანდრე მაკედონელმან ხისა ხჳმირსა შინა მჯდომარე.

პ. ი.

ვვლეთ ამასია და მივედით კუ§ალად კომანად, და მიერ
წარვემართენით და მივიწიენით ადგილსა მას, სადა ეწამ-
ნეს წმინდანი ავქსენტი, ევსტრატი, ორესტი და მარ-
დარი. და მიერ მივიწიენით მელიტონს სომხითისასა,
სადა ეწამნეს წმინდანი ორმეოცდა ხუთნი მოწამენი;
და მიერიდგან მივედით ხალდეს, აწ უხმობენ
გუმიშხანას ([117]), სადა ეწამნენ წმინდანი ევგენი, კან-
დიდოს და ვალერიანე.

([117]) გუმიშხანა მდებარეს ბაიბურთისა და ტრაპეზუნტისა
შუა. აქედამ ჰსჩანს, რომელ მოგზაური ტიმოთე სამსუნიდამ
ხმელით მოსულა ამასიას და აქედამ სმელითავე ბაიბურთის
გზით არტაანს, მერეთ ახალციხეს და აქედამ ქ. თფილისს.

პ. ი.

დასასრული